

14
75/3

1975
საქართველოს
საბჭოთავო კავშირი

საქართველო

8

1975





ენათობი



საქართველოს მწერთა კავშირის გამომცემლობა
და საქართველოს მწერთა კავშირის გამომცემლობა

წელიწადი 51-ე.

№ 8.

აგვისტო, 1975 წ.

საბარტველოს საბავთა მწერლობის კავშირის ორგანო

შინაარსი

კონსტანტინე გამსახურდია	3
ფიქსტაბის თავდადება	7
რევაზ მარგინი — ლექსები	9
ლილა მესტი — ლაშო ტაყაჩვი. მოთხრობა	14
ალექსანდრე ჭუბინაძე — ფიქსტაბი. ლექსი	26
გიორგი ციციშვილი — ყველაზე დიდხანს ცოცხლობს იმედი. მოთხრობა	27
ხვთისო წიკლაური — ლექსები	70
სილოვან ნარიშკიანი — ლექსები	72
რევაზ ჯაფარიძე — მკვირვარი. რომანი. ვერსიები	76
გიორგი მამულაძე — ლექსები	109
ნოდარ აბიძე — ლექსები	116
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მღინარი. რომანი. დასასრული	118

კრიტიკა და კვლევითი

ნოდარ აბიძე — ერთი აკადემიური გამოცემის გამო	145
გიორგი მარგინაშვილი — ახალი ჩემოვანის მხარე	152
ვილხელა ციციანი — „მთავარი“ და „სამე“	168
ლალი ყარაშაიანი — გულწრფელი შემოქმედი	178

წიგნების მიმოხილვა

ლევო კვარაცხელი — ეპოქალური ნაწარმი მართლმადიდებლის გარდაცვალებული აბი- გულაშვილის შესახებ	183
---	-----

საბარტველოს კვლევითი კომისიის გამომცემლობა

კ. შირაძის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო მუშაკები:

მ. აბაშიძე, რ. აბაშუაძლი (პ/შ მდივანი), ხ. აკაოლაძე, თ. გივიანიშვილი, მ. ლიპანიძე, ლ. მგელაშვილი, ბ. ძლანდი, ა. სულაიაშვილი, ა. ქუთათაძე, ხ. შანთიაშვილი, დ. შანთიაშვილი, ნ. ვაღანიანი, ვ. ვაღანიანი, თ. ვილაძე, ა. ხარაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯინაძე.

ტექნიკური რ. ნაპაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/შ, მდივანის — 93-55-12, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

ვალიცა ასაწობად 24/VI-75 წ., სელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII-75 წ., ასაწობის ზომა 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირბითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სალ.-საგამომცემლო თბაში 12.

№ 00049. ტირაჟი 14,500. შეეც. № 2606. საქ. კა. ც-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 16 14.



საქართველოს ბიბლიოთეკის
საკრედიტო მუშაკების
სამსახური

კონსტანტინე გამსახურდია

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ, ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ჩვენი საუკუნის დიდი ქართველი მწერალი, მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია.

მადალი მხატვრული ნიჭიერების, ფართო და მრავალმხრივი ერუდიციის, იშვიათი შემოქმედებითი პოტენციის ხელოვანმა, მან ღირსეულად განაგრძო და განავითარა ჩვენს დროში მრავალსაუკუნოვანი ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო პატრიოტული და ჰუმანიტური ტრადიციები და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებაში, როგორც მისმა ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და კლასიკოსმა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური გრძნობებით, თანამედროვეობის ნათელი იდეალებით შთაგონებული მისი შემოქმედება უაღრესად კეთილმყოფელ შემოქმედებას ახდენს ხალხის სულიერ ცხოვრებაზე. კონსტანტინე გამსახურდიას საუკეთესო რომანები, მოთხრობები და ნოველები თარგმნილია რუსულ ენაზე, ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხთა ენებზე და ქცეულია მრავალეროვანი და მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებად. ბევრი მათგანი თარგმნილი და გამოცემულია უცხოეთის ქვეყნებში და აღიარებულია არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო მიღწევად.

მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე კ. გამსახურდია — გამოჩენილი მწერალი და მოაზროვნე — დაუღალავად იდგა ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში და თავისი შემოქმედებითი შრომით თავდადებულად ემსახურებოდა ჩვენი მხატვრული კულტურის, ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებასა და განვითარებას.

კონსტანტინე სიმონის-ძე გამსახურდია დაიბადა 1891 წლის 5 მაისს სოფელ აბაშაში. ქუთაისის ქართული გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, შემდეგ გერმანიაში გაემგზავრა და უმილდესი ფილოლოგიური განათლება ბერლინის უნივერსიტეტში მიიღო. ფართო და მრავალმხრივი ინტერესებით ვატაცებულმა ახალგაზრდამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იმოგზაურა და მთელ რივ უნივერსიტეტებში ისმენდა ლექციებს ისტორიის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგებში.

ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მხატვრული შემოქმედებისადმი მიდრეკილებას ჯერ კიდევ მოწაფეობისა და სტუდენტობის წლებში იჩენდა. აღრეული სიკაბუკის ხანაში ლექსებსა და მოთხრობ-

ბებს წერდა, რომლებსაც იმდროინდელ ქართულ პრესაში აქვეყნებდა კ. აბა-
შისპირელის ფსევდონიმით. 1919 წელს მან გამოსცა ჟურნალი „პრომეთე“,
რომელშიც სათანამშრომლოდ მიიზიდა გამოჩენილ მწერალთა და მეცნიერთა
დიდი ჯგუფი.

განსაკუთრებით აქტიური და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა
კ. გამსახურდიამ ოციანი წლების დამდეგიდან დაიწყო, როდესაც ახალგაზრდა
მწერალი უცხოეთიდან საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში, სადაც უკვე საბ-
ჭოთა წყობილება იყო დამყარებული და ქართველი ხალხი სოციალისტური სა-
ზოგადოების მშენებლობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში იყო ჩაბმული. ახალ-
გაზრდა საბჭოთა ლიტერატურა თანმიმდევრულად მიიკვლევდა გზას სოცია-
ლისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკური პოზიციებისაკენ, მწერლობის მა-
შინდელი დაქსაქსულობისა და დიფერენცირების პირობებში კ. გამსახურდია
ე. წ. „აკადემიური მწერლობის კავშირის“ ერთ-ერთ მეთაურად გამოდიოდა და
ამასთანავე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მხატვრული პროზის დარგში. სერიალ-
ზელი სიძინელები და წინააღმდეგობანი ახასიათებდა ამ პერიოდის მის შემო-
ქმედებას, აზროვნებას და მოღვაწეობას. მაგრამ, ამვე დროს, მის ბელეტრის-
ტულ ქმნილებებში მკაფიოდ იჩენდა თავს წრფელი მისწრაფება, რომ სწორად
გაეგო, გაეაზრებინა და წარმოესახა ეპოქის ძირითადი სოციალური შინაარსი —
სამკედრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა ძველ სამყაროსა და ახალ, აღმავალ
ცხოვრებას შორის. ოციანი წლების კ. გამსახურდიას ნოველებში „ზარები გრი-
ვალში“, „ქოსა ვახუ“, „ტამუ“, „ჯამუ“ და სხვ. აგრეთვე რომანში „დიონისეს
ლიმილი“ შთაბეჭდვადი მხატვრული ძალით არის წარმოდგენილი ძალმოპრეო-
ბაზე, მონობასა და მხაგვრელობაზე დამყარებული ძველი საქმაროს განწირუ-
ლება ახალ, ნათელ ცხოვრებასთან დაპირისპირებაში.

ოცდაათიან წლებში კ. გამსახურდიამ გამოაქვეყნა მხატვრული ნარკვევე-
ბის წიგნი „უკრაინის თემიდი“, რომელშიც პირუთვნელი სიმართლით არის
ასახული ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებული, თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვ-
რება და ხალხთა ძმობა. მწერლის პირველ შემოქმედებით შეხვედრას სოცია-
ლისტური სინამდვილის თემატიკასთან, ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანებ-
თან მოჰყვა კ. გამსახურდიას ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრული ქმნილება რო-
მანი „მთვარის მოტაცება“, რომელიც ოცდაათიანი წლების დამდეგს იწყებო-
და იმ მწვავე კლასობრივი ბრძოლების მასალაზე, რომელთა შედეგადაც ჩვენს
ქვეყანაში საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა, მთელი თავისი ძლიერებითა და
მშენებით გამოჩნდა თანამედროვეობის გმირი — ახალი სამყაროს მშენებელი
ადამიანი. „მთვარის მოტაცება“ ქართული და მთელი მრავალეროვანი საბჭოთა
მხატვრული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო მონაპოვარია.

საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი გმირობის სურათები დახატა
კ. გამსახურდიამ რომანში „ვაზის ყვავილობა“.

დიდია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი ღვაწლი და დამსახუ-
რება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიული ცხოვრე-
ბის მხატვრულად წარმოსახვაში. მისი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“
და „დავით აღმაშენებელი“ მრავალეროვანი საბჭოთა ისტორიული რომანისტი-
კის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს შეეკუთვნებიან. „დიდოსტატის მარჯვენაში“
უდიდესი მხატვრული ძალით არის წარმოსახული X საუკუნის საქართველოს
ცხოვრება, ხალხის გმირული ბრძოლა სამშობლოს გაერთიანებისა და გაძლიე-

რებისათვის, ქვეყნის მატერიალური და სულიერი კულტურის აღორძინებისათვის, შემოქმედებითი აზრის თავისუფალი გასვითარებისათვის.

ისტორიული ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“ ყველაზე ფართო და ვრცელი მხატვრული ტილოა მთელ მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში. რომანის ცენტრში დგას დავით აღმაშენებელი, რომლის ძლევამოსილი სარდლობით ქართველმა ხალხმა განდევნა თავისი მიწა-წყლიდან საძულველი უცხოელი დამპყრობლები, დათრგუნა განდგომილ ფეოდალთა ვერაგობა და შექმნა მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო. რომანში წარმოსახულია პანორამა მატერიალური და სულიერი კულტურის იმ მძლავრი აღორძინებისა, რომელმაც უშუალოდ შეამხადა ნიადაგი შოთა რუსთაველის ეპოქის ამობრწყინებისათვის.

კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანების უდიდესი ღირსება ის არის, რომ მათში შორეული წარსულის მოვლენები გააზრებული და გამოხატულია საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობისა და ინტერესების თვალსაზრისით, რომ ისინი ცხოვლად ეხმარებიან ჩვენი ხალხის პატრიოტულ სულისკვეთებას, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, საბჭოთა ეროვნული სიამაყის გრძნობებს.

კ. გამსახურდიას კალამს ეკუთვნის რამდენიმე ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის რომანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ფოლკლორის მდიდარი საგანძურიდან აღებული სიუჟეტის მოტივებზე დაწერილი მაღალმხატვრული, პატრიოტული და ჰუმანისტური ელერადობის მოთხრობა „ხოვასის მინდია“...

კ. გამსახურდიამ დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე მხატვრული ფარგმანის ხელოვნების განვითარებაში. ჰუმარიტი შემოქმედებითი გზებით აამერყველა ქართულ ენაზე დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ასალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ და გერმანული ეპოსის შესანიშნავი ქმნილება „ნიბელუნგები“ (თარგმნა პოეტ კ. ჭიჭინაძესთან ერთად).

კ. გამსახურდიას ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევები, მონოგრაფიები და ლიტერატურული პორტრეტები, რომლებიც ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსებისადმი მიძღვნილი, ორ დიდ ტომს შეადგენს.

მისი რომანებისა და ნოველების მიხედვით შექმნილია სპექტაკლები და კინოფილმები.

მწერალი მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდენტის მუშაობაში, იყო მწერალთა საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობების დელეგატი, გამოდიოდა მწერალთა პლენუმებზე, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირებსა და დისკუსიებზე. იყო ლიტერატურული ჟურნალებისა და გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრი.

თავისი დიდი ლიტერატურული შემოქმედებით, სამშობლოსადმი ხანგრძლივი და უანგარო სამსახურით კონსტანტინე გამსახურდიამ ხალხის საყოველთაო სიყვარული, მადლიერება და პატივისცემა მოიხვეჭა. იგი იყო ჩვენი დროის ქართული კულტურის ჰუმანიტად დიდი მოღვაწე.

საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად დააფასა მწერლის დამსახურებანი ქვეყნის წინაშე — იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელ



დროშის ორდენებით. მას მინიჭებული ჰქონდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, მხატვრული სიტყვის დიდოსტატის კონსტანტინე გამსახურდიას ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში, ჩვენი ეროვნული მწერლობის, მთელი საბჭოთა კულტურის ისტორიაში.

პ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, გ. კოლზინი, პ. მელნიკოვი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიუშვილი, ვ. სირაძე, ე. შავარდნაძე, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, თ. მოსაშვილი, შ. შარვაშიანი, ო. ჩიქოვანი, შ. შარტავა, გ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, ზ. ახვლედიანი, თ. ბუაჩიძე, ნ. დუმბაძე, ი. ვიკუა, ო. თამთაყიშვილი, ბ. ლოგაძე, ი. ნონუშვილი, ბ. ქლენტი, ნ. ჩიქოვანი, პ. ჯიბლაძე.



დიდოსტატის უკვდავება

მიმდინარე წლის 17 ივლისს გარდაიცვალა კონსტანტინე გამსახურდია, დიდოსტატი ქართული ხიტყვისა, მეოცე საუკუნის დიდი ქართველი მწერალი, რომლის ქმნილებებში სრულყოფილი გამოხატულება პოვა ქართველი ხალხის გენიამ, მისმა სულმა და სახათმა, მისმა აწმყომ და ისტორიამ.

კონსტანტინე გამსახურდიამ ცხოვრებისა და შემოქმედების ვრცელი და უაღრესად საინტერესო გზა გაიარა. მისი შესანიშნავი რომანები, ნოველები, გამოკვლევები, პუბლიცისტური წერილები, მთელი მისი დიდი შემოქმედებითი შექვიდრებმა სრული უფლებით შედგინა ქართველი ხალხის სულიერ საგანძურში, იმ ოქროს ფონდში, რომელსაც ქართული საბჭოთა კლასიკა ეწოდება. ის იყო ერთ-ერთი უფძემედიველი ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურისა, იყო მისი კლასიკოსი, ის ერთ-ერთი უპირველესი იყო ქართული საბჭოთა კულტურის შემქმნელთა და წინ წამყვანთა შორის. მის უოველ ახალ ნაწარმოებს, მის უოველ ხიტყვას დაძაბული ინტერესით მოელოდა მთელი ქართველი ხალხი, რომელიც მას განუზომელი სიყვარულით უყვარდა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია წარმოუდგენელია კონსტანტინე გამსახურდიას სახელის გარეშე. ამ დიდი სახელის გარეშე წარმოუდგენელია ერთნაღ „მნათობის“ ისტორიაც. ნახევარი საუკუნის მანძილზე „მნათობი“ მისი უმთავრესი ტრიბუნა იყო. პირველად აქ გამოქვეყნდა მისი ვრცელი სამტომიანი რომანი „მთავრის მოტაცება“, ახე აქტუალურად რომ ეხმარებოდა ჩვენს დროს, ახლის, სოციალისტურის დაშვადრებას ყოფსა და სულში, დიდ რევოლუციურ გარდატეხას სოფლად და ქალაქად. „მნათობშივე“ გამოქვეყნდა პირველად მისი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარქვენა“, „დავით აღმაშენებელი“, „გაზის უვავილობა“, „ხოგაის მინდია“, აქ დაიბეჭდა მისი ბრწყინვალე ნოველები. კონსტანტინე გამსახურდია გუთუნოდა ამ ერთნაღის უველაზე სანუჯარ, უველაზე მოწინავე ავტორთა რიცხვს.

კონსტანტინე გამსახურდია მთელი გატაცებით უმღეროდა ჩვენს დროს, სოციალიზმის გამარქვენის ეპოქას; ამიტომაც წერდა იგი: „არაფერი ისე არ ახარებს თვალსა და გულს, როგორც ევა: ახლის შექმნის მეთვალღურ იყვე და ახლის შემქმნელს შეაწო ხმა“.

ჩვენი მართად დავთიწყარი კონსტანტინე არა მარტო ხმას შეაწვდა, არამედ თავისი ბრწყინვალე რომანით — „მთავრის მოტაცებით“ მხარში ედგა პირველ კოლმურნებს, ძველ ქართულ მიწაზე ახალ, თავისუფალ შრომას რომ ამქვიდრებდნენ, თავისი „ვაზის უვავილობით“ მწერალი თან ახლდა სამაშულო ომის ღრონტზე წასულ ქართველ გარისკაცს, მოძმე ხალხთა შეიღბთან ერთად რომ იბრძოდა სამშობლოს და კაცობრიობის ვადასარჩენად. ის მთელი გატაცებით და გწნებით უმღეროდა საბჭოთა ხალხების დიად ლენინურ მეგობრობას; ის უველაგან, უველა უხანზე მიხედალმებოდა ახლის შემოქმედს, მუდამ წინ ეტყებდა შრომასა გამარქვენბულს და ლოცავდა მის მარქვენას, მისი თავისუფალი შრომის მადლს ამ ქვეყნის უველაზე მაღალ სათნობად მიიჩნევდა. ამიტომაც წერდა ის ესოღენი გატაცებით ახალ რუსთავეტ, კოლხეთის ჭაობების ამოშრობაზე, ახალ სამგორზე; საქართველოს ახალი ისტორიის საფიდეზლად გააცოცხლა მან წარსულაც და გარდასულ დროთა დიდოსტატებიც და რაინდებიც იმითომ წარმოაჩინა ესოღენ ბრწყინვალედ და დაღებულად, რომ საქართველოს ახალ ისტორიას, მის დღევანდელ დღეს უფრო მქვიდრი, უფრო ურუვეა უფრე, უფრო დიდი ელვარება და ტრადიცია მქონოდა. ამის თაობაზე თვითონ მწერალა შეინიშნავდა: „უვლაფერი, რაც შემოქმნია ჩვენი ერის სახელკუანი წარსულის საფიდეზლად, განკუთვნილია ჩემი ხალხის დღევანდელი დღისა და მისი მომავლისათვის, რომლის მდებარეუდედ და შეაბქრედ მომაქვე კადვეც თავა“.

ამით ახსენებოდა მწერლის ესოღენ უღრმესი ინტერესი საქართველოს დიდი წარსული-საღამი. „დიდოსტატის მარქვენას“ პირველი სტატიონებდანვე მკითხველი მიხუავს შორეულ გზებზე. თითქოს სასწაული მოხდარი, ისე ცოცხლდებაან საუყურებთა შენს თვალწინ, ენას ამო

იღვანე და ღამაჯს იწყებენ ათასი წლის წინ წახულ ადამიანთა აჩრდილები. არა, აჩრდილები კი არა, წამდვილად ცოცხალი ადამიანები. მის წიგნებში ჩანს ისტორიის მთელი ეპოქები: აბა, შესბელი და გადმოცეი ეს ერთი-მეორეზე აწვავებული ფიქრები, შთაბეჭდილებანი, წარმოსახვანი, სურათები ეპოქებისა, ქვეყნებისა, ომებისა, მოძღვრებებისა, მთელ ხალხებს რომ აღძრავდნენ და ქვეყნიერებას აწანსარებდნენ. მათს გაცოცხლებას, ვიზიონურ ხილვას და დახატვას მართლაც დიდი და უბადლო მესიტყვის, მწერლისა და მოაზროვნის, პოეტისა და ფილოსოფოსის ფანტაზია სჭირდებოდა. შორია და თაღვლადაუწვდენელი გზები, რომლითაც დახუჯვარ მწერალს მისი წიგნების კითხვის დროს, თვითონ კი მუდამ შინ არის — მუდამ თავის ხალხთან არის, ყოველ დროს, უველა საუკუნეში, კომენტურნის ოქაზშიც და გვეფთის, ან ნაკარმავევის სასახლეშიც...

კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელს“ ჩვენს ლიტერატურაში დიდად საპატო და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საქმე აქ მართო მის მხატვრულ ძალასა და გარდასულის მისნურ ჩაწვდომასი როდია. ამ ვრცელ ეპოქაში ისტორია მკვდარი კი არ არის, ღანჯების სავანე კი არ არის, არამედ გაუთავებელი სიცოცხლე და წარმოქმნა. ვის არ უწერია საქაროველოს ისტორიაზე, მაგრამ ასე ძლიერად არავის განუცდია იგი. უმეტეს შემთხვევაში ჩვენი გადაგვიყვანდნენ ხოლმე ბურუსიან შორეთში, გადაგვიყვანდნენ აჩრდილთა საუაროში, სადაც უველაფერი მკვდარი იყო, ნაცარწაყრილი, უცხო და უჩვეულო. შეიძლებოდა გეგრძნოთ რადაც მოწინებმა, მაგრამ არ იყო ის განცდა, რომ თქვენ შინ, თქვენს სახლში იმყოფებით. „დიდოსტატსა“ და „დავით აღმაშენებელში“ კი ჩანს ჩვენი ცოცხალი სამშობლო, მიწა, ხალხი, მისი შრომა და ბრძოლა. და ეს ზღემა იმიტომ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას აქვს გასაკარკარი უნარი ერთხელად დაიფაროს მანძილი ისტორიასა და თანამედროვეობას შორის, მეთორომეტე და მეოცე საუკუნეებს შორის, ის იღუშალი სასიცოცხლე ძაფე გვიჩვენოს, საუკუნეებისა და ათასწლეულების გასწვრივ ხალხის ისტორიის მთელ სიგრძეზე რომ არის გაბნული. აი ამის გადმოცემა, სიცოცხლის ეს მარადიული შუქი რომ დაიწყებს კრთომასა და ელვას — ეს აძლევს მხატვრულ ნაწარმოებს იმ დიდ სიცოცხლეს, რომელიც მას ესოდენ თვალსაჩინო ადგილს მიუჩინებს მთელი ხალხის სულიერი ცხოვრების ვითარებასა და წინსვლაში.

„დავით აღმაშენებლის“ წერას ავტორმა ოცდაშუთი წელი მოანდომა; ადვილი როდე იყო თავმოყრა და მხატვრული გარდასახვა უნარმზარბი მასლისა, რათა მკითხველის თვალწინ სრულყოფილად წარმომდგარიყო დავითის ეპოქა, არა მართო მთავარი ვიზი ეპოქისა, არამედ მისი თანამებრძოლნი და პირველ რიგში — ხალხი, წამდვილი შემოქმედი ისტორიისა. ავტორმა შექმნა მთელი გაღერეა უბრალო ადამიანების სახეებისა — ესენია გუთნის დედის გაბრიელ ხორგაის შვილები, ასისთავი დათერია, უბრალო მშრომელი ქალი თეონა, რუსი მჭედელი ნიკლა და სხვები. რომანის ფურცლებზე დავითის მხარდაჭარ დგანან ზურთომოდვრები, ხელაოსნები, გლეხები, მეომრები — უველა ისინი, ვინც სელაქუთა მისზე უღლიდან ათავისუფლებდნენ ქვეყანას და, იმავე დროს, აშენებდნენ მას, მალა აქუადათ მისი კედლები.

მწერალმა ისტორიაც თანამედროვეობის სამსახურში ჩააყენა. „მე მუდამ თაყვანს ვცემ ახალზე „პო“-ს მთქმელ ოსტატებსო“, არაერთხელ განუცხადებია მწერალს. ის პირველ რიგში თვითონ ეცოფნოდა ახალ ცხოვრებაზე „პო“-ს მთქმელთა სახელოვან კლუდას.

წავიდა ჩვენგან ბრძენე გულთამხილავი, უბრწყინავლენი მწერალი და მოაზროვე, მაგრამ სიკვდილი ვერასოდეს მოგრევა მის უყვავ სულსა და მის სიტყვას, რომლებიც ცოცხლობენ მის ქმნილებებში, მის წიგნებში. ეს წიგნები მუდამ გაოცებენ ახლანდელ და მომავალ თაობებს, განუმტკიცებენ საბჭოთა სამშობლოსადმი უღრმეს სიყვარულს, ჰუმანიზმის კეთილშობილურ გრძნობებს. ეს წიგნები — საბჭოთა საქართველოს სულიერი ცხოვრების მშვენიება და სიამაყეა, ეს წიგნები დიდი და უყვადვი ძეგლებია, რომელთა შემოქმედის ხსოვნა მუდამ დაუვიწყარი იქნება.



აჯი-მუშკაი

როგორც გასწავს...

და ახლა ისევ
გამახსენდა აჯი-მუშკაი,
სადაც უძილო
ერთადერთი ღამე ვათენე.
გარეთ ცვიოდა,
ღამეს სწავდა
ტყვია უშქარი,
რომელნიც მაშინ
მაგონებდნენ ციციანთელებს.

აჯი-მუშკაი...
გარეთ — ტყვია, ცეცხლის შუშპარი.
შიგნით — ქალაქი
მოფუსფუსე ფუტკრის სკასავით.
ჩემი ჭრილობა
მწველზე-მწველი — აჯი-მუშკაი —
მქისე ბურუსში
გახვეული ცისკრის ვარსკვლავი.

აჯი-მუშკაი...
ბევრი მოყმე ჩემთვის უცნობი,
კედელთან
ჩახმახმეშვართული გული მფეთქავი.

გარეთ — ნანატრი
ქამი იდგა ვარდისფურცლობის
და მიტოვებულ
ბაღში თრთოდა ვარდი შემკრთალი.

აჯი-მუშკაი,
ფუსფუსებდა თითქოს ქვესკნელი,
ჩაბნელებული,
ხმებით სავსე ვიწრო შუკებით
და შიგ ბგერები
დაფრინავდნენ, როგორც მერცხლები
და ალაგ-ალაგ
თავს იყრიდნენ წვეკოს ღრუბლები.

რწმენას და იმედს
მეომართა გულში ეღვიძა.
რწმენას ეღვიძა
და მომავლის ენთო შუშპარი.
იმედს ეღვიძა,
ქამს ელოდა გათენების.
რომ სამწვოზე
გავიდოდა აჯი-მუშკაი.

დიდი ხნის შემდეგ...



საქართველოს
წიგნითმწიფის
კავშირის

დიდი ხნის შემდეგ
საიდუმლო შენი გაიხსნა,
გაიხსნა ძველი
სისხლგამშრალი მწველი იარა.
შაგ-ბნელ მღვიმეში
შეანათა ჩვენმა აიხმა
და ელვასავით
ჯურღმულებში შეისრიალა.

ოცდაცამეტმა
გაზაფხულმა გამოიღვიძა,
ფრთები შემართა,
წველი იყო ბნელში აფრენა.
თანდათანობით
გაიზარდა შუქი ცისკრისა,
ოცდაცამეტი
წელიწადის გასანათებლად.

გრგვინვას და გმინვას
მიძინებულს გამოეღვიძა
და თვალი ოდნავ
გაახილა ბნელმა დიღვემა.
აიხსნა რიდე
საკურთ მყუდროებისა
და ქვესკნელიდან
საოცარი ხმა აირგვლა.

ქვებს ჩაკირულნი
შეიშმუნენ მოყმის ბგერები —
აბლაბუდებით
დაფარულნი, ხულშებუთული...
მოყმეს ჩახმახი
ჩაუბლუჯავს ბნელში ხელებით
და ფერხით მიწად,
ქვადქვეული ჰყრია თუთუნი.

თუთუნის კვამლიც
ქვად ქვეულა,
თუ მორჩენებად.
შემოსასვლელთან
გალურსულა ზეცის ნაჭერი...
შხამიან კვამლში
გაბჯვულთა მესმის ხველ...
გაქვავებული
მათი ხმების შემონარჩენი.

ულონო,
ილაჯგამოცლილი
ჰყრია მასრები,
მათ გვერდით
პირქვე დამზობილი მოჩანს სხეული.
გაქვავებული
მათი სუნთქვა უკანასკნელი,
უკანასკნელი
ამოსუნთქვა ტყვიად ქვეული.

აგერ მათარაც,
შერჩენია თითქოს ცის ნამი
და მათარაში
ჩარჩენილა ამონახენეში.
აბლაბუდებში
შერჩენილი გმინავს სიზმარი
და ქვებს ჰკიდია
დაფუთილი კვამლის ნაგლეჯი.

დაუგდე ყური!
განწირულთა ხმა ახლოვდება,
მოესმის ამ ქვებს,
ლაბირინთებს,
საშიშ ჯურღმულებს.
გუგუნებს მღვიმე.
ნაპერწყალები ცვივა ლოდებთან,
აჟი-მუშკაოს
სამტეხლოთა ექო გუგუნებს.

დახედე ამ ქვებს!
გადაყრია შავი ძონძები
საველე ჩანთას,
ზელყუმბარებს,
თითბრის კარდალას.
და სიმწრის ცრემლი —
სიციცხლესთან დამშვიდობების
ოცდაცამეტმა
წელიწადმა ვერ შეამშრალა!

აგერ წერილიც...
ქვად ქვეულა სატრფოს ბარათი,
იისფერ მელნით
დაწერილი მჭრქალი პწკარები.
ქვებს შორის შავი,
უანგიანი გლია სანათი



ჩამქრალ თვალებით,
ღამურების დათხრილ თვალებით.

ჩემად! მოყმეთა
სუნთქვა ისმის, შევრთა პაერი,
შეგუბებული,
სინესტესთან შედედებული
და ამ მღვიმეში
აწკრილდა თითქოს ზარივით
მამულისათვის
მიცემული ფიცი მზედრული!

ჩემად!
ნუთუ ეს მათი ხმა მოისმა,
ხმა გარდასულთა,
დაფლითეს ბნელი
ჯურღმულების ავი ჯებირი.
სინათლის შუქზე
ყველაფერი იმით დასრულდა,
რომ ქერჩის უბეს
მოეფინენ ფრინველებივით.

სულმოუთქმელად
დაფრინავდნენ ორი ზღვის თავზე —
გალურჯებული შავი ზღვის
და რუხის აზოვის

აგონდებოდათ
ის მაისი ქუხილით საცხე,
როცა სიმწვანე
ცვეხლით იყო გადანაძოვი.

ერთმა მათგანმა
ფრთა გაშალა
მწვანე მდგლოზე,
მეგზურად მყისვე
აირჩია მზის ნაპერწკალი.
ორი ზღვის იქით,
გაეშურა
საქართველოსკენ
მშობლიურ კერას
მონატრული შავი მერცხალი!

ციდან მესმოდა
შეძახილი მრავალ ენათა,
ჩემთვის ნაცნობი,
მშობლიური და ახლობელი,
ქვემოთ ორი ზღვა
და ხმელეთი ერთად დღელავდა
და გრძელდებოდა
განწირულთა წუთისოფელი.

აჭ - მუჰაიში ნაკოვნი ბაჩათი, ჩაუს მიჩ ალფენიდი

როგორ დაეციყო?!
ყელი მიშრება,
ფიქრს ვეძებ შენთვის რომ ვინახავდი.
უცხო ჩიტებით — კითხვის ნიშნებით
? ? ?

გადამიჭრელდა თეთრი ქალაღდი!

ცისფერ ხაზებზე ჩემი რვეულის
დასხდნენ ამაყად,
გულდამშვიდებით,
თითქოს დაღლილნი,
რულმორეულნი,
კითხვის ნიშნები — უცხო ჩიტები!

უნდა დავაფრთხო...
სხვა გზა არ ვიცი,
თორემ სხვაგვარად ვერ მოვიცილებ,
რომ ჩემს ფიქრს ბუდე მივცე თავისი,
როგორც ქორისგან დამფრთხალ წიწილებს.

უნდა დავაფრთხო,
ავეუქმიანო,
დავესაკუთრო ქალაღდს მთლიანად...
რომ ჩემმა სუნთქვამ გაიშრილოს
ამ ჩემს წერილში ნელთბილ ნიავად.

მიჭირს დაწყება...
რა ვთქვა არ ვიცი...



შენს შემოსუდვას ვარ მონატრული.
ორღობეს შერჩა შენი ხალისი
ოქროს ფეტვივით მიმოფანტული...

ღამით მუხთალი ძილი გაპირბის,
ყველგან შენეულ ღიმილს დავეძებ,
სარკმლიდან ვხედავ,
სითბო ღარიბი —
მთვარე ნებივრობს ცაცხვის მკლავებზე.

ალბათ ეს მთვარე შენც თავს დაგცქერის,
იქნებ ღიმილიც ვერ მოგაცილა,
რტოზე ირხვევა,
როგორც ხაცვრი
და შენც გაცრილი შუქი გაცვივა.

ვეღარ ვისვენებ...
დარდით ვიღვევი,
დავალ, დავდივარ სიტყვა უთქმელი,
ნექტრის საძებრად აფრენილები
დამფუსფუსებენ შენი ფუტკრები.

მათ ხომ ვარდების უყვართ ბალიში,
მე რად დამდევენ, სადაც გაივლი?
ხომ არ ეშლებათ მინდვრის ყვავილში
ჩემი თავსაფრის ტრული ყვავილი?!

იმ ჩიტს რა ვუყო?
შენ რომ დაგეძებს?
რისთვის, რად უყვარს ჩემი თვალთვალი?

ფეტვისოდენა
თვალეზს აცვივებს,
სადმე იპოვოს ფეტვის მარცვალი.

გალობით მოქრის ჩემსკენ ცისკრამდე,
ტკბილი, ნაცნობი მესმის ჟივთვი,
აღმოდებული ოქროს ნისკარტით
ჩემთან პირველი მოაქვს მზის სხივი...

გუშინ ვენახში როცა ჩავრბოდი,
თაუზე მესხმოდა მზის შადრევანი,

შენი დამყნილი ვნახე წალკოტი,
შენი მუსტივით მძიმე მტვერნი.

უცხად მომინდი რომ დამენახე,
სახეზე უმალ
გაჩნდა აღმური
და აფერიადლით
მე და ვენახი,
რომ გაგვეფანტა დარდი ფარული.

გუშინ დედაშენს შევხვდი წყაროსთან,
გამომაყოლა თვალი ალერსით,
— ნეტავ დედაშენს, — ჩუმად წამოცდა
ლოცვა-კურთხევა უმსურვალესი.

კოკა შევიდგი მხარზე უმაღვე,
ფეხს აეურქარე,
თავქვე დავეშვი,
არც იშვიათი ჩემი სტუმარი —
ცრემლი ჩამიდგა დამფრთხალ თვალეზში...

შინ რომ დავბრუნდი,
გულთამხილველი
შემომეგება ყურშა წკავწკავით...
ღამით გაჩაღდა ცა საკვირველი,
აენთო ჩვენი შუქურ-ვარსკვლავიც.

გულში იმედის შუქმა იელვა,
როცა ბალიშზე თავი მივდევი
და შემომესმა ისევ ძლიერად
პარობა ჩვენი შარშანწინდელი.

ორი წელია
წერილს ვაგზავნი,
ორი წელია
პასუხს მოველი,
ორჯერ ვიხილე კვირტი დამზრალი —
შეშინებული,
თვალეზსოველი.

ორჯერ აყვავდა ია მელნისფრად,
წითლად ატამი და სატაცური...
ერთხელ სიზმარი ცუდად მენიშნა
მწარე ამბავთან გადალასტული.

საქართველოს
ლიტერატურის
კავშირები

შარშან ბარათში ია ჩავდევნი,
თითებზე შემარჩა იის სურნელი
და წერილს გარეთ დამრჩა სათქმელი —
ვარამი ჩემი განუკურნელი.

.

ბიჭო, წერილებს რად არ აგზავნი,
არ მინდა ავი ფიქრი გავივლო...
ვიცი ომია უსასტიკესი,
და თვით ყვავილიც ველარ ყვავილობს.

ვიცი ომია უსასტიკესი
შენ კი შორსა ხარ, ცხრამთას გადაღმა.
ვაი თუ მართლა უცხოდ ვიქცევი
და სიყვარულის ნერგი გადახმა?

ვიცი, ომია, ომი საზარი
და ავბედითი მზარავს ურჩხული,
შრიალი მესმის შენი მაზარის
და შენ კი გესმის ჩემი ჩურჩული?!

.

(დასასრული ვერ ამოვიკითხე)



ლელია მახო

ლამე ტაპარში

მთხრობა

„მგონი ჩათვლიმა, უნდა გავეპარო...“ — წამოდგა, ფეხაკრეფით მოუახლოვდა კარს, ის იყო უნდა გამოელო... „ზურაბ!“ — მიწვდა სუსტი ხმა, მოხედა. გამხდარ მხრებზე საბანი ჩამოსცურებოდა იონას. ახლომხედველ თვალბში სიცხის ალი უთახთახებდა. შფოთავდა. ოფლით დანამულ, ფართო შუბლზე ქაღარა თმის ბუწუწები მიჰკვროდა.

— ვერ გავიხსენე... — საცოდავად ამოხედა.

— რა გნებავთ, ბატონო იონა?!

— ეპიტაფია... დავითის ეპიტაფია.

„გადამრევს ეს კაცი, სიცხისგან იწვება და...“ — გაიფიქრა ზურაბმა.

— დამშვიდდი, იონა, დაიძინე... გვიანაა — სასთუმალთან ჩამომქდარმა, ხანშიშესულმა, ტანსაცვსე ქალმა, თეთრად დაწინწკლული, ჩითის უბრალო ხალათი რომ ეცვა, საბანი შეუსწორა ავადმყოფს, ჩაფუთნა.

თვალის უბეები ჩამუქებოდა იონას მეუღლეს, ორი ღამის უძილობას დაეჭანცა ქალი.

— ხალხური გადმოცემით არსენ იყალთოელს ეკუთვნის... — განაგრძობდა ავადმყოფი.

— მახსოვს, ბატონო იონა, მახსოვს...

— კო?! აბა გისმენ... — გაიხარა მოხუცმა, თვალბები მიღულა, მოსასმენად მოემზადა.

ვის ნაპარმაგვეს მეფენი შვიდნივე პურად
დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა
გარეთ გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა
შთამესხნეს,
აწე, ამათსა მოქმელსა გულზედან ხელნი
დამესხნეს...

თანდათან მიხედა ვაჟის ხმა.

ერთხანს გარინდებული იწვა იონა, თითქოს სადღაც შორეულ ხმებს აყურადებდა, მერე წამოიწყო: „თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს...“

— დაიძინე, იონა! — უჩერჩულა ცაცამ, თან ქმრის ნამალეველ ზურაბისაკენ გააპარა მზერა და „წადიო“ — ანიშნა.

წამლებს, ოფლისა და უპაერობის უსიამო განცდით ავსებულნი ოთახი სულს უხუთავდა ზურაბს, აბრუებდა. უკან არ მოუხედავს, ისე გამოიღო კარი და გავიდა, რიკულებიანი აივანი სწრა-

ფი ნაბიჯით გადაირბინა და კიბის თავზე შედგა. მიმოიხედა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს, წყლის სიღრმეში დაყო დიდხანს და ახლა, ამ წუთში, ამოყვინთა ზევით. ირგვლივ საგნები ქანაობდნენ, ირწეოდნენ.

სალამოს ბინდი მოძალებოდა გარემოს.

ეზოს სიღრმეში, გარინდებული იდვა გელათის ტაძარი.

კიბე ჩაირბინა. ეზო გადაჰკრა და აკადემიის ნანგრევებისკენ გასწია. მიახლოებისას, რატომღაც გეზი იცვალა. ამალეხულ ბორცვზე შედგა. ველური ლეღვისა და სუროს ფოთლებს შორის, აჩახახებულ ქალაქს ვახედა.

თვალმისაწედლოზე გაწოლილი ქალაქი ზომზომებდა, ნაპერწყლებს ისროდა. ერთხანს, წყალწითელას მოსარკულ ზედაპირს უცქირა, კულმოქნეული, დაკლაკნილი ჩანდა მდინარე. გალავანს იქით, ვილაცას კოცონი დაენტო, დამწვარი ფიხისა და გამოშშრალი მიწის მსუყე სუნი მოჰქონდა ნიავეს. ტყეში ვილაცას შაშვი დაფრთხო და მისი ქაბჭახი იკლებდა იქაურობას. კატანაცარა მოდებოდა ფერდობს.

პირდაპირ რძიარძიებში ჩაჯდა. ცხვირის ნესტოებში უსიამო მწკლარტე სუნმა შეუღიტინა.

ფიქრები მოეძალა... „შაბათია. ქალაქში ბიჭები სეირნობენ. ჭგუფ-ჭგუფად დგანან სასტუმროს წინ. ყვებიან ახალ-ახალ ამბებს. შენ, დაჯექი აგერ და; უყურეუბტე ამ გამოყრუებულ ბებერს.

გუშინ ორჯერ გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მანქანა. კედებოდა, მერე, ცოტა სული რომ ჩაითქვა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. არავითარი საავადმყოფო, გრიპია და გამოივლისო.

რამდენი ასეთი ფანატროსი შეუწირავს ამ ტაძარს და შეიწირავს კიდევ... ფარდა გასწიე, ტაძარს უნდა შევხედოო, ამ დილით ეუბნებოდა ცოლს. ნეტავ რამ ვადარია, ოცდაათი წელია ყოველდღე უცქერს და კიდევ არ გიბდა? წინათ, ყოველ სალამოს, მუზეუ-

მის ავტობუსი ამოაკითხავდა და მის სახლში ათევდნენ. რაც ვეღარ ვახედა, ალარც თვითონ იცვლის ფეხს და ალარც ზურაბს იცილებს. კიდევ კარგი ბიჭიკო მოფერმა ცოლი ჩამოუყვანა გუშინწინ, ახლა ქალბატონი ცაცა ადგას თავზე, წუთით არ სცილდება. რად გინდა მერე... ზურაბს მაინც არ იცილებს... თითქოს კვდებოდეს და ანდერძს უტოვებდეს. რატომ არ მოსტყუდა ფეხი... რამ მოიყვანა მუზეუმში სამუშაოდ, სხვაგან ეცადა ბედი. წინ კვირას თენგიზ-ცხვირა ამობრძანდა გელათს. აღმასკომში დაიწყო მუშაობა. დაჯდება ის კაცი კაბინეტში, სუფთად, ლამაზად და მიიღებს მთხოვნელებს. ცოდნა არასდროს უხეთქავდა თავს, მაგრამ ხალხის მიღება-გასტუმრებას რა ცოდნა სჭირდება: ზოგს ტყუილს ეტყვის, ზოგს მართალს, შეიპირებს, დაანამუსებს და მეტი რა უნდა, ასე ნელ-ნელა გაიყვანს დროს. ისტორიკოსის დიპლომს ყველგან გამოიყენებო, — ესეც უთხრა. ერთი ჩიმაკძე ვიცი, ჩვენზე ორი წლით ადრე დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი, ახლა სახერხი ქარხნის დირექტორად მუშაობსო. სად ხერხი და სად ისტორია, მაგრამ ხომ ხედავთ?! მართლათი გამოუჩენია იმ კაცს. ნათქვამია „ლოქო დასაჯეს და მორევში გადაადგესო“. იმე მოსვლია იმ ჩიმაკძეს. თვითონ?! აიჩემა მეცნიერული მუშაობა, დისერტაცია. „გლაზა აპარტავანი ლმერთსაც სძულს და კაცსაცო“, ასეა მისი საქმე. ერთი წელია სტრუქტონი არ მიუმატებია. ბარე ზუთი წელი კიდევ გავა და... ამ ბერულმა ცხოვრებამ თლად მოუღო ბოლო...

მეცნიერულ შრომას მემარხულე ბერიგით ცხოვრება უნდაო, კარგი საშაბარებლოსავით შეახსენებს იონა. ჰოდა, დიდი განსხვავება არცაა ერთ დროს გელათში დაყუდებულ ბერებსა და მას შორის. იმ სახლში სძინავს, სადაც ისინი ათევდნენ ღამეს, იმავე ხის საწოლზე. სადილ-ვახშამი ხომ გამოიწერილი აქვს... ცივი მქადი, მარილიანი

ყველი და მონასტრის ეზოში მოყვანილი წიწმამი. რაც შეეხება კონსერვს, კრძოდ თევზის კონსერვს, მარტო ქილის დანახვა პირისღებინებას აწყებინებს; სულ ახლახან სოფლები მოიარა იონამ, ძველი კოლხური პურის მარცვალი იშოვა. გაზაფხულზე იმ მარცვალს დასთესავს და მერე ალბათ, პურის ცხობასაც შეუდგებიან... ეჰ! მოეშვას ახლა ამ ამბავს, უკეთესია სხვა რამ გაიხსენოს. ქალაქამდე ათი კილომეტრია. ნეტავ ფეხით რამდენ საათში ჩავა? საათნახევარი დასჭირდება... შეიძლება მეტიც. ზის ალბათ დედა ფანჯარასთან... გაპყურებს ქუჩას. თეთრულს დარეცილს დაახვედრებს, კრძს, ათასჯერ გაცხელეხულს. თვალები ჭიშკრისკენ ექნება მოქცეული. მეტნიერებას სულის გვემა უნდაო, — ჩასჩინებებს იონა, მეტი გვემა რაღა გინდა, კვირიდან კვირამდე მშობელს ვერ ნახულობს, თორემ ვაგლა-გამოვლა, დროსტარება ან ქალიშვილებში სეირნობა, ხომ სადაა... ისე, ჩვენში დარჩეს და, ქალიშვილები დასანახად შენატრებაო, ვერ იტყვის. მოხეტიალე ტურისტებში ზოგჯერ ისეთი ვოგო გამოერევა, ღამით ეკლებს გამოისხამს საწოლი. გუშინწინ ზედიზედ ოთხი ავტობუსი მოადგა გალაგნის კარიბჭეს. ერთ მათგანში ქალიშვილი იჯდა, ცქერით ვერ გაძღებოდა კაცი. ყინწვისის ანგელოზს უგავდა თვალები. ახლა ტუჩები? მოკლედ, თუ კი რამ გავგონა გელათის მოზაიკის შესახებ, სულ მძივის კაკალივით დამარცვლა. იმანაც, მისი ცოდვით სავსემ, მოიღერა ნაქანდაკეზივით ყელ-კისერი, ააუუუნა თვალები... მოკლედ, თავგზა აუბნია ბიქს. მერე საყდრიდან რომ გამოვიდნენ, დავით აღმაშენებლის საფლავეი მანახეო, სთხოვა. „აკლდამის კარი დერბენტოდან ჩამოიტანეს ქართველმა მებრძოლებმაო“, ასეც თქვა. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ჩაიწვა ბიჭი. რა გინდა მერე? ჩაჯდა ავტობუსში, ერთი კი დაუქნია ხელი გამომშვიდობებისას და შიდა! გაქრა მიწისაგან პირი-

სა. — მიდი ახლა და ათენე ღამეები... „ოჰ! ძვირფასო! ჯვარზე მაცვეს, გაქრა გიყი ოცნება... ვეოცნი, ვეოცნი მაგ შენს ბაგეს, მაგრამ რა მეოცნება?!“ სევდა მოეძალა.

ერთხელაც არ გაუხედავს ტაძრისაკენ, თავისი სიდიდით, სიერციტა და მიუქარებლობით რომ იმორჩილებდა ირგვლივ ყველაფერს.

დაძინება გადაწყვიტა.

ეკლარის ქვით ნაშენ, პატარა სახლს დაბნული კარი და მიხურული დარაბეები ცივსა და მიუსაფარს ზდიდა. აქ მისი სამფლობელო იყო, მისი სამუშაო თუ საძინებელი ოთახი. მაგიდაზე წიგნები, კედელზე ფოტო-აპარატი, სასთუმალთან გალაკტიონის სურათი, ხის საწოლზე საძილე ტომარა. ჩანაცრებული ბუხარი და წინადღის გაურეცხავი თევზები...

მაგიდის ქვედა უჯრაში სადისერტაციო შრომის ხელნაწერები უწყვია, დაუმთავრებელი, ალაგ-ალაგ გადახაზული სტრიქონებით...

სამაგიეროდ, გალაგნის იქით, ვიღაც ჩაბლუჩილი ზმით მღერის. მღერის, თუ ამას სიმღერა ეთქმის. მიხაკო გახლავთ, მათი თანამშრომელი, სამოცი მანეთი ხელფასით. ტაძრის მცველი, თუ რაღაც ამის მსგავსი ჰქვია. აქვე ცხოვრობს, გალაგნის ახლოს. ცოლიც ჰყავს — ნაზიბროლა, მალალი, მკერდსავე დედაკაცი, და დედასავით შვად გახუხული სამი ბიჭი. ნაზიბროლა მშრომელი, დაუღალავი ქალია. შვილებს ხომ უვლის და უვლის, მიხაკოც ბავშვივით მოსაუღელიაო — იჩემებს. აქეთ გამართული სახლ-კარი, იქით უთვალავი წვრილფეხი, მოკლედ, მთელი დღე არა აქვს მუხლის ჩადგმა. ამ დღით იონას სანახავად მობრძანდა. ქმრით და სამი ბიჭით შემობარგდა წიგნებით გატენილ ოთახში. ბიჭები კართან შედგნენ. მიხაკო თავზე დაადგა ავადმყოფს. საქციელწამხდარი ჩანდა. ხეშეშა, ბლაგვითებიან ხელებს ვერ იქნა და ადგილი ვერ უპოვა. ხან ჯიბეში ჩაიწყო, ხან წელზე შემოიწყო, ბო-

ლოს ილღიაში გაჩრილი ქუდი მოიგდო თითებშუა და შეუდგა კმუქვნას. არც ნაზიბროლა იყო დიდად გათამამებული. ცაცას მიწოდებულ სკანზე მორცხვად ჩამოჯდა.

ერთხანს ავადმყოფს შესცქეროდა შეწუხებული სახით. მერე ქმარს მოხედდა ალაღმართალი თვალებით, თითქოს ეკითხებოდა, „რავა ფიქრობ, ხომ არ მოკვდებიო“. გაოფლილი, სუნთქვაშეკრული იონა, მართლაც შეამჩინებდა მნახველს. ცოტა რომ შეთამამდა ნაზიბროლა, კართან უგერგილოდ ატუხულ ბიჭებს შეუცაცხანა, მიძიმე კალათა ჩამოართვა და მაგიდის ახლო მოაჩოჩა. თავდაპირველად ჰყინტი ყველით გატენილი, ქერს კეცზე გამომცხვარი ხაჭაპური ამოიღო. უკეთესს ნახელავს კაცი ვერ ინატრებდა. ხაჭაპურს ალაგ-ალაგ კანი გასკდომოდა და ერბო გამოტიროდა ნასერტებდიან. მერე მრგვლად მოხარული დედალი მოაყოლა, სანთელივით რომ შემოვლებოდა ქონი, დედალს — შემწვარი ვარიკა, ვარიკას — ტყემლისა და ნივრის საწებელა, ცხელ მჭადებს დამწვარი ნეშოს სუნი ამოყვა... ხილი და ჩირი... შავი ღვინო — ალადასტური, აივსო მაგიდა. მადისაღმძვრელი, გამაბრუებელი სურნელი დადგა ოთახში. „პირს გაგიწმენდთ, ბატონო, გეამებათო“, — შესთხოვა ნაზიბროლამ და დედალს ბარკალი ააცალა, ტყემალში ამოავლო, ტუჩთან მიუტანა იონას. ბალღივით დამჭერი და უწყინარი ვახდა ავადმყოფი. ძალისძლად გადაყლაბა ორიოდე ლუკმა. კიდევ და კიდევ მიეძალა ნაზიბროლა, არ მოეშვა. ცოტა ღვინოც შეასვა. „ალადასტურის წვენია, წამლად შეგერგებო“, — ესეც უთხრა. ბოლოს ამდენმა თხოვნა-მუდარამ ვასკრა, თუ დროზე შერგებულმა ორიოდე ლუკმამ თავისი ქნა, იონამ მოიხედა. შეეხუმრა მიხაკოს ცოლს: „ეს რა გიქნია, ქალო, მთლად გაგიწყვიტავს რაც წვრილფეხი გყავდაო“. აკისკისდა ნაზიბროლა, სიტყვა მოუნაცვლა მასპინძელს: „თქვენ ბრძანდებოდეთ კარგად, ჩემო ბატონო, 2. „მნათობი“, № 8.

და... მერე წუთით იყუჩა და დაოღიანი სახით თქვა: „რალა დავალო და... წამოსვლის წინ, ისეთი ნაჯიშე ინდაური დამიმარცხა მანქანამ, ორი ვაეკაცი ვერ ზიდავდაო“. ჩაიხითხითა მიხაკომ, დააიძედა ცოლი: „ნუ გეშინია ქალო, რაც მთავარია, თავის წაწყვეტა ხომ მოვასწარიო“.

პოდა, აგერ ღლიღინებს მიხაკო. ეტყობა საჯიშე ინდაურმა, ღვინოც ჭიშინი მოითხოვა.

ისე, ჩვენში დარჩეს და... დიდი მოუქნელი კაცია მიხაკო. ერთი კვირაა ეკლესიის ეზოში შემოსასვლელ კარიბჭეს ამავრებს, არ დააყენა საშველი. მიაჭედებს ერთ-ორ ფიცარს, აუტებს ხათქა-ხუტქს. არიქა, გაიგონეთ ყველამ, ქვეყანას ვაშენებო, მერე უხმაუროდ გაიძურებდა. იქით, ნაზიბროლას მოაჩვენებს ვენახში თავს, ჭილის ქუდით. კარგა ღონიერად რომ დააჭირებს შუა დღის მზე, მოგუპამა ჭირი, ვენახიდან გადმოვია და მარნის ჩრდილებს შეაფარებს თავს. ორი-სამი ჭიქა ღვინო ჰყოფნის დასაჭამიკებლად. დანარჩენი დრო სულ ღლიღინში გაჰყავს. ღლიღინსა და ტრაბახში. ტრაბახი ნამდვილად გვარიანი იცის: „ამ ეკლესიამ შემოიყოლა თორემ, ოთხი ხელობა ვიცო...“ იწონებს თავს.

ქუთაისში, საღორიის სასაფლაოზე ერთხანს ქვებს კოდავდა, მოეშვა, „არაა მაგი საჩემო საქმეო“; სამაგიეროდ, ჯაქვის ხიდთან, ერთ თავმსხვილა მეთუნეშქეს დაუდგა შეგივრდად, ხელობა კარგი იცოდა იმ როზროხა კაცმა, ექვს თვეში, შინაური ღუმელების კეთება ასწავლა. დიდხანს ვერც იქ გაჩერდა — რახა-რუხმა ყურები წაიღო, და გაეცალა იქაურობას. ერთხანს იარა ქუთაისის ქუჩებში, ჭიბეში ხელებჩაყოფილმა, შინ დაბრუნებაზე გული ეთანადრებოდა. მერე რესტორან „გელათში“ მიმტანად დაიწყო მუშაობა... და დაიწყო კიდევ მისი წამება... თავისი ცხოვრების ყველაზე უბედურ ხანად იმ სამ თვეს თვლის. ახლა არ იკითხავთ წამოსვლის მიზეზს... არს თურმე

ქ. მარკისის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ერთ საღამოს რესტორანში ღრეობა. ქალაქის „ტუნი ბიძები“ კეიფობენ. ერთმა ღიპიანმა, ადრე შემოსულ პამიდორს რომ უგავდა სახის ფერი, ბორჯომის წყალი მოითხოვა. მიუტანა მიხაკომ — გაზი არ აქვსო. მეორეჯერ მიურბენინა, თბილიაო, და არც იმას დაადგა თვალი, მესამე ბოთლის დაწუნებაც რომ დააპირა და... ხეთქა მიხაკომ ბოთლი იატაკზე. წამოცვივდნენ შიშისგან პირდაღებული მოჭიფეები — ყუმბარა აფეთქდა რესტორანში. ღებოშის ამტეხად ჩათვალეს და თხუთმეტი დღით მილიციაში მიბრძანეს. დაბრუნდა იქიდან და მორჩა! პირი არ უჭნია ქალაქისკენ. თავისი მამის, პაპის-პაპის ძველთა-ძველი საქმე — გელათის მონასტრის მცველობა ირჩია. ესეც მიხაკოს სამი ხელობა, ხოლო რაც შეეხება მეოთხეს, ეღალ უღვაშებზე ხეშეშა თითებს გადისვამს, კროლა თვალეშში თვალმაქცი სხივი აუელვარდება, მამალივით გაიფხორება და ცოტა თავმდაბალი საზოგადოება თუ შეარჩია (მაგალითად, ქალბატონ ციციასთან, ან ბატონ იონასთან, რა მოგახსენოთ, ხმის ამოდებას ვერ გაბედავს), მაშინ თავმოწონედ იტყვის: მეოთხე ხელობა, სამი ბუკის გაჩენაო. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ მიხაკოს თავგადასავალი, ცხოვრობს ეს კაცი უწყინრად. ორსართულიანი, წითელი აფურით ნაშენი სახლი უდგას ვალენის ახლოს. მამამისის ხელით ჩაყრილი, შეიდასი ძირი ალადსატურიც ყოფნის კარგი ღვინის დასაყენებლად. აქა-იქ, ხეებზე იზაბელაც გაფოთილა, და მეტი რაღა უნდა! ცოლი დაუზარებელი ქალია, ბიჭები სკოლაში დადიან, თვითონ გადიკიდებს მხარზე ორლულიან მოფს და დღეში ათჯერ შემოუვლის ვალავანს.

თუმცა არც ღამით ავიწყდება თავისი მოვალეობა, ძილი ფხიზელი იცის, ჟურნალეღვივით ყურდაცქვეტილია. არა, ისე ჩვენში დარჩეს და გარეშე კაცი უქვევლად იკოთხავს, რა აქვს მგჯოჯახანშენებულს ამდენი დასაცავი და

საფათერაკო, რომელი თურქე და უსმელო ესხმის თავზე; რად ჭირდებოდა მდენი ძილ-ფხიზლობა, თუ რამ საგანძური იყო, ხახულის ხატით დაწყებული, მღვდლის ოლარით დამთავრებული, დიდხანია დედაქალაქში გაზიდეს, სეიფებშია საიმედოდ დაცული. სხვა რა დარჩა?! კედლებზე — ფრესკები და პერზე — მოზაიკა. ვერც ერთს და ვერც მეორეს, დიდად რომ მოინდომოს კაცმა, ძვრას ვერ უზამს, ვერ მოანგრევს და ჭიბეში ვერ ჩაიდებს. ამას თავი დაეანებოთ, სამ-ოთხ მეტრიანი ლოდებითაა ტაძარი ნაშენი და რა ვაქციკი უნდა იქნეს, რომ უბრალო ძვრა უყოს.

ასე მსჯელობს მიხაკო, როცა ცოტა შექიკეიკებულია და ლილიას საღერღელი აქვს აშლილი. მაგრამ ისიც რაღა დასამალა, თავისი მოვალეობისადმი პასუხისმგებლობა ძვალსა და ლბილში რომ აქვს გამჭდარი. ვალავანს რომ შემოუვლის, მერე ეკლესიის ეზოს გადაკრის სივრცე. გადივლის და გადმოივლის. წმინდა გიორგისა და წმინდა ნიკოლოზის თაღოვან ეკლესიებს შემოუვლის, თუ სადმე ქალაქის ნაგლეჯი ნახა, ერთად მოუყრის თავს და გამხმარ ფოთლებთან ერთად დაწვავს. როცა საშუალო სკოლის მოწაფეები, ან სტუდენტი ახალგაზრდობა მოეძალება ეზოს, მაშინ სადმე, კატაბარდებში მიიმალება მიხაკო. კარგი ჯამუშვივით ჩასაფრდება. ვაი მისი ბრალო, ვინც წარწერის გაკეთებას დააპირებს ტაძრის კედელზე. ახსოვს, ერთხელ, რა დღე აყარა იონამ ვილაც ცხვირმოუხოცავ გოგო-ბიჭებს, საკუთარი სახელების ამოკაწრვა რომ სურდათ. მაშინ რა სიტყვებით მოიშველია იონამ, ზუსტად იგივეს იმეორებს მიხაკო: „ძეგლებს გაფრთხილება უნდა... ჩვენი ვალია...“ და რა ვიცი კიდევ რა.

ასეა მიხაკოს საქმე. ხოლო ზოგჯერ, როცა ავტობუსი ავტობუსს მოაწყდება, წყალტუბოს დასშევნებლები იქნებიან, თუ ფოტოაპარატებით შეიარაღებული, სახეგარუჯული ტურისტე-

ბი მოხვადებთან შემოსასვლელთან, ხის სკამზე ჩამომჯდარი მიხაკო, თუთუნით გატენილ ყალიონს პირში გაიჩრის, მოქუთულ თვალებს მანქანებიდან გადმოფართქალებულ ქალებისკენ გააპარებს და ნელ-ნელა, შეფარვით ახედდახედავს მათ. განსაკუთრებით, მკერდსავსე, თქმოსრულ ქერა ქალების დახახავს ვერ იტანს, სახე გაებადრება: — „აა... რავალია, ბიჭო!“ — გამოაჩენს ნიკოტინით ჩაყვითლებულ კბილებს და დიდი მუსუსივით ჩაყლაპავს ნერწყვს.

ასეთია მიხაკო „ძველი“ — ჩვენი გმირი. აქ შემთხვევით არ გვიხმარია ეს სიტყვა — „გმირი“... შარშან, ძველით ახალ წელს, კარგად გადადიფქული იყო მიწა, ცოტა ყინვაც აუკრდა; ღამის პირველი საათი იქნებოდა, შავი „ვოლგა“ მოასკდა გალავანს. მანქანის კარი გამოაღეს და ერთი მეორეზე მიჰყვებოდა, ეჭვსი ბიჭი გადმოცვივდა. თავდაპირველად ხის კარს რომ დასცხეს წიბლები და გაღება მოითხოვეს, არც იონას უფიქრია გარეთ გამოხედვა და არც გალავანის იქით, ლედვის ტოტებში მისაღულ მიხაკოსაც დაუძრავს ხმა. მერე გალავანზე რომ გადმოზობდნენ კონიაკით ტვინგახურებული ბიჭები, ეკლესიის კარს მიასკდნენ და ლაწალაწი აუტეხეს, მაშინ კი იკადრა საცვლების ამარა გარეთ გამოვარდნა იონამ.

აქეთ მიხაკო გამოჩნდა შემართული თოფით, ისე დასტეკა, რომ, ის ლაწირაკი ბიჭები, უშვერი სიტყვებით — რომ იგინებოდნენ, ადგილზე გაშეშდნენ. აღარ დააყოვნეს და, იმავე დამეს, ის ბიჭები პორფილე მილიციელს ჩააბარეს. უფრო სწორად, თოფშემართული მიხაკო იქვე დარჩა, ხოლო ნაზიბროლა, თავის ნიკორა ბიჭით, პორფილესას გაიქცა. სულ ახლო, მეოთხე მოსახლე იყო. პორფილე მილიციელს როდის ეშლებოდა, ვინ, სად და როგორ მიებრძანებინა, მაკრამ... რად გინდათ. იმ ბიჭებიდან ერთ-ერთი, ვილაც მაღალი თანამდებობის პირის შვილი აღმოჩნდა და თვითონ იონას გაუხხდა საბოდიშოდ საქმე. ასე იყო ეს ამბავი...

გვიანაა... რა ხანია მიჩუმდა მიხაკო, ზურაბმა ქალაქს ვახედა. ჩახახახადნენ ლამპიონები, თითქოს სხვისა და ლაზათში ეჯობებოდნენ ბებერ ქონჯურებს. წყალწითელას მოსარკული ზედაპირის ზემოთ, მთის კალთაზე, გზა მიიკლავებოდა. ქალაქისკენ მქროლავი მანქანების შუქი ამხელდა ვზის სივრძე-სიგანეს, მის მდებარეობას.

ყველა მანქანა ქალაქისკენ მიიწევედა, თითქოს რაღაც ანდამატური ძალა ეწევათო. მაინც რა იზიდავს ქალაქისკენ ხალხს?! დაცქეი აგერ, ისუნთქე სუფთა ჰაერი, მე შენ გეტყვი და... შეგიშლის ვინმე ხელს. იმუშავე დისერტაციას. თუ გინდა დაწერე, თუ არა და არც მაგისთვის შემოგახევენ კაბის კალთას. დღეს, იმდენი ვინმე იცავს დისერტაციას, გამხელაც კი შეგრცხვება კაცს. ხალხს მოგმსახურე, ცოდნა აიმაღლე. ინგლისური ენა ისწავლე. მე შენ გეტყვი და... ექსკურსანტების ნაკლებობაა, ან უცხოელი სტუმრები გამოჩნდებიან კანტიკუნტად. აგერ, უბრალო კაცი, ზურაბ დარახველიძე, შედგები კათედრაზე და უამბობ იმ ხალხს შენი ქვეყნის ისტორიას. პატარა საქმეა?!

ამ ზავხელზე გერმანელები იყვნენ სტუმრად გელათში... ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორები, ხანშიშესული ცოლ-ქმარი. გიდი ჰყვებოდა, როცა რაჰაში ავიყვანე და ნიკორწმინდა ვახვენი, ქართული ჩუქურთმების ხილვისას, ქალმა იტირაო. მერე გელათში მოვიდნენ და მთავარ ტაძარში ფრესკებს უტრიალეს. სქელლინზიანი სათვალე ეკეთა კაცს, ხოლო წითურთმიანი, დაბალი, ტანშიმე ქალი რასაც ამბობდა, სიტყვა-სიტყვით იწერდა ქმარი. აჩხაკუნეს და აჩხაკუნეს ფოტოაპარატი. განსაკუთრებით, „ქება ღვთისშობლის“ კომპოზიციიში ერთ დეტალს დაარქვენ მზერა. მოციქულთა დასში, თმაჰალარა, ბრძენსახიან ბეროკაცებში ერთი ახალგაზრდა ვაჟი ამოარჩიეს და ზურაბს დაუყინეს: „თქვენ გვავსო“. მათი წასვლის შემდეგ, სწორად, როცა

ექსტრისანტები შეჰყავს ტაძარში, რატომღაც, მოციქულთა დასისკენ გაეპარება მზერა, შეფარვით ახედავს იმ ეკლესიის შავგვრემან სახეს, აზრიან თულებს, აბიბინებულ წვერ-ულვაშს. მართალია, საკუთარ თავთან ვერავეთარ მსგავსებას ვერ პოულობს, მაგრამ ეჭვუნება, თავის ტოლებში, მძაქაცებში უნახავს თითქოს.

მოიცა, რამ გაახსენა ყოველივე ეს? ჰო... წუთის წინ, საკუთარ თავს ურჩევდა: უცხო ენებს დაეუფლეო... მოცლილია რა! რაღა დროს სწავლა... წინა კვირას, ბავშვობის მეგობარი შეხვდა და ორი შვილის მამა ვარო, წაიტრაბახა ბიჭმა. თვითონ ბერდება. სახლში მისვლა ეზარება, გული გამოჰამა მშობელმა, ურჩევს და ურჩევს საცოლოებს.

გუშინ, ბაზარში, ნუცას ქალიშვილს გადავეყარეო, წამოიწყებს შორიდან, ნეტავ განახა რა გოგოა, ჭეირანს ჰკავსო!

გაყურდება ზურაბი და სამაგიეროდ დედა იწყებს წუწუნს, „ნიფადორას ვაჟიშვილი რამ გამიჩინაო“. მაინც რა მოუვიდა იმ ნიფადორას ვაჟიშვილს, დღესაც არ იცის. მაგრამ რაღაც სასიკეთო რომ არ სჭირდა, თქმა არ უნდა. დარჩა ალბათ უშვილძირო, უცოლო და ნიფადორაც, ისე მიზარდა მიწას, ვერ ეღირსა შვილიშვილის აღერს. ნამდვილად ასე იქნება, რადგან ცხოვრების სხვა აღფა და ომეგა არ გააჩნია მოხუცს. ვინც გინდა მოიყვანეო, შეახსენებს წამდაუწუმ. ერთი გაბედე და, ქუჩაში, შემთხვევით გაცნობილი ქალი მიჰგვარე შინ, რომლის ასავალ-დასავალი ზეირიანად არ იცის... ღერა-ღერა გამოიქნის წარბებს.

სულ ახლოს, წყლის ჩხრიალი ისმოდა. გელათის წყარო!.. რამდენი საუკუნეა ასე მორაკრავებს... მისი ხმაური, გაუნელებელი ჩხრიალი, ღამის მყუდროებას კიდევ უფრო ავსებდა და ახმოვანებდა. ერთი ფიქრით, წამოდგომა დააპირა, სახეში წყლის შესხმა მოუნდა. ეგებ ცოტათი გამოცოცხლებული-

ყო და აღრენილი, დაუცქადფიქრებელი სურვილებით ავსებული გულისცემა, გაენელეინა. დაეზარა.

მერე და მერე, თანდათან მიწელდა წყლის ჩხრიალი, სმენა შეაჩვია, თუ ფიქრებმა ჩაითრიეს, ხეირიანად ვერც გაარკვია.

მალღა, ტყის სიღრმეში, ბუმ დაიკვილა — ეულად და საცოდავად. ბუს კვილიმა, თუ გაწოლილმა სიჩუმემ ხმაური მოანატრა, დაფა-ზურნა, სიცილ-კისკისი, შეძახილები; რაღაც შიშმა გაჰქრა გულში, მარტოდ ყოფნის შიშმა, ეს იყო წამიერი გაელვება სიძაბუნისა, რომელიც ბუს კვილიმა თუ ირგვლივ გაწოლილმა წყვდიადმა მოუტანა.

სანამ ხეირიანად გაერკვეოდა ამ ახალ განცდაში, გადაწყვიტა ემოქმედა, წამომდგარიყო, დაბრუნებული მუხლები გაემართა. სხეული ვერ დაიმორჩილა. ამასობაში, ცის კიდურს, სწორედ იმ ადგილს, სადაც ტაძრის გუმბათს ხეთა კენწეროები ეხლებოდა, ნაცრისფერი შუქი მოეძალა, სიბნელის ტვერი თანდათან გაფერმკრთალდა. გალურჯდა. მთვარე გამოჩნდა. გულსავსე და პირმრგვალი. ცოტა მედიდური.

ასანთს გაჰქრა და საათს დახედა. თორმეტი დაწყებულიყო. გაუკვირდა. ეგონა შუალამე იყო, მალე განთიადი შემოაჭყეტდა თვალებს. ამდენ ფიქრებსა და მოჩვენებებში კი, ისე წელა, ზღაზვნით გაპარულიყო წუთები, დაუჩერებელი ეჩვენა.

წამით, წყალწითელას ხევისკენ გაექცა მზერა. სამანქანო გზას, კანტი-კუნტად მისდევდნენ შუქ-ფარები. ყველა ქალაქისკენ მიიწევდა. მაგრამ ეს აზრი არ იყო ახალი და აღარც მნიშვნელოვანი... თელა დაიწყო. ერთი... ორი... სამი... მეოთხე — მძიმე ტვირთს ეზიდებოდა, ქშენით აფუცა აღმართს. მეხუთე, და... დაინავსა მეექვსე მანქანა. არ იქნა და არ გამოჩნდა... უცებ!.. ხომ არ შემცდარა?! არა! საპირისპირო მიმართულებით, ქალაქიდან აქეთ, ერთმანეთის კუდი-კუდი, ორი მანქანა მოიწევდა. სწრაფი ქროლოვით, საყვირების

შეხმეანებით მოდიოდნენ. თვალს მიე-
ფარნენ. ბიჭოს! ისევ გამოჩნდნენ!

ნაბიჯი მოინაცვლა, ქაცვის ბუჩქნა-
რი გადასწია და შორს, თხმელის ტო-
ტებში გაელვებულ მანქანების შუქს
მზერა დაადევნა.

— აქეთ მოდიან!.. ნეტავი ვინ
არაიან?!

ვაი, თუ იმ ღამინდელი ლოთი-შფო-
თი ბიჭვით მოადგნენ კარს და გადარიონ
სიცხიანი ბერიკაცი. სჯობს ალაყაფის
კარებთან დახედეს და ხმაურის უფლე-
ბა არ მისცეს. მერე მიხაკოც მიეშვე-
ლება და...

ეზო გადაქრა, ბაკა-ბუკით გადირბი-
ნა ქვის ბილიკი; ის იყო ალაყაფის
კარს ურდული მოაცილა, რომ შიგ
თვალეებში შეაპყვიტა შუქმა. შედგა.
ღია კარში ჩამდგარს, ვერც წინ გადა-
ედგა ნაბიჯი და ვერც უკან.

— ვახ, ზურაბ! — ჩაესმა ქალის
მზიარული ხმა, — აქ ხარ?!

მანქანის შუქი თვალეებში ანათებ-
და, მზერას უმრუტებდა... ეს ატკარ-
ცალებული გოგო კი, ირგვლივ სუნა-
მოს სურნელს რომ აფრქვევდა, ამო-
სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა,
კისკისებდა, ცმუტავდა. ქალიშვილი
ზურავით იდგა მანქანის შუქფარისკენ.
ზურაბი ხედავდა მის აშოლტილ ტანს,
თეთრ შარვალში გამოკვალთულ წერ-
წიტა წილს, ბეჭებზე დაყრილ ოქროს-
ფერ დალალებს, ცნობდა და ვერც
ცნობდა, არა და ისეთი ელურტულა ხმა
ჰქონდა, ისეთი ნარნარი რხევა, ცუდად
გახდა ბიჭი.

— მგონი ვერ მიცანი?! — შედგა
ქალიშვილი, თვალეებში ჩახედა — მაია
ვარ!

— მაია?!

... ამ გოგოს ორი წელი სდია სტუ-
დენტობის დროს. აჩრდილივით დაპყვე-
ბოდა უკან. ლექსებსაც უწერდა.

— საიდან სადაო?

— დღეს, ჩემი დაბადების დღეა.
პატარა ვახშამი გვქონდა... შენ, რა თქმა
უნდა, არ გახსოვს...

... როდის იყო ეპატიეებოდა. მისი

სიყვარული სასაცილოდ აიგდეს ინგ-
ლისური ფაქულტეტის გოგონებმა, სა-
დაც არ უნდა შეხედროდნენ, „სი-
ძეო!“ — ჩაუქირქილებდნენ. თვითონ
მაია, ლაპარაკსაც არ კადრულობდა. სა-
მაგიეროდ, გიჟდებოდა ბერნისისა და
შელის პოეზიაზე. თარგმნიდა. ლიტერა-
ტურულ საღამოებში მონაწილეობდა.
ყველაზე გემოვნებით იცვამდა და ყვე-
ლაზე ლამაზიც იყო.

— პრივეტ, ზურაბ!

მანქანის საჭესთან, თეთრპიჯაკიანი,
თმაქოჩორა ვაჟი იჯდა. თხელი ტუჩები
და შემპარავი ხმა ჰქონდა.

— ოჰ! დურო!

დურო თევზაძე, მთელ ქალაქში
ცნობილი მილიონერის ვაჟი იყო, ყო-
ველ შემთხვევაში, ასე იცნობდნენ. სა-
კუთარი „ვოლგა“ ჰქონდა და ამასთან
ერთად, ორი ინსტიტუტის დიპლომიც.
რაც შეეხება სამუშაო ადგილს, კარგად
არ ახსოვდა ზურაბს, სად მოღვაწეობ-
და, მხოლოდ ეგ იყო, ყველა ქეიფის
წამომწყებად და ყველა ლამაზი ქალის
მოტრფიალედ ის ითვლებოდა.

დაინახა დურო თევზაძე და უკვე
იცოდა ზურაბში, დანარჩენები ვინ იქ-
ნებოდნენ, ქალაქის „საუეტეთესო ახალ-
გაზრდობა“, „ელეგანტური“ გოგო-ბი-
ჭები.

პირველ მანქანას, მეორე მოადგა
ცხვირით. მალალ რეგისტრზე დაყენე-
ბული რადიო „უკანასკნელ ტანგოს“
გადმოცემდა. დაძაბული რიტმი, მკაცრ
ამოსუნთქვებსა და სხეულის შემართე-
ლობას მოითხოვდა.

— შემოგვიშვებ? — ჩასჩურჩულა
მაიამ.

— მობრძანდით! — გულდიად მიი-
პატიყა ქალიშვილი, წამით არ ჩაფიჭ-
რებულა, დასაშვები იყო თუ არა მათი
სტუმრობა ასე უდროოდ დროს!

მაიას მეორე დაედევნა, ტანწერწე-
ტა, წითელშარვლიანი გოგო. ყურის
ბიბილოში, ბოშა ქალივით გაერჭო ვე-
ბერთელა რგოლები. ახლოს ჩაუარა
ზურაბს, მხარზე ხელი მიუთათუნა და
„ზურაბჩიკ!“ — ჩასძახა.

იცნო, თეატრალობდა ერთ დროს, მოწამესავით ატარებდა ჯაჭვსა და ლითონის ფირფიტებს. კაბის ფერს, თმის ფერს უხამებდა. ახლა წითელი შარვალი ეცვა და ცეცხლის ალი ასდიოდა თმებზე.

მანქანიდან მესამე ქალიშვილი გადმოვიდა. უფრო სწორედ, გადმოვორდა. დაბალი და სქელი, არც წელი გააჩნდა და არც კისერი. მთლად თეძობისა და მკერდისაგან შედგებოდა, მოკლედ, შუაში ბაწარწაჭკრილ მუთაქას ჰგავდა. ვილაცხვებ გამწყრალი ჩანდა, დუღღუნით ჩაუარა ზურაბს.

იმ ტანმძიმე გოგოს ორი გაწეპილი ბიჭი გადმოჰყვა. მოშვებული თმებითა და გაფაფუაშებული შარვლებით ბოლოქანქარა ჩიტებს ჰგავდნენ. ორივე იცნო. ავთო მენაბდე — ცნობილი დასტაქრის ერთადერთი ვაჟი, ექვს ინსტრუმენტზე უკრავსო, ჯერ კიდევ ზურაბის სტუდენტობისას ამბობდნენ თანაურსელი ქალიშვილები. ნიჭიერიო, კონსერვატორიის მესამე კურსზე სწავლობსო, — ამასაც დასძენდნენ. დაამთავრა თუ არა, არ წაუკრავს ყური. ავთოს განუყრელ ძმაცაცს. თენგიზ ამბლობელს, მუდამ ახალთახალი სამოსი ეცვა. სუფთა. კეწეწეწი, როგორც მანეკენებს აცვიათ ხოლმე ტანსაცმლის მაღაზიაში. ორი უმნიშვნელო როლი ჰქონდა კინოში შესრულებული და ქრელპალატუხიან, პეწეწი ბიჭს, გუნდ-გუნდად დასდევდნენ მოსწავლე გოგონები.

სულ ბოლოს. ერთმანეთში ჩაკრულ-ჩაკრეხილი ქალ-ვაჟი გადმოვიდა მანქანიდან. ვაჟს ფეხი ეშლებოდა. ბორძიკობდა. ნასვამი იყო. რატომღაც მათი ვინაობით არ დაინტერესებულა ზურაბი, წინ წასულებს დაედევნა.

— ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი... — მაიას მთართოლვარე, მოჩურჩულე ხმა, როგორც ლოცვა თუ მონანიება ისე დაიბზა ირგვლივ.

მთვარიანი ღამე, საყვარელი პოეტის ლექსები, ეკლესიის ეზოში მიმოფანტული გოგო-ბიჭები, მათი კისკისი,

სიცილი, საოცრად უცხოდ თუ უცნაურად ეჩვენებოდა ზურაბს. გრძნობდა, ამ წუთებს სჭირდებოდა კიდევ სხვა, უფრო ორიგინალური გაგრძელება...

უცებ, მკლავში, წითელი ლაქით დაფარული, გრძელი, კონუსისებური ფრჩხილები ჩააფრინდა.

— სანთლები წამოვიღეთ! — მაია იყო.

მეტი არაფერი, ამ ორი სიტყვით მიხვდა ზურაბი, რასაც ითხოვდა ქალიშვილი. ჭიბეში გასაღები მოიძია და ტაძრის შესასვლელისკენ გაემართა. სტუმრები უკან მიყვნენ. კარი გააღო. ცივი, ნესტიანი ჰაერი ერთბაშად დაეტყავათ სახეში. შეგჯუფდნენ. ტაძარში შესვლა ვერ გაბედეს. ზურაბმა ასანთს გაპკრა. მალე ყველანი ანთებული სანთლებით, ფეხაკრფით შეილანენ შიგნით. თანდათან ჯანათდა, აფერადდა ტაძარი. ძველი ფრესკები გაოცებული იცქირებოდნენ კედლებიდან. მოყვითალო-მონაცრისფერო შექს გამოსცემდა ალი. ახალგაზრდების დაგრძელებული ჩრდილები, უცხო სულებივით აბორიალდნენ კედლებზე, ქვის ფიქალზე ურდულ ვაისპოდა მათი ნაბიჯები. ერთხანს ასე იბორიალეს მათმა ჩრდილებმა კედლიდან კედელზე, მერე ერთად შეგჯუფდნენ.

— უფალო შეგვიწყალო! უფალო... — წამოიწყა დურომ.

აკისკისდნენ ქალიშვილები. თავის კანტურსა და პირჯვრის უკუღმა წერას უმატა ვაქმა.

— კარგი რა დურო! მეტი აღარ შემიძლია... — სიცილისგან სულის მოთქმა უქირდა საყურეებიან გოგოს.

— შეიცოდე, სული ჩვენიიიი... — ავრძელებდა დურო.

მოულოდნელად მათ ჯგუფს გამოეყო მაია ტაძრის შუაგულისკენ გასწია. სამლოცველოს მიუახლოვდა. შედგა. გაშლილი თმები თითებით უკან გადაივარცხნა, სანთელი მალა ასწია და...

დღეაო ღვთისაჲ, მზეო მარიაჲ
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების...

მისი მოცახცახე ხმა ჭერ ყრუდ გაი-
სმა ტაძრის სივრცეებში, მერე თანდა-
თან მოემატა მუსიკალობა, უფრო
მკლერი და ხავერდოვანი გახდა...

ღამნათევა და ნაშთარაღვი
დაღლილ ქალიეთ მივალ ხატებთან...

დიდებული მოსასმენი იყო, ზღაპ-
რული, განუმეორებელი წუთები იდგა.
ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა ზუ-
რახს. უსახლურო კმაყოფილება ეხატა
სახეზე. იგრძნო ისევ ისე, ძველებური
ეშხით მოსწონდა მათ. მზად იყო, ყვე-
ლა მისი თხოვნა აესრულებინა, ფეხდა-
ფეხ აპყლოდა... მოუნდა რაღაც ისე-
თი ჩაედინა, რაც აამაღლებდა ქალიშვი-
ლის თვალში. წუთით გადაწყვიტა
ახალგაზრდების ჯგუფს ვაცლოდა, ამა-
ღლებულ ადგილს შემდგარიყო და ეამ-
ბნა მითთვის: საკურთხეველის კონჭზე,
გელათის მოზაიკის დიდებულ მხატვ-
რობაზე. ეთქვა, რომ ბიზანტიური ძეგ-
ლებისაგან, მავალითად, ნიკეის, კარდი-
ნალ ზენის კაპელისა და ახლახან კონს-
ტანტინეპოლის წმინდა სოფიის ტაძრის
სამხრეთ კარიბჭეში აღმოჩენილ მოზაი-
კისაგან განსხვავებით, გელათის ღვთის-
მშობლის ფიგურა ოდნავ გადახრილია,
რაც მას თავისებურ დინამიკურობას
ანიჭებს, რომ გელათის მოზაიკის ოსტა-
ტმა დაარღვია ბიზანტიური ხელოვნე-
ბის მხატვრული ტრადიცია და საკურთ-
ხეველის აფსიდის მხატვრობის ცენტრა-
ლურ კომპოზიციაში დინამიკურობა და
სიცოცხლე შეიტანა. და კიდევ ბევრი
რამ...

მაგრამ რაღაც ბედად, თუ უბედო-
ბით, სანამ ზურაბი საკუთარ ფიქრებში
თუ მოსაზრებაში გაერკვეოდა, იმ მსუ-
ქანმა ტანმძიმე გოგომ, ბაწარწყვეტილ
მუთაქას რომ მიუგავდა ტანი, არ დაა-
ყოვნა, წინ წამოვიდა, სახე ალით გაი-
ნათა და... „კუმ ფეხი გამოყო... მეც
ნახირ-ნახირო“ — დუღღუნა ხმით წა-
მოიწყო:

მზეო თიბათიისა, მზეო თიბათიენა
ლოცვად მუხლმოჭრილი გრასს მუხუცხე
იგი, ენ მიყვარდა...

ვინ აცალა საცოდავს... ერთბაშად
მოსკდა ხარხარი.

— ვაიმე, რა თქვა... — ჩაბეირდა
თენგიზ ამალღობელი.

ფართო, ბრიალა თვალები ჰქონდა
გოგოს, ალალი და გულუმბრყვილო მზე-
რა. ეტყობოდა მათი ყიდის არ იყო.

სირცხვილისაგან დაიწვა; მხრები
აუცახცახდა. ისე მიმოიხედა, თითქოს
მშველელს ეძებდა. გოგოს მზერა რომ
იგრძნო, დურო თევზაძემ თავი ჩალუნა,
სიგარეტი მოსწია, ერთხელ, მეორეჯერ,
მერე შემობრუნდა და დაგროვილი
ბოლქვი, უღარდელი სახით, საღდაც,
ფრესკებს მიაბოლა.

რაღაც ეტკინა ზურახს. რა ეტკინა,
ვერ მიხვდა. მხოლოდ ეგ იყო, ერთმა-
ნეთში აერია გოგოს ცრემლიანი წამწა-
მები თუ სიგარეტის კვამლში გახვეული
გოგო-ბიჭების სიცილისაგან, ჩაბეირე-
ბული სახეები.

ნელ-ნელა მოატარა მზერა, თითო-
ეულის სახე დაიმხსოვრა... უცებ, სა-
ოცარი რამ იგრძნო!.. მოეჩვენა — მუც-
ში ჩამხრჩვავი მათი ხითხითი, მარტო
იმ მოუტენელ გოგოს კი არ ეყუთვნოდა,
არამედ მასაც, — მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის უმცროს მეცნიერ თანა-
მშრომელს, გელათის ექსკურსია-
მძღოლს ზურაბ დარახველიძეს. დასცი-
ნოდნენ ტაძართან გატარებულ ერთი
წლის ბერული ცხოვრებისათვის და
კიდევ...

წამით განათდა ყოველივე...

თითქოს მეროჭიკე ბერი იყო, სა-
მადლოს შესაგროვებლად სოფელ-
სოფელ ახეტებული, ტანზე ბერული
ჩოხა ეცვა და თავზეც ბერული კუნკუ-
ლა ეხურა. ტაძრის გუმბათში ახმოვა-
ნებული სიცილ-ხარხარი კი, ბერიკების
ოინი იყო. ხის ფიწალს აბჭენდნენ მკე-
რდზე, ტრიალებდნენ. ცხვრისა და დათ-
ვის ტყავებს ცხვირწინ უფრიალებდნენ,
ახლო მოჰქონდათ მგლის დაკრეპილი

კბილები, როკავდნენ, ღმუოდნენ. კაცივით ორფეხზე შემდგარი დათვი ზურგიდან ეპარებოდა, მხრებზე თათებს აწყობდა. ბერი იყო და ხმალი არ ჰქონდა. ხურჯინში მცირე საგზალი ეწყო, შორი გზისთვის ვადანახული.

გამოერკვა.

სულ ახლო, ბუთხუზა ქალიშვილი ცრემლიან თვალებს აფახულებდა... ამ თვალებმა ბერიკები გააქრო.

ახლა კედლებიდან დავით აღმაშენებლის რემა გადმოვიდა, წითელი და ლურჯი ცხენები. მათი ფლოქვების თქარა-თქურმა გააყრუა გარემო.

როცა ცხენების ჰიზვინი და ლავამის ხრამუნი შეწყდა, საყდრის სარკმელში საოცარი ხმები შემოიჭრა. ტკბილი და საამო, მშვიდი და უწყინარი. სულ ახლოს, სოხასტერში — გელათის ქალთა მონასტერში, მონაზვნების გუნდი მღეროდა. დედობრივი სითბო და სურნელი შემოყვდა მათ ხმებს.

გაოგნებული იდგა.

მერე და მერე, როცა შეწყდა სარკმელების გუგუნე, ქალების ლოცვა, თუ ფაფარაყრილი ცხენების თქარა-თქურა... როცა მიწელდა ბერიკების ხარხარი და ბერული ჩოხაც აღარ ეცვა ტანზე, იგრძნო, მათ გაქრობასთან ერთად გაქრა ის უჩვეულო სიმორცხვე თუ გაუბედაობა, რაც ამ „მალალი ინტელექტის“ მქონე ქალაქის ულტრა-ახლავაზრდებთან პირისპირ შეხვედრისას უჩნდებოდა ხოლმე, მის წინაშე ისეთი მოწინააღმდეგე იდგა, რომლის სიძლიერის ყველა ზრიკი იცოდა.

ახლა, ცხოვრებაში გამოუცდელი ბიჭი, ზურამ დარახველიძე კი არ იყო. არამედ სხვა... შეიძლება იონა, ან მიხაკო — კურდღლის ძილით რომ ეძინათ. ეგებ ურჯულო სარკინოზებთან მებრძოლი ქართველი მეომარი იყო, სამკერდი აბჯრით შემოსილმა, სახე დაჩეხილმა, მხრებით რომ ჩამოიტანა აკლდამის კარი დერბენტიდან და თავის სათაყვანებელ მეფეს დაადო მკერდზე...

ამ აღმოჩენამ, გული ნაღმად უქცია,

იგრძნო, მცირე ბიძგი ეყოფოდა... ასაფეთქებლად...

წამით, ტაძრის შემოსასვლელისკენ გაექცა მზერა. თვალი წაატანა სიბნელეში მიმალულ ქალ-ვაჟს. თითქოს უმნიშვნელო დეტალი იყო, მაგრამ... აენტო! ველურ როკვას წაავადდა ქალ-ვაჟის უთავბოლო ბლარძენი. ვაჟი ნასვამი იყო (სახე ვერ დაუნახა), ქალს წითელი შარვალი ეცვა და ფარშავანგის კუდივით მოხატული „პონჩო“ უფრიალებდნენ მხრებზე. ხელში სანთელი ეჭირა. დაითრევდა ვაჟი ქალიშვილის წელს, ჩაბლუქავდა. სახეში შეანათებდა ქალი სინათლეს და გაეცლებოდა. კვლავ დაითრევდა ვაჟი და ჩასაქრობად მიეტანებოდა ალს. ქალი ფეხის წვერებზე შედგებოდა და მალა აწვდილი თითებით, ვაჟის ტუჩებიდან ამონასუნთქ ჰაერს მოარიღებდა სანთელს. შეირხეოდა ალი, ჩაიბუტებოდა, კვლავ წამოსწევდა თავს. ერთხელ, მეორეჯერ და სულ ბოლოს, სწორედ მაშინ იყო, მზერა რომ დაატანა ზურამმა, ვერაფრით ვერ გაეცალა ქალი ვაჟის მიტმასნილ სხეულს. კედლისკენ დაიძრა, ვაჟიც თან გაიყოლა, ფეხისწვერებზე შედგა და სულ მალა, ზეირიანად ვერც გააჩნია ზურამმა, რომელ ფრესკაზე, მგონი იმერეთის მეფე-დედოფალთა სახეები რომ იყო აღბეჭდილი, სანთელი მიამავრა, კედელზე თითო მიავლისა. მეტი არაფერი, მაგრამ დაგროვილ წყენასა და შეურაცხყოფას მცირედი ბიძგი სჭირდებოდა გადმოსანთხევად და... წვრილი ბოლი, დანის წვერავით აღესილი და წამახული ირხეოდა, კედელს ეხლებოდა, იკლავებოდა... ფრესკებს მურავდა. ეს იყო ბიძგი ყოვლის დასაწყისის. ერთბაშად შემორტყაილა. არ გაურჩევია წინ ვინ ედგა ან რას ეუბნებოდა, უხეშად გასწია ვანზე საყურეებიანი, ქვაპა გოგო, ძველი შფოთისთავი — დურო თევზაძე მიიყოლა ზედ, ერთი მოქნევით გამოაცალა თითებიდან აალებული სანთელი შიას, ავთო მენახდესა და მის ძმაკაცს, ფრესკებს მოაცილა ალი, კა-

რი მოადო და სანთლები გარეთ გადა-
ყარა. ხასხასა ბალახში, აქა-იქ, საცო-
დავად აბეუტდა ალი, მალე ჩაქრა.

ღია კარში ჩამდგარი ზურაბი, და-
ჭიმული სხეულით, აკანკალებული ქვე-
და ყბით, არაფერს ამბობდა, არც მო-
თხოვდა, მხოლოდ ეგ იყო, სხეულის
თითოეული ნაკვთი საოცარი რიტმით
ავსებოდა, მებრძოლი, შემართული
რიტმით.

— რაოო?! — ისე იკითხა ღურომ
ტაძრის სიღრმეში, თითქოს ხეირიანად
ვერც გაერკვია რა მოხდა.

— მოდი, ბიჭო, ავერ! — მოიხმო
ზურაბი.

— ღურო, არ გინდა! — იცნო ავ-
თო მენაბდის ხმა.

— მე მაკალეთ! — ეს თენგიზ ამაღ-
ლობელი იყო.

მერე და მერე აღარ მახსოვს, ვინ
რა თქვა ან რა აწყენინა, რატომ ამშვი-
დებდა მათ — ოქროსფერკულულები-
ანი ქალიშვილი, ან რას იღრინებოდა
ღურო — ორი ინსტიტუტის დიპლომ-
თან ერთად ფინური დანაც რომ ედო
ჯიბეში. რატომ არ შეიცოდა თენგიზ
ამაღლობელის კეწკეწი ტანსაცმელი,
ბიჭაკის საყელოზე დაქაჩა, მერე აეთო
მენაბდის გრძელი ნერვიული თითები
აუფოთილდა სახეზე, ერთი ამოიქშინა,
გაიქაჩა და ეს ორი, გაწყებილი ბიჭი,
ერთმანეთს შეათხლიშა. მოიქნია და
ორივე გარეთ მოისროლა. გოგოები
აკვლდნენ. მათი წივილა ხმა უსიამოდ
დაიარხა ტაძრის გუმბათებში. მერე ამ
ხმებს, ვიდაცის დახშული ბუბუნა ხმა
შეერია:

— ჰეი! რა ამბავია!

მიხაკო იყო. მორბოდა, ნაბიჯები
ისმოდა მრავლად... ალბათ ნაზიბრო-
ლაც მოჰყვებოდა — თავისი სამი ბი-
ჭით. ამიტომაც ხელახლა მოუწაცვლა

ღურო თევზაქეს, წვრილ ტურბეში,
უკულმა ხელი.

უცბე ჩხვლეტა იგრძნობდა სულ მცო-
რე, ოდნავი... მერე ჩხვლეტა ტკივი-
ლად ექცა. გულის ჩამწეწე, აუტანელ
ტკივილად. ხეირიანად ვერ გაარკვია,
რა იყო ეს... რატომ გავცალა ყველა,
რატომ მიიპარებოდნენ ტაძრის ჩრდი-
ლებში ასე უხმაუროდ, თავდახრილე-
ბი, ბეწვდაკარგულები, და საოცრად და-
მფრთხილნი.

მერე და მერე, გაუჭირდა გაერკვია,
რა ხმაური იყო ალყაფის იქით, რატომ
ბობოქრობდა მიხაკო.

ქშინავდა... ვიდაცაზე მიიწედა.
„იონამ არ ვაიგონოს...“ გაუელვა წა-
მით...

წელში მოხრილმა, გაოფლილი თი-
თებით, ნელ-ნელა, წვალეებით გამოხე-
რა საყდრის კარი.

თანდათან ჩაითრია ტკივილმა. ჩა-
ჯდა. ზურგით ტაძრის კედელს მიეყრდ-
ნო. თბილი იყო ქვები. შემოდგომის
მზე ჯერაც არ განელებოდათ.

არ გაუგია, როდის მოიბრინა ნაზი-
ბროლამ, თავისი შეგტუხა ბიჭებით, რა-
ტომ კანკალებდა ქალი, ან რატომ
უთრთოდა დედასავით თბილი, სავსე
მკერდი. ფართო თვალებში, ცრემლთან
ერთად, შიში ედგათ ბიჭებს.

უფრო და უფრო მოადგა საყდრის
კარს ნათელი. ცა ისე იყო ვარსკვლა-
ვებით მოჭედილი. ისეთი შარავანდედი
გადასდიოდა, მის შემყურე ადამიანს,
არ შეიძლებოდა გულზე ყოველგვარი
ჭაერი არ მოშვებოდა.

მოეჩვენა, მთვარის ვერცხლისფერი
სხივებით დასერილი ტაძრის გუმბათე-
ბი, ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად კი
არ არსებობდნენ, არამედ მისი სხეუ-
ლისა და სისხლის ნაწილად ქცეულიყ-
ვნენ.

თავად მასში იდგა ტაძარი, დიდე-
ბული და ხელშეუვალი.



ალექსანდრე ჟუტათელი

შენისხველება

გადაუფრინა მყინვარწვევრს
ფრთების შსულით დემონმა,
მაგრამ ფრთებს ისე მიაწვევს, —
მხარში დაჭრილი მეგონა.
ულწონდ გაინაგარდა,
ციხაკენ ვედარ აღწევდა,
ფრთადაღეწილი დაეარდა
სალი კლდის კუნჭულაზედა.
წამოჯდა განაწვალეში,
წინათ დამგები მახეთა
და ცრემლიანი თვალეებით
თამარის საფლავს დახედა.
ხედავს: ჰყვავიან მდელონი,
მერცხალი ბუდეს იკეთებს
და განკიცხული დემონის
გულში შეირბა სიკეთე.
წინათ მას თვისი დიდება
სწამდა, იბრძოდა, იღვწოდა,
თუმც ზეცის გადაკიდება
მასაც დასწევავდა იცოდა.
ნაიარევი მუხლები
ხელმკლავით შემოესალტა,

მის გულში, ჯერ ხელუხლები,
ქალი სიკეთეს თესავდა.
ახსოვს, უთ გაჩნდა ამქვეყნად
არსი, კმნილება ყოველი,
კაცი, მისი ზრდა და კვებნა,
სისხლისღვრა დაუცხრომელი.
მის გაშტერებულ თვალეში
შემდგარი ცრემლი კიაფობს,
თერგი კი, შმაგი თარეშით,
ღრიალებს, კლდეებს მიაპობს.
შავი წამოწვა ღრუბელი,
ატყდა ჭექა და ქუხილი.
რა ენაღვლება ვრუბელი,
დემონის გლოვა, წუხილი!
ნისლი შეადნა მყინვარწვევრს,
ცა დაინახა დემონმა,
სჯეროდა ვარსკვლავს მიაღწევს, —
თავი ამირან ეგონა.
მოაჯადოვა არაგვმა,
ქართლის ბაღებმა, მიწამა.
იგი ბოროტ სულს არა ჰგავს,
მან სიყვარული იწამა.

ყველაზე დიდხანს ცოცხლობს ი მ ე დ ი

(ხვედურალის დღიურიდან)

მ თ ხ რ თ ბ ა

ტყვიისფერი ცა — უეიდეგანო, მძიმე, სულისშემსუთავი — ხუფივით გადმოხარებოდა დედამიწას და ისე დაბლა ჩამოწოლილიყო, იფიქრებდი — რომ მოვინდომო, ხელით შევეხებო.

თოვლის ნაბდებწამოსხმული ვეებერთელა ნაძვები, ყინვით გათოშილები და ნახატივით უძრავი, ჩუქურთმებიან სვეტებად შესდგომოდნენ მოჭეფრულ თავებს.

ჩემად, დინჯად, სევდისმომგვრელად ბარდნიდა. ირგვლივ საოცარი სიჩუმე დასადგურებელიყო...

დამზრალი, ყინვით დაშაშრული, სანგრებითა და მავთულხლართებით გადათხრილ-გადაკერილი დედამიწა, მიწურებისა და ბლინდაყებისაგან კიდევ უფრო უსწორმასწორო, ყუმბარებითა და ნაღმებით დაგლეჯილ-დასახინჩრებული — თეთრი ხილაბანდით შესუდრულ მიცვალებულსა ჰგავდა. მაგრამ ეს მხოლოდ მანამდე, სანამ საომარი ზავით გრიგალივით არ ჩამოუქროლებდა, თეთრ საფარს არ გადასდიდა და დაწყლულებულ სხეულს არ გამოუჩენდა.

ინათებდა თუ არა, პირველი ზარბა-

ზანი თავის მუხავ ხმით მყუდროებას ხანჯალივით გაფატრავდა და გრიგალივით მომსკდარი ქვემეხთა გრუხუნით მთელი ძალით მიწისკენ ვდრეკდა, ტყვედა გქმნიდა, არ გეშვებოდა.

ნაღმისა თუ ყუმბარის ყოველ აფეთქებას მიწის შავი შადრევნები თან სდევდა და ღამით დადებული ქათათა თოვლი საღამოსათვის შავი ხდებოდა. მის უბიწო სითეთრეს ხან ეანგისფერი ენაცვლებოდა, ხანაც მურა სიშავე ეფონებოდა.

სუსხიანი დეკემბრის იმ დღეს ფრონტის მეწინავე ხაზზე დილიდანვე უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა. ქვემეხები ჩვენს მხრივაც და გერმანელთა მხრივაც შეთანხმებულებივით სდუმდნენ.

ზანტად, უხალისოდ მიიზღაზნებოდა საომარი განგაშითა და მრისხანე გრგვინვით აღსაესე ცხრაასორმოცდორი წელი. ჩვენი ფრონტისათვის იგი ორმოცდაერთზე ნაკლებ მძიმე არ გამოდგა, მაგრამ მასზე უფრო ვაგარძელდა და გაიწეა.

მეწინავე ხაზზე ყველაზე აუტანელი, ყველაზე საეჭვო სწორედ სიჩუ-

მეა. იგი იმ მაცდურ მყუდროებასა ჰგავს, გრივალის წინ რომ ჩამოვარდება ხოლმე. ასეთ დროს ძალაუვნებურად ელი, როდის გაფატრავს მდუმარებას ქვეშეთა გრუხუნი, ტყვიამფრქვევთა კაჟანი, ნაღმის ხმა, ყუმბარის წივილი.

აღმათ ამიტომ, ხშირ-ხშირად გამოვდიოდი საფარიდან და სამასიოდ ნაბიჯის დაშორებით მყოფ გერმანელთა პოზიციებს ვუთვალთვალედი. მაგრამ იქიდან ჩამი-ჩემი არ ისმოდა.

უჩვეულო სიჩუმის მიზეზს ჩვენ აღრევე მივხვდით: შობა ახლოვდებოდა და ზეიმის მომლოდინე გერმანელები აურზაურის ატეხვას ერიდებოდნენ; უნდოდათ მათგან დიდად მიჩნეული დღესასწაული უფრო „მშვიდობიან პირობებში“ ეუქმათ. ასეთი „სიმშვიდე“ ჩვენთვისაც არანაკლებ სასარგებლო იყო, რადგან ორიოდ კვირის შემდეგ დიდი შეტევა უნდა წამოგვეწყო, ხოლო მომავალი იერიში საველდაველო მზადებას მოითხოვდა.

ეს იყო მიზეზი იმისა, რომ „უბატრონო მიწის“ ორივე მხარეს სიჩუმე გამეფებულ იყო, თუმცადა მოწინააღმდეგის თარული ზვერა ერთი წამითაც არ შემწყდარა.

ორიოდე დღის წინ ჩამოვარდნილი სიჩუმე არც იმ სამახსოვრო დღეს დარღვეულა.

მართალია, მოუსვენარ არტილერიას დრო და დრო ბერკეცივით ხელება აუტყდებოდა ხოლმე, მაგრამ ამგერად ორივე მხარის მეზარბაზნეებს თავიანთი სამიზნე ზურგში ეგოლიბოდათ და მსტვენეარი ჭურვები ჩვენს თავს ზემოდან ხან იმათკინ მითრინავდნენ, ხანაც ჩვენსკენ მოწიოდნენ.

ერთ სუსხიან საღამოს, როცა ნოტიო სიცივე ძვალ-რბილში აჩანდა, ჩემს ძელმიწურში პოლიტხელი შემობრავუნდა და პოლკის შტაბის განკარგულება გადმოცა: დაბინდებულზე მსახიობთა ბრიგადა გეწვევათ და მოსაღამურდება თუ არა, კონცერტს გამართავენო.

ფეთქეული ოცუელიდან ორი ათე-

ული უნდა გამოგვენთავისუფლებინა და სათადარიგო პოზიციებზე მყარედ დიდ ძელმიწურში გაგვეგზავნა. ამასთანავე გვითხრეს, რომ სტუმრები ვახშმად მიგვეწვია, ბატარეის მარაგით რაც შეიძლება ხეავრიელად დაგვეპურებინა და ჩვენი ულუფა არაყიც გვეწილადებინა.

ფრონტული კონცერტის ორგანიზაცია, როგორც ბატარეის მეთაურს, მე დამავალეს.

როცა საჭირო თადარიგს მოვრჩი, ჩემი მეზრძოლების შეკრებაც, მეზობელ ბატარეებიდან ხალხის მოპატივებაც ერთ-ერთ ოცმეთაურს მივანდე, თვითონ კი ბატარეის კომისართან ერთად სტუმრების შესაგებებლად წავედი.

ზურგის მხარეს, ასე კილომეტრნახევრის დაშორებით, დაბურული ტყე იწყებოდა. ჩვენი ავტომანქანები და საზიდარები დღისით ამ ტყისპირს ველარ სცილდებოდნენ. რადგან გამოჩნდებოდა თუ არა რომელიმე მათგანი, გერმანელები, ყოველივეს ჩინებულად რომ ხედავდნენ, მაშინვე ნაღმებს დაუშენდნენ და პირველივე ბათქით მწყობრიდან გამოჰყავდათ. ამიტომ ავტომანქანები, რომლითაც სურსათსა და საომარ მასალას გვაწვდიდნენ, ტყეში ჩერდებოდნენ. ხოლო ტვირთი იქიდან ჩვენამდე ხან ზურგით მოგვექონდა, ხანაც ჯაგლაჯა ცხენშებმული ორთვალათი ვეზიდებოდით.

ის იყო მე და ბატარეის კომისარი ასტახოვი ტყეში შევედით, რომ შელანძლი ბრეზენტით გადახურული ავტოფურგონიც მოთუხებუნდა. შოფერთან მგდომი ავტომატომომარჯვებული სერჯანტი მარდად გადმოხტა და რაღაც განსაკუთრებული ზეაწეულობითა და რიხით მსახიობთა ჩამოყვანა გვიპატაკა.

ვისაც განუცდია, მან კარგად იცის, რა განუგვიორებელი სიხარული მოაქვს მეზრძოლისათვის ფრონტზე ჩამოსულ დამკვრელს თუ მომდერალს. სულ უბრალო, ყოველგვარი ოსტატობის გარეშე წანამდერი პანგი, გარმონის ერთი დაჰყვიტინებაც კი — სასწაულებრივად

გარდაგქმნის, რალაც ზედამტაცი გრძნობით ვაგმსქველავს და ისეთი სიცოველით აღვიდგენს მშვიდობიანი დროის წარმტაც სურათებს, რომ მთვრალივით ვაგზღის და სრულიად უმიზეზოდ ხან გულიანად ვაციწებს, ხანაც თვალებიდან ცრემლს გამოგწურავს.

ეს მე აღრეც მქონდა ნაგრძნობი და ალბათ ამიტომ სავეებით მესმოდა სურათების აღფრთოვანება, მით უფრო, რომ ამის დამალვას იგი არცა ცდილა. მე კი ვერა და ვერ მიმეცა ჩემი თავისათვის სიხარულის გამომქდავენების უფლება: როგორც მეთაურს, რატომ-ღაც მრცხვენოდა ჩემი განწყობილების გამხელა და ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა „ჩვეულებრივი“ ვყოფილიყავი.

მანქანის ძარას შემოვუარე, ბრეზენტის საფარი გადავწიე და შიგ შევიხედე. მანქანის სიღრმიდან ვაფრთხილებული სახეები მომჩერებოდნენ...

ისინი მერისმეტად გამხდარი და ფერმკრთალი მჩვენენ და გული უჩვეულო სიბრალულმა გამიკენწლა.

ბორტის გასწვრივ დამაგრებულ ძელსკამზე ბრალდებულებივით ჩამომსხდარი მსახიობები ნაძალადევად მილიმოდნენ. არ ვიცი, იმის შეგნებისაგან, რომ ფრონტზე იმყოფებიან, თუ სხვა რაიმე მიზეზით, მეტად საწყყად და დაბნეულად გამოიყურებოდნენ.

უშველა ღმერთმა, ჩემს როზროხა და ცოტა ფეთიან კომისარს: რალაც მისალმება წამოიყვირა, სტუმრებს მშვიდობით მოსვლა მიულოცა, თავისი გრძელი მკლავები ქარის წისქვილის ფრთებივით ააქან-ჩამოაქანა, მერე უკანა ბორტს ეცა, ჯაჭვები შეხსნა, დაბლა დაუშვა, რათა ძარაში მყოფთათვის ვადმოსვლა ვაეადვილებინა და რალაც კეთილი უხეშობით შეუყვირა: — არიქა, ჩქარა ვადმოდი, სანამ დაგცხეს ვერმანელებმა...

სტუმრებს სიცივისა და უძრაობისაგან სახსრები ვახვევებოდათ. რის ვაივავლახით ვადმობობდნენ მანქანი-

დან. სახეშეჭარლებული კომისარი ზოგს ხელს აშველებდა, ზოგრც ვანსაკუთრებით დაკუტული ვინც ჩანდა, ციმციმად ვადმოჰყავდა და მიწაზე ისე ფრთხილად სვამდა, ვეგონება ბავშვი სქეროდეს.

სულ თორმეტნი იყვენ. თორმეტი მობუზული, ჩაჩებჩამოფხატული, შელანძღულტანსაცმლიანი მსახიობი.

ჩრდილოეთის ცივი ზამთრისათვის ძალზე შილიყად ეცვათ. მხოლოდ თო მათგანს ჰქონდა დაბამბული შარვალი და ბეწვიანი ქურჭი.

მიწაზე ფეხი დადგეს თუ არა, სახსრების გასაშლელად ადგილზე ხტომა იწყეს, უფრო სწორად, აცქმუტდნენ, რადგან ხტუნვის თავი აღარა ჰქონდათ, თან საბრალოდ, დამნაშავეებივით გვილიმოდნენ.

მანქანასთან მდუმარედ ვიდექი და როგორც ყოველთვის ალბათ ამჯერადაც კუშტი ვამომეტყველება მქონდა, თუმცალა გულში ენითგამოუთქმელ სიბრალულსა ვგრძნობდი და რალაც უმიზეზო სევდით სულთ ხორცამდე ვიყავი შეძრული.

ეს არ იყო ჩემი პირველი შეხვედრა ფრონტზე ჩამოსულ მსახიობებთან. მაგრამ ახლა, როგორც მასპინძელმა, როგორც თვითმხილველმა მათი პირველი ფეხის დადგმისა იმ მიწაზე, რომელსაც „მოწინავე ზაზის“ მაგიური სახელი ერქვა, თითქოს უფრო უკეთ ვიგრძენი მოვალეობის ის შეგნებაც, რომელმაც ისინი ჩვენთან მოიყვანა და ის პასუხისმგებლობაც, რომელსაც მე და ჩემს მეგობრებს ამ საცოდავი, უიარალო და უმწეო ადამიანების დაცვა ვეკისრებდა.

კომისარს ვავხედე. ისიც უჩვეულოდ მოქუფრული და ფრთებჩამოყრილი მჩვენა. მივხვდი, რომ მასაც იგივე გრძნობა ქენჯნიდა, რაც მე.

თუმცალა, რა ჰქონდათ მინცადამაინც შესაცოდი? ეგება, პირიქით, ისინი ჩვენ გვიცოდებდნენ, რადგან მუდმივად ვიმყოფებოდით იქ, სა-

დაც თვალის ერთ დახამხამებზე ადამიანს სიკვდილის კერძად გახდომა ემუქრება.

მაგრამ მაშინ მივხვდი, რომ ზრუნვა სხვა ადამიანზე ის უდიადესი ძალაა, რომელიც ღონეს გმატებს, გაკაყებს, გზრდის და შეუძლებელს გაძლებინებს.

მე და ასტახოვი ისე შევეყურებდით ჩვენს სტუმრებს, როგორც მშობლები შეყურებენ თავიანთ ძუძუთა ბავშვებს, როცა სიყვარულსა და სიხარულთან ერთად, მათდამი რაღაც ენით გამოთქმულ სიბრაულულსაც გრძნობენ. ალბათ, პაწიების სრული უილაჭობის გამო.

ამიტომ იყო, რომ სიხარულს, ხელოვნებასთან ყოველი ახალი შეხვედრით მოტანდეს, სიხარულს, რომელსაც ჩვენ ასე დანატრებული ვიყავით — რაღაც მამხილებელი, თუ მაცუვდრებელი გრძნობაც ეწმახნებოდა...

როცა ტყიდან გამოვედით, კომისარი მეწინავედ გავგვიძღვა. მას რიკრიგად მსახიობები ჩაუდგინენ კვალში. ბოლოს, ჩამკეტად მე გავყევი.

გული მეკუმშებოდა, როცა ვუყურებდი როგორ მილასლასებდნენ ისინი მოკლე-მოკლე, გაუბედავი ნაბიჯებით, მხრებაწურულები, თავდალუნულები, როგორ აცეცებდნენ აქეთ-იქით თავიანთ შიშნარეგ თვალებს, როგორ ანიშნებდნენ ერთმანეთს, როცა ან ტყვიამფრქვევი დაიკაენებდა, ანდა მტრის მამხალა აიჭრებოდა ცისკენ და არემარეს მკრთალი შუქით გაანათებდა.

მივეყვებოდი მათ და ხეირიანად ვერ გამეგო, რატომ მეცოდებოდა ლენინგრადის ბლოკადით დაუძლურებული და გამხდარ-გათოშილი ეს ადამიანები, მართო იმ საშინელი განსაცდელით, რომელიც მათ მოველინათ, თუ კიდევ სხვა რაიმე მიზეზითაც?..

ამ კითხვას პასუხი ისევ ასტახოვმა მოუწახა. როცა კლებად გადაკეთებულ ძელმიწურს მივუახლოვდით, მან სტუმრები ეიწრო კარებში თავისზე წინ გაატარა, თვითონ ხელები მხრებზე დამა-

დაც და თვალბში ჩაშტერებით მითხრა:

— მე ხელოსნის შვილი ვარ, გამოგიტყდები, ხელოვნებისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მსახიობი ყოველთვის წარმომედგინა კობტად ჩაცმულ, კმაყოფილ და ლამაზ არსებად. ამიტომ, ბავშვობაში იღუმალად შევინატროდი კიდევ მათ. სიამაყის გარეშე მსახიობი ვერ წარმომედგინა. ჩემის აზრით, ხელოვნებას მართლაც სჭირდება, რომ ხელოვანი ამაყი, შეუვალი, მაძლარი იყოს. ესენი კი... მათ შემხედვარეს დამშეული შმაგა მომაგონდა, „უღანაშაულო დამნაშავეებიდან“.

რაღაც მსგავსი ვანციდით მეც ვიყავი შეპყრობილი და ძალიან მენიშნა ასტახოვის ნათქვამი.

— ისინი ჩვენთან მოვიდნენ არა როგორც ქტრუმნი ხელოვნებისა, — ცხარედ და სხაპასხუპით ლაპარაკობდა ასტახოვი, — არამედ როგორც ადამიანები, ვინც გარემოებისა მიზეზით გვეახლნენ და თავიანთი ხელობით უნდა გაგვართონ, დაგვაცემონ, სწორედ ისე, როგორც ეს ოდესღაც ძველ რომში ხდებოდა... ვისაც ეს ესმის, მისთვის მწელია მათი ყურება. აბა, დაფიქრდი. ადამიანები, რომელთაც ამის არავითარი სურვილი არა აქვთ, მშვიერ-მწყურვალნი, ეგების მთელი კვირის უძუმლენი, გათოშონი და დაქანცულნი უნდა აროკვდნენ და ამღერდნენ, რათა ამით შენ გასიამოვნონ? განა ეს ტრაგედია არ არის?..

— მართალი ხარ, ვუთხარი ასტახოვს, — მაგრამ შენ რომ ეგ ხმამაღლა უთხრა, ყველას თუ არა, უმრავლესობას აუცილებლად ეწყინება, რადგან შეგნება და სურვილი შეეწიონ საერთო საქმეს, ალალი გულით აკეთებინებს იმას, რასაც სხვა დროს და სხვა პირობებში თვითონვე არ გააკეთებდნენ. მათ იციან, რომ „მსხვერპლს“ იღებენ და სწორედ ეს შეგნება ათრგუნვინებს ამ მართლაც უსაზომო სიძნელეებს...

— ისე კი, — გავუტყდი კომისარს, — მეც საოცრად მებრალება ეს ადა-

მიანები. მათ რომ თავიდანვე აესხათ იარაღი, შესაძლოა, ჩვენზე ნაკლები მებრძოლები არ გამოსულიყვნენ, მაგრამ ახლა, უკვე სხვადასხვანი ვართ. მაგათი უბედურება ის კი არ არის, რომ ჩვენს ვსაართობად მოვიდნენ (დარწმუნებული ვარ, ეგ მათ არც მიაჩნიათ უბედურებად), უბედურება ის არის, რომ საშინელმა ომმა ისინი სადღესასწაულოდ გაჩირადდნებული თეატრებიდან, ბროლითა და მარმარილოთი მოელვარე დარბაზებიდან უსიერ ტყეებსა და ველურ ტრამალებში გამოჰყარა და ისეთი აუდიტორიის წინაშე გამოჰყავს, რომელიც შესაძლოა ვერც შეიგრძნობს მათ დახვეწილ პროფესიონალიზმს, სიცოცხლის ფასად შეძენილ ოსტატობას. ვინ იცის, ეგებ დღევანდელი მყურებლის ომით გაუხეშებულმა გულმა ვერც იგრძნოს ის, რითაც ამ ადამიანებს თავი მოსწონთ, რაც მთელი მათი სიცოცხლის მიზანს წარმოადგენს...

როცა მე და კომისარი ძელმიწურში ჩავედით, იგი უკვე ხალხით იყო საესე. კედლებზე, ოთხივე მხრივ, ავტომანქანებიდან მოხსნილი ნათურები დაეკიდათ და შავი, სქელი მათეულეებით იქვე მდგარ ავთომულატორებთან სახელდახელოდ დაეკავშირებინათ. ჩვენს სინათლემიუჩვეველ თვალებს მიწური ზღაპრულად გააჟჳაშებული ეჩვენა. კომისარმა ხელიც კი მოიჩრდილა, ეტყობა შექმა თვალი მოსურა. შესაეალ კარებთან გახუნებულ-დალაქავებული საბნები დაეკიდათ, შექმნილობისათვის, იქვე ორი ზემდეგი იდგა: მიწურის კარების ყოველ ჯაღებაზე საბნებს ასწორებდნენ, რათა სინათლე გარეთ არ გამკრთალიყო.

გრძელი მიწურის ბოლოს მსახიობები შეჯგუფებულაყვნენ, მე და ასტახოვს გველოდნენ. ეტყობა არ იცოდნენ დაეწყეთ მზადება კონცერტისათვის, თუ არა.

მათ წინ სულ რაღაც ორიოდ ნაბიჯზე, კი ხალხის ცოცხალი ჯებირი აღმართულიყო. თმავადაკრეჭილი, მკაცრსახეებიანი, ბრიალათქალებიანი ვაე-

კაცების ჯებირი; ვისაც მოესწრო, კედლის გასწვრივ გადებულ ფიტრებზე ჩამომჯდარიყო, ძელსაკმების მაგივრობას რომ სწევდა; დანარჩენები პირდაპირ იატაკზე ისხდნენ, ზოგი ფერხთმორთხმით, ზოგსაც მუხლები ნიკაპთან მიეტანა და ზედ მკლავები ჩამოედო.

იდგა ოფლის, წეკოსა და ტყავის სუნი, სუნი ჩექმებისა და სამხედრო საქურველისა, რომელიც ყოველნაირ სურნელეებს სჯაბნის და სხეულს შიგნითაც კი ატანს.

იდგა სიჩუმე მოლოდინისა. ყველა თავ-თავის საფიქრალს მისცემოდა.

ვინ იცის, რას ფიქრობდნენ ამ წუთებში მშობლიურ კერასა და ჩვეულ საქმეს მოწყვეტილი ეს ვეება მხარმკლავებიანი ვაეკაცები, გახუნებულ გიმნასტურებში, რომლებზედაც ორდენები და მედლები ბრწყინავდნენ. ჯერ კიდევ 1942 წელი იდგა, მაგრამ ზოგიერთ მთვანს უკვე რამდენიმე ჯილო ამშვენებდა.

სახემცინარ ასტახოვს თავისი ბეწვის ქურქის ვახდა მოესწრო და ახლა მის განიერ მკერდზე წითელი დროშის ორი ორდენი კიაფობდა. მსახიობები მოჯადოებულელებივით შესცქეროდნენ ამ ტანადსა და ლამაზ მაშაკაცს, რომელსაც მთავარმართებელ ერმოლოვის არწივისებური პროფილი ჰქონდა.

კომისარი ხელების მრავალმეტყველი სრესითა და გაშინაურებული კაცის განიერი ნაბიჯით მიუახლოვდა მათ. ზოგს მხარზე ხელი მოუთათუნა, ზოგს მოკლედ რაღაც გადაულაპარავა. ზოგსაც ეშმაკური ღიმილით ორიოდე ორანზოვანი სიტყვა ჩასჩურჩულა, გააცინა, და როცა მსახიობთა კრებული მოკრძალებისა თუ გაუბედაობის ტყვეობიდან დაიხსნა, სახუმარო კეკლუცობით კისერი მოიდერა, თანაც თავისი ხავერდოვანი ბანით ხმამალა დაიბუბუნა:

— ამხანაგო მსახიობებო, მობრძანდით ცოტა წაიხმსეთ! — და იქვე დატანებულ ვიწრო კარისაყენ განზრახ თეატრალიზებული ქესტით მიიბატიე.

ყოველივე ეს ისე ბუნებრივად და, იმავე დროს, მიმზიდველად გამოუვიდა, რომ ყველას გაგვეღიმა.

კარების იქით კომისარს პატარა ოთახი ეგულებოდა, სადაც ოდესღაც კავშირგაბმულობის კვანძი იყო განლაგებული. ახლა იქ სახელდახელო სუფრა გაეშალათ და სტუმრებისათვის ჭარისკაცული ვახშაში მოემზადებინათ.

სტუმრებმა გაუბედავად გადახედეს ერთმანეთს, დაირცხვინეს, შეიშმუშნენ.

ერთმა მაღალმა, ძალზე გამხდარმა მამაკაცმა კისერი საცოდავად წაიგრძელა და კომისარს გაუბედავად წაულაპარაკა:

— ეგების, უმჯობესი ყოფილიყო, რომ კონცერტის შემდეგ... — სიტყვა აღარ დაამთავრა და საწყლად გაიღიმა.

კომისარმა და მე ერთმანეთს გადავხედეთ. მშვიდ-მწყურვალ ადამიანისგან საქმელზე უარის თქმა დიდი თავდაპირა და ვაქცობა იყო. ჩვენ, ორთვეს არაერთხელ გვექონდა გამოცდილი შიმშილის დაუმორჩილებელი, გონებისდამნისველი ძლიერება და ამიტომ ჭეროვნად შევაფასეთ მათი რაინდული მოთმინება. მაგრამ მათი „მსხვერპლი“ მიღებულ არ იქნა, კომისარმა ეშმაკურად ჩამიკრა თვალი და სტუმრებს მიუბრუნდა:

— ახლაც და შემდეგაც! — შემდეგ ხელი ხელზე შემოაკრა, თვალები სასაცილოდ გადმოქაჩა და მხიარულად შეუღძახა:

— აბა, მომყევით! — და წინ პირველი გაეშურა, კარები მხრით შეაღო, მაგრამ წამით შეყოვნდა, რადგან მის სივიწროვეში თავისი დევგმირული ბეჭები ძლიერ-ძლივობით ვაატია.

მსახიობებმა ერთხელ კიდევ გადახედეს ერთმანეთს, მერე ერთბაშად აფუსფუსდნენ, გამხიარულდნენ და მოკლ-მოკლე წალაპარაკებებით გაეშურნენ იქით, სადაც კომისარი გაუჩინარდა.

მოზრდილი ოთახი გვარიანად იყო

გამთბარი. მთელ მის სიგრძეზე გაშალაშინებული ფიცრებისგან შეჭურული მაგიდა გაჭიმულიყო, აქეთ-იქიდან კი ძელსკამები მიედგათ.

მაგიდაზე სხვადასხვა ზომის, ფერისა და მოყვანილობის თუნუქის ტოლჩები იდგა, თვითულ მათგანში ასასი გრამი არაყი ესხა; ეტყობა, სასმისები ჭარისკაცებისაგან ენათხოვრებინათ. სუფრის შუაგულში შავი პურის დიდრონი ნაჭრები იყო დახროვებული, ალუმინის ორ თევზზე შაშხის პაწია ნაჭრები ეწყო, ისე რომ თითოს თითო მაინც შეხვედროდა. გარდა ამისა, ყოველ სტუმარს ჭარისკაცული ქებაუნას თავსახურით ცოტაოდენი წიწიბურას ფაფა და ძეხვის პატარა ნაჭერი მიართვეს. ეს იმ დროისათვის პირდაპირ მეფური მასპინძლობა გახლდათ!..

ჩვენმა ვათოშილმა სტუმრებმა ოთახში დატრიალებული სითბო რომ იგრძენეს, კიდევ უფრო გამოცოცხლდნენ და ზედატანსაცმლის გახდა დაიწყეს. თან წარბეჭევიდან სუფრას შეპყრებდნენ, მაგრამ ისე, რომ ჩვენ არ შეგვემჩინა.

შევცქეროდი მათ და მიკვირდა: ჯერ არ მენახა, რომ ერთ ადამიანს ამდენი რამე სცმოდა. ეტყობა, რაც ებადათ, ყველაფერი ზედ წამოეცვათ. ზედმეტი რომ გაიხადეს და კუთხეში მიაწყვეს, ერთი მოზრდილი გორა დადგა. ამ რბილ ბორცვზე ფრთხილად მიაწყვეს თავიანთი მუსიკალური ინსტრუმენტები — აკორდეონები, გიტარები, ვიოლინოები, ბრწყვიალა საქსაფონები.

როცა სტუმრები ხაზგასმული სიღინჯით (არ შეგვაძინიონ — გეშინო!) სუფრას შემოუხსდნენ და წამიერი სიმორცხვის შემდეგ (სულწასულობა არ დაგვეწამონ!) მადიანად შეექცნენ ჭარისკაცურ ულუფას, იქ მყოფნი საგულდაგულოდ შევათვალაიერე.

ცხრა მამაკაცს სამი ქალ ახლდა. მამაკაცები ხანში შესულები ჩანდნენ, ერთი-მეორეზე უფრო გამხდარი და გაცრეცილი. პილატეს ცხარე



ცრემლმაც კი ძლივს დაუბრუნათ ფერა.

ქალებში კი განსაკუთრებით ერთი გამოირჩეოდა: თავის თანამგზავრებში მხოლოდ მას არ აკლდა ჟერ-ხორცი, სხვების სიგამხდრე კიდევ უფრო ამკვეთრებდა მისი ჯიშინი ტანის ენის აღმძვრელ სიღბოსა და სისავსეს.

თავისუფლად, ცოტა ამყადაც ეჭირა თავი. მისი თავმომწონეობა თითქოსდა გეუბნებოდა, რომ თეატრალური იერარქიის კიბეზე სხვაზე მაღლა მოყვარებინა ასვლა. ამიტომ, ანდა, შესაძლოა რაიმე სხვა მიზეზით, მეტი ძალა მოეპოვებინა. ხოლო ქალის მიერ მოპოვებული ძალა, — როგორც ერთი ჩემი მეგობარი ამტკიცებდა, — უბრალოდ რამ არ გეგონათ. ქალებმა მართლაც საოცარი ოსტატობით იციან მისი გამოყენება, ამ მხრივ, ისინი პოზიციური სტილის მოჭადრაკეებს ჰგვანანო, რომელთაც ოსტატურად ესერხებათ სულ მცირედი უპირატესობის გამარჯვებამდე მიყვანა.

ათიოდე წუთის შემდეგ ჩვენი სუფრა აბორგდა და ახმაურდა.

თვით გამხდარ არტისტებსაც კი ძალა მოეცათ და თვლემიდან გამოერკვნენ. ხოლო ქალებმა, ზომიან მეტად შესურებულებმა, ყელი მოიღერეს და თვალების ნაბვას უმატეს. მათ იგრძნეს, რომ იქვე მჯდომი ჩემი ოთხი ოფიცერი, ოთხი ბრგე ვაჟკაცი, თავიანთ ბრილა თვალებს ვეღარ აცილებდნენ.

გავიდა ცოტა ხანიც და ტანსაცვასული ჩემს გვერდით აღმოჩნდა.

ასეთი ამპარტავენი და ყაჩაღანა ქალები მამაკაცებს ირჩევენ არა იმდენად პირადი ღირსებების მიხედვით, რამდენადაც მდგომარეობით: ქალური პატივმოყვარეობა მათ ისეთა მამაკაცისკენ უბიძგებს, რომელიც იმ დროს და იმ გარემოებაში პირველობს.

იმ კრებულში კი უფროსი მე ვიყავი და, მაშასადამე, პირველობაც მე მეპყრა. ერთი სიტყვით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ძალა და პირველობა. „მნათობი“, № 8.

ბა ქალს ისე იზიდავს, როგორც ბუნებას თაფლი.

ტანსაცვასე ქალთან საუბარი საოცრად უსავნო და უინტერესო გამოდგა. მასთან ნალაპარაკევიდან ერთი სიტყვა რა არის, ისიც კი არ დამამხსოვრებია; რომ გვეითხათ, რაზე მუსაიფობდითო, მიახლოვებითაც კი ვერ გეტყოდით. რალაც სისულელეებს ლაპარაკობდა. მაგრამ დიდ ფართი-ფურთში იყო, წარა-მარა ცნობილ პიროვნებათა სახელებს იხსენიებდა (განსაკუთრებით ლენინგრადელ მსახიობთა წრიდან) და მათთან ნაცნობობით თავს იწონებდა. სულ იმას მიმტკიცებდა, რომ „ასეთი ბრივადისათვის“ მას არაფერ არ „გაიმეტებდა“, მაგრამ თვითონ მოინდომა, რათა „სამშობლოს დამცველთა წინაშე თავისი პატრიოტულ-მოქალაქეობრივი ვალი მოეხადა“.

თუნუქის სასმისები თითოჯერ რომ გამოეცალეთ, ჩვენმა სუფრაქმა, კომისართან მოკლე გადალაპარაკების შემდეგ, არაყის ხელმეორედ დასხმა განიზრახა. მაგრამ ისევ ის ხმელ-ხმელი მამაკაცი წამოხტა, პირველად რომ შეგვეწინააღმდეგა, ჩემთან მოიჭრა და იმნაირივე ყელგადაღდებით გვთხოვა:

— ახლა გვეყოფა, თუ ვაგემეტებათ, დანარჩენი კონცერტის შემდეგაო...

ჩემი მეზობელი მაშინვე საუბარში ჩაერია:

— არც ერთი წვეთი არ მისცეთ, არცერთი! მე ვიცი რა შეილებიც ბრძანდებიან, გამოთვრებიან უგონოდ და კონცერტი მერე ნახეთ... იმ დღევანდლისა არ იყოს, ისე დათვრნენ, ერთმანეთს ძლივს ცნობდნენ...

წამოვიშალენით და ისევ იმ დიდ მიწურში გავედით, სადაც კონცერტი უნდა შემდგარიყო. ცოტა ხანიც, და ორმა აკორდონისტმა ხალხით გაჭედილი მიწური ჯადოქრული ჰანგებით აავსო...

მას შემდეგ კარგი ხანი გავიდა, მაგრამ ის ფრონტული კონცერტი ჩემთვის დღესაც დაუვიწყარია. ვიქვობ, რომ

მისი მსგავსი სიხარული ოდესმე კიდევ განმეცადოს.

მათალია, საკონცერტო პროგრამაში არათუ რაიმე არაჩვეულებრივი, ოდნავ ახალიც კი არაფერი იყო და თვითეული პასეჟი თუ სიმღერა მანამდეც მრავალჯერ მქონდა მოსმენილი (ამასთან, ბევრად უკეთეს პირობებსა და უკეთეს შემსრულებელთაგან), მაგრამ იმ საოცარ პირობებში მოსმენილმა მაინც განსაკუთრებულად მომაჯადოვა.

სანდახან ფარულად ჩემს მებრძოლებს ვავხედავდი ხოლმე... ისინი თვალეზგაბრწყინებულნი, მოჯადოებულებივით მისჩერებოდნენ ყოველ მსახიობს, თანაც ისეთი ერთსულოვანი ტაშით აჯილდოვებდნენ კონცერტის ეშში შესულ მონაწილეებს, რომ ჩვენი მიწური ერთიანად სანხარებდა და თავხეებს შორის დატანებული ხავსიდან მიწის პაწია გორბები ცვიოდა.

მსასიბებიც მეტად გამოცვლილი მეჩვენენ: ვერ წარმომედგინა, თუ ადამიანის ასეთი გარდაქმნა, ასეთი ვარდასხვა შეიძლებოდა! სად გაქჭრა მათი ზანტი მიმოხვრა, მათი მშვიერი, სევდიანი გამოხედვა, დარცხენილი ღიმილი, გაუბედავი ლაპარაკი? თეატრალურ ტანსაცმელში გამოწყობილნი, კოსტები და მოჭნილები, ისინი მთელი თავისი გარეგნობითაც რაღაც ამალმებულსა და არამიწიერს განასახიერებდნენ და ერთიანად გვიპყრობდნენ, გვიმორჩილებდნენ.

მახსოვს, პირველი წუთებიდანვე დასანანი გამიხდა ჩემი აჩქარებული აზრი ხელოვნების დამდაბლებასე. აუდიტორიის უგრძობლობაზე, ჩვენი იმეამინდელი მკუყრებლისა და ხელოვნების ოსტატთა გათიშულობაზე... მაღიშალ ვავხედავდი კომისარს და გუშანით ვგრძნობდი, რომ იგიც ჩემნაირ განცდებში იყო.

ერთი კი არის: საომარ პირობებში ხელოვნების ყოველი ნიმუში ზშირად სულ სხვანაირად მოჩანს და კიდევ უფრო მეტი ძალით ეღერს. როცა მაღალმა, გამსდარმა მომღერალმა წარმოიდ-

გინეთ იგი ისე გამხდარი უფრო მოჩანდა, „როზ მარი“ იმღერა, ჩემს შეხსიერებაში მოგონებათა მთელი კორიანტელი წამოიშალა და სული ყელში მომეძვინა.

მაგრამ კიდევ უფრო ამაცახცახცა მოცარტის „ნანამ“. ამ კოსტა მელოდიურ სიმღერას ოდესღაც საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის (როგორც მაშინ ვუწოდებდით „ზიი“-ს) სასულე ორკესტრი ასრულებდა, და უნდა ითქვას, ჩინებულადაც! მახსოვს, როგორი გაოცებულები დაერჩით ჩვენ, ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტები, როცა სტუდენტთა თვითმოქმედი ორკესტრის დირიჟორი ვიცანიო. ეს იყო ცნობილი პრაფესორის, ანდრია ბენაშვილის ასისტენტი თევზაძე.

უესმენდი შემსრულებლებს და არ ვიცოდი სად ვიყავი, აქ ფრონტზე, თუ ჩემს მშობლიურ თბილისში. მართლაც ძალიან შორეულ მანძილებზე სცოდნია ადამიანის გულისა და გონების გადატანა მუსიკის ჯადოქრულ პანგებს...

მაგრამ კონცერტის ბოლომდე მოსმენა მაინც არ დამცალდა: მორიგე მსაველე ტელეფონთან მიხმო და რა ძალა მქონდა, მეზობელ მიწურისაკენ ვავწიე. პოლკის მეთაურმა მიბრძანა — კონცერტი ორ საათზე მეტია გრძელდება და ეცადე ახლავე მოათავოო. თან გამაფრთხილა, გერმანელებმა გასანათებელი მაშხალები გადმოყარეს და შესაძლოა რაღაც მოიმოქმედონო...

როცა დაებრუნდი, კონცერტი უკვე დამთავრებულიყო. იქით სტუმრები გამწერივებულნი იყვნენ, აქეთ კი ჩვენი მეომრები, ფეხზე წამომდგარნი და გაფიცებულ-გახალისებულნი, ტაშს უკრავდნენ.

ყველაზე მეტად ტანსავსე ქალი იხდიდა მადლობას. იგი სხვებზე წინ წამომდგარიყო, დრო და დრო წელში ორად იკეცებოდა, თავს მდაბლად ხრიდა და ძველი რუსული წესისამებრ, მარჯვენა ხელი მიწამდე ჩამოჰქონდა, თან ნიჩაბივით უსევამდა. ასეთი მისამება მარტო მე არა, ვგონებ ჩემმა

მეგობარმა რუსებმაც პირველად სწორედ მაშინ ნახეს... მსახიობებიც გაკვირვებული შესტყუროდნენ, თუ რა ხაზგასმული ღირსებით იდრიკებოდა და სწორდებოდა მათი ზორბა ამხანაგი. ეტყობა, მას ეს ძველებური მისალმება კონცერტის მთავარ ძარღვად მიანდა, და რაც შეეძლო, ხაზს უსვამდა. ჭეშმარიტად, რომ ომმა მრავალი ისტორიული დეტალი გააცოცხლა და წამოატივტივა.

— ნამდვილი ვასილისაა! — ხუმრობით თქვა ვიღაცამ. მისი ხმა გულიანმა ხარხარმა დაფარა. „მართლაც ნამდვილი ვასილისაა“ — გვიმეორე გუნებაში და მას შემდეგ ამ სახელით მოვინათლე.

ტაშს დასასრული არ უჩანდა. და აი, ვასილისამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი უფლება და ავტორიტეტი.

იგი წინ წამოდგა და ხმამაღლა გამოაცხადა: თქვენგან ასეთი გულთბილი მიღების საპასუხოდ, კიდევ ერთ ნომერს წარმოგიდგენთო. „დარბაზს“ კმაყოფილების გუგუნმა გადაურბინა, მერე კი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

სახელდახელოდ გაქმეული ფარდის ზემოდან ორი ფიგურა ამოფოფხდა. ერთი ადოლფ ჰიტლერი იყო, თავისი შუბლზე ჩამოვარდნილი ქოჩრით, მეორე — მისი ცოლი, ევა ბრაუნი.

მხოლოდ მაშინ-ღა მივხვდი, რომ ჩემი ნაცნობი ქალი თოჯინების თეატრის მსახიობი ყოფილა. მისი დაბალი, გაბზარული სოპრანო ფარდის უკან მკახედ ისმოდა და რაღაცაზე გაგულიანებული ევა ბრაუნი სულ ტლინკებს ჰყრიდა. ბოლოს კაბა მუხლებამდე აიწია, შეხტა და ჰიტლერს შიგ ცხვირში წიხლი სდარბა. მიწური ჰომერულმა ხარხარმა შესძრა...

მაგრამ საქმე ამით როდი დამთავრდა, ჰიტლერის ცოლმა საიდანღაც ვეებერთელა ტაფა გამოათრია და ქმარს თავში ჩაუჩაჩქენა. ფიურერი წვრილ ხმაზე ძალღივით წკმუტუნებდა, შენ-

დობას ითხოვდა და ხელეხსიანებით და. ბოლოს, როცა ევამ მისი ცემით გული იცერა, ქმარს პახლური ამოკრა და ფარდაზე ჩვირით გადააქიდა. ჰიტლერის სხეული სტვენით დაიჩუტა, ბოლოს კი იფეთქა და ბუმტით გასკდა, თანაც უკანოდან შავი ბოლი გამოუშვა...

მიწურში ისეთი გნისი, სიცილი და სტვენი ატყდა, შეგვინდებოდა, ყურები არ დამისკდესო. ბოლო ნომერი განსაკუთრებით ჩვენს კომისარს მოეწონა. მან მაღლობა გადაუხადა სტუმრებს და სიტბოსგან შელაფლაყებული მსახიობები ვახშად მიიწვია.

დახუთულმა ჰაერმა, ერთობლივმა გნისმა და სიხარულიანმა განცდამ, რომელიც დიდი ხანი აღარ მეგვმა, გამაბრუა და მთვრალივით გამხადა. მართო ყოფნა მომწყურდა და გარეთ გამოვედი.

ირველივე კვლავ საოცარი სიჩუმე იდგა. „მაღლობა ღმერთს, გერმანელებმა კონცერტის ჩატარება გეაცალეს“ — გაეფიქრე გუნებაში და ერთბაშად წარმოვიდგინე როგორ შეშინდებოდნენ, როგორ დაფეთდებოდნენ ჩვენი სტუმრები, „ალიაქოთი“ რომ ამტყუარიყო.

მიწურის სოხანესთან მიმჯდარი მწარე წყოს ვექაჩებოდი, როცა კიბეზე ვასილისა ამოგოგმანდა. მხრებზე წამოსხმული ქერტი გაისწორა და გვერდით მომიჯდა.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, თუ არ დაგენანებათ, ერთი მეც გამოიხვიეთ ეგ თუთუნია...

რა მეთქმოდა, გაუხვიე და მივეცი. დახელოვნებული მწველი გამოდგა. რამდენჯერმე ღრმად მოქაჩა და ვაზეპირებულივით მოჰყვა ლაპარაკს ომისდროინდელი ხელოვნების ცალმხრივობაზე, მის აუცილებელ დაქვეითებაზე, მერე ხელოსნობის მოძალებაზე და სხვა ამგვარებზე.

არ ვიცი, ყველა მამაკაცია ასეთი, თუ მე ვარ მართო: როცა ქალი არ მომწონს, იგი არც მაინტერესებს, და თუ

არ მაინტერესებს — დაკვირვებით ვერ ვუხსენ. ალბათ ამიტომ, მეტი წილი ვლდემი, ფიქრში ვიყავი წასული და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ჩავფურთავდი ხოლმე ორიოდ სიტყვას. მაგრამ ჩემს მოსაუბრეს, ეტყობა, ეს სრულიადაც არ ადარდებდა. მგონი, პირიქით, უხაროდა კიდევ, რომ ხელს არ ვუშლიდი და სათქმელს ვაცდიდი. ალბათ, მონატრებული იყო ჩემნაირ უსიტყვო მოსაუბრეს.

ბოლოს, შეუმჩნევლად, თავის თავზე გადავიდა (განა ქალს სხვაფრივ შეუძლიან?) და, ვითომ სხვათა შორის, მიმართა: „მე სულ თოჯინებს კი არ ვათამაშებდი, ადრე ლენინგრადის საუკეთესო თეატრში, „ალექსანდრინკაში“ ვმუშაობდი და დრამის ცნობილი მსახიობი ვახლდით“. ამას რომ ამბობდა, მისი ხმა ამაყად ეღერდა.

ამ თეატრის ხსენებაზე ყურები ვცქვიტე.

გულმა თითქოს რაღაც მიგრძნო.

ერთბაშად გამოვფხიზლდი და მოსაუბრეს თვალი შევაღვლე. იგი ზურგით მიწურის კედელს მიყრდნობოდა, ფეხი-ფეხზე შემოდო და ნებიერად აბოლებდა. მივხვდი, თავის თავს მახარებდა. მე კი, სულ სხვაგვარი მღელვარება მიპყრობდა.

ვითომ სხვათა შორის, ვკითხე:

— რომელ წლებში მუშაობდით ამ თეატრში?

— რაში გაინტერესებთ? — ვერაგი ქალის ეშმაკობით მომიგო მან.

— მაინტერესებს, — არ დავუთმე მე.

— რა უცნაურები ხართ მამაკაცები? ყველაზე მეტად ქალის ასაკი გაინტერესებთ, გეგონება ეს იყოს მთავარი. გინდათ გამოვიცნო რა შეკითხვას მომცემთ ახლა? ახლა თქვენ მკითხავთ რამდენი წლისა ვიყავი, როცა ამ თეატრში ვმუშაობდი. მერე ორივე რიცხვს შეერებთ. ეს ალბათ არ გავკვირდებოთ, რადგან ასის ფარგლებში შეკრება-გამოკლება ყვილამ იცის, და თქვენი მიზანი მიღწეული იქნება... ღმერთო ჩე-

მო, რა ერთფეროვანი, რა არასაინტერესო მამაკაცები წამოვიდნენ ამ ქვეყნად, საშინელებაა პირდაპირ...

— ერთი ჩემი ნაცნობი მუშაობდა იქ, — გაუბედავად წავილაპარაკე მე.

— ააა, — გაავრძელა ქალმა და მსუქნად გააბოლა. დარწმუნებული ვარ ჩემი დასჯის სურვილი აღეძრა, როცა გაიგო, რომ მისი ბედის შეტყობა კი არა, სხვა რამ მაინტერესებდა.

— როდის მუშაობდა? — შეუვალი ტონით იკითხა მან და სახეში შემომბოლა. თან ისე დამაცქერდა, თითქოს პირველად მხედავდა. ოხერი ვინმე ჩანდა: ერთი ხელის დაკვრით დასაკითხ ბრალდებულად გადამაქცია, თვითონ კი გამომძიებელივით ზემოდან მომეჭყა.

— ომამდე, — რაც შეიძლება უხალისოდ ვუპასუხე მას.

— პუშკინიც ომამდე იყო, — ვითომ ისუმრა ვასილისამ და კვლავ სახეში შემომბოლა.

— ყოველ შემთხვევაში, 1939 წელს დასმი იყო...

— მისი გვარი და სახელი? — ისევე შეუვალად იკითხა მან.

ღუმული უაზრო იყო და მყისვე მივახლე — ლიდა კავერინა.

ქალმა სწრაფი მზერა მტყორცნა მაგრამ არაფერი უთქვამს. რამდენიმე წუთი ორივე ყუჩად ვისხედით.

— ლიდა კავერინა? — ოცნებაში გადასული ადამიანის ხმით მკითხა ქალმა.

— ღიახ...

— არა, ასეთი იქ არავინ იყო...

— როგორ არა, როგორ არა, იგი სცენაზეც მინახავს, — ავჩანყდი მე.

— და ალბათ სცენის გარეთაც... — მისი ხმა მაცდურად გაიწვლა.

— „პლატონ კრეჩეტში“ თამაშობდა, ყველა აქებდა...

— ააა, — გაავრძელა ჩემმა მოსაუბრემ.

— რა, გაიხსენეთ? — მოუთმენლად ჩავეკითხე მე.

— არა, — მომიქრა მან.



— ეტყობა თქვენ თვითონ არა ყოფილხართ იმ თეატრის დასში...

— ეს როგორ? — წამოიფოფრა ქალი, — თქვენ მიგაჩნიათ, რომ მე...

— იმ წლებში, — შევარბილე ნათქვამი.

— ხოო, რომელი წლები იყო?..

— 1939 და 1940.

— როგორი გარეგნობა ჰქონდა იმ თქვენს ნაცნობს?

— მაღალი, ტანადი, ქერათმიანი, ზურმუხტთვალეობა!

— რა ერქვაო? — როგორღაც მეტრისმეტად ყრუდ მკითხა მან.

— ლიდა...
ქალი ქანდაკებასავით გაქვავდა. სადღაც ჩემს თავს გადაღმა იყურებოდა. მერე, კარგა ხნის დუმილის შემდეგ, ისე თქვა, გეგონება, მოწყალება გაიღო:

— გავიხსენე... მართლაც იყო ასეთი, მაგრამ გამახსენდა არა როგორც მსახიობი (მსახიობი იგი ერთობ მდარე გახლდათ!), არამედ როგორც ლამაზი ქალი...

— მაკდერი გარეგნობა ჰქონდა, ყველას აფიქვებდა... ალბათ თქვენ?

— რამდენადაც მე ვიცი, მსახიობიც კარგი იყო და ადამიანიც, — ისევე ავჯანყდი მე. ეტყობა ნაწყენობამ ჩემდაუნებურად კილოშიც გამოიყენა.

— უკაცრავად, მე ეგ არ მესწავლება, სტატისტიკას ვერ გასცდა.

— როგორ თუ სტატისტიკას, იგი „უმზითოვშიც“ თამაშობდა..

— თამაშობდა, როცა პირველი შემსრულებელი ავად იყო. უნდა გითხრაო, უჭირდა ფრიალ. სიმართლე არ უნდა გწყინდეთ...

— წამოვდექი, რათა უკმეხი არაფერი მეთქვა. ამ წუთებში ვასილისასადმი მხოლოდ სიძულვილს-და ვგრძნობდი.

ქალმა შემატყუო, რომ წასვლა დავაპირე, დასამშვიდობებლად ხელი გამომიწოდა და რაღაც უცნაური ხმით მითხრა:

— თუ ლიდას ნახავთ, უთხარიო, რომ მე იგი მახსოვს... — ესა თქვა თუ არა, წამოდგა და მიწურისაკენ წავიდა.

— კარგი, მაგრამ არ ვიცი თქვენ... თქვენს შესახებ... — ვიგრძენი, რომ ენა ამბობოდა.

— ირინა გერმანოვნა კლიუევა, რსფსრ-ის დამსახურებული არტისტი.

— მასწავლეთ როგორ მივაგნო ლიდას, ძვირფასო ირინა გერმანოვნა, — ჩემდა მოულოდნელად შევეკედრე მიმავალ ქალს.

— შედგა. მოტრიალდა. დამაშტერდა. მერე წარბზე ხელი გადაისვა, თითქოს რაღაცას იხსენებდესო და სეტყვასავით დამაყარა:

— კარელიის უბანზე, მეშვიდე არმიის საველე პოსპიტლის მთავარ ქორტრუგად მუშაობს მისი ქმარი ანატოლი არკადის ძე ბლაშოვი, მიაკითხეთ მას, იგი ყოველივეს გეტყვით.

თითქოს რაღაც მძიმე ჩამცბეს ეტყვი.

— ლიდას ქმარი? ნეტავი როდის გათხოვდა, რატომ არაფერი ვიცი...

ირინა გერმანოვნას დავეწიე, მკლავში ვწვდი, შემოვატრიალე:

— რასა ბრძანებთ, რომელი ქმარი, მას ქმარი არა ჰყოლია!...

— რომელი ქმარი? — დამარცვლით შემეკითხა კლიუევა და ასევე დამარცვლით მომიგო, — ქმარი, რომელიც მან მე წამართვა, — სამხედროსავით ქუსლებზე შემოტრიალდა და უსიტყვოდ წავიდა.

გაქვავებული ვიდექი. შუბლი მიხურდა: ჩემს გონებაში რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები ტრეტივებდნენ.

ლიდას ვუყურე ჯერ მიმავალ კლიუევას, მერე მსახიობებს, რომელთაც კომისარი ტყისკენ მიუძღოდა, მერე ტყეს, რომელიც შავ მთასავით ჩანდა თოვლიან შორეთში.

ის იყო და ის, ლიდა კავერინას სახეზე თვალთავან აღარ მომცილებია, სწორედ ისე, როგორც სამიოდე წლის წინ, როცა ჩემს სულსა და გონებას მხოლოდ იგი ფლობდა.

მოუტრჩენელმა იარამ კვლავ პირო გადაიხსნა.

კლიუევის სიტყვებმა ერთიანად ამოფორიაქა: რაც არ უნდა მეკეთებინა, საქმესთან და საზოგადოებრივთან ერთად, — და რომ გამოგიტყდეთ, მათზე უფრო მეტად, მათზე უფრო ხანგრძლივად, — ლიდაზე ვფიქრობდი.

მოგონებები წყებად მიჰყვებოდნენ ერთი-მეორეს: ხანდახან ისე მეჩვენებოდა, თითქოს აწმყოდან წარსულში გადავსახლდი, თითქოს მხოლოდ წარსულით ვცხოვრობდი.

ხომ შეგხვედრიათ ცხოვრებაში ასეთი რამ: ათასჯერ ნანახი, ძველთაგანვე ნაცნობი საგანი თუ ადამიანი, ერთ მშვენიერ დღეს სრულიად განსხვავებულად მოგეჩვენებათ, და უცნაურად ფერნაცვალეები, უცნობივით დაგიდგება თვალწინ. უყურებ მას და არა გჯერა, რომ სწორედ ის არის, ვინც ან რაც ადრეც გინახავს, უყურებ და გიკვირს, როგორ მოხდა, რომ აქამდე სულ სხვა-ნაირად გეჩვენებოდათ.

ხშირად ასეთი „თვალის გახელა“ რომელიმე მადლიანი ადამიანის, ან ბედნიერი წუთის წყალობით ხდება. შემოგვეყრება ის დალოცვილი და ერთხელ ნანახს უკეთ დაგანახებებს, ნაცნობს უკეთ გაგაცნობს. და რაც არ უნდა დრო გავიდეს, ნანახთან ერთად, აუცილებლად იმ მადლიან ადამიანსაც გაიხსენებ, რომელმაც ზედაპირიდან არეკლილი შენი მზერა შიგ ჩააბრუნა, საგნის გულში ჩაგახედა და მანამდე უხილავი ხილულად ვიქცია.

სწორედ ასეთი იყო ჩემთვის ლიდა კავერინა. ტანკენარი რუსი ქალიშვილი, თეძოგანიერი, მკერდსავსე, ქერათმიანი ქალღმერთი, დიდრონი თაფლისფერი თვალებით, თეთრფერმიზა სახით და საოცრად ვრძელი წამწამებით.

თვალს მოგვრავდი თუ არა. გული ცემას უმატებდა, ზოლო ლიდას მზიარული სიცილის გაგონება ისეთი სიამით მაცხებდა, რომ მისი გულისათვის, რასაც მოიწადინებდა იმას გავაკეთებდი, ვინდა ამისათვის ჯოჯობათის კარის შესხსნა დაშვირებოდა.

ცხოვრების სიხარულს, ბედნიე-

რების შეგრძნებას, სიყვარულს, მაღალად — ლიდას წყალობით გავიგე. ლიდა იყო ის ბედნიერი სული, რომელმაც სიცოცხლის ფასი გამაგებინა, ჩემს ზედაპირულ მზერას სიღრმეში ჩაწვდენის უნარი მისცა, ხედვა გამიძლიერა, სიცოცხლე შემაყვარა და ბედნიერება მანატრა. ლიდა რომ არა, ჩემს ცხოვრებას ალბათ მთელი ჯაფარი მოეცლებოდა.

ბედნიერია ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც შემოეყრება ასეთი ქალი. უბედურია იგი, ვინც ცხოვრებას ისე გალევს, რომ ვერც ჰეშმარტ სილამაზის ნახავს, ვერც მის მომზიბლობას შეიგრძნობს და ვერც მისი დაუფლების სიამაყით გაიმსჯვალება.

ჩემი ბედნიერება კი მართლაც ზეავივით მოსკდა.

მაგრამ ზეავივით ქვეშ კი არ მომიყოლა. პირიქით, ზეამწია, გამანებვირა, გამაციკროვნა, თუმცაღა არა დიდი ხნით...

მაგრამ მე მაინც არა ვნანობ! — ხანგრძლივი ბედნიერება ხომ ბედნიერება აღარ არის: მაშინ იგი თავის ფასსა ჰკარგავს და ჩვეულებრივ ამბად იქცევა.

* * *

... დამთავრდა თუ არა საგაზაფხულო სესიები, სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი ბათუმის მატარებელში გინასით შევცვივდით, ორი კუპე იერიშით ავიღეთ და მთელი დამის მზიარული ზორზოცის შემდეგ, მეორე დილით, მწვანე კონცხზე ამოვყავით თავი.

მართლაც, რომ ბედნიერი დრო იყო! ინსტრუქტის სამი კურსი უკან გვქონდა მოტოვებული, ჰაბუკუჩი იმედები უღარდელად ჰყვოდნენ, ცხოვრების სიამენი წინ გველოდნენ, უმიზნო სიხარულით ამორგებულ გულს კი ლამის საკინძე ვაეწყვიტა...

მწვანე კონცხის ზღაპრულმა სილამაზემ, მისმა სამოთხისებურმა სიმწვანემ — თაყარა მზიარდაფერილმა და

ზღვის სილურჯისთან შერწყმულმა, თითქოს უფრო გაგვიძლიერა სიცოცხლის ეინი.

ნიღვარით მომსყდარმა სიხარულმა ზეაგვიტაცა... კი არ დაედიოდით — დაფრინავდით, კი არ ვლაპარაკობდით — გაცვიროდით, კი არ ვფიქრობდით — ვმღეროდით.

სწორედ იმ ზაფხულს ოცდერთი წელი შემისრულდა! მედგა ეამი ოცნებისა, მყარი იმედებისა, დიდი მოლოდინისა და რაღა თქმა უნდა... სიყვარულის დაუოკებელი წყურვილისა.

სიხარული კი მეორე დღიდანვე დაიწყო... კორტოხზე წამომდგარი პოლიტიკური ინსტიტუტის დასასვენებელი სახლი. პაწია ხეობას რომ კეტავდა, ჯერ კიდევ ტკბილ ძილში იყო ჩაფლული, როცა სიზმარულ ბურანში მუსიკის ტკბილი ჰანგები შემოგვესმა. იგი საიდანდაც, შორიდან მოისმოდა...

ნელ-ნელა გამოვფხიზლდით და დაეაყურადეთ. მერე ფანჯრებს მივცვივდით. მუსიკა თანდათან ახლოვდებოდა, ძალას იკრებდა, სულ უფრო გრძნეული ხდებოდა. ვიღაც უცნობი საოცარი ოსტატობით უკრავდა აკორდეონზე.

მაგნოლიებისა და გლიცინიების სურნელებით დათაფლულ ჰაერში დილის საირივით მიმზიდველად ისმოდა ნაზი მელოდია, ხან სევდიანი, ხანაც სისხლისამჩქეფი.

აკორდეონისტი ნელი ნაზივით ამოდოდა აღმართზე და რაღაც ამაღლებული შთაგონებით უკრავდა.

ცოტა ხანიც და მთელი დასასვენებელი სახლი გარეთ გამოვფინა.

ჩემად, რაღაც სასოებით ვისმენდით საამო ჰანგებს და მოჯადოებულებით შევეცქეროდით დამკერვლს, რომელიც თანდათან გვიახლოვდებოდა.

ენატრობდი ეს წუთები უსასრულოდ გაგრძელებულიყო, ეს სიმღერა არასოდეს შეწყვეტილიყო. მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს. აკორდეონისტი მოგვიახლოვდა, დაკრა შეწყვიტა, მოგვესალმა და წარმოგვიდგა:

— ბათუმელი ვარ, აქაც შექმნილი ყოველ დღე ასე ვივლი და დილის გამამხნევებელ ვარჯიშს ჩაგატარებინებთ, თუ ოდესმე ქეიფს გადაწყვეტთ, იქაც შეგიძლიათ მიმსახუროთ, ყარაიხული სიმღერებიც ვიცი...

აკორდეონი ერთბაშად გაწელა და ყორღანოვის ჩობანი ისეთი ხმიანობით დაავუგუნა, გეგონება მთელი ორკესტრი უკრავსო. მერე ჰანგი შეცვალა და გრიშაშვილის ლექსი დაამღერა:

ნუ, ნუ სტირი, რატომ ვოღებ ვენაცა?
შენც მიყვარხარ, ვანა არ მებრალბი,
მაგრამ რა ვქნა, შემიყვარდა მე სულ სხვა,
სად შენი და სად იმისი თვლები!

ასე დაიწყო დღე — სიხარულიანი, უღრუბლო და უდარდელი.

ასე მიპყენენ მას დღეები ბედნიერი სიჭაბუქისა, როცა დათაფლული სიტუბოება გულს ესალბუნება, როცა გსურს ჩამაჭრებელი ჰაერი რაც შეიძლება მეტად შეისუნთქო, როცა გრძნობ, რომ ყველაფერი გიხარიან და ხშირად უმიზეზოდაც...

მეც ყველაფერი მიხაროდა: სამხრეთული უღრუბლო საოცარი ლაქვარდი, ზურმუხტისფრად მზინვარე სიმწვანე, სილურჯე შეპარული ფიჭვნარი და კლაკნილი ჭავლებით ამოქარგული მთვლემარე ზღვა... ოცდერთი წლისა ვიყავი და სიყვარული სიგიჟემდე მწყუროდა...

სადილობისას ვიღაცამ ამაზე მოიტანა, რომ დაბინდებისას მწვანე კონცხის ტურბაზაში ცეკვები გაიმართებოთ. გადავწყვიტეთ, ნავაშმევს. კოლეკტიურად წავსულიყავით ტურბაზაში.

ეს იყო დრო, როცა ევროპულ ცეკვებს ყადაღა ახლადახსნილი ჰქონდა, როცა ახალგაზრდობაში ყველაზე დიდ სიხარულს ცეკვები იწვევდნენ, როცა ყველა მათი სწავლით იყო გართული და როცა ერთი ვალს-ბოსტონისათვის ცხრა მთას გადაივლიდი.

ცეკვავდნენ ყველანი — ახალგაზრდები, თუ ხანში შესულნი. ცეკვავდნენ

ყველგან — პლენანოვის გამზირზე მდებარე ფილარმონიის ბაღში, ვარო-შილოვის კლუბში, თუ „სტელაში“, ყოველი კინოთეატრის ფოიეში, ყოველ კლუბში.

საჩქაროდ იქმნებოდა საცეკვაო მოედნები, ჭაზები, საესტრადო ორკესტრები. ფოქსტროტი, ვალსი თუ ტანგო — ახალგაზრდობის სულთამპყრობელი გახდა...

ცეკვის მასწავლებლები, ყველაზე პოპულარული პიროვნებები შეიქმნენ. ლაზარე ყაზაიშვილსა და დიმა ვაჩნაძეს ქუჩაში გავლა უჭირდათ. მახსოვს, როგორი სიხარული მოჰქონდა წითელიდგრიანიან მოზრდილ ყუთებს — პატეფონებს. ზაფხულში, საღამოობით, ყოველ ქუჩაზე, თითქმის ყოველი ვალეტული ფანჯრიდან პატეფონის მუსიკის მოსმოდა და რუმბას ტაქტი ძალაუწიებურად საცეკვაოდ განგაფიყობდა.

მოსალამურდა თუ არა, ტურბაზაში გაჯინდით.

მაშინ, თვითვე ჩვენგანს ერთი ჩაფართხუნებული შარვლისა და ერთი მოკლესახელობიანი წვრილანაქსოვი პერანგის მეტი არაფერი გვებადა.

მაგრამ ბედნიერების იმეამინდელ ჩვენს ვანცდას ამით ოდნავადაც არაფერი აკლდებოდა! ეს იყო დრო, როცა ხელმოკლეობა არც არვის უყვარდა და არც არავის ქენჭნიდა, განსაკუთრებით კი ჩვენ, ვარდისფერი ოცნებითა და სიხარულიანი მიზნებით ყელთამდე სავეს ახალგაზრდობას.

არ ვიცი, არის თუ არა ქვეყნად რაიმე, იმაზე უფრო სანატრელი და რომანტიკული, ვინემ ზავერდოვანი სამხრეთული ღამე, ვარსკვლავებმოოკვილი ცით და შავი ზღვისპირეთის განუმეორებელი სილბოთი, ქაშშირის შალივით სხეულზე თავისთავად რომ გებურვის და რაღაც განსაკუთრებული სიმშვიდით, კმაყოფილებით, ნეტარებით რომ გავცხებს...

სწორედ ასეთი საღამო იდგა მაშინ, როცა ჩვენ ტურბაზის გაჩირადღნებულ

საცეკვაო მოედანზე შევედგით ფეხში.

პატარა გორაკზე წამომდგარი ტურბაზა ზემოდან დასცქეროდა შავი ზღვის პაწია უბეს, მწვანე კონცხი რომ ქმნიდა.

მოედნიდან მთვარით განათებული ზღვა მოჩანდა. იგი მშვიდად თელემდა. ყვითლად მოკაშკაშე მთვარის სხივები ზღვაზე ზოლად დაფენილიყვნენ, უზარმაზარ ბილიკივით დასალიერისაკენ მიემართებოდნენ და თვალისმომპრელად ბზინავდნენ.

ირგვლივ შემოჭარულ მავნოლიებს მოედანი მწვანე ალყაში მოემწყვდით. ახლადმორწყული ყვავილების მათრობელა სურნელებას პაერი ერთიანად გაეყვინთა.

ზავერდოვან ღამით მუსიკაც თითქოს უფრო გრძნეული და გულში ჩამყვდომი ხდებდა; იმხანად მეტად პოპულარული სიმღერის „რიორიტას“ ხმებმა, რომელიც მოედნისკენ მიმავალ კიბეზე შემოგვესმა, მთლად დაგვცხაბა.

ხალხს უკვე მრავლად მოეყარა თავი. ირგვლივ მდგარ საზურგეებიან სკამებზე ცარიელ ადგილს ვერ იპოვიდი.

ჭგროთ მისულმა სტუდენტებმა ერთი შორეული კუთხე შევიგულეთ და იქ შევჭვუფდით. ცეკვები ჭერ არ დაწყებულაიყო. ერთ რომელიმე გამბედავ წვეილს უნდა გაეტეხა ნავსი და ცეკვა ისე ერთბაშად გახურდებოდა, როგორც ცეცხლზე გაფიცებული დოლი...

ამ დროს გაჩირადღნებულ მოედანზე ჭგუფად შემოვიდნენ კოხტად გამოწყობილი, ამოლტილი ქალები და მოდურკოსტუმებიანი მამაკაცები.

ახალმოსულთ თავისუფლად, მხიარულად ეპირათ თავი და დაურიდებლად იცინოდნენ. ერთი შეხედვით შეატყობდი, რომ ისინი ჩამოსული სტუმრები იყვნენ.

დამხვდურთა შორის ჩოჩქოლი ატყდა, ერთ-მეორეს მოსულთა ვინაობას ეკითხებოდნენ. ყველას ეწადა მათი ამბის შეტყობა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა.

ყველა რაღაც გაუბედობამ შებოჭა. ცეკვას აღარავინ იწყებდა.

ცოტა ხანიც და ჩურჩულ-ჩურჩულთ ვილიცამ დაადგინა, რომ ახალმოსულნი ლენინგრაძელი მსახიობები ყოფილან, თბილისის გასტროლების შემდეგ მწვანე კონცხზე დასასვენებლად ჩამოსული. ამ ამბავმა ყველა გაახალისა და არ გასულა წუთიც, რომ საცეკვაო მოედანი წყვილებით აივსო.

თავდავიწყებულმა ცეკვამ სულმოუთქმელად შთანთქა აღრინდელი გაუბედობა.

სტუმრები მეტად ხალისიანად და მონდომებით ცეკვავდნენ. მათი ქალების მზიარული კისკისი სასიხარულო განწყობილებას ზრდიდა და საცეკვაო ორომტრიალში გვითრევდა.

როცა ახალ გარემოს შევეჩვიეთ, ჩვენც უფრო მეტი დავკვირვებით დავუწყეთ მოსულებს თვალთვალი.

ერთბამად, თითქოს დიდხინის დაქარვული რაღაც ვიპოვეო, ისე შემომეფეთა, ცხელ აღმურად შემომნთო, ლამის დამაბრმავა ქერაკულულებიანი ქალის სახებამ, ისეთმა მომაჯადოებელმა, განუმეორებელმა და საბედისწეროდ ლამაზმა, რომ ყველაფერი დამავიწყა და მისი ცქერის მეტი აღარაფერი მინდოდა! მივხვდი, რომ ამიერიდან ჩემი გული ჩემი აღარ იყო...

რაც შემდეგ გადამხდა, თითქოს ყოველივე ბურანში ხდებოდა.

აღარაფრის გასაგისი არა მქონდა. მზერად ვიჭექე, სახეზე აღმური ამდიოდა, გული უჩვეულოდ მიცემდა.

ფოქსტროტი რომ დაუკრეს, გულაკანკალებული წამოვდექი და ისე ჭიქურად მივეპერი უცნობ მზეთუნახავს, რომ ჩემი საქციელი კარგად გააზრებული არცა მქონდა. ერთის მეშინოდა მხოლოდ: არავის დაესწრო და ჩემი ქალღმერთი არ გაეტაცნა.

როცა მასთან მივედი, ამზანავს ელაპარაკებოდა. მაგრამ მომლოდინე ქალის ფხიზელი გუმანით მაშინვე იგრძნო უცხოს მიახლოება, ჩამოშლილი კულულები თავის კოხტა გაქნევით მზრებს

უკან გადაიყარა და როგორღაც გვერდულად ამხედა.

აღბათ, ძალზე სასაცილო ვიყავი სახეაღწილი და შემკრთალი. თავი დავუქარი და გაუბედავად ვთხოვე, მეცეკვეთ-მეთქი.

უცებ როდი წამომდგარა. წამწამებით დაბინდული თავისი დიდრონი, ციმციმა თვალები შემომანათა, დინჯად შემათვალაიერა და წამით, რომელიც მე საუკუნედ მეჩვენა, თვალი თვალში გამიყარა.

შიშმა შემიბყრო. გავიფიქრე, ახლაკი უარს მეტყვის-მეთქი და საშინლად შემრცხვა. ასე მეგონა, რომ იმ წუთში ყველა ჩვენ გვიყურებდა. მერჩინა, მიწა გამსკდომოდა და ქვესკნელში ჩავეტანე...

მაგრამ მოხდა სასწაული!

როცა ის-ის იყო ბოდიში უნდა მომეხდა და სირცხვილნაჭამი უკან დავბრუნებულიყავი, ქალმა კეთილად გამიღიმა, თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დახარა, ნელა წამოდგა, კაბა ვაიწწორა, თავისი თეთრი ლამაზი მკლავი, ოდნავ მძიმე და ქალიშვილურად მოუქნელი, მხარზე დამადო და საოცრად მელერი სასიამოვნო ხმით მითხრა:

— გთხოვთ!

არასოდეს ისე არ გამჟირებია ცეკვა, როგორც იმჯერად.

ყველაზე მეტად იმან დამაბნია, რომ მხარზე ხელის დადებასთან ერთად ქერა ქალღმერთი ისე მქიდროდ ამეკრო თავისი მათრამებლა, თანმასავით მოქნილი სხეულით, როგორც ჯერ არავინ. ქართველ გოგონებთან ასე ახლოს არასოდეს მიცეკვია, ამიტომ საშინელ უხერხულობას ვგრძნობდი, წარამარა ფეხი მეშლებოდა, სხვა მოცეკვავეებს ვეჭახებოდი და მთვრალივით ეტორტმანებდი. ამ უხერხულობის გამო მრცხვენოდა, ხოლო უნებლიე სირცხვილი უარესად მბორკავდა. მისი ფაფუკი კულულები კი სახეზე მელამუნებოდნენ და თავგზას მიბნევდნენ...

როცა შუა წრეში შევედი, მან თავი უკან გადასწია, რომ უკეთ დავენა-

ხე, თავისი შუქიანი თვალები ღმობიერად მომანათა და დაყვავებით მითხრა:

— რატომა ხართ ასე დაძაბული? იცეკვო მშვიდად, აუღელეებლად, — წამის შემდეგ კი დაყოლა. — ეგება მე არ ვარ თქვენთვის კარგი პარტნიორი?..

— ოო, რას ბრძანებთ, — აღმომხდა მე. მინდოდა კიდეც რაღაც მეტყვა, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე. სიტყვა ველარ ამოვღერდე, კრიკა შეკრული მქონდა. ვგრძნობდი, რომ საფეთქლებთან ძარღვი მიცემდა. ასეთი რამ არასოდეს შემინიშნავს.

ამასობაში ცეკვაც შეწყდა და ჩემი პარტნიორი თავის ადგილამდე მივაკიოლე. მადლობა ვადავუხადე. მან პასუხის ნიშნად ხელი ხელზე ოდნავ მომიჭირა და თავისი ღვთაებრივი ღმილი კიდეც ერთხელ შემომაფრქვია.

როცა ჩვენებთან მივედი, მთვარეულს ვგავდი.

ბიჭები რაღაცას მილოცავდნენ, მხარზე ხელს მიტყაპუნებდნენ, მეკითხებოდნენ. მე კი გამოლენიებულივით ვიდექი და სულ იქით ვიყურებოდი. სადაც ჩემი ახალი ნაცნობი შეგულებოდა. ბოლოს, მახსოვს, ერთი ახმახი სტუდენტი-დიპლომანტი მომადგა, იმას ჩემს თავაკვად მოჰქონდა თავი. გამეგონა, რომ „გამოსული“ ბიჭი იყო და კარგი „დამრტყმელიც“.

— ყოჩაღ, კარგი გოგო დაითრიე... არ შეშინდე და არც მოეშვა... თუ ვინმემ რამე გაწყენინოს, იცოდე, ჩვენ შენთან ვართ, — მითხრა და უზარმაზარი ბეჭების რხევით გამშორდა.

დაუკრეს მეორეჯერ, მესამეჯერ... მერე კიდეც, კიდეც, მაგრამ მე წელი ველარ ავითრიე. ვერ იქნა და ვერ გავბედე ქერაქულულებიანთან მისვლა.

ყველანი ცეკვავდნენ. მე კი სარგადაყლაპულივით ვიდექი და ჩემი ახალი ნაცნობის გამოპატივებას ველარ ებუდავდი. ყოველი ცეკვის დაწყებისას სიტყვას ვაძღვედი ჩემს თავს, რომ დავძლევი სიმორცხვეს, მაგრამ დაუკრავდნენ თუ არა მორიგ საცეკვაოს,

ფეხები აღარ მემორჩილებოდა, „შელოცვილივით ადგილზე ვმდგებოდა“!

არც ის ცეკვავდა ჩემს მხართან, სიცილით რაღაცას უყვებოდა და დრო და დრო ჩემსკენ იხედებოდა. ერთი-ორჯერ მომეჩვენა, თითქოს ჩემზე ღაპარაკობდნენ.

მე კი თავს ვიწყველიდი, ისეთ დღეში ვიყავი, დანა რომ დაგეკრა, სისხლი არ წამომივიდოდა.

ბოლოს, როცა შევატყვე, რომ ყველა ვადა ამოიწურა და ყოველივე დაგვიანებულია, ვადავწყვიტე ჩემი სისუსტე ჩემსადე პრინციპად გამესაღებინა და თავი დავიშვიდე: „ერთხელ ხომ ვეცეკვე, მორჩა და გათავდა. ეგეც საკმარისია“. მაგრამ წარმოიდგინეთ, ასეთი „გადაწყვეტილებასაგან“ კიდეც უფრო მწყდებოდა გული.

სალამო მთავრდებოდა.

ჩემი ქალღმერთის გაცნობის იმედი უკვე გადამიწურა, ალბათ ამიტომ მწველი სინანული სუნთქვას მიშლიდა და ციებიანივით მაკანკალებდა.

... და მოხდა მეორე სასწაულიც! — როცა ტურბაზის კულტმუშაკმა ხმამალა გამოაცხადა — ეს უკანასკნელი ცეკვა იქნებაო, თანაც რამდენჯერმე ხმამალა დაიყვირა — „გამოსათხოვარი ტანგო“, და როცა რეპროდუქტორიდან მოისმა „ბარსელონის ლამპიონები“, — ჩემი ქალღმერთი სწრაფად წამოდგა, ისევე როგორც პირველად, კაბა მოხდენილად გაისწორა და... ჩემსკენ გამოეშურა...

თავში სისხლი ამივარდა. კინალამ დაეზარბაცდი, როცა საიღანაღაც, მეტად შორიდან მომესმა მისი ქრუანტელის მომგვრელი ხმა:

— მოდით ვიცეკვოთ, ეს ხომ დამშვიდობებისა!

მის ხმაში თავის თავში დარწმუნებული აღმოიჩინა და მორჩილების მოყვარული ქალის კოლო გამოკრთოდა. მის თხოვნასაც, მიუღ მის იერსაც რაღაც შეუვალობა მოსდგამდა.

ის ცეკვა არასოდეს დამავიწყდება... ჩემდა საბედნიეროდ, მოცეკვავეთა

მოთხოვნით მელოდია გაიმეორეს და ერთის მაგიერ ორი ცეკვა შეგვჩაჩა.

ორივენი ვჩქარობდით და ორიოდ წუთში მთელი ჩემი ბიოგრაფია მოვუყვები. ან რა ძნელი ეს იყო, ოცდაერთა წლის ბიჭს რა წარსული უნდა მქონოდა!..

ქალის წარსული კი უფრო რთული გამოდგა. ლიდა (ასე ერქვა ქერაკულულებიანს) ლენინგრადის დრამატული თეატრის მსახიობი აღმოჩნდა.

მამამისი, გამოჩენილი მეცნიერი-გეოლოგი, ომამდე ლენინგრადის უნივერსიტეტში ერთ-ერთ კათედრას განაგებდა. არც ის დამიბალა, რომ გათხოვილი ყოფილა, მაგრამ ქმარს, ცნობილ მხატვარს, მალევე დასცილებია, და მიუხედავად მხატვრის გაშვებული ცდები-სა, მას „ღარასოდეს დავებრუნდები“.

... მეორე დღეს აყვავებული მაგნოლიების ჩრდილქვეშ შევხვდით ერთმანეთს და ზღვაზე საბანაოდ წავედით. როცა კაბა გაიხადა და ცისფერზოლებათეთრი საბანაო კოსტუმის ამარა დარჩა, რეტი დამესხა. არაფერი უკეთესი არც მენახა და არც წარმომედგინა! ღმერთო, რჯული, ვერაკეთარი დიანა მას ვერ შეეღრებოდა!

მაგრამ, მასხოვს, ამის შეგნებამ კი არ გამახარა, — გამამწარა: მყისვე შიშის სახმილი წამეკიდა, მივხვდი, რომ აღრე თუ გვიან, მას რაღაც, ან ვიღაც წამართმევდა... ამის გაფიქრებაზე კი გული მიჩერდებოდა, სისხლი მეყინებოდა. პლაჟზე გამოსული ჩემი თანამოძმენი კი თავიანთი საცრისოდენა თვალებით მოურიდებლად ჰკრეტდნენ მას და ჩემ ბედს დაუფარავად შენატროდნენ.

იმავე საღამოს კვლავ შევხვდით ერთმანეთს, მერე კიდევ, კიდევ. მალე სათვალავიც ამერიო. იგი მოხიბლული იყო ქართული ბუნებით, ჩვენი ზღვისპირეთით და სახლში შესვლა აღარ უნდოდა. გვიანობამდე დავეხეტებოდით აღმადაღმა. ხან მახინჯაურში აღმოეჩნდებოდით, ხან ჩაქვში და ხანაც ციხის-

ძირში. მოჭადოებულეებით ვისხედით/ მთვარით განათებული ზღვისპირა ქვეყნის ნეტარებით გავსცქეროდით მთავარ მთაზე მოელვარე ღამეული ბათუმის ლამპიონების ციმციმს...

და დაიწყო ლაგამაწყვეტილი სიყვარულის გიჟური რბოლა. აღარაფერი მასხოვდა ლიდას მეტი! განუწყვეტლივ მესმოდა მისი ამღერებელი, ოდნავ დაგუდული ხმა, მუდამ თან მსდევდა მისი ვნებიანი სხეულის ჰკვიდან შემშლელი შეგარძნება... წუთსაც ვერ ვძლებდი უმისოდ, მე იგი სიცოცხლეს მერჩია...

დავარჩობდით თუ არა მარტონი, ხელს გადამხვევდა, თავს მხარზე ჩამომადებდა (ამ დროს მისი თმები სახეზე მეღამუნებოდა) და დაგუდული ხმით წამოიწყებდა:

Начинаются дни золотые
воронской и безумной любви,
ах, вы кони мои вороные,
воронье вы кони мои...

ლიდამ მაგრძნობინა არა მარტო გემო სიცოცხლისა, არამედ პოეზია სიყვარულისა, ძალა ტრფობისა, სიშმაგე მამაკაცი მიტანებისა, რომელიც ყველა ჯებირს არღვევს და ყველა ციხეს იღებს, თუ, რა თქმა უნდა, კაცი კაცობს. ლიდას წყალობითვე ჩავხვდი მძლეეთამძლეობას სიყვარულისას, რომელიც მანამდე მხოლოდ წიგნებში წამეკითხა და ჭერ არ განმეცადა.

ლიდამ მიმახვედრა იმ ქეშმარიტებასაც, რომ მამაკაცისათვის მთავარია გვერდით ჰყავდეს ლამაზი, სათნო ქალი. ყოველ მამაკაცს, სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ, მაგრამ თავის დროზე, რომ შესხედროდა ღირსეული ქალი, კაცობრიობა, სულ ცოტა, იმაზე ორჯერ უკეთესი მაინც იქნებოდა, რაც დღეს არის.

ახლა, როცა ყოველივეს როგორც წარსულს, ისე ვიგონებ, მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მაშინ დამათრო და დამიმორჩილა არა მარტო ტრფობის წმინდა გრძნობამ, არა მარტო ყალყზე შემდგარმა ლტოლვამ სქესისამ, არა

ზარტი მოულოდნელად მოვარდნილმა პოეზიამ სიყვარულისამ, არამედ ამაყმა შეგრძნებამ, რომ ლამაზი ქალის გული შენ გეკუთვნის. პირველი თოვლივით წმინდა გრძნობა სიყვარულისა ყოველ კაცურ კაცში სულიერ ამაღლებას, შინაგან დაბეჭვას, ზნეობრივ განწმენდას, გრძნობათა გამდიდრებას იწვევს. მაშინ იმაშიც დავრწმუნდი, რომ ბუნებაში ყველაზე ბედნიერი არსება ადამიანია, რადგან მხოლოდ მას ძალუძს სიყვარული, მაგრამ ყველაზე უბედურიც ისევე ადამიანია — ამავე სიყვარულისა მიზეზით.

მაგრამ ბედნიერება რის ბედნიერებაა, თუ მეტისმეტად გაიწელა და დაუსრულებელი გახდა!

თაკარა მზით დაფერილი, სიხარულით აღზნებული, გიჟური ვნებით ლაგამაწყვეტილი დღეებიც ერთბაშად შეწყდნენ.

სიცხიანი აგვისტოს ერთ მშვიდ საღამოს, პირველი შეხვედრიდან სამი კვირის შემდეგ, როცა ზღვაც ისევე თვლემდა, მაგნოლიებიც ისევე პყვაოდნენ და ზღვის პირეთის ნოტიო ბორიოსთან შეზავებული ყვავილთა სურნელებაც წინანდებურად გველამუნებოდა — მწვანე კონცხის პაწია ბაქანზე ლიდას ვაცილებდი.

კიდევ ერთი ჰემარიტება აღმოვაჩინე: დაშორების მოლოდინი ყველაზე ძნელი მოლოდინი ყოფილა.

მაგრამ ვის შესწევს ძალა ვარდუვალის თავიდან აცილებისა? და ჩვენც სრულიად ჩვეულებრივად დავემშვიდობებთ ერთმანეთს, ისე როგორც არ მოველოდი. იგი დიდხანს მიქნედა თავის ცისფერ ხილაბანდს, ხოლო მე დიდხანს მიყვებოდი მწვანეორონდეზიან მატარებელს, რომელიც თანდათან სვლას უმატებდა...

კვირა ისე არ გავიდოდა, რომ ლიდას წერილი არ მომსვლოდა.

გავხსნიდი თუ არა ვარდისფერსარჩულიან პაწია კონვერტს, ჩვეული სურნელი დამბნებდა, ოცნება ხელს დამრევდა და თვალწინ დამიდგებოდა

თაკარა მზით გაჩახახებული მწვანე კონცხის პლაეი, მთვლემარე ზღვა, ცისფერზოლიან საბანაო ვოსტუშში გამოკვართული ლიდა, ხილაბანდაკრული ოქროსფერი კელულებით, ქვებზე ფრთხილად რომ მოდიოდა და თან ერთმანეთზე მიდებული ორი ხელით მედუნხა რომ მოჰქონდა, ჩემს შესაშინებლად...

მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა სტიპენდია მანეთ-მანეთ დავაგროვე, ბიძის ნაფეშქაშარით შევავესე და ლენინგრადში წასვლა გადავწყვიტე. მომავალ ბედნიერებაზე უბრალო გაფიქრების დროსაც კი სუნთქვა მეკვროდა და გული ისეთ ბაგაბუვს მიწყებდა, გვერნება დოღს მუშტს უტყაპუნებენო.

მაგრამ ნათქვამისა არ იყოს, საწყალ კაცს ქვა აღმართშიც მიეწევავო, სწორედ იმ დროს ფინეთთან ომი დაიწყო და ამ ამბავმა ხანგრძლივი დროით გადადო ჩემი მგზავრობა.

გამოხდა ხანიც და ლიდას წერილები ერთბაშად შეწყდა. გვარიანი შუალედის შემდეგ, როგორც იქნა, მივიღე მისი ბარათი. ამ აგვისტოც წერილმა გული გამიფატრა. ეს იყო ჩემი პირველი სიმძიმილი და პირველი იმედგაცრუება. ლიდა მწერდა — გავთხოვდიო, გავთხოვდი ისე, რომ ეს თვით ჩემთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდაო. იგი ცოლად გაჰყვა სამხედრო ექიმს, ლენინგრადის სამედიცინო აკადემიის ორდინატორს, მასზე თხუთმეტი წლით უფროსს, მამამისის ყოფილ მოწაფეს, რომელსაც თურმე ლიდა ბავშვობისას მუზღებზე უჭდა და ეტიტინებოდა.

აი, მაშინ ჩემთვის გასაგები გახდა ტარიელის განცდაც, რამინის ველად გაჭრაც, ტრისტანის ტყვიილებიც, ფარხადის გასაჭირიც და მანონ ლესკოს ქალური ვერაგობაც. მაგრამ სიმძიმილი რის სიმძიმილია, რომ ბედნიერების მსგავსად მასაც დასასრული არა ჰქონდეს.

და მივიღე დღესა ერთსა წერილი, ვარდისფერსარჩულიანი...

იმედის სხივი ჩამისახა მან, თანაც არაჩვეულებრივი ძალით მომანდომა ყველაფრის მიტოვება, ყველაფრის მივიწყება და რაც შეიძლება ჩქარა ლენინგრადში ჩასვლა. ლიდა ქმარს გაყროდა, იგი ისევ მამის სახლს დაბრუნებოდა.

ცხრაასორმოცდაერთის ადრიანი გაზაფხული იდგა.

თბილისში ხეები კვირტებსა შლიდნენ. მთაწმინდას მომწვანო-მოყვითალო ფერი შეჰპარვოდა. მზე ღონიერად აცხუნებდა და გაზაფხულის სუნი ისეთი მათრობელა იყო, როგორც მხოლოდ თბილისში იცის.

რუსთაველის გამზირზე ოქროყანიდან ჩამოტანილ იებსა ჰყიდნენ.

სწორედ იმ ხანებში ინსტიტუტს ვამთავრებდი. ლენინგრადში წასვლა ზაფხულისათვის გადავდე.

ქვა ამჯერადაც აღმართში მომეწია... სწორედ მაშინ, როცა დიდი ხნის ნაოცნებარი უნდა შემესრულებინა, როცა ლენინგრადამდე რკინიგზის ბილეთიც კი უკვე ნაყიდი მქონდა, ზარბაზნებმა დაიქუხეს და ომი შეწყვირებით მოვარდა...

ივნისის ერთ კვირადღით, იმის მაგიერ, რომ ლენინგრადში მიმავალ მატარებელში ჩავმჯდარიყავი, სტადიონზე წავედი. იქ თბილისის „დინამო“ თამაშობდა. და თუმცა იმ დღეებში მხოლოდ ომზე იყო ლაპარაკი, მაგრამ პირველად ომი სტადიონზე ვიგრძენი... მუდამ ხალხით გაქედილი, იგი ამჯერად ცარიელი დამხვდა. აქა-იქ კანტი-კუნტად მსხდარ მკაყრებელთა მცირე ჯგუფებ; კიდევ უფრო ამკვეთრებდნენ ამ სიციარიელს.

ორიოდე დღის შემდეგ კი უმცროსი ლეიტენანტის ფორმა მეცვა და სართილერიო პოლკში ეანგიანი საურველით ფეხკავმა ცხენსა ვწმენდი...

მერე კი ვინ იცის, სად არ მათრიეს ძნელზე ძნელმა ფრონტულმა გზებმა, სანამ ომის დაწყებიდან ერთი წლის თავზე, ტიხვინის გზით, ვოლხოვის ფრონტზე არ მიმიყვანეს.

და აი, ვლგავარ ახლა ზამთრის ყინვით გადაჭირხილ სენიავერს ნარში, ლენინგრადთან სულ ახლოს, მაგრამ ლენინგრადში ვერ მოვხვედარილვარ: ჩვენსა და მას შორის ფაშისტური არმიები სოლად შეკრილან, შლისელბურგის ციხესთან მახრჩობელა გველსავით ავებდითი რკალი შეუკრავთ და ჩემგან ჭერაც უნახავი, მაგრამ საოცრად საყვარელი ქალაქი, სადაც ლიდა კავერინა მეგულებდა, ბლოკადის რკალში მოუქცევიათ.

აქამდე მშვიდად ვიყავი. ახლა კი კლიუტევას ნათქვამმა ძველი იარები გადამიხსნა, საშინლად ამატყვია და საგონებელში ჩამავდო.

გადაწყვიტე მეშვიდე ცალკეულ არმიის საველე ჰოსპიტალი მომეტენა და იქ ის კაცი... ლიდას ქმარი (ქმარი?) მომენახულებინა. შინდოდა ცოტა რამ მაინც გამეგო მისი ყოფილი (ყოფილი?) ცოლის შესახებ. ო, რა აუტანელი ყოფილა ფიქრი საყვარელ არსებაზე, როგორც ვილადის ცოლზე ან გინდაც ნაიოლარზე...

• • •

— უფროსო ლეიტენანტო, შენ რა, მას შემდეგ აქა დგახარ? გაყინვის მაინც არ გეშინიან, ნახე რა სუსხია!

ეს ჩემი კომისარია, სტუმრები გაუცილებია და მობრუნებაც მოუსწრია. იქვენულად მათვალეირებს. აბა, კომისარი რისი კომისარია, რომ ყველაფერს ცოტა იქვენულად არ უყურებდეს.

— პოლიტხელო, შენ მგონი პოლიტსამმართველოში მეგობრები უნდა გყავდეს. ისინი ხომ მთელ ჩვენს ფრონტს აღმა-დაღმა უვლიან, გამიგე ერთი შენს გახარებას, სადა დგას მეშვიდე არმიის საველე ჰოსპიტალი და როგორ, ან რამდენ დღეში მიადწევს იქამდე კაცი...

— რა ეშმაკად გინდა?

— ერთ ნაცობს დავეძებ...

— ერიპა! შენ მე ისეთი არტილერიისტი მეგონე, ზარბაზნისა და სროლის

მეტი რომ არაფერი ახსოვდა. შენ კი თურმე... უყურე ერთი ამას!..

მაგრამ გაგებით მაინც ვამბოვო.

ჩემი მომავალი მარშრუტი მეტად რთული გამოდგა: ჯერ უნდა ჩავსულიყავი თითქმის მიწასთან გასწორებულ პუტილოვოში, იქიდან ლადოცის ტბის პირას მყოფ ლავროვოში, მერე ტბის ნაპირით კაბონამდე შემგზავრა, რომლიდანაც იწყებოდა „სიცოცხლის ტრასა“ — ტბის ყინულზე გამავალი გზა, მაგრამ მე მოპირდაპირე მხრივ უნდა გამეხვია, ახალი ლადოცის ვავლით სიასტრონიში მივსულიყავი, საიდანაც ლადენიროვ პოლემდე მივალწედი. სავალე პოსპიტალი კი სწორედ ამ რაიონში იყო.

საერთო ანგარიშში, სულ რაღაც ორასორმოცდაათამდე კილომეტრი უნდა ვამეგლო, მაგრამ ამ მანძილის თითოეული მეტრი სიმწელით ასეულ კილომეტრს გადაწონდა.

პოლკის მეთაურს რომ ვეახელი, იგი გავარჯარებულ თუნუქის ღუმელთან იჯდა და მუხლებზე დაფენილ რუკას ჩასცქეროდა. როცა ჩემი თხოვნა მოვახსენე, გავფარვებისგან გრძლად დაუსტვინა და გაფართოვებული თვალებით შემომამჩერდა. მერე კედელზე გაკრულ ოპერატორულ რუკას დააცქერდა, დიდხანს ატარა სალოკო თითი და ბოლოს შემომიტია:

— ეგ იცი, სად არის? იქიდან ორში კი არა, ოთხ დღეშიაც ვერ მობრუნდები.

— მოგბრუნდები, — ჯიუტად დავუჩემე მე.

— რა გააკვირვებია. შე ოხერო, სად მიეთრევი, ან რას დაეძებ, თავი ზომ არ მოგძულებია? აქ რომ მოგვკლან, იტყვიან ფრონტზე დაიღუპაო. იქ რომ რამე დაგემართოს შენს ცოლს პენსიასაც არ დაუნიშნავენ, — და მან კიდევ ერთხელ დაუსტვინა.

იძულებული ვიყავი ეშმაკური შემოიარებით, მაგრამ, მაინც ვამეშხილა საიდუმლო. ვიცრუე, ცოლია-მეთქი იქ ჩემი და მინდა გავიგო რა დღეშია.

პოლკის მეთაურმა დიდხანს მიყურა, თან კბილს იჩიჩქნიდა და დრო და დრო მიწურის კუთხეში იატრუყებოდა, მერე თითქოს განაჩენი გამოაქვსო, თქვა:

— დიდი რომანისტები ხართ ეს ქართველები (ეტყობა, რომანტიკოსებს ვულისხმობდა), შეგჯერდებათ თავში რაღაცა და დაოთხილები მიჰქრით. თუ ქალები ვინდა, აქ კი არ არიან? აი, მეზობელ ტყეში მთელი მედსანბატი ღვას. საესეა იქაურობა ვოგოებით. რომელიც ვინდა აირჩიე... ოფიცერი არა ხარ, ისიც არტილერისტი... პაი, დედასა! — და პოლკის მეთაურმა მუხლებზე ხელი დაიბრტყა.

როგორც იქნა, მოეტეხე და მივლინების სანუკვარი ფურცლის მოცემამდე დავითანხმე.

ფრონტზე ჩამოვარდნილმა მყუდროებამ და დაზვერვის ცნობებმა, რომ ე. წ. „სისტ თავდაცემაზე“ გადასულ გერმანელები იერიშის განახლებას არ აპირებენ — ხელი შემეწყო. მეთაური აღვილად დაეყოლიე. მთავარი კი ის იყო, რომ ჩემი ბატარეა მთელს პოლკში საუკეთესოდ ითვლებოდა (მას სნაიპერულს უწოდებდნენ) და ამიგამო, სხვისთან შედარებით, პაწია შეღავათებით — ესარგებლობდი. ჩემს თხოვნასაც მეტი ვასავალი ჰქონდა.

იმავე საღამოს პოლკის შტაბში დამიბარეს. ჩემი ვინაობის თაობაზე იქ არავითარი საბუთი არ აღმოჩნდა. თვითონვე გავოცდი, მაგრამ ამაზე არც არასოდეს მიფიქრია. — მივდივდი ჩემს ბატარეას და ჩემი დოკუმენტები ჩემივე ზარბაზნები იყო.

სახელდახლოდ გამომაწერეს პირადობის მოწმობა. შიგ ჩემი გვარი, ნაწილი. თანამდებობა ჩაწერეს და მივლინების ბარათსა და პროდუქტების ატესტატთან ერთად გამომიწოდეს. თან სამი დღის სამყოფი სურსათი მომცეს და გამაფრთხილეს, — თუ სამ დღეში ვერ მოგასწრებდი მობრუნებას, შემდეგ ამ ატესტატით უნდა მიმეღო საკმელ-სასმელი.

— უფროსო ლეიტენანტი ხედურელი, ამ ქალღღებს სიცოცხლეზე მეტად გაუფრთხილდი, — მითხრა მომარაგების უფროსმა და მეც სასოებით ჩავიღე იგი გულის ჯიბეში.

დილაადრიან, ქარისკაცური ზურგჩანთით მხრებზე, ტყის გაღალმა მიმავალ სამხედრო გზაზე გავედი და „ხმის მიცემა“ დავიწყე (ასე უწოდებდნენ ფრონტზე გზად მიმავალ მანქანების გასაჩერებლად ხელის აწევას).

ვისაც ომის დროს რომელიმე ფრონტის ზურგში ან მით უმეტეს, ფრონტიდან ფრონტამდე უმოგზაურია, ვისაც სიცოცხლეჩამკვდარი ფრონტისპირა რაიონები მოუვლია, მხოლოდ იმან იცის, რა ჭოჭოხეთური იყო ეს მგზავრობა.

ხშირად ოცი-ოცდაათი კილომეტრის გავლას დღეზე მეტს ანდომებდა კაცი. ხან გამურული ორთქლმავლის ჭუჭყიან ტენდერში უნდა შემჭვრალიყავ, რათა დახერხილ შემაზე შემდგარს ორიოდ სადგური მაინც გაგველო, ხან კარებჩამოგლეჯილი სატვირთო ვაგონის კუთხეს შეეყუყუებოდი, რომ გამკრავ ქარს არ გაეთოშე, ხანაც ვზად მიმავალი ავტომანქანის ძარაში აბობლდებოდი და იქამდე ითმენდი საშინელ ქარაშოტს, სანამ ძალა გქონდა; მერე კი, როცა მეტი აღარ შეგეძლო, შოფერს შევედრებოდი — თუ ძმა ხარ, გამოიჩერე, თუ არ გადავედი, სული გამძვრებაო — და ფეხით აგრძელებდი დაუსრულებელ გზას.

ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანი მიდი-მოდიოდა დათოვლილი ფრონტული გზებით, რამდენს მობეჩენია სული ყელში, რამდენს ვაუფიქრია სასოწარკვეთილებით — ეს, ალბათ, ჩემი უკანასკნელი გზა არისო.

ასეთი წამებითა და გაუთავებელი კოტხე-კოტხვით მივალწიე მესამე დღის გარიცრავზე იმ საველე პოსპიტლას, სადაც ლიდას ყოფილი, თუ ამჟამინდელი ქმარი ანატოლი ბალაშოვი მუშაობდა.

როცა მთავარი გზიდან გადავუხვიე და იმ შენობებისკენ ავიღე გეზი, დი-

ლის ბინდ-ბუნდში რომე მჭყინდნენ, თბილ ქურჭში გამოწყობდნენ, ლეიტენანტის პაგონებიანი ინტენდანტი წამომეწია. როგორც ეს ფრონტისათვის იყო დამახასიათებელი, ერთმანეთს გამოუცნაურებლად გამოველაპარაკეთ. როცა შევიტყე, რომ ის იმ პოსპიტლიდან იყო, საითაც გეზი მექირა, ფრთხილად კვითხე, ბალაშოვს ხომ არ იცნობ-მეთქი.

თვალები ჭყიტა, როგორ თუ არ ვიცნობ, ჯერ ერთი ჩემი უფროსია, მეორეც, იმას ვინ არ იცნობს, მთელს ფრონტზე განთქმული ქირურგიაო.

არ ვიცი რატომ, მაგრამ არ მესიამოვნა ბალაშოვის ქება.

— ისე, მაინც რა კაცია? — გაუბედავად შევაპარე ინტენდანტს.

— ფენომენალური, — გულიანად წამოიყვარა მან.

— მაინც, მაინც...

ინტენდანტი შეჩერდა. ეტყობა არ იცოდა რითი დაეწყო თავისი შეძახილის დასაბუთება. აი, თქვენ, — მკითხა ბოლოს, — მოვისმენიათ, მაგალითად, რომელიმე საუკეთესო პიანისტი?

— მოვისმენია, — ვუბასუხე მე.

— კონკრეტულად ვინ, — არ მომეშვა ინტენდანტი.

— ობორინი, გლიერი, გოლდენეი-ზერი.

— აი, ახლა. წარმოიდგინეთ. რომ ბალაშოვი მაგათზე ნაკლები არ არის.

— რა, განა ბალაშოვი პიანისტია, — გულწრფელად ვაიოცე მე.

— ეგე, — დანანებით ჩაიქნია ხელი ინტენდანტმა, — მაკალეთ და ყველაფერს გაიგებთ. აი, თქვენ გინახავთ, მაგალითად, რომელიმე საუკეთესო თანამედროვე მხატვარი, თანამედროვე-მეთქი, — რეპინი და სურიკოვი არ მითხრათ — მრისხანედ გამაფრთხილა მან.

— მინახავს, — ბეჭით მოწაფესავით დავუმოწმე მე, რათა როგორმე მესიამოვნებინა, — კონჩალოვსკი, გერასი-მოვი...

— მოიცათ, მოიცათ, — დამანუა

სახე ინტენდანტი, — მაგათზე უკეთესი თუ არა, უარესი მხატვარი არ არის ბალაშოვი. მოგისმენიათ თუ არა საუკეთესო დეკლამატორი, — და პასუხით რომ სიტყვა არ გამეწყვეტინებინა, სასწრაფოდ დააყოლა — აი, ასეთი დეკლამატორია ბალაშოვი... ანდა გისაუბრიათ თუ არა თქვენ რომელიმე გამოჩენილ მეცნიერთან, უდიდეს სწავლულთან, — აი, ასეთია ბალაშოვი! გიკამათნიათ თუ არა ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდეს მცოდნეებთან? — აი, ასეთია ბალაშოვი!..

— ახლა კი მითხარით, ვაიგეთ თუ არა, ვინ არის ბალაშოვი?! — და ინტენდანი თვალეში ჩამაშტერდა.

— პოეტის თუ თამაშობს ბალაშოვი? — ვითომ სხვათა შორის ვკითხე მე.

— ოჰ, გენიალურად, — იყვირა ინტენდანი.

— თქვენ მისი პარტნიორი ხართ, არა?

— საიდან მიხვდით?! — გაიოცა მან.

— კარგი პოეტისტები ურთიერთით მუდამ აღტაცებული არიან.

შეცბა წარბებქვეშიდან გამომხედა. ვერ გაეგო, დავცინოდი თუ გულუბრყვილოდ ვეკითხებოდი. როცა მიხვდა, რომ არც ისეთი უტუ ლეიტენანტი ვიყავი, როგორც პირველად ეგონა, მაშინვე გაიფოფრა და სანამ ოდესღაც ყვირით შედგებოდა, ახლა კი მთლად გახუნებულ ორსართულიან სახლს არ მივუახლოვდით, ხმა არ ამოუღია.

— აი, იქ შეხვალთ, — მიმითითა მან შორეულ კარებზე — იქ ყველაფერს გეტყვიან. სამხედრო სალმის ნიშნად გაუწაფავი ზელი საფეთქელთან უხერხულად მიიტანა და გზა განაგრძო. გრძელი დერეფნას ორივე მხარეს რკინის საწოლები გაემწყობებინათ.

ზედ დაქრილები იწვნენ.

ზოგს თავი ჰქონდა თეთრი ხილაბანდით შეხვეული, ზოგისთვის თაბაშირში ჩასმული ხლი კისერზე ჩამოეკიდათ, ზოგსაც დაქრილი ფეხი საწოლის სა-

ზურგზე გაედო. იქვე შესავალთან სახეგაყვითლებულ მეომარსათვის კარი საბანი წაეხურათ. საწოლებს შორის თეთრხალათიანი მოწყალეების დები მიმოდიოდნენ.

შევედი თუ არა, დაქრილები სევდიანი თვალებით შემომამჩერდნენ. დავიბენი, არ მეგონა, რომ შესავალშივე მათ შევეჩხებოდი.

როცა ქეჩაყრული, ზამბარიანი კარები ბარტყუნით მიიხურა, ერთ-ერთი ტანსაცმე შედციინის და ჩემსკენ აჩქარებით წამოვიდა და გზა გადამიღობა.

— აქ შემოსვლა არ შეიძლება!

— უკვე რომ შემოვედი?

— როგორც შემოხვედით, ისე გაბრძანდებით.

— უსათუოდ გავალ, როცა ბალაშოვს ვინახებ... —

— მაიორი გნებავთ, — შემარიგებლად თქვა მან, — რა საქმეზე?

— პირადზე.

მედიცინის და ჯერ იტყვეულად დამაქტერდა, მერე მოკლედ მითხრა:

— წამომყევით, — თან დერეფნის მეორე ბოლოსაკენ წავიდა.

უკან გავყევი.

დერეფანში აუტანელი სუნი იდგა. ვერ გამეფრა რისი, მაგრამ მგონი ყველაფრის ერთად — ოფლისაც, ჩირქისაც და რალაც მყარალი წამლებისაც.

მარცხნივ რამდენიმე ღია კარს ჩავუარეთ. მოზრდილი ოთახები საწოლებით იყო სავსე და ზედ, ისევე როგორც დერეფანში, დაქრილები იწვნენ. საწოლები მეტისმეტად ახლო იდგნენ, რომ იტყვიან, ხელისგულისოდენა ცარიელი ადგილიც კი არსად იყო დარჩენილი. აქა-იქ ყავარჯნებით მოსიარულე და ლოგინებზე წამომჯდარ ჯარისკაცებსაც მოვკარი თვალი.

დერეფნის შუაში მედიცინის და შედგა, შეიცადა, რომ დავწყეოდი და ვიწრო კარით რალაც მოსაცდელის მაგვარ ოთახში გამიყვანა.

— აქ დაიცადეთ, — კუშტად მომიგდო მან, უზარმაზარი, ლიდერინაკრული კარები შიშნარევი სიფრთხილით

გამოალო და შიგ მორიდებით შევიდა.

არ გასულა ორიოდ წუთიც, რომ კიდევ უფრო შემცბარი სახით გამოვიდა და გაოცებით მკითხა:

— ვინა ბრძანდებით და რა საქმეზე ხართ?

— მეწინავე ხაზიდან ვარ. მაიორთან გადაუდებელი საქმე მაქვს.

მედიცინის დამ ისევე ფრთხილად გამოალო ვეება კარი და კვლავ გაუჩინარდა. ამჯერად უფრო დიდხანს დაპყო და როცა გამოვიდა, ისევე კუშტად როგორც პირველად, მითხრა:

— აი, მანდ დაჭეჭით და დაცადეთ. მაიორი ოპერაციასზეა. როცა განთავისუფლდება, თვითონ გინახულებთ.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ვეება კარები ფართოდ გაიღო და ორმა სანიტარმა ზეწარგადაფარებული საყაცე გამოიტანა. არ ვიცო, დაჭრილი მოჰყავდათ, თუ მიცვალებული მოჰქონდათ. საყაცე მოპირდაპირე კარებში გაიტანეს და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტ უზერხულობას განვიციდიდი. ეს გრძნობა განსაკუთრებით მას შემდეგ აღმეძრა, როცა პოსპიტალს მიეუახლოვდი. თითქოს რალაცის მრცხვენოდა, მერიდებოდა, „მართლაც, რასა ჰგავს, — ვფიქრობთ გუნებაში, — ახლა, როცა ქვეყანა ასეთ დღეშია, მე აქეთ-იქით დავწაწალებ და ყოფილ სატრფოს დავებებ. კაცს ოპერაციასაც არ ვაცლი, მერე ვის — თვითონ ქმარს. დიახ, მე, ვილაც უცხო კაცმა ქმრისაგან მისი ცოლის ამბავი მინდა გავიგო...

ერთხანს გავიფიქრე — ახლავე გავალ აქედან და ლიდას ადგილსამყოფელს სხვა გზით შევიტყობ-მეთქი.

ამ კოჰმანში რომ ვიყავი, ის ვეება კარები უხმაუროდ გაიღო და ზღურბლზე მალალი, წარმოსადეგი მამაკაცი გამოჩნდა. მას თეთრი ხალათი ეცვა და თავზეც თეთრი საექიმო ქუდი ეხურა. დინჯი, დალაღული ნაბიჯით გამოემართა ჩემსკენ და პირისპირ გამიჩერდა.

რამდენიმე წამი უსიტყვოდ ვათვალიერებდით ერთმანეთს.

ჩემს წინაშე იდგა ბრგველი ლამაზი მამაკაცი, ქვეიანური გაფრთხილებული და ინტელიგენტური სახით. მისი დიდრონი ჭროლა თვალები რალაც ჩამქრალი, სევდიანი და მოღლილი მეჩვენა. უძილობისაგან შესიებული ქუთუთოები, უპეებთან ჩალურჯებული რკალები აშკარად მეტყველებდნენ მის უღმერთო გადაღლილობაზე. მიუხედავად ამისა, ორმოცდაათ წელს ვადაცილებულ ამ კაცს, მის გაშლილ მხარბეჭს, რალაც არწივისებური იერი დაპკრავდა. გუნებაში მაშინვე დავეტოლე. ჩემი რაყიფი ჩემზე ბევრად წარმოსადეგი ჩანდა. მე მას მხრებამდე ძლივს ვწვდებოდი.

ის კი, ეტყობა, მე მათვლიერებდა, და მგონი აშკარა ცნობისმოყვარეობითაც.

მერე იქვე მდგარ გრძელ სავარძელზე მიმითითა და დაბალი, სასიამოვნო ბარიტონით წარმოთქვა:

— რით შემიძლიან გემსახუროთ? — თან მიტკლის ქუდი მოიხადა და ამის მერე კიდევ უფრო ლამაზი გამოჩნდა. ოდნავ ჭალარამერთული მუქწაბლისფერი თმა, ტალღებად უკანგადავარცხნილი, თავზე ფაფარიფით ეყარა. გამიკვირდა, რომ ცხვირი ქართველიფით ოდნავ კეხიანი ჰქონდა. მისი თეთრი ხალათი სისხლით იყო დასვრილი, ლაქები სულ ახალი ჩანდა.

როცა თეთრი ხალათის ღილები შეიხსნა და თითქოს დასცხაო, მისი კალთები აქეთ-იქით გადაიყარა, დაეინახე, რომ ინგლისური მათდის ჩინებული ხალათ-შარვალი ეცვა. ფეხთ ფეტრის თეთრი „ბურკები“ ემოსა, სწორედ ისეთი, მალალი თანამდებობის გენერლები რომ ატარებდნენ. ჩანდა, რომ კოჰნიობა უყვარდა და თავის დროზე, ალბათ, თავსაც კარგათ უვლიდა. ახლა კი, ეტყობა ამისათვის აღარ ეცალა. და მაინც ჩემთან შედარებით იგი ინგლისელ დენდის ჰგავდა... ძალაუნებურად დავიხედე ჩამავებულ-გაქუჰყიანებულ ქურჭზე, ქეჩის ვეებერთელა ჩაფართხუნებულ ჩექმებზე („ვალენკებს“ რომ

უწოდებენ), კვირისთავებთან დალაქავებულ შარვალზე, მაგრამ ყოველივე ამის გამო როდი შემრცხვა; მე ისეთი ვიყავი, როგორც ყველა იყო. ეს კი საოცრად დამამშვიდებელი და გამამზნევებელი შეგრძნებაა, თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, როცა იგი შენს სასარგებლოდ არ მეტყველებს.

უკანასკნელ წაშში მტკიცედ გადავწყვიტე, არ გამემხილა ჩემი ვინაობა და არც ის შეკითხვა, რის გულისთვისაც ამდენი კილომეტრი გამოვიარე.

— მე, მეზობელი ნაწილიდან ვარ. ერთი ჩემი მეგობრის კვალს ვეძებ, თუ სწორად მითხრეს, მას თურმე თქვენ მკურნალობდით...

— რა გვარია ის თქვენი მეგობარი?

მე რალაც გვარი დავუსახელე.

ბალაშოვმა დიღხანს მიყურა, მერე უფრო ღრმად ჩაჯდა სავარძელში და წარმოთქვა სიტყვები, რომელთაც ერთბაშად მომწყვიტეს წელი, სიტყვებით დამწყვეს:

— პატივცემულო ხვედურელო, თქვენ მართალი კაცი უნდა იყოთ, რაში დაგპირდათ ეგ ტყუილი?

— იცით რა, ამხანაგო მაიორო...

— ანატოლი არკადიჩ, — შემისწორა მან.

— ანატოლი არკადიჩ, მაპატიეთ თუ შეგიძლიათ, მაპატიეთ, თუ რაიმე ტკივილს მოგაყენებთ, მაგრამ მე ლიდას ვეძებ... მითხარით რა იცით მის შესახებ, გთხოვთ ნურაფერს ნუ დამიმალავთ... ეს მარტო ჩემთვის როდი მინდა, მერწმუნეთ ჩემი განზრახვა წმინდაზე წმინდაა, — ჩემივე ხმა საიდანლაც, მეტად შორიდან მესმოდა, არც სიტყვებზე მიფიქრია, ისინი თავისთავად ამოდრიოდნენ გამშრალ-ჩაშაშრული ყელიდან.

— აი, რა ვითხრათ, — დაიწყო ბალაშოვმა, — იყო დრო, როცა სასტიკად მძულდით... მძულდით მას შემდეგ, რაც მე და ლიდა პირველად სწორედ თქვენი გულისათვის წავეჩხუბეთ ერთმანეთს... ეს იყო ჩვენი პირველი დაუბრება. ალბათ ეს თქვენთვის გასაგებია

იცნება — ჩამოვხსენი თქვენი სურათი, რომელიც ლიდას საწოლთან ეჭადა... თუმცა... არა, მე რალაც სხვა უნდა მეტქვა... ღმერთო, მომაგონე... პო... ის, რომ ახლა ანგარიშის სწორების დრო არ არის. საჭიროა ვუშველოდ ლიდას...

— სად არის? როგორ არის? — ველარ მოვითმინე მე.

— ლენინგრადში უნდა იყოს...

— როგორ, ვანა ამის მეტი არაფერი იცით? — ხიშტივით ვაძგერე კითხვა.

— სამწუხაროდ, არა. ჩვენ ჯერ კიდევ ომამდე გაიყარეთ. ბევრი ვეცადე, მაგრამ... თქვენ ალბათ იცით მისი ჯიუტი ხასიათი... როცა ომი დაიწყო, ვინახულე — შერიგება ვთხოვე. უარით გამომიხტუმრია... მერე, ფრონტზე, მომიხდა გამგზავრება. ლიდა კი ლენინგრადში დარჩა; შიმშილობა რომ დაიწყო, ორანიებნაუშთან ვიდექი. „მცირე მიწაზე“, და საშველად ხელი არ მიმიწვდებოდა, ორმოცდაერთის დამლევს, გახურებული შიმშილობის დროს, ორი-ოდეჯერ მოვახერხე პაწია ამანათის ვაგზავნა, ნაცნობი ექიმის ხელით, მაგრამ ლიდამ არ მიიღო იგი და გაუხსნელად უკან დამიბრუნა... დრო და დრო მის ამბავს ვგებულობდი. მშობლები შიმშილით დაეხოცნენ. სახლი ფაშისტებმა დაუბომბეს და ყველაფერი დაეღუპა. თვითონ კი უშვილო მაშინვე შეიკვდლა. ჩაიწერეთ მისი მისამართი: საბჭოს მეოთხე ქუჩა, სახლი № 21, ბინა 16. აი, მოკლედ ყველაფერი, რაც შემიძლია ვითხრათ... მაგრამ ერთი რამ მეც უნდა შეგეკითხოთ...

ბალაშოვის მონაყოლმა ბალდამი გადაამსხა გულზე. თითქოს მესმოდა და არც მესმოდა მისი ნალაპარაკევი. ბოლოს, როცა კვლავ გაიმეორა, რალაც მინდა გკითხოვო, მხოლოდ მაშინ მოვეგე გონს და ვუთხარი — ბრძანეთ-მეთქი.

— აქ როგორ მომაგენით? — ჩაშტერებით მკითხა.

— თქვენმა პირველმა ცოლმა მომასწავლა.

— იცით, ჩემი ცხოვრება ისე წარი-
მართა, რომ ბარე ხუთი ქალი მიმტო-
ყეს, შენი პირველი ცოლი მე ვიყა-
ვიო, ამიტომ...

— ირინა კლიუევამ, დამსახურებუ-
ლმა არტისტმა...

— ყველაფერი გასაგებია, — წამოე-
რი ღუმელის შემდეგ თქვა მაიორმა და
წამოდგა. მეც წამოვდექი. კვლავ პი-
რისპირ ვიდექით და ერთმანეთს ვჭერე-
ტდით, მაგრამ ამჯერად ყოველგვარი
მტრული გრძნობის გარეშე, ასეთი რა-
მაც ხდება თურმე...

— გისურვებთ წარმატებას, — ქუს-
ლები შიბაყუნა ბალაშოვმა.

— მეც. — ვუთხარი გულწრფელად.
ისე ღაღაღადებდა, რომ ერთმა-
ნეთისათვის ხელი არ გაგვიწოდებია.
იგი ეძებდა კარებში გაუჩინარდა, მე კი
ისევ იმ დერეფანს მივაშურე და წამის
შემდეგ დიდი, გაზომილი ნაბიჯებით
ნაცნობ გზას დავადექი.

გათენებულიყო.

თოვდა.

დრო და დრო ქარი წამოუქროლებ-
და, ფეკილივით მშრალი თოვლის ოკრ-
ლის სახეში შემომაყრია და ქარ-
ბორბალსავეით დატრიალდებოდა.

მოვლიდი და არ ვიცოდი რატომ,
იმეღის სხივი ნათელ სვეტად მედგა
გულში.

მივდი თუ არა ბატარეაში, წამიც
არ დამიხანებია, კომისარი დავიმარტო-
ხელე, ყოველივე ვეამბე და შემწეობა
ვთხოვე. ამის შემდეგ არა ერთი დამე
გაგვიტეხია გვიანობამდე საუბრით:
ყველა შესაძლებლობები გადავსინ-
ჯეთ. ყველა ვარიანტებზე ვიმსჯელებთ,
მაგრამ ჩემი ლენინგრადში გამგზავრე-
ბის გეგმა ვერა და ვერ დავაწყეთ. ყო-
ველივე ამოი ჩანდა — ბლოკადით შე-
კრულ ქალაქში არავინ გამიშვებდა.
ამის თხოვნა უაზრობა იყო, ამაზე
ფიქრი კი, მხოლოდ ოცნება.

და აი, ერთ დღეს, როცა ბატარეის
ყოფილი კომისარი (ამ დროისათვის,
სამხედრო რეფორმის შესაბამისად, კო-
მისარები პოლიტდარგში მეთაურთა მო-

ადგილებად აქციეს) საინსტრუქციო
შეკრებიდან დაბრუნდა, უზომოდ გაწა-
რებულმა ერთი დიდად სახუგეშო ამ-
ბავი მაცნობა:

— კომბატ, — მომმართა მან, —
ჩვენი ზურგის პოლიტბელმა მითხრა,
რომ ამ დღეებში რამდენიმე შოფერს
ლენინგრადში გზავნიან, ვაზით მოსი-
არულე მანქანების მისაღებად. ასეთ
მანქანებს ჯერჯერობით მართო ლე-
ნინგრადში აკეთებენ. რალაც ძალიან
კარგი გამოვონება ყოფილა, ქვაბი ჰქო-
ნია გვერდზე მიმაგრებული, იმ ქვაბში
მოკლე-მოკლედ დაკრილ შემას ჩაყ-
რი და ჰაიდა, წადი სადაც გინდა, არც
ბენზინი უნდა, არც ნავთი, თავისით მი-
დის, პირდაპირ სასწაულია!.. ხოლდა, ამ
შოფერებს ორიოდე ოფიცერსაც გააყო-
ლებენ, წარმოიდგინე, რა ზორბად მოე-
წყობა შენი საქმე, რომ იმ ოფიცერთა
შორის შენც აღმოჩნდე?

იმის უბრალო წარმოდგენისაგანაც
კი, რომ ჩემი საქმე შეიძლება მართლაც
ასე ზორბად მოწყობილიყო — სუნთქ-
ვა შემიკრა...

დიდხნის ღრიტინისა და, ხეიწნა-
მუღარის შემდეგ მე მართლაც შემო-
ყვანიეს იმ ჯგუფში. რომელიც ლენინ-
გრადში უნდა გამგზავრებულყო გა-
ზით მოსიარულე ავტომანქანების მისა-
ღებად. ჯგუფი შედგებოდა ოთხი გა-
მოცდილი შოფერისაგან, სატრანსპორ-
ტო ოცელულის მეთაურისა და პოლკის
ტექნიკური მომარაგების უფროსისაგან.
ეს უკანასკნელი ჯგუფის ხელმძღვანე-
ლი იყო. ამ ჯგუფს მეც მიმაერთეს. აშ-
კარად უფრო ხათრით, ვიდრე საჭირო-
ების გამო.

ჩვეულებრივი სატვირთო მანქანის
ძარა თუნუქით იყო გადახურული,
გვერდები კი დიქტისა ჰქონდა. გვერ-
დებზე ორი პაწია ფანჯარა იყო დატანე-
ბული, საიდანაც უმოწყალოდ უბერაფ-
და, განსაკუთრებით, თუ ქარი გვერდუ-
ლად გვემდებოდა. უკან, ბორტის მხარეს,
ვიწრო კარი შეეხებოდა. ამ პაწია კოლოფ-
ში, თუნუქის პაწია ღუმელი იდგა,
აქეთ-იქიდან ძელსკამები გაემართა,

ომის წლებში სახელდახლოდ გადახურული ასეთი სატვირთო მანქანები ბევრზე ბევრი დარბოდა ფრონტულ გზებზე.

ამგვარი მანქანით მგზავრობისას, ყოველ შემთხვევაში, მთლად მაინც არ გაიყინებოდი, მაშინ, როცა გადაუხურავი ძარით შორს სიარული სასიკვდილო საფრთხეს ჰქმნიდა. შესაძლოა, ისე გაყინულიყავი, ვერც გაგვეგო. ასეთ „ლიმუზინში“ რვა კაცამდე თავისუფლად ეტეოდა. თუ გზაზე ვაჩერებდა, ან ღამის გათევა მოგიხდებოდა, წინასწარ მომზადებული შემთხვევით ლუმელს გაახურებდი, სულს მოითქვამდი და ჩაისათვის წყალს აიღულებდი.

ღლით გასულები, დაბინდებისას ლადოგის ტბის პირას მდებარე სოფელ კაბონაში აღმოვჩნდი. იქამდე საკმაოდ მშვიდობიანად ვიარეთ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ლადოგასთან მიახლოვებისას „მესერშიტმა“ წამოგვიქროლა და ტყვიამფრქვევის გრძელი ჭერი დაგვაცარა. ტყვიებმა გზა კავივით აჩეჩეს, მაგრამ ჩვენს ახუხულავებულ „გაზიკს“ არც ერთი არ მოხვედრია. მანქანა მაშინვე გადაჩერეთ, ვადმოვეცივდით, გზატკეცილის ორივე მხარეს, თხრილში ჩავწყეთ. გერმანელი პილოტი ჯიბრიანი კაცი გამოდგა. მან წრე დაატყა და გზაზე ობლად მდგარ ჩვენს მანქანას მეორედ დაუშინა ტყვიათა ჭერი.

შეფერულძარბიანი მანქანა ამჯერადაც სასწაულად გადაჩრა! პილოტმა იფიქრა, მაგათ აღარ გააციებსო და, როგორც იქნა, მოგვეშვა. როცა „მესერშიტის“ გუგუნი მიწწნარდა, ტანსაცმელი დავიბერტყეთ, ჩვენს იღბლიან სატვირთოს მივაშურეთ და დაბინდებისას კაბონაში ვიყავით.

„სიციცილის გზაზე“, რომელიც ბლოკადის მარწუხებში მოქცეულ ლენინგრადს გარე სამყაროსთან აკავშირებდა, მანამდეც ბევრი მსმენია.

ეს იყო ლადოგის ტბის გაყინულ ზედაპირზე გამავალი გზა.

ტბის ყინული ზამთრობით ისეთი

სქელი იყო, რომ მასზე უშიშრად დადიოდნენ მოზრდილი სატვირთო ვეტიმანქანები. მაგრამ საკმაოდ იყო მეტრის თვითმფრინავებს ყუმბარები ჩამოვედოთ, რომ ყინული შეუსასავეთ იმხვერვოდა და გზად მიმავალი მანქანები თვალის დახამხამებზე წყალში იძირებოდნენ. ვინ იცის, რამდენი ასეთი მანქანა ჩაუნთქავს ცივისა და ღრმა ლადოგას.

თუ რომელიმე მონაკვეთზე ყინული დაზიანდებოდა, გზის მოდარაჯე ჭკუფები ტრასას რამდენიმე კილომეტრით განზე გადაიტანდნენ ხოლმე და მიმოსვლა შეუფერხებლად გრძელდებოდა. ამიტომ ტრასა ხან ზევით იწვევებოდა, ხან ქვევით, მას „მოაბულ გზას“ უწოდებდნენ.

რალაც ფარული მღელვარებით მოველოდი გზის ნახვას, რომელზედაც ამდენი მსმენოდა.

ლადოგასთან მიახლოვება მხოლოდ იმით შევიცანი, რომ ბორცვებიანი, გორაკებიანი მიდამო უფრო ტრიალი გახდა და ჩვენს წინ ხელისგულივით გადასწორებული სიერცე გადაიშალა. ეს გაყინული ტბა იყო.

გზის დასაწყისში ორი ქოზი იდგა. იქვე პრელ შლაგბაუმს გზა გადაეკეტა. მორიგე სერჟანტმა საბუთები გაგვისინჯა, შოფერს საგზაო ფურცელი შეუმოწმა და გზა მშვიდობისა გვისურვა.

ბედად, შოფერთან ჯდომა რიგით მე მომიწია. თვალმოუცილებლად ვათვალიერებდი ჩემს წინ გადაშლილ ტრიალ მინდორს და არა მჯეროდა, რომ წყლის ზედაპირზე ვიმყოფებოდით, რომ ცივი სტიქიონისაგან სულ რალაც ერთ მეტრამდე მანძილი გვაშორებდა. ერთი მეტრი მსხვერველი ყინული...

გზას, ორივე მხრივ, თოვლის ყრილი მიუყვებოდა. ეტყობა, საწმენდი მანქანების მიერ გადახვეტილი თოვლი გაწოწოლილებულ ზვინებად ქცეულიყო. მათში ოცდაათიოდე მეტრის დაშორებით ნაძვის ტოტები ჩაერგოთ, რათა შოფერებს გზა არ აჩეოდით.

ჩვენი მანქანა თანაბარი ზუზუნით

მიამობდა ცივ ჰაერს და ყოველი წუთი ლენინგრადს გვახლოვებდა. ერთი-ორ-ჯერ გზის მომწესრიგებლებმა შეგვაჩერეს, მაგრამ დიდხანს არ დავუყოვნებინარათ.

საღამოვდებოდა, როცა ყინულოვანი ტრასა გავლიეთ და ისეთივე ქრელი შლაგბაუმით, დასაწყისში რომ დაგვხვდა, მიწაზე გავედით. ცოტაც და ჩვენს წინ, ნისლიან შორეთში უზარმაზარი შენობები აღიმართნენ. დიდხანს ფრონტზე მყოფ ადამიანს ისინი განსაკუთრებით ვეებერთელა მოეჩვენებოდა.

ეს უკვე ლენინგრადი იყო! შემშლილთ განაწამები, მტრის ყუმბარებითა და ჭურვებით დაჭრილ-დასახინჩრებული, მაგრამ მაინც დღემორჩილებული და ამჟამად მდგარი ლენინგრადი!

მისი შემხედვარე მღელვარებას ვერაფერს დაიოკებდა, მით უმეტეს ის, ვისი საომარი ბედიც ამ საოცარ ქალაქთან იყო დაკავშირებული. მე კი მასთან მარტო ეს როდი მაკავშირებდა: მე შევიყვარე იგი ჯერ კიდევ მაშინ, როცა თაყარა მზით გაჩახჩახებულ მწვანე კონცხზე მისი ასული გავიცანი.

და აი, ომის მძიმე გზებმა, გამოუცნობმა და წინასწარ განუჭვრეტელმა, როგორც იქნა მიმიყვანეს იქ, სად მოხვედრაც მთელი ეს მძიმე წლები ოცნებად მქონდა გადაქცეული...

ჩვენი მანქანა ქალაქის ფილაქანზე რომ აჯაყაყადა, უკვე დაბინდებული იყო. მე ჯერაც განუცდელი მღელვარებით ვათვლიერებდი ლეგენდარული ქალაქის ვეება სახლებს. მინებჩამტვრეულსა და შავად შემურულს; ყოველივე ეს სიბნელეში განსაკუთრებით ცივი და გულმიუსვლეელი მეჩვენა. ჩემში მათ რაღაც ობლობის, სიმწარის გრძნობა აღძრეს და სევდიან განწყობილებაზე დამაყენეს.

ქალაქი სრულ სიბნელეს მოეცვა. ამ უკუნეთში ერთი პაწია სანთლის ოდენა შეუქც კი არსაიდან გამოკრთოდა. ხედვა ჭირდა, მაგრამ მე მაინც „ვგრძნობდი“ ჩამტვრეულ ფანჯრებსა

და დაგმანულ დარბაზებს, უკაცურ ბინებს, ქერჩამონგრეულ სახლებს, მტრის ყუმბარებით გაჩენილ ნასახლარებს. ირგვლივ აუარებელი თოვლი იდო. განიერი ქუჩაც თოვლითაა სავეს, ყველგან თოვლის გაუთავებელი ზეინებია და მხოლოდ ერთი ვიწრო დერეფანიღაა დარჩენილი. ჩვენი მანქანა ამ ვიწრო დერეფანში, როგორც გვირახბში, ისე მიიკვლევს გზას.

ძარაში მყოფთ კაბინის ზურგზე ღონივრად დააბრახუნეს, შოფერმა მყისვე დამუხრუქა მანქანა.

— მოვედით, — შემოგვძახა ტექმომარაგების უფროსმა კაპიტანმა კუსტოდიევმა და ბნელი გამოქვამულივით პირქუშ საღარბოსოსაკენ გაგვიძღვა. დიდხანს ავდიოდით ხელის ფათურითა და ჩექმების ჩლახუნით საოცრად ბნელ კიბეზე და საფეხურებზე ფეხის ბაგუნი ყრუ ეჭოს გამოსცემდა.

როგორც იქნა, კარებს მივადექით. კუსტოდიევმა ვასალები ააჩხარუნა. ვიწრო ტალანით დიდსა და ცარიელ ოთახში შევედით, რომელშიაც ისე ციოდა, როგორც გარეთ. მე არც კი ვიცოდი, რომ კუსტოდიევი ლენინგრადელი იყო.

— ისე იყავით, როგორც საკუთარ სახლში, მაგრამ ღმერთმა აშოროს თქვენს სახლს ის ბედი, რაც ამას შეხვდა...

— მარატ! — მიუბრუნდა იგი ერთ-ერთ შოფერს, — აბა, დანთე ის შენი სამეფო კანდელაბრი!

„სამეფო კანდელაბრი“ მცირე კალიბრიანი ქვემეხის ვაზნა გამოდგა, თოკი პატრუქითა და შიგ ჩახსმული ნავთით. როცა მარატმა ჭრაქი აანთო, კედლებზე ჩვენი ვეებერთელა ჩრდილები გამოისახა. ოთახი თითქმის ცარიელი იყო. შუაგულში პატარა ერთფეხიანი მაგიდა იდგა, კედელთან კი რკინის განიერი ლოგინი. არც ერთი სკამი არა ჩანდა, ალბათ შეშად ეხმარათ.

— მეუღლე, თავის ქარხანასთან ერთად, ევაკუაციაში იმყოფება. ბავშვები საბავშვო ბაღმა წაასხა რიბინსკში. ჩემ-

მა მოხუცებმა კი აი, ამ ლოგინზე დალიეს სული, შიმშილით დაიხოცნენ, — თითქოს ბოდის ისდისო, ისე გვითხრა კუსტოდიევმა.

სატრანსპორტო ოცეულის მეთაურმა, ხანში შესულმა უმცროსმა ლეიტენანტმა გორბუნოვმა პაწია მავიდაზე თხლად დაჭრილი პური და ლორის ნაჭრები დააღაგა და გაუბედავად დააყოლა — ცოტა წაიხეხსოთო. მე და კუსტოდიევმა ჩვენი ულუფაც წავამატეთ და როცა სული მოვიტყვიეთ, ქურჭების საყელოები ავიწიეთ, ქუდები ჩამოვიფხატეთ, ხელთათმანები წამოვიციეთ და ფანჯრიდან შორეულ კუთხეში პირდაპირ იატაკზე მივეყარეთ, თან შევეცადეთ, რომ ერთმანეთისათვის ზურგი მიგვედო — ასე ნაკლებად შეგვცივდებოდა.

დილით სხვებზე ადრე გამეღვიძა. ორგლივ მიმოვიხედე, ჩემს შეგობრებს კიდევ ეძინათ.

დანორტყებულ კედლებზე გაკრული რალაც გაურკვეველი ფერის ქალღიძის ჩამოთხლებილიყო და კედელს ძონქებად ეკიდა. ოდესღაც წითლად შეღებილ იატაკს ფერი გადასვლოდა და გრძელი ფიცრები ახლა თეთრად მოჩანდა. მტვერი და სიბინძურე მეფობდა ყველგან. რკინის საწოლს არაფერი ეფარა, მას მხოლოდ გარდიგარდმო გადებული რკინის შავი ღეროებიღა შერჩენოდა. ფანჯარაში ორად ორი შეშა იყო მთელი, ისიც ალბათ იმიტომ, რომ ზედ ქალღიძის ვერც ზოლები დაეწებებინათ. დანარჩენი მინების მაგიერობას ზედ გაკრული სქელი ჭვალო ასრულებდა.

დილით რომ წამოვდექით, ასე მეგონა ხელფეხი ჩემი აღარ არის-მეთქი, სხეული სულერთიანად გახევებული მქონდა. წაფიხმსეთ თუ არა, მე და კუსტოდიევი „სალაშქროდ“ გავემზადეთ. იგი ნევის პროსპექტის დასაწყისში, ფრონტის შტაბში უნდა მისულიყო, გამოყოფილი ავტომანქანების საბუთების მისაღებად, მე კი ჩემი „ოდისეა“ მომელოდა.

კუსტოდიევს ყრუდ გაგონილი ჰქონდა, რომ ვილაც მახლბუნუს ნეჭებში. მისამართი ვკითხე თუ არა, მისმა კვალზე დამაყენა.

— საბჭოს ქუჩები ერთმანეთს მისდევენ. მეოთხე ცოტა ზემოთ იქნება. ჩვენგან, ლოგოვკიდან, ეგ სულ ახლოსაა: მოსკოვის ვაგზლიდან მარჯვნივ გაუხვევ და ნევის ძველი პროსპექტიდან ზევით აუყვებო... —

მოსკოვის ვაგზალთან ერთმანეთს დავცილდით. დავთქვი, რომ სალამოსათვის მის ბინაზევე შევიკრიბებოდით. კაპიტანს იმედი ჰქონდა, რომ ამ დრომდე ყველა საქმეს მოაგვარებდა და დილით ჩვენი ნაწილისაკენ გავეწედი.

კუსტოდიევის მიერ ნასწავლ გზას დავადექი და სულ მალე საბჭოს მეოთხე ქუჩის დასაწყისთან აღმოვჩნდი.

გული აჩქარებით მიცემდა, რალაც გამოუტნობ მღვღვარებას ვგრძნობდი, სიცივეში გატარებული ღამე, დილის სუსხი, ნერვიული დაძაბულობა ციებიანივით მაკანკალებდა.

გზად სულ ორიოდ ნელიად მიმავალი ადამიანი შემომხვდა. თავჩაღუნულები, საცოდავად მილასლასებდნენ. ერთი მათგანი მარხილზე დადებულ გვამს მოათრევდა, ძალზე უჭირდა ტვირთის ტარება.

ვიდექი ვანიერი ქუჩის დასაწყისში და თვითონაც არ ვიცოდი, რატომ ვახანებდი, რა მბორკავდა, ან რა მაჩერებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ნაბიჯი გადავდგი, ქუჩას დავუყვები.

ის მხარე, რომელზედაც ლიდას სახლი მეგულებოდა, გერმანელთა არტილერიას სამიზნეში ჰქონდა ამოღებული. მოსიარულეთ ეს რომ არ დავიწყნოდათ, ქუჩის ამ გაყოლებაზე მდებარე მრავალ შენობას კირით სავანგებოდ შეთეთრებულ სწორკუთხოვან ფონზე დიდი შავი ასოებით ეწერა: „ყურადღება! ქუჩის ეს მხარე განსაკუთრებით საშიფათოა, მტრის არტილერია მას უფრო ხშირად უშენს“.

ორივე ტროტუარის გასწვრივ უსწორმასწოროდ გაკეთებული ორი ბი-

ლოკი მიუყვებოდა. ქუჩის შუაში კი თოვლის მალალი მთა აზვინელი. მას ბოლო არ უჩანდა, სადღაც შორს, შორს იყარგებოდა. ეს გადაქიმული თოვლის სერი იმდენად მალალი იყო, რომ ქუჩის ერთ მხარეს მიმავალი ადამიანი მეორე მხარეზე მყოფს თვალს ვერ მოკრავდა.

თოვლის ეს მთა საოცრად დაბინძურებული იყო და შესაზარად გამოიყურებოდა. ჭუჭყისა, ხანძართა მკვარტლისა, ჭურვთა აფეთქებისაგან მას შავი, ღრმად ჩამკვდარი ჭორფლი გასჩენსოდა და მძიმედ დაებეკნა. აგურის ნატეხებით, კრამიტის ნამსხვრევებით, დამწვარ-დანახშირებულ ფიცრებით და ყუმბართაგან შესხეპილი ხის ტოტებით დანაგვიანებული, იგი კიდევ უფრო შემაზარუნე ჩანდა. კაცს ეგონებოდა, რომ მთელი ქვეყნის სანაგვე აქ მოტანიათ, გადაუჩიჩქნიათ და ასე მიფანტულ-მოფანტული დაუტოვებიათ.

ქუჩის შუაში გადაქიმული თოვლის, ნაგვისა და ნამუსრევის ეს რუხ-მოშავო სერი რამდენიმე ადგილას გარდღარდმოც გაეფატრათ, რათა ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა გაეადვილებინათ. ეს ვიწრო გვერდულა ხვრელები რომ არა, ერთი ტროტუარიდან მეორეზე გადასასვლელად მთელი ქუჩა უნდა გაგველო. იგი კი კოლომეტრამდე სიგრძისა მაინც იქნებოდა. სხაფრთვ, ქუჩის შუაში გაწოლილ თოვლის ამ მთას ვერაფრით ვერ გადალახავდი. იგი იმდენად მალალი და ციკაბო ფერდებიანი იყო, რომ მასზე გადასვლა ნაშინ-შილევს კი არა, ჭანღონით სავსე ვაეკაცსაც გაუჭირდებოდა. თხემზეც რომ მოქცეოდა, თოვლში ჩაეფლობოდა და ჩაიჩუქებოდა.

კედლის გასწვრივ მიმავალი ბილიკიც ნაკლებ ჭუჭყიანი როდი იყო. ისიც ისე შავად გამოიყურებოდა, გეგონება ნახშირის ნატეხებით არისო მოკირწყლული. მასში უხვად იყო ჩაყინული ქსოვილის ნაქუფები, თუნუქის ნაჭრები, შუშის ნამსხვრევები, ცარიელი კო-

ლოფები, კონსერვის ქილები და რა ვაცი, კიდევ რა.

გავოხილი მქონდა, ბლოკადის მხრე ველ ზამთაოს ქუჩაზე ვერ გაივლიდი, რომ აქა-იქ გათოშილ ადამიანთა თოვლიდან გამოჩრილი ხელფეხი არ დაგეწნება. ადრე მკვდრებით ყოფილა მოფენილი ეს ქუჩები. ახლა ეს არ შემიმჩნევია, მაგრამ გავერანება, საშინელი ყოფა, უკიდურესი გასაჭირი ქალაქს გარეგნულადაც ეტყობოდა.

ქუჩა უკაცრიელი ჩანდა. ადამიანის ჰაქანება არსად იყო. კარგა ხანს ვერსად ვერაგინ დაეინახე, რომ რაიმე შეკითხვა, და შეეცნელი ნაბიჯით წინ მივიწვედი. ლენინგრადის ისედაც რუხი სახლები, დათხრილი თვალეზივით რომ აჩნდათ შუშებზაღეწილი ფანჯრები — ზოგან დარაბამოხურული, ზოგან ფიცარაკრული, ზოგან ბალიშგამოყოფილი — კიდევ უფრო ჭუჭყიანი, ცივი და საზარელი მეჩვენა. უნებლიედ, ჩემი მშობლიური მესხეთის თურქთაგან იავაკქმნილი ნასოფლარები, საუკუნეებით დაღუფებული ნასახლარები, გვეულურებული ვაზები და შელუწილი ციხეები მომავიწყდა...

როგორც იქნა, ოცდამეერთე ნომერს მივადწიე. იგი ვეებერთელა, წითელი აგურით ნაშენი ექვს თუ შვიდ სართულიანი სახლი გამოდგა. პირველი შეხედვისთანავე შეეამჩნია, რომ სხვებთან შედარებით უკეთ გამოიყურებოდა, ფანჯრებში მინებიც ნაკლებ ჰქონდა ჩამტერებული და, არ ვიცი რატომ, შემკვარტლულიც ნაკლებ იყო.

დაბრეცილ რკინის ალაცაფში დატანებული პატარა კარი შევალე და მოგძო თაღოვანი გვირაბით მოზრდილ ოთხკუთხა ეზოში შევედი. აქაც, ეზოს შუაგულში თოვლის მთელი გორა იდგა. ეტყობოდა თოვლს გამუდმებით შუაგულისაკენ ხვეტდნენ და ეს მთაც ამას გაეჩინა.

კედლების გასწვრივ ვიწრო ბილიკები გავკვალათ. ორი ადამიანი გვერდს ძღოვს აუქცევდნენ ერთმანეთს. ეზოს შუაგულში მდგარი ახალგაზრდა ხე-



ბი, ტოტებამდე თოვლწყაროილი, გაბარდნილ ბუჩქებსა გავდნენ. ზედ რაღაც ჩერები და ქალაღდის ნაგლეჯები ეკონწყიალათ.

ალალ ბედზე მარცხნივ გავუხვიე და სადარბაზოსაკენ მიმავალ ბილიკს დავადექი.

უეცრად, ზედ მიწის პირზე მდებარე ფანჯრის მინაზე დაყინებული კაკუნი გაისმა. შევდექი და შეკირბლულ მინებიან ფანჯარას ჩახედე. ამ დროს პაწია სარკმელი ბარტყუნით გაიღო და ქალის გამზარულმა ხმამ მკაცრად მკითხა:

— ვინა ხარ და რა გინდა?

სახე სარკმელთან ისე ახლო მოეტანა, რომ კარგად ვერა ვხედავდი. სანამ პასუხს გავცემდი, ისევე მკაცრად შემომძახა — მანდ დამელოდეო. სარკმელი მომიჩახუნა და ოთახის სიღრმეში გაუჩინარდა.

ორიოდე წუთის შემდეგ სადარბაზოდან ბაჭბაჯით გამოვიდა თევზალწყარული კაფანდარა ქალი, ძველსა და საკრებელდადებულ ცხვრის ქურჭში გამოხვეული. ზემოდან ქამარი შემოერთყა. თევზალს შიგნიდან თეთრი მავთულის სათვალეები და ცხვირილა მოუჩანდა. მომიახლოვდა თუ არა, მკაცრად დამიტატანა:

— აბა, მოიტა შენი საბუთები!

— ინებეთ, — გავუწოდე მე.

დიღხანს სინჯა, რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა, მივლინების ბართს სინათლეზე გახედა, ბოლოს ხანგრძლივად დამაკვირდა და წაიბუტბუტა: — თითქოს ყველაფერი რიგზეა, — მერე, ვითომ სხვათაშორის, მკითხა.

— რა, თათარი ხარ?

— არა, ქართველი.

— დამიხედეთ, ქართველი, — გამცინა მან, — გეგონება ერთი და იგივე არ იყოს!

— ერთი და იგივე რათ იქნება, ეს სულ სხვადასხვა ერია. გარდა ამისა, თათრები მაჰმადიანები არიან, ქართველები — ქრისტიანები.

— ჰო, ილაპარაკე, ილაპარაკე, ერთბაშად არ დაგიჯერო... —

— ნუ დამიჯერებთ, ეგ თქვენი საქმეა, მე სიმართლეს მოგახსენებთ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას?

— აქვს, და ძალიან დიდიც! იცი რა გითხრა? ქრისტეს თავი დაანებე, ნუ შეურაცხყოფ. თქვენ ყველანი იროდის ჯიშისანი ხართ, ძირმწარეზე ამოსული...

— ერიპაა, ჩემო დიდებო...

— დიახ, დიახ, ერთნი ხართ, იროდის ჯიშისანი, ქართველებიც, თათრებიც... დახეტებით უთავბოლოდ. აქ კი არ უნდა დადიოდე, თოფს უნდა ისროდე!... თვლებზე გატყობ, მუსულმანი ხარ, შავი კენაპეტივით თვალები გაქვს... ერთ ჩემს ნაცნობ ქალს ქმარი თათარი ჰყავდა, ისე სცემდა, ისე უღმერთოდ სცემდა, ყველანი მისი ცოდვით ვიწოდით. ალბათ, თქვენც იცემებით არა?..

— რასა ბრძანებ, ეგ რა სათქმელია!

— ჰო, ილაპარაკე, ილაპარაკე, ახლავ არ დაგიჯერო. მამაკაცები — თათარიცა და ქრისტიანიც ყველანი ერთნი ხართ, იროდის ჯიშისანი, ძირმწარეზე ამოსული. აბა, ქურქი გადაიღდე, ვნახო რა მეომარიცა ხარ...

ქურქი გადავიღდე, წითელი ვარსკვლავის ორდენს ჩაშტერებით დააცქერდა, მერე ღაზლის ხელთათმანები გაიძრო და ხელით შეეხო, ნეტავი თუ ნამდვილიაო.

— ყოჩაღ! კარგი კაცი ყოფილხარ. თოფს ისერი თუ ხარბაზანს?

— თოფს. — ვუპასუხე მე.

— აბა, შენ იცი, ვინაალო არ დააციდინო, სულ კალიებივით უნდა ექურო ის გასაწყვეტლები. ახლა მითხარი, რა გინდა, ვის დაეჭებ?

— ლიდა კავერინას, — ერთი ამოსუნთქვით მივხალე.

— შენი მტერი იყოს, ის რომ არის, — თავი გადააქინე-გადმოაქნია მოხუცმა, — დიღხანს ვერ გაძლებს... წა-

დი, წადი ინახულე, ეგება ძალა მიეცეს...

ფეხები მომეკვება.

— ნეტავი რა სჭირს, — ძლივს ამოვიღულულულე მე.

— რა ეჭირვება, შიმშილით მიიღია. ნებიერი ქალი იყო, ნებივრად გაზრდილი და ვერ გაუძლო. აი, მე, მაგალითად, ორი შიმშილი გამოვცადე: ერთხელ სამოქალაქო ომის დროს, იუდე-ნიხი და კორნილოვი რომ გვიტყვედნენ, მეორედ კი ოცდაათიან წლებში. მაშინ ჩემი ქმარი უკრაინაში გაგზავნეს სამუშაოდ, მეც წავეყვი და კინაღამ სამუდამოდ იქ დავრჩი. ამიტომ ახლაც მაგრამა ვარ... — და ამ კაფანდარა ქალმა, შიმშილით დაუძლურებულმა და ძვალ-ტყავად ქცეულმა, ხელები მაღლა შემართა და თავის კანტურით მითხრა:

— კიდევ მოვესწრები იმ წყეული პიტლერის დამიწებას, დიახ, აუცილებლად მოვესწრები... ჰო, რა მითხარი, ვინ მინდაო, გულშავიწყი გავხდი საოცრად... ლიდა ხომ? — აი, ეგრე წადი და მესამე სადარბაზოში შედი. მერე მეხუთე სართულზე ახვალ და მარცხენა კარს დააკავენებ, მაგრად დააკავენე... მე წამოგყვები, მაგრამ კიბეებზე ვერ ამოვალ, რათ გინდა ცოლვაში ჩადგე...

მერე შემხედა და გაშეშებული რომ დამინახა, გაუვირდა:

— რა მოგივიდა? ცუდად ხომ არ გახდი?

— არა, — დავამშვიდე მე და ნაჩვენებ სადარბაზოსაკენ წავედი. მოხუცი უკან მომყვებოდა, თან მაკვლიანებდა:

— კარებს ბაკუნინის გვარი აწერია, ეს მაშიდამისის, მარია ფედოროვნას ბინაა. ვუკოლ ბაკუნინზე იყო გათხოვილი. ვუკოლი გასულ თვეში გარდაიცვალა საცოდავი... ოჰ, რა კაცი იყო, ლიდასაც ის უფელიდა... ლიდას მამიდა კი... ეჰ, ერთი სიტყვით, ყველაფერს იქ შეიტყო.

სადარბაზოში შევედი. ბათქაშჩამო-

შლილი კედლები და კუჭყესის სქელი ფენით გადავლესილი საფეხურები მაშინვე წამოხდნენ, რომ მათ მოსაველეად არავის ეცალა. მხოლოდ გუშანით მივხვდი, რომ საფეხურები ოდესღაც თეთრი მარმარილოსანი იყვნენ.

— ხუთი მაღალი სართული სულმოუთქმელად ავირბიხ, და მუხის დიდ სადარბაზო კარებთან შეეჩერდი.

კარებზე მინანქრის თეთრი ფირფიტა იყო გაკრული. ფირფიტაზე ძველსლავიანურთან მიმსგავსებული ასოებით ეწერა: ვუკოლ სილანტის ძე ბაკუნინი. ამ საერთო სიბინძურეში ფირფიტა ისეთი თეთრა, ისეთი სუფთა შეჩვენა — დიდხანს თვალი ვერ მოვწყვიტე.

სული მოვიტყვი. მცირე ყოყმანის შემდეგ ხელი ელექტროზარის ღილაკზე დასაპერად გაეწვდინე, მაგრამ გამახსენდა, რომ ლენინგრადს ელექტროდენს რახანია აღარ აწვდიდნენ და მუშტით დაბრაზუნება მინდოდა, მაგრამ ვერც ეს გავხედე. ბოლოს, როგორც იქნა, დავძლიე ჩემი გაუბედაობა და კარებს ფრთხილად მივეუკაუნე. შიგნით ჩამიჩუმე არ ისმოდა.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ დავაკაუნე, მერე კიდევ, და ასე მრავალჯერ, მაგრამ შიგნიდან ხმა-კრინტი არ ისმოდა, მაშინ მუშტზე გადავედი და კარგა გვარიანად ავაბაგუნე, ჯერ ერთი, მერე მეორე.

პასუხად, ამჯერადაც ყრუ სიჩუმე იყო.

მაშინ გაბელებულმა, რაც ძალი და ღონე მქონდა, მუშტები დავცხე. გონებაში ათასი საშინელება მიტრიალებდა, მაგრამ ყოველ ასეთ მსუსხავ აზრს მაშინვე კრახანასავით ვიგერიებდი.

ჩემს გამაბელებულ სმენას რაღაც სუსტი ხმაურობა შემოესმა. მომეჩვენა, თითქოს, სადღაც შორს, რომელიღაც კარი გაიღო, მერე უფრო ახლოს მეორე, მერე კი თითქოს იმ კარებთან, რომელთანაც გულაფანცქალებული და ყურდაცქვეტილი ვიდექი — ვილაც მოფრატუნდა.

კიდევ ერთხელ ლონივრად დავაბრაბუნე და სულგანაბულმა ყური კარს მივაღე.

— ვინ არის, — ძალზე სუსტი, მიკნავებული ხმით იკითხა ვილაცამ. უცნობის ხმა საოცრად ჩამქრალი, ზანტი, განურჩეველი მეჩვენა; არაფითარი და ინტერესება, არაფითარი ემოცია.

— ლიდა კავერინას სანახავად მოვედი...

— ვინ არის, — ისეთივე განურჩევლობითა და დაუინტერესებლობით იკითხა ვილაცამ. ამ ხმით მხოლოდ განწირული მოხუცები ლაპარაკობენ, ვისი დღეებიც უკვე დათვლილია, ვისაც მხოლოდ რაიმე დიდი აუცილებლობა ალაპარაკებს; მოხუცები, რომელთაც არაფერი აღარა სურთ, აღარაფის არ ელოდნ და აღარც არაფერი ედარდებათ.

— ალბათ, მისი მოხუცი მამიდაა, სათვლიანმა ქალმა რომ მითხრა, — გავიფიქრე გუნებაში და რათა უფრო გასაგები ყოფილიყო ჩემი ნათქვამი, ტუჩები კლიტის ღრიქოს მივადე და შიგნით შევყვირე:

— ლიდას მეგობარი ვარ, მის სანახავად ჩამოვედი, კარი გამიღეთ და ყველაფერს გეტყვიო...

— ვინაა? — ისეთივე მიკნავებული ხმით მკითხა უცნობმა, მაგრამ ამჯერად მის კითხვაში თითქოს პაწია ცნობისმოყვარეობაც გამოკრთოდა.

— ლიდას მეგობარი ვარ, იწამეთ ღმერთი, გამიღეთ კარი, — შევევიდრე მე და რათა მისი ნდობა მომეპოვებინა, იმნაირადვე შევევირე, — თქვენ, მამიდა ხართ მისი, ხომ?

ქალი ისევ გაჩუმდა, მას დიდხანს, დიდხანს არ ამოუღია ხმა ვიფიქრე, ალბათ ლიდას დასაძახებლად წავიდა-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი, იქვე, კარებთან მდგარა.

— თქვენ ვილა ხართ? — სუსტად, მაგრამ უფრო ფხიზლად მკითხა მან. მე ვუთხარი ვინც ვიყავი, ამასთან, რაც შემეძლო, გარკვევით შევძახე ჩემი სახელი და გვარი. „თუ ბალაშოვი მიცნო-

ბდა, ეგების, ამასაც გაუგონებიათ-ქი“, დავიმიმედი თავი. **გიორგი ციციშვილი** კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, ამჯერად უფრო ხანგრძლივი.

მე ისევ შევეხაურე: — ქალბატონო, ლიდასთან ძაქვს საქმე... თქვენთანაც ძაქვს სალაპარაკო, — დავაუღლე მის დასაინტერესებლად.

— თუ რაიმე სათქმელი გაქვთ, მანდედან მითხარით, — მომესმა ძალიან სმადებლა და ყრუდ.

— ასე, როგორ? ასე არ შემიძლიან!..

— რათ გინდათ ლიდა?

ოჰ, ეს მამიდები, ყველაფერში უნდა ცხვირი ჩააყონ და რომ ჩემი აფეთქება არ ვამეცა, კიდევ უფრო დავუყვავე: — ქალბატონო, შორიდან ვარ ჩამოსული, ვოლხოვის ფრონტიდან, მისი ძველი ნაცნობი ვარ... აუცილებლად უნდა ვინახულო...

— რაშ გჭირდებათ? — ჯიუტად, თითქოს ხმაწვევითაც იკითხეს კარს უკან.

— როგორ თუ რად? — მოთმინება დავკარგე მე, — ამდენი ხანია გვედრებით, თქვენ კი ერთსა და იმავეს მეკითხებით...

კიდევ რაღაც მინდოდა მეთქვა, მაგრამ შევშინდი, არ გაბრაზდეს და სულაც არ მოსცილდეს-მეთქი კარებს.

მაგრამ მოხუცი ქალი არ გაბრაზებულა, მან დაკითხვა განაგრძო:

— საიდან გაიგეთ, რომ ლიდა აქ...

— ქალს წამით ხმა ჩაუწყდა, — აქ, ჩემთან ცხოვრობს...

— მისმა ყოფილმა ქმარმა მითხრა.

— ვინ?

— ანატოლი ბალაშოვი.

— ჰოდა, მოუტყუებინართ! — მისგან მოულოდნელი სისწრაფით მომივო მან.

— როგორ თუ მოუტყუებინართ?

— როგორ და უბრალოდ: ლიდა წავიდა ჩემგან...

— სად? სად, წავიდა? — შევევირე მას და ისევ კარებს ავეკარი.

პასუხი იგვიანებდა. ბოლოს, როცა

ლაშის სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, ძლივს გავიგონე მისი მისუსტებული ხმა:

— ლიდა კრონშტადტში ვადასახლდა...

— რა საშინელებაა! — წამომცდა უნებლიედ, რადგან ვიცოდი, რომ ჩემთვის პოლესზე უფრო ადვილი იყო მოხვედრა, ვიდრე კრონშტადტში შეღწევა...

— მისამართი თუ იცით? — გულდამძიმებულმა ვკითხე დედაბერს.

— არ დაუტოვებია, — ძლივს გასაგონად თქვა მოხუცმა.

საშინელი დაღლილობა ვიგრძენი და იქვე კიბეზე ჩამოვჯექი.

საფეხური ისეთი გაყინული იყო, რომ სიცივემ ქურჭშიაც გაატანა, მაგრამ არ წამომდგარვარ; აღარც რაიმე ძალა მქონდა, აღარც რაიმეს ხალისი. წამით სულაც დამავიწყდა, რომ კარს იქით ვინმე სულოერი იდგა. მაგრამ ამჯერად მან თვითონ შემახსენა თავისი თავი.

— ამხანაგო... მეგობარო, წახვედით, თუ ისევ აქა ხართ?

— აქა ვარ, — უგუნებოდ ვუბასუხე მე.

— რატომ არ მიდიხართ?

— წავალ, — დავაიმედე მე, — მაგრამ ჯერ კარი გამიღეთ, მინდა რაღაც ვადმოგვცეთ...

— რა უნდა ვადმოგვცეთ?

— ცოტათუნი სურსათ-სანოვაგა...

ქალს ისევ ჩაუწყდა ხმა და დიდხანს, დიდხანს არაფერი უთქვამს.

— ქალბატონო, ამაზე მაინც ნუ გამაწილებთ, კეთილი გულით არის მოძღვნილი, — შევევედრე მე.

დედაბერი კვლავ დუმდა. ეტყობა ყოყმანობდა. მაგრამ, ბოლოს, უმოწყალოდ ნაშიშშილარმა არსებამ ვედარ გაუძლო ცდუნებას და კარების გაღება დაიწყო. ახმაურდნენ ურდულები, აჩხაყუნდნენ საყეტები და, როგორც იქნა, კარები რის ვაი-ვაგლაბით გაიღო.

ბნელი ტალანიდან გამოვარდნილმა

შორის საშინელმა სუნმა ძველუნივერსიტეტის რაღ უკან დამახვეინა.

კარს უკან ისე ბნელოდა, რომ დიდხანს ვერ გავარჩიე, ვინ იდგა ჩემს წინაშე.

როცა თვალი სიბნელეს შეეჩვია, დავინახე, რომ წელში ორად მოხრილი, საშინლად დაჩიავებულ-დაპატარავებული დედაბერი ზღურბლს იჭიდან დაუძინებით შემომცქეროდა.

თოვლივით თეთრი, ძალზე შეთხელებული და გაწეწილი თმები მხრებზე ეყარა, ქიაყელასავით წვრილ კისერზე მუშტის ოდენად ძვალტყავა სახე საშინლად დაჩაჩივებოდა, მეტისმეტი სივამხდრისაგან ლოყები ჩასცვენოდა, ხოლო წინ გამოჩრილი ყვრიმალის ძვლები, სიკვდილის ემბლემად თავის ქალას რომ ხატავენ, იმას ამსგავსებდა.

ჩანდა, რომ ლოგინიდან ახლადწამომდგარი იყო. ბუკებზე რაღაც ძველმანი მოეხურა, წელს ქვემოთ დაკონკილ თექაში გახვეულიყო. ალბათ, ასე გაუხდელი იწვა ლოგინზე და სიკვდილს ელოდა.

ვინ იცის, რამდენი დღე იწვა უკმელ-უსმელი და სიცივით გათოშილი, ფეხზე წამოუდგომლად, რადგან წამოდგომას მისთვის აღარაფერი აზრი არა მქონდა...

ცალი ხელით კარის დირეს მიყრდნობოდა. ეტყობა იმდენად იყო შიშშილისაგან ძალაგამოლეული, დირესთვის ხელი რომ შეეშვა, აუცილებლად წაიქცეოდა; ისეთი დაშტერებით შემყურებდა, უხერხულობა ვიგრძენი.

მაგრამ ყველაზე მეტად მისმა თვალებმა გამაკვირვა. ისინი ჩამქრალი კი არა მქონდა, როგორც სიბერით მიხრწინილ-მოფამფალებულ მოხუცებს აქვთ ხოლმე, არამედ უჩვეულოდ უელვარებდა. საწყალი, — გავიფიქრე მე, — ალბათ აგონიას განიცდის.

— მობრძანდით, — თქვა ბოლოს მან. დირეს ხელი შეუშვა და შებრუნება მოინდომა, მაგრამ გვერდზე ვადა-

ქანდა და მკლავში ხელი რომ არ წამეტანებინა, უსათუოდ წაიჭეოდა.

მკლავი კი ჩხირივით წვრილი ჰქონდა, შემეშინდა უცაბედად არ გადამემტვრია. ჭერაც განუცდელი სიძლიერით შემეცოდა სასიკვდილოდ განწირული ეს მოხუცი.

ფეხების ფრატუნით გავატარებინე შორიანი ტალანი, შემდეგ დიდ ბნელ ოთახში შევიყვანე და იქვე მღვარ სკამზე მოვუნდომე დასმა, მაგრამ ნებას არ დამეცა, ხელი გამაშვებინა და თვითონ განაგრძო სვლა. ოთახის შუაგულში მღვარ მაგიდაზე დაყრდნობით, სვენება-სვენებითა და უილაჯო ტატიით მაგიდის მოპირდაპირე გვერდამდე მილასლასდა, იქ კი ქანცგაწყვეტილი, მძიმედ მსუნთქავი სკამზე მოწყვეტით დაესვენა.

რამდენიმე წამი ხმა არ ამოუღია, სულს ითქვამდა.

იჭაურობა შევათვალეირე და ისევ დედაბერზე გადავიტანე მზერა. მას კი ნიკაპისათვის ხელი შეეღვა და ზედ დაყრდნობილი უსიტყვოდ შემომცქეროდა...

საწყალი დიდდაჩემი გამახსენდა, იმნაც ასეთი ყურება იცოდა. გული რაღაც გამოუთქმელი სიბრაღულით ამევსო.

მოხუცის სახეს კარგად ვერ ვხედავდი, ვერც მის გამომეტყველებას ვარჩევდი. იგი ფანჯრისაკენ ზურგით იჯდა, მე კი პირიქით, სინათლე სახეში მცემდა. ალბათ, ამიტომ გაანაწილა ასეთნაირად თავისი ორად-ორი სკამი.

უხმოდ იჯდა. გვეგონებოდა არა სუნთქავსო. თვალები კი საოცრად უელავდნენ, რაღაც უცნაურ ფოსფორულ სიკაშკაშეს აფრქვევდნენ, სწორედ ისე, კატებმა რომ იციან ღამით.

დედაბრის დაეინებულმა მზერამ შემაწუხა. ვეღარ გავუძელი მის უსიტყვო თვალთვალს და წამოვდექი. სავსე ჩანთა მაგიდაზე დავდე, თავის შეხსნა დავუწყე.

დედაბრის თვალები უფრო აელვარდნენ, ისე მეჩვენა, თითქოს იგი მოუ-

თმენლად შეირხა, მაგრამ, თავე უშეიქვარა და ქანდაკებასავით უხმოვრავრავ შეიქნა.

ერთი ხანობა შემეშინდა, ხელში არ შემომაკედდეს-მეთქი და ქვეშ-ქვეშ გავხედე. იგი ისევე იჯდა, მაგრამ უკვე მე კი არა, ჩანთას უყურებდა.

უხერხული ღუმილი რომ შემეწყვიტა, ვკითხე:

— მაშ, ნამდვილად იცით, რომ ლიდა კრონშტადტშია?

მან წარბებქვეშიდან ამომხედა და დიდხანს, დიდხანს მიყურა.

— ღიახ, — ოდნავ გასაგონად თქვა ბოლოს და თავი სწორედ იმნაირად გაიქნია, როგორც ეს ლიდა იცოდა, როცა თმების უკან გადაყრა სურდა. ეს მოძრაობა საშინლად ნაცნობი მეჩვენა. «ეტყობა თავის დროზე მამიდა რაღაცით ჰგავდა ლიდას», — გავიფიქრე ჩემთვის.

— ნეტავი როგორ არის, — თითქოს თავისთვის წავილაპარაკე მე.

და მოხდა სასწაული: მოხუცი ჭერ თვალგბდაუხამხამებლად შემომჩაერდა, მერე კი მის სახეზე რაღაც ნაძალადევი ღიმილი გამოკრთა. ამ წუთში იგი კვლავ საოცრად ნაცნობი მეჩვენა.

— ლიდა რაღაცით თქვენ ჩამოგვავთ და ძალიანაც, — ვთქვი მე და მოხუცს უფრო დაკვირვებით გავხედე. მოხუცმა ისევ ისე საწყალობლად გაიღიმა.

მისი გაფითრებული ტუჩები ერთმანეთს ოდნავ დაცილდა და მე მაშინვე მივხვდი, რომ დედაბერს ალარც ერთი კბილი არა ჰქონდა.

დედაბრის სევდიანმა ღიმილმა ისეთი მწარე სიბრაღული აღმოძრა, რომ სკამიდან წამოვხტი, ჩანთიდან საჩქაროდ ამოვალაგე კონსერვები, პური, ძხვები, ცოტაოდენი შაქარი, ყველაფერი ეს მაგიდაზე დავყარე და წასასვლელად გავემზადე.

მოხუცმა ხელით შემაჩერა.

— გმადლობთ ძვენისათვის, მაგრამ მე უფრო მეტი სათხოვარი მაქვს: — ნუ დავიწყებთ ლიდას, — თავი

უფრო ძლიერად და უფრო საცოდავად აკანტურა, მერე მაგიდაზე ორივე ხელით დაეყრდნო და წამოდგომა სცადა, მაგრამ ველარ წამოდგა. ეტუობა, ძალღონე საესებით გამოეღია.

— ნახვამდის, — ვთქვი მე და ოთახიდან კი არ გავედი, გავვარდი.

ოდნავ მიხურულ მძიმე სადარბაზო კარი ღონიერად გამოვადე, ასევე ღონიერად გავიქახუნე და კიბეზე დავეშვი.

როცა მერე ეზოში გავედი და ნაცნობ ფანჯარას ჩაეუარე, სათვალისანმა დედაბერმა თავისი პაწია სარკმელი კვლავ გამოაღო და ამომძახა — რა, ინახულეთ ლიდა?

— ვერა, კრონშტადტში წასულა, მაშიდა მისი დამხვდა მხოლოდ...

— რაო, რაო, — გაიკვირვა სათვალისანმა და აჩქარებით დაეყოლა, — მოიცათ, მოიცათ, ასლავე გამოვალ...

წამის შემდეგ მართლაც ამოხაჯა და გაციებით შემომჩერდა:

— ვინ წავიდაო კრონშტადტში?

— ლიდა, — ვუპასუხე ცოტა შემბარმა.

— დიდება შენთვის, ღმერთო, — პირჯვარი გადაიწერა სათვალისანმა, — კრონშტადტში როგორ წავიდოდა, ისეა დაუძღურებელი, ძლივს დადის. არა მგონია დიდხანს გასტანოს, — სათვალისანმა მებხეთე სართულის ფანჯარებს გახედა.

— რას ბრძანებთ, — შევიცხადე მე და ბრახი ყელში მომაწვა, — გამოდის, რომ მაშიდამისმა ლიდასთან არ მიმიშვა და უკან გამომაბრუნა... რატომ მოიქცა ასე? — საჩქაროდ გამოვბრუნდი, რომ კიდევ ერთხელ ავპირილიყავ მებხეთე სართულზე.

— მოიცა შელო, მოიცა, — დამედევნა სათვალისანი, — რომელი მაშიდა, ვინ მაშიდაო, — ვისზე ამბობ?

— ვისზე და ლიდას მაშიდაზე! კარებიც იმან გამოიღო და კრონშტადტის ამბავიც იმან მოთხრა...

— ლიდას მაშიდა უკვე ოთხი თვეა საფლავში წევს...

???

— აბა, ვინ იყო ის თეთრთმანი მლახუცი, მე რომ მელაპარაკა? რე მე და ვიგრძენი, რომ სისხლი შეყინებოდა...

— ის თვითონ ლიდა იყო, შვილო... თვალეში დამიბნეულდა. შეეტორტმანდი.

— ღიას, ლიდა იყო, რა ვერ იცანი? ანდა რას იცნობდი საცოდავს, რა ქალი იყო და რას დაემგვანა. ეპ, ჩემო კარგო, ხალხი თავის თავს აღარა ჰგავს, არა...

აღარაფერი მესმოდა. ადგილს მოვწყდი და ლიდას სადარბაზოსაკენ თავქუდმოგლეჯილი გავვარდი. სულმოუთქმელად ავირბინე გრძელი კიბე და მუხის კარებს მივაწყდი.

კარები უკვე ჩაეკეტათ.

— ლიდა, ლიდა, — ვყვიროდი გიჟივით და რაც ძალი და ღონე მქონდა, კარებზე ვაბრაზუნებდი...

შვინიდან ჩამი-ჩემი არ ისმოდა.

— ლიდა, ლიდა გამიღე კარი, სულ ორიოდე წუთით გამიღე...

კარებს იქით შემზარზენად სდუმდნენ.

— იცოდე არ წავალ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, აქ დავალაგებ, აქ გავათენებ, ნუ ჩადგები ჩემს ცოდვაში, ლიდა!

მუხის კარს იქით სიჩუმე მეფობდა. იმნაირივე საშინელი დაღლილობა ვიგრძენი, პირველად რომ მომიდუნდა სხეული და კინწი მომტეხა. ისევ ცივ კიბეზე ჩამოვჯექი.

მასსოვს, რომ კიდევ რამდენჯერმე ძლიერად, გაშმაგებით, ზედიზედ, მავარტყი კარს ფეხი, მაგრამ ამაოდ.

— ამხანაგო ოფიცერო, ამხანაგო ოფიცერო, — შემომესმა ქვემოდან.

ჩავიხედე. სათვალისანი ქალი ქვედა სართულის ბაქანზე იდგა და ხელს მიქნევდა, — აქ ჩამოდი, მე ველარ ამოვალ, ფეხები არ მემორჩილებოაო, ვედრებით მომძახოდა იგი.

შემეცოდა. ჩავედი.

— დედაშვილობას, — მოთხრა მან, — ნუ ჩამოულეხ კარებს მაგ საცოდავს,

ეგება არც უნდა შენთან შეხვედრა, თავისივე თავის ერთხვინება ალბათ, თავის გასაჭირიც ეყოფა, მოემვი დედაშვილობას... სხვა დროს მოდი, ხვალ, ზეგ... თუ ღმერთმა მოინდომა, ველავაც შეგახვედრებთ... ახლა კი წადი ჩემო შვილო, თუ ძმავ, თუ არ ვიცი რა გითხრა, ასაკს ვერ გატყობ... მე კი ჩემი დამემართა, ძლივს ამოვბობლდი ამ დასაქცევზე, მუხლი კინალამ მომეყვითა, მაგრამ რას იზამ, ამ ორსავე საბლში გათენებამდე მე ვარ მორიგე... შემდეგ კი ოთხი დღე თავისუფალი ვიცნები... წადი, ახლა, შვილო, და სხვა-დროს მოდი... მაშინ, თუ ღმერთმა შემაძლებინა, თვითონვე აგყვები... აგერ იმ მეორე ეზოში ვცხოვრობ, იქ კი, მიწისპირას რომ ფანჯარაა, ჩვენი სამორიგეო ოთახია... წადი ახლა, ღმერთი იყოს შენი მფარველი...

ბურანიდან გამოვერკვიე.

— შერე, იქამდე რომ რაიმე დაემართოს? ძალზე დასუსტებულია, ძლივს დალასლასებს...

— განგებას სად წაუხვალ? მაგრამ ღმერთია შემწე. თუ თქვენი შეყრა ინება... — მოხუცმა პირველი ვადაიწერა.

ახლაც არ მახსოვს როგორ მივედი ლიგოვკაზე.

როცა ჩამოძენძილ-ჩამოგლეჯილ უზარმაზარ ოთახში შევედი, იგი ისეთი უკაცრიელი და პირქუში აღარ მეჩვენა.

სამი ჩვენი შოფერი და ოცმეტაური დომინოს აჩხაკუნებდნენ. ეტყობა ახარტში იყვნენ შესული.

სატვირთო მანქანიდან პაწია ღუმელი მოეხსნათ, ზემოთ ამოეტანათ და მომარაგებული შეშით დაენთოთ. ოთახში სასიამოვნო სითბო დატრიალებულიყო. მეოთხე შოფერის მუხლებზე ჩაეჩოქა და ღუმელს შეშას უმარჯვებდა.

ესტრადიევი გერ არა ჩანდა.

თამაშში მონაწილეობის მიღება შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვუთხარი, ქურქის საყელო ავიწიე და იმავე კუთხეში მჩვევდე, სადაც წინა დამე ვავა-

თვალეები დავხუტე და ცოტა ხნის წინ ნანახი სურათები თავის თავად წასოტირებდნენ. შევეცადე, რომ ლოცვებჩაეარდსილ, ორად მოეცილ, მძიმედ მოფარფატე თეთრთმიახ მოხუცში ის თვალეზბრდღვილა, ყელმოღერებული ქალღმერთი დამენახა, რომლის ერთი გავლაც, საესე ტანის ნარნარი რხვეითა და ამაყი თავდაპერით, ყველა მამაკაცს სისხლს უჭანებდა და თვალეებს უფართობდა...

მაგრამ ვერ იქნა და ვერ დავუახლოვე ეს ორი სახება ერთიმეორეს.

და შესმანა ჩემი საყვარელი მწვანე კონცხი — სამხრეთელი მზით გაჩახახახებული, მწვანეში ჩაფლული, ყვავილთა სურნელებით მთვრალი... ისევ თვალწინ დამიდგა კრიალა ცის თვალისმომჭრელი ლაევარდი და მშვიდად მთელეპარე ზღუა... წულიდან ლიდა ამოდის... თავზე ცისფერი ხილბანდი წაუტრავს, თმები რომ არ ჩამოეშალოს; ცისფეზოლება საბანაო კოსტუმში კიდევ უფრო ამევეთრებს მისი ტანის ჯადოქრულ ნაკეთებს. ჩემსკენ მოეშურება. ორივე ხელის ნები ერთმანეთზე მიუდვია და მედუხა მოაქვს ჩემს შესაშინებლად... მე კი, ცხელ ქვიშაზე წამოწოლილს, გული რაღაც წარმოუდგენელი სიამით მაქვს საესე...

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, საბუთები უკვე ავიღე. ახლა მანქანების მისაღებად მივდივართ. თქვენ აქ დაგველოდეთ, — ეს კაპიტანი კუსტოდიევია. იგი შტაბიდან დაბრუნებულა. ბიჭები წასასვლელად ეწყობიან, ქურქებში იმოსებიან.

ღუმელი ჩამქრალა. ოთახში ისევ ცივა. დღე კი უკვე დაღუეულა, საცაა მოსალამურდება...

— კარგი, — ვუბნები კუსტოდიევს და გვერდს ვიცვლი. საყელოს ვიწივ, ქურქში ვეხვევი. თავს ძალას ვატან, რომ დაკარგული ზმანება ისევე დავიბრუნო, მაგრამ კაპიტანი არ მეშვება:

— ეგება, დამით მოგვიხდეს მგზავრობა და უნდა თადარიგი დავიჭიროთ. მუყაო წამოვიღე, ჩვენს ფურგონში

დევს, ძარაზეა მიყუდებული. უნდა აქ ამოიტანოთ და მანქანის შუქფარების სილიდებზე რგვლად დასკრათ, ხომ იცით, ფარის შუქმენიღბვა როგორ კეთდება?

— ვიცი, — უხალისოდ ვპასუხობ კაპიტანს და მინდა რაც შეიძლება ჩქარა მომეშვას, მაგრამ ტექნიკური სამსახურის უფროსს, ეტუობა, ხედმიწვევითი სიზუსტე უყვარს:

— მუყაოს, შუქფარების დიამეტრის ზომაზე დასკრით, სულ რვა ცალი უნდა იყოს. ცენტრიდან რადიუსის ერთ მესამედზე გრძელ ვიწრო ზოლს გამოუტრით. ზოლის სისქე ერთი სანტიმეტრია, სიგანე — თორმეტი... გამოვეთ?

— გავიგეთ, გავიგეთ, — ცოტა უხეშად ვეუბნები მე, რომ თავიდან მოვიცილო და ისევ გვერდს ვიცივლი, მაგრამ ზმანება აღარ შეკარება. ვდგები და ოთახში დაკარგულივით დავბოროილობ.

სწრაფად დამდბა. უკვე ბნელა. საკვირველია, დღე მიიწურა და მე კი არცა მშინან, არცა მწყურია.

ისევ ვწვები და ასე, ძილდვიძილში გამყავს დრო. იატაკმა გვერდები მატკინა, დაბეგვილივით ვგრძნობ თავს. მერე კაპიტანის დავალება მაგონდება, ტროტუართან გაჩერებული მანქანიდან მუყაოს დალაქავებული ფურცელი გადმომაქვს, ქუდის სარჩულში გაყრილი ნემსის ირგვლივ დახვეულ ძაფს ვხსნი, მანქანის ფარის ზომას ვიღებ, მერე ისევ ოთახში ებრუნდები და მუყაოს წრეების გამოჭრას ვიწყებ...

ფიქრის თავი აღარა მაქვს.

ვერ იქნა და ვერ დაეიყენე თვალწინ ვერც სახემციხარი, ზმაიკისკა ლიდა და ვერც ის... „ის“ თეთრთმიანი მოხუცი, კარის დირესთვის ხელის მოცილებისთანავე რომ შეტორტმანდა და რომ არ შევშველებოდი, აუცილებლად წაიქცეოდა... რა ჩხირივით ჰქონდა მკლავი, როგორ დალეულა ეს ამხელა ქალი...

კაპიტანი და შოფრები გვიან დამითდბრუნდნენ, მშვიერი, შეცივნილი, განაწამები, წასვლა დილისათვის გადაედეთ. დილა უთენია კი ახლად მი-

ღებული მანქანები წინასწარ მომარაგებული არყის ხის შუქით გავაზღვრეთ და გზას გავუდევით. წინა მანქანის შოფრის გვერდით მე ვეჭვები, უკანასას — კაპიტანი კუსტოდიევი. ჩვენი კოლონა რამდენიმე კილომეტრზე გაიჭიმა.

ლაღოვის ტბას მეორე მხარეს, კაზონას განაპირას. ნაცნობი შლაგაუმის გადაღმა მანქანა გვაჩერე და ჩვენებს დაველოდე.

გამივირდა, როცა ხუთი მანქანის მაგიერ ოთხი დავითვალე. გაკვირვებით შევხედე ჩემსკენ მომავალ კაპიტანს. მოღუშული ჩანდა, დანა პირს არ უხსნიდა.

მომიხლოვდა თუ არა, თავისი ბეწვიანი ქუდი თავიდან მოიგლიჯა, მოყინულ მიწაზე ღონივრად დასთხლიშა და გრძლად, გულამოძვარად შეიკურთხა. შოფრები თავგაქინდრული იდგნენ. ერთი, სწორედ ის, რომელიც კუსტოდიევის ცივ ოთახში მუხლბეჩოქა ღუმელს ანთებდა — მათ შორის აღარ იყო.

— უკან მივდევდი ასიოდე მეტრის დაშორებით, — მტკივანი სინანულით მოვვითხრობდა კაპიტანი, — ვიფიქრე, რა კარგად მიპყავს-მეთქი მანქანა, თანაბრად გამართულად, გავიხედე და ერთბაშად უკანა ბორტი მაღლა, უჩვეულოდ მაღლა არ აუყირავდა? უცებ ვერ მივხვდი, რა ეშმაკია მეთქი, გავიფიქრე, — სიტყვის თქმა ვერ მოვასწარი, რომ მანქანა ნახევრამდე საღლაც ჩაეფლო... წამიც და გაქრა... ამან იყოჩაღა. — მიმიოთა თავის შოფერზე, — საჭე მარჯვნივ აიღო. თორემ ჩვენც იქ ვიქნებოდით... მაშინვე გავჩერდით, გადმოვეცივდით, მაგრამ რას უშველი! აღარც მანქანა, აღარც შოფერი, ერთი დიდი ორმოდა, ყინულში ამომტვრეული და მწვანე წყალში თოვლიანი ყინულის ნატეხები დაეურავენ...

გამწარებულმა კაპიტანმა ხელმეორედ დასთხლიშა ქუდი დედამიწას...

— როცა დამით ჩემს ბატარეას მივადექი, ასტახოვი იმნაირად ვადამებს-

ვია, გეგონება ერთმანეთი მთელი წელი არ გვენახა.

— ისეთ რამეს გეტყვი, გაგაგიჟებ, — მოუთმენლად მაცხობა მას.

კომისრის ნათქვამმა მართლაც ამაღელვა: პოლიტსამმართველოში მისთვის საიდუმლოდ გაენდოთ, რომ იანვრის შუა რიცხვებში ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ერთობლივი იერაშით, ბლოკადა უნდა გაგვერღვია და განაწამები ლენინგრადი ატრის ალყისაგან დაგვეხსნა.

დათქმულ ვადამდე სულ ცოტა რჩებოდა...

და მოხდა სწორედ ისე, როგორც ასტახოვმა მითხრა: 1943 წლის 12 იანვარს, დილის ათის ნახევარზე დაიწყო საარტილერიო მომზადება, რომელშიც ჩემი ბატალიაც მონაწილეობდა.

ჩვენ, ფრონტის ორი არმიის — მეორე დამკვრელი და მერვე არმიების უბანზე ერთდროულად ორიათასზე მეტმა ზარბაზანმა დაიქუხა, ხოლო სამასმა საგანგებოდ წინ წაწულმა ქვემეხმა პირდაპირი დამიზნებით დაუწყო გერმანელთა პოზიციებს ცეცხლის დაშენა. მთელი მიდამო გამაყრუებელმა გრგვიწვამ შესძრა.

საარტილერიო მომზადებამ თითქმის ორი საათი გასტანა. გაბრწყინებული სახეებით ვუგდებდით ყურს „ომის ღმერთის“ გამაყრუებელ ქუხილს. ჩემი ბიჭები რაღაც განსაკუთრებული მოწადინებით მოქმედებდნენ და ქვემეხთა ლულები ისე გაეარვარდნენ, რომ ხელს ვერ მიაკარებდი.

წინა დღეს შემოტანილი ჭურვების მარაგი ელვის სისწრაფით ილეოდა. ცარიელ ვაზნებს, ქვემეხთა გვერდით გროვად დაყრილს, ორთქლი ასდიოდა.

სამეთაურო პუნქტიდან გადმოცემული სროლის კოორდინატები კი განუწყვეტლივ იცვლებოდა და ახალ-ახალი სამიზნეს ყვირილისაგან ხმა მქონდა ჩახლენილი.

სამიზნე გერმანელთა თავდაცვითი ზოლის სიღრმისკენ ინაცვლებდა, რაც ჩემი ნაწილების წინსვლისა და მტრის

პოზიციების გარღვევის უცულო მომასწავებელი იყო.

გავიდა სამიოდე საათი და პოლკის მეთაურმა რაღაც განსაკუთრებული ადგენებით გასცა ბრძანება: — „მერცხალო“ (ეს ჩემი ბატარეის დაქარაგმებული სახელი იყო) ბორბლებზე, ჰაადა, წინ! დღერთი იყოს თვეები მთარველი!

და ჩვენც დავიძარით...

დავიძარით თითქმის წლინახევრის წინ სამინელი ბრძოლებით მოპოვებული ადგილებიდან, თექვსმეტი თვის წინ უამრავი სისხლის ფასად დაცული მიჯნებიდან. დავიძარით იქით, სადაც ყოფნას დღენიადგ ვნატრობდით — დავიძარით ლენინგრადისაკენ.. ისე, ვიყავით გახურებული და აღვზნებული, რომ ოცგრადუსიან ყინვასაც კი ვერა ვერძნობდით.

არტილერიისა და ავიაციის მიერ მიწგრეულ-მონგრეულ მავთულხლართების ვიწრო დერეფანში გავედით და მტრის თავდაცვითი ზოლის პირველი ხაზი გადავლახეთ.

ჩვენს მოიერიშე ნაწილებს კარგად ემუშავათ: მილეწილ-მოლეწილი სანგრები მთლად გადათხრილი ჩანდა. ბრუსტერზე მიწა ეყარა. ნაღმებისა და ჭურვების აფეთქებებით გაქორფლანებული თოვლი, შავი დამზრალი მიწით იყო ზემოდან მოყრილი. ყოველივე ეს ამ ადგილებში დატრიალებულ ჯოჯოხეთზე მეტყველებდა. აქა-იქ გერმანელთა გვამები ეყარა, სამედიცინო სამსახურის პერსონალი ჩვენს დაპრილებს დახმარებას უწევდა.

იღვა უტრწამლები ხმაური, ქვემეხების ქუხილი, ტყვიამტრქვევთა კაკანი და მოტორების გუგუნი.

ჩვენთან ერთად. სახელდახელოდ გაკვალული გზებით, მოთუხთუხებდნენ სხვადასხვა ავტომანქანები, მოქონდათ ზარბაზნები, ტყვია-წამალი, რაღაც უცნაური ყუთები; არეული ნაბიჯით მოდიოდნენ მსროლელი ნაწილების ახალი დანაყოფები და ყველაფერი ეს წინ მიისწრაფოდა, წინ მიიწევდა.

„ლენინგრადაისაკენ!“ — თეთრი ასობით ეწერა ერთ-ერთ ვეებერთელა ქვემების ლულაზე.

გერმანელები არაადამიანური გააფთრებით იცავდნენ თავს. თითქმის მთელი კვირა გრძელდებოდა სისხლის-მღვრელი ბრძოლები.

შეტევაზე გადასვლიდან ექვსი მნელად წარმოსადგენი დღის შემდეგ, დილით, თვრამეტ იანვარს „ჩარისკაცურმა ტელეგრაფმა“, ყურიდან ყურში გადაცემულმა ამბავმა, რომელიც კავშირგაბმულობის ყველაზე სწრაფსა და საიმედო საშუალებას წარმოადგენს, გვამცნო, რომ ლენინგრადაისა და ვოლხოვის ფრონტების მეწინავე ნაწილები ერთმანეთს შეხვდნენ... ლენინგრადაის ბლოკადა გარღვეულ იქნა!

იმ დღეებში მთვრალეზოვით დავდიოდით და ერთმანეთს გამარჯვებას ვულოცავდით.

ორიოდე კვირის შემდეგ, როცა ახალ პოზიციებზე განვლაგდით, და ბრძოლები ცოტა ჩაცხრა, შევიტყუეთ, რომ ვიწრო ზოლში, რომელიც მტერს წაგართვით და რომლის სივანე, მგონი, შეიდ-რვა კილომეტრს არ აღემატებოდა, დღე-დღეზე რკინიგზის სახელდახელო ხაზს გაიყვანდნენ და სულ მალე მატარებლები პირდაპირ ლენინგრადაში ივლიდნენ.

მართლაც, სულ მალე პირველმა მატარებელმა ლენინგრადაისაკენ გასწია. მართალია, მატარებლით მგზავრობა მეტად სახიფათო იყო, რადგან გერმანელები განუწყვეტილად უშენდნენ ცეცხლს ნაღმსატყორცნიბიდან და ქვემეხებიდან, მაგრამ სარკინიგზო მიმოსვლა მაინც არსებობდა და, მამასადამე, ლენინგრადაში ჩასვლა სრულიად რეალურ საქმედ იქცა...

იმ დღიდან მოსვენება დავკარგე. იმ დღიდან მხოლოდ იმასლა ვფიქრობდი, როგორმე ლენინგრადამდე მიმეღწია და ლიდა მომენახლებინა.

და აი, ეს დღეც დადგა! ბლოკადის გარღვევიდან ორიოდე თვის შემდეგ, ჩვენი ცალკეული საარ-

ტილერიო პოლკი, რომელიც „მთავარსარდლობის რეზერვს“ კუთვნიებოდა და საჭიროებისამებრ ერთი უბნიდან მეორეზე გადასყავდათ (რის გამოც, ხან ერთ საერთოსაჭარი-სო შენაერთს ვექვემდებარებოდით, ხან მეორეს) — ლენინგრადაის ფრონტის განკარგულებაში გადაიყვანეს და ჩვენ, ერთ მშვენიერ დღეს, სესტრორეცკის რაიონში აღმოვჩნდით.

აღრე ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი — ჩემი ბატარეა ლენინგრადაის განაპირა უბანთან დაბანაკდა...

გამოხდა კიდეც ხანი და პოლკის მეთაური მესტუმრა. მან ჩვენი პოზიცია შეამოწმა. დრო შევეურჩიე და ლენინგრადაში რამდენიმე საათით გაშვება ვთხოვე.

— როცა ქვემეხების მიწაში ჩათხრას დაამთავრებ, როცა პოზიციას ისე შენიღბავ, რომ ბატარეაზე მყოფ-მაც კი ბატარეა ვერ შეამჩნიოს, როცა მებრძოლებს მიწურებს გააკეთებინებ და შიგ შეასახლებ, როცა მანქანების პარკს მოაწყობ და ბატარეის ცხოვრებასაც ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებ, მთელი დამით გამიშვიარ. მანამ კი — მან თითი მუქარით დამიქნია — აქ უნდა იყო დაბმულივით, გაიგე?

— გავიგე, — ვუბასუხე გახარებულმა, რადგან ლიდას ნახვის დღე აღარც ისე შორეული მეჩვენა. თუმცა ყოველივე იმის გაკეთებას, რაც მეთაურმა პირობად დამიდო, კიდეც რამდენიმე დღე დასჭირდებოდა.

მაგრამ, რადგანაც ყოველივეს დასასრული აქვს, და ვაქასი არ იყოს — ბოლოს ზღვანიც კი დაშრებინაო, — საქმეც მოვილიე და აპრილის ერთი ნათელი დილით, როცა ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა, როცა მშეს ალაგ-ალაგ დარჩენილი თოვლისათვის წყალი შეეყენებინა, ვალენკების მაგივრად ჩექმები ჩავიცვი, საზურგე ჩანთაში ჩემი ოფიცრული ულუფა (ორიოდე კონსერვის ქილა, ერთი მთლიანი პური, ცოტაოდენი შაქარი) ჩავალაგე

და ლენინგრადისაკენ მიმავალ ვზას გა-
ვუღდექი.

აპრილის დამდეგი იყო.

თოვლი უკვე აეღო. მხოლოდ აქა-
იქ, ისიც ხშირ ნაძვნარში, ხეების ძირში
თუ მოჰკრავდი თვალს მის ქათქათა
სითეთრეს.

ქალაქი როგორღაც ერთბაშად დაი-
წყო. მტრის არტილერიისა და ავია-
ციის მიერ მიყენებული ქრილობებიც
ასევე ერთბაშად გამოჩნდა.

საცხოვრებელ უბანს ისე ვერ გაი-
ვლიდი, რომ სახლების მაგიერ აგურე-
ბის უზარმაზარი გროვა არ დაგენახა.
წითელი აგურის ჩამონგრეულ კედლებს
შორის თეთრი ეშვებივით განჩილიყუ-
ნენ ხის ვეება კოჭები, ზოგი საოცრად
თეთრი, ზოგიც დამწვარ-დანახშირებუ-
ლი.

ქუჩაში აღმართულ მოზრდილ ბორ-
ცებსა და მიწაყრილებში შიგა და შიგ
საოჯახო ნივთებსაც მოჰკრავდი თვალს.
რას არ წააწყდებოდი აქ: ლოჯინის სა-
ზურგეებს, მაგიდის ფეხებს, დაშლილ
სკამებს, ძველებური ბუფეტების შე-
ვლელი კარებს, თუ უჯრებს, საწერ მა-
გიდებს, პირისსაბანებს, სარკეებისა და
სურათების ჩარჩოებს.

ყველაფერი გავერანებულიყო, და-
შლილ-დამტვრეულიყო, თავისი პირ-
ვანდელი სახე დაეკარგა და ნაგვად
ქცეულს, თოვლისა და თქეშისათვის
შეეშვირა თავისი ოდესღაც კრიალა
ზედაპირი.

გადავდიოდი უბედურების უტყუ
მოწმებად აღორღილ ამ ყორღანებზე
და უსიამო-ერუანტელი მივლიდა.

ვინ იცის, რამდენი ცოცხლად და-
მარხულთავანი იწვა აგურისა და ქვე-
ბის ამ ნამტვრევების ქვეშ. რამდენი სი-
ცოცხლე შეწყდა ამ შემზარავ გორ-
მანებში. ისეთი განცდა მქონდა. გეგო-
ნება მიცვალებულთა სხეულებს ვაბი-
ჯებდი ფეხს.

მაგრამ რაზეღაც არ უნდა მეფიქრა,
რისთვისაც არ უნდა მეცქირა — ჩემი
საზრუნავი, წამითაც არა მტოვებდა. ეს
იყო ფიქრი ლიდაზე... როგორ დამხე-

დება? მოინდომებს კია ჩემთან შეხვედ-
რას?

მივდიოდი, ლენინგრადის საოცარ
ქუჩებში, შევცქეროდი მის სახლებსა
და ნასახლარებს, შენობათა გამჩხერე-
ბულ მწკრივებს და მივირბოდა, რომ
საშინელი ნგრევისა და გაპარტახების
მიუხედავად, ეს უბრწყინვალესი ქალა-
ქი ახლაც ულამაზესი იყო. იგი განცვი-
ფრებდა თავისი მგაცრი, მწყაზარი, ჯა-
დოქრული დიდებულებით, თავისი გა-
ნუმეორებელი, მხოლოდ მისათვის და-
მხასიათებელი იერით. მივდიოდი და
მზერად ვიყავი ქცეული, ხან ვტყებო-
დი, ხანაც გული მტკიოდა.

ლიდაზე ფიქრი კი წუთითაც არა
მშორდებოდა. როგორ შევხვდებით, —
როგორც და-მმა, როგორც მეგობრები?
თუ... ვერაფრით, ვერაფრით ვერ წარ-
მომედგინა ჩვენი შეხვედრის პირველი
წუთები: როგორ შევხვდებით? როგორ
უნდა მოვიქცე? ეს აზრი მაწამებდა, და
რაც უფრო ვუახლოვდებოდი მის
სახლს, ჭვარცმა სულ უფრო და უფრო
საშინელი ხდებოდა...

ქალაქის გაწმენდა-დასუტთავება
უკვე დაეწყოთ. რამდენადაც უფრო
ღრმად შევდიოდი ქალაქში, მით უფ-
რო ხშირად მხედებოდა ლომებით, ნიჩ-
ბებით, წერაქვებით მომუშავე ჯგუფე-
ბი. აქა-იქ კალატოზებიც მოჩანდნენ,
უფრო მეტად ქალები იყვნენ, შარე-
ლებში გამოწყობილი.

ყოველივე ამან ცოტა გამახალისა:
ამდენი წლის ნგრევის შემდეგ ძლივს
არ შევესწარი შენებას, ძლივს არ
დავინახე მშვიდობიანად მომუშავე
ხალხი, თუმცაღა თვით მშვიდობა ჯერ
კიდევ ცხრა მთას იჭით იყო... ვინ იცის,
ჯერ კიდევ რამდენი სისხლი უნდა და-
ღვრილიყო. რომ ბარი და წერაქვი
ხალხს ხელში აეღო.

გერმანელთა პოლკები ჯერ კიდევ
ოციოდე კილომეტრის დაშორებით იღ-
გნენ ლენინგრადიდან და ქალაქს მხო-
ლოდ ერთი პატარა სასუნთქი მილი
მქონდა ჩადგმული, რათა მთლად არ
გავუღუულიყო, თორემ სხვაფრივ, იგი

კვლავაც ტყვე იყო და მტრის არტილერია დღეში რამდენჯერმე უშენდა ცეცხლს მის უღამაზეს ქუჩებსა და ფოლორცებს. ევითელჯერიანი თვითმფრინავებიც დღეში რამდენჯერმე მოფრინავდნენ მის მოსანახულებლად და ნაღმებში ჩაბუდებული სიკვდილი მოჰქონდათ...

მაგრამ იმ წერაქვებიანმა ქალებმა — დაე, ცოტა ზანტებმა და გამათუცდებლებმა, მაინც გამახალისეს.

ფიქრებიც უფრო ხალისიანი გამიხდა: უკვე სამი თვეა, რაც ლენინგრადელებს ისე აღარ უჭირთ, როგორც ძველად. სურსათის ნორმაც გაუდიდეს. ეგება ლიდაც მომჭობინდა, ეგება გამოკეთდა, ეგება ისეთი საშინელი აღარ არის... არ შეიძლება, რომ ჩემზე არა ფიქრობდეს, ყოველ შემთხვევაში, იმ სტუმრობის შემდეგ მაინც...

ისევე ძველი ლიდა წარმომიდგა თვალწინ. ლიდას ხმაც ცხადლივ გავიგონე, გულიდან ამომაველი მისი დაგუდული სიმღერა. მივდივარ ლენინგრადის დაბოშბილ-გადახერგილი ქუჩებით და ის სიმღერა მესმის:

Начинаются дни золотые
воровской и безумной любви,
ах, вы кони мои вороные,
воронные вы кони мои...

მოსკოვის ვაგზლის მოედანზე გავედი, ნევის ძველი პროსპექტი გავიარე და სმოლნისაკენ გზას შევეუყევი. რაც უფრო ვუახლოვდებოდი ლიდას ქუჩას, მით უფრო აჩქარებით მიცემდა გული.

და აი ისიც, საბჭოს მეოთხე ქუჩა... აი, თურმე როგორი ყოფილა... მაშინ, შტაში, გრძლად გაჭიმული თოვლის მთა გასდევდა მთელს სივრცეზე. ახლა ბულვარით გაზონი მიუყვება. აქეთიქით ხეები ჩაირიგებულან, ქუჩის ორივე მხარეს კი სამოძრაო ფილაქანია.

მართალია, ახლა ქუჩაში არც ერთი მანქანა არა ჩანს, თვით ფილაქანიც გაუხედურებულია, მაგრამ ვიცი, რომ ის დროც მალე დადგება, როცა ფილაქანს

შეასწორებენ, ხოლო მანქანები გრილით აავსებენ მის ამჟამინდელ სიჩუმეს. ასეთი დიდი ქუჩა აუცილებლად ხმაურიანი იქნება, ქუჩას კი ისე არაფერი აღამაზებს, როგორც ხმაური და მოძრაობა. ეს გაზონები რომ მშვენიერად შეიმოსება და ხეებიც გაიფოთლებიან, მართლაც ძალიან ლამაზი გახდება.

... აი, ესეც შენი ჩვიდმეტი ნომერი, გვერდით რომ უდგას ცხრაშეტი, და აი...

... მოიცა, მოიცა! ეს რა არის? განა აქ ოცდაერთი არ უნდა იყოს? აქ კი ცხრეილი ადგილია! რალაც უცნაური ნანგრევები აღმართულან...

ვუხურებ და თვალებს არ ვუჭერი! ოცდაერთი ნომრის ადგილას ჰატარა ტრამაილივით მოშიშვლებული მოედანია. მის უკან კი ვეგება სახლის ნანგრევები ჩონჩხებით დგანან... არა, ეს შეუძლებელია!

— ალბათ, რალაც მეშლება...

ქუჩის დასაწყისისაკენ გავრბივარ, ხელმეორედ მოვუყვები, თან სახლებს ვითვლი: ჩვიდმეტი, ცხრაშეტი...

— ოცდაერთი სადღაა?..

— შეიძლება ქუჩა შემეშალა?

ისევე გავრბივარ, რათა ქუჩის სახელწოდება წავიკითხო. კუთხემდე სულმოუთქმელად მივირბინე. ცხადად აწერია — „საბჭოს მეოთხე ქუჩა“...

მთვრალი კაცის ბარბაცით მივეუყევი და ვინ იცის, მერამდენდ ვითვლი: სახლი ნომერი — თხუთმეტი. ნომერი — ჩვიდმეტი, ცხრაშეტი და...

... თითქოს რაღაცას მივხვდი. საშინელმა აზრმა ტვინი გავარვარებულ შანთივით გამსკვალა. ძალა ერთბაშად გამომეცალა და კედელს მივეყრდნე. სწორედ ისე, როგორც ლიდა მიყრდნო მაშინ კარების დირეს...

მისი სახლი აღარ იყო!

ეს უზარმაზარი გოლიათი გეგონება სულაც არცა მდგარაო, მის ადგილას უფრომო ნანგრევები-ლა მოჩანს...

— თვითონ ლიდა?!

— ეგება გადარჩა, ეგება გაასწრო?

ნეტავ, სად გავივითხო მისი ამბავი, ვისგან შევიტყო რაიმე... იქნება ის სათვალისანი მოხუცი მოვანხო. თუ ცოცხალია, აუცილებლად ეცოდინება მისი ამბავი...

ნანგრევებს რალაც ბილიკი მიუყვება, სწორედ იმ სახლისკენ მიდის, მაშინ რომ მიმითითა — ლიდას ეზოს უკან ჩემი ეზო არისო, გვირაბით უნდა გახვიდეო...

სირბილით მივეყვები ნანგრევებს შორის გაკვალულ ბილიკს და გვირაბით ისეთივე სწორკუთხა ეზოში შევრბივარ, როგორც ლიდასი იყო...

ალბათ, გიყვით გამოვიყურები. ფეთიანივით ვაწყდები აქეთ-იქით, ჭერ ერთ საღარბაზოს ვეცი, მერე მეორეს... არ ვიცი ვის მივადგე, ვის რა ვკითხო...

უეცრად ვილაცის ხმა მესმის:

— ამხანაგო ოფიცერო, ამხანაგო ოფიცერო! — გველნაკბენივით ებრუნდები და ვხედავ ნაცნობი სათვალისანი მოხუცი ჩემსკენ ბანცალ-ბანცალით მოდის. კოჭლობს. ადრე მგონი არა კოჭლობდა...

რალაც მუქყავისფერი პალტო ჩაუცვამს. ფეხთ შავი ჩექმები მოსავს, თავზე ძველისძველი ლურჯი ბერეტი ადევს. გულზე კი მედალი ჰკიდია, პალტოს ზემოდან დაუმარგებიია. ამ მედალს კარგად ვიცნობ, — „ლენინგრადის დაცვისათვის“ — აწერია მას.

მინდა რალაც ვკითხო. მაგრამ ხმის ამოღება მიჭირს. განა ყველაფერი ცხადი არ არის? — ფიქრობ გუნებაში.

მოხუცი ჩემად შემოამკვირის. მერე წელში იღუნება და ხელისგულებს მუხლისთავებზე ირტყამს, თან მოთქმით ამბობს:

— აღარა გვყავს ჩვენი ანგელოზი, აღარა გვყავს ჩვენი ლამაზი ლიდა. — გაბმით, სიმღერასავით ამბობს იგი ამ საშინელ სიტყვებს და მე ვგრძნობ, როგორ უსაშველოდ მეყინება სხეული...

— ჩემს თიალწინ ვაიზარდა. მამილებთან დადიოდა, ყველას ძალიან უყ-

ვარდა... მამილები ხომ შეშლილნი იყვნენ მასზე... ახლაც ერთად იქნებიან. სასუფეველი დაუმკვიდროთ ღმერთმა, — მოხუცი პირჯვარს იწერს. დამკვნარ ლოყებზე ცრემლები ჩამოსდის. კიდევ უფრო ვაცრეცილა, დამკვნარა. ცარიელი ძვალი და ტყავიდა.

... როცა გამოვერკევი და მომხდარის გააზრება შევიძელი, დავინახე, რომ ეზოს განაპირას, ყრუ კედელთან, მიწაში ჩამაგრებულ ძელსკამზე ვზივარ, გვერდით სათვალისანი მოხუცი ნიზის. მას ჩემთვის მკლავში ხელი ჩაუყვლია, სახე სახესთან მოუტანია და ბებრული თავის კანტურიტ მომიტხრობს:

— ბლოკადას რომ არღვევდნენ, სწორედ იმ დღეებში მოხდა ეს უბედურება... გერმანელები საშინლად გააფდნენ. ისე დღე არ გავიდოდა, განგაში რამდენჯერმე არ გამოეცხადებინათ. ხან თვითმფრინავები გვესხმოდნენ, ხან არტილერია გვიშენდა. იმ დღეს შორიგეობისგან თავისუფალი ვიყავი და ჩემს ოთახში მეძინა. თითქოს გულმა მიგრძნო, გაუხდელი მივწევი. შუალამისას ატყდა საშინელი გრუხუნი და ბათქაბუთქი, ის იყო კარში უნდა გამოვსულიყავი, რომ რალაცამ უჩვეულოდ დაიგრგვინა, არეშარე დღესავით გაანათა და ვაისმა ჭოჭონეთური ხმანგრევისა. კაცს ეგონებოდა მთელი ქვეყანა ინგრევავო, შეშინებული უკან შევეარდი და ლოგინზე პირქვე დავემხე, ვინატრე, — ბარემ, მეც თან ჩამიტანოს, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩე-მეთქი ამ უბედურებას... მაგრამ დახე უსამართლობას, მე — ეს გადაყრუებული ბებერი, ვისაც აღარც შვილი ჰყავს და აღარც ძირი, — ზოგი ომში დამეღუპა, ზოგიც შიმშილით ამომიწყდა — გადაერჩი, ის კი ცოცხალი აღარ არის... როცა გრუხუნი შეწყდა, სანიტრის ჩანთა გადავიკიდე და კარში გამოვედი. ვავიხედე, ჩვენს წინ, სადაც უწინ მათი სახლი იდგა, ოცდაერთი ნომერი — ვარსკვლავებიანი ცა მოჩანს, სახლი კი, ის უზარმაზარი სახლი

აღარ არის... ათამდე კაცი ცოცხლად დაიმარხა ნანგრევებში. ყველა, ვინც კი იმ დამით შინ იყო...

— ალბათ გიყვარდათ ერთმანეთი, არა? — ბებრული მიამიტობით მკითხა მან.

თავი უსიტყვოდ დავექნიე.

— ძალიან? — დამაშტერდა მოხუცი.

კიდევ დავექნიე თავი.

— რატომ აჭამდე არ მოხვედი? — მახლობელი აღამიანივით შინაურულად მკითხა მან.

— ვერ შევიძელი, მეც ხომ ფრონტზე ვარ...

— ეე, — თავი გადააქნივ-გადმოაქნია მოხუცმა, — სიყვარულს დახანება არ უყვარს...

— სიყვარულს დახანება არ უყ-

ვარს, — ჩემს მიერ გამეორებული სიტყვები სხვის ნათქვამად მომესმა.

— მე კი იმედი მქონდა, სულ მუდამ იმედი მქონდა — თითქოს თავის გასამართლებლად წაეილულულე ხმა დაბლა. მაგრამ მოხუცმა მაინც გაიგონა:

— ასეა, ჩემო კეთილო, ყველაზე დიდხანს ცოცხლობს იმედი...

შუბლი მიხურდა. ყელი მიშრებოდა. ისეთი განცდა მქონდა, გეგონება ვიღაც უხილავს ჩემი გული ჩაებლუჯა და მის გაწურვას ლამობდა. ნელი ტაბით მივდიოდი ჩემი ნაწილისკენ, ჩემი ქვემეხებისკენ მივდიოდი. ყურში კი სათვალისანი მოხუცის სიტყვები ეღერდა:

— ყველაზე დიდხანს ცოცხლობს იმედი...



სკოლის წიგნაკარი

სიზვიის გზაზე

გზა შორეული,
ტყე და მგზავრები.
ღამე უღრანში ლურჯად დნებოდა
და ყოველ დღით მზე მატარებელს
სემაფორივით წინ უდგებოდა.
ციმბირი — ცა და ტყე უსასრულო,
მანძილით დღიდა ფიქრს და გონებას.
ფიქვებთან არყი — თეთრი ასული,
იდგა გოროზად,
თავს იწონებდა.
შორით გვიხმობდა, ვით ქანაანი.
აღმოსავლეთი,
ხმა მისი სიშხნედ
რეკდა,
გვეხალტა ტყის გაღაფანი,
ზედ დილა იდგა, ვით ბროლის ციხე.

ზოგჯერ მზე იჯდა ზეცის ვერდოზე,
დრო ზოგჯერ მწუხრის შორეკდა ღამებს,
ჩვენ ხან ვიყავით დღის ქვეშევრდომნი,
ხან მოწყალებას შევთხოვდით ღამეს.
მივქროდით მზისკენ თავგადაკლულნი,
ფლოქვთა გუგუნი ფოლაფა მინდორს, —
ახპარეზობა იყო ზაფხული,
აღმოსავლეთი — რჩეულთა ჯილდო.
გზა დარჩა...
წლებმა ჩაიშრიალეს,
როგორც ფოთლებმა ოქტომბრის ხმაზე.
მზისაკენ ქროლვა ქარიშხლიანი
იყო,
არის და
იქნება ასე.

მ ლ ვ ი მ ე

მღვიმე გვასწავლა სახლის შენება,
რადგან ხალხს ვეღარ იტყვია მღვიმე
და იმის მერე,
მე მერყვება:
დაიწყო შრომა ძნელი და მძიმე;
გაჩნდა ქვის ტვირთი.
და მონის ხეღარი,
პირამიდა და დიდი კედელი,

ხოლო ნგრევა კი ბზარავდა კედლებს,
იყო შენება განუწყვეტელი...
ვაშენებთ ისევ სახლსა და კუბირს,
რომ გადავურჩეთ ქარებს და წვიმებს...
და მივაბიჯებთ საერთო გზებით
ადამიანი,
სახლი
და მღვიმე.

ჩემი წარსული

ხადლაც მცირე დრო მთხოვა მდინარემ,
გზები ძახილით დამატყდნენ თავზე,
ზღვებმა მაისის დღე, მოციინარი,
წამართვეს ლურჯი ჩიტებით სავსე,
მსხვერპლს მოითხოვედა ფიქრიც დამღლეული,
ლამაზ ცაზე და ლამაზ ნისლეუბზე...
და აისები, როგორც ნაღმები,
სკდებოდნენ მთებში და მაყხიხლებდნენ.

დრომ არ გაუშვა ხელუბლებელი
ბავშვობა — თეთრი მთების ზღაპარი,
დრო თავზე გვადგა — ყოვლისმხედველი
და ვერაფერი გამოვაპარეთ.
ფერით და სუნით დამათრობელი,
ბევრი ნაყოფი ჩაბარდა მიწას...
წარსული ასე მახსოვს, რომელიც
მდინარედ, გზად და ფიქრებად იქცა.

ჩუსათოს ბებები

ლაპარაკობდნენ ტბები რუსეთის
ცაზე,
დრუბლებზე და ვარსკვლავებზე,
ლაპარაკობდნენ და მე ვუსმენდი
ჭერა ჭალებზე,
ლამაზ მკლავებზე...
პყვებოდნენ იგავს მზეზე, მთვარეზე.
ხან ხმარობდნენ,
ხანაც ფიქრობდნენ
იმზე, რასაც მუდამ დავეძებთ,
რაც ვიპოვეთ,

ან ვერ ვიპოვეთ.
გულში რაოდენ გრძნობებს იტევდნენ
ცაზე,
ტრფობაზე,
მზეზე,
ლექსებზე...
რუსეთის ტბები ლურჯი თითებით
ჭერა ჭოჩორზე მიაღურსებდნენ.
ნაგებდნენ ხალხში, ვით ღზინი საკრავს
და... მერე სულ სხვა გზებმა დამკოდეს.
მე ახლა მათგან შორსა ვარ, მაგრამ
მესმის, როდესაც ლაპარაკობენ.



სილოვან ნარიშკინიძე

ეს სიხარული...

ეს სიხარული მე თქვენ გაჩუქეთ, —
სახლებს და ქუჩებს, ბაღებს, მოედნებს,
მწყემსებს, რომელნიც ფარებს მწყემსავენ
და მოფარფატე შორეულ მტრედებს.
ეს სიხარული გეკუთვნის ყველას,
ტყეებსაც, მე რომ ადრეც ვუმღერე,
ქობებს, რომელნიც მთის წვერზე დგანან,
და ამაყ შუბლებს კლდეებს უშვერენ.
ის შენ გეკუთვნის მებრეც და მეზვრეც,
მეზაღვე გმირო, ბრძოლანახულო,
მეშალაროვე, ქარბნების ბოლში
ოფლდაღვრილო და შუბლგამურულო!
ის თქვენ გეკუთვნიოთ, ზეავად მოსულო,
აღვარებული მაისის თვეო,
შენც დეკემბერო, შეციებული,

შენც მიწის მადლო,
შენც მადლა მზეო!
თქვენც თავთუხებო, ვრცელო ყანებო,
არაგვის პირის დუდგულის ხეო,
შენც მაისობის ღორთქო ბალახო,
ალაზნის პირის შენც სამოთწეო!
შენც მცირე ლექსო — წრფელად ნამღერო.
შენც სიყვარულო, გინდ სიძულვილო,
ვაჟაკო, შენც, ვინც გმირულად მოკვდი,
შენ უმაღლესი სამყაროს მკვიდრო!
ეს სიხარული გეკუთვნიოთ ყველას,
ვინც რომ სიმართლის ნერვი ახარეთ,
გზაზე რომ მხედდება უბრალო მგზავრი,
ცისარტყელას თუ ნამგალა მთვარეს.

მხრე პარის ახლოს

ცხრაკარის ახლოს,
მიმოხეული ჩემი გულის ნაწილები ჰყრია ველ-მინდვრად,
ვერავენ აპკრფს იმ ნაწილებს,
(მარად იმღერებს ალაზანიც ტკბილ მოსაგონარს).

ხეობა დიდი,
ამღერებული,
გაზაფხულის მძლავრ გულისცემას ისევ მოისმენს.
რაც ჩემში იყო, ყველაზე ღამაზს მე მას ვუძღვნიდი,
იმ წარსულს კმაძავს ხეობა ახლაც,
როგორც სახსოვარს



ისევ უძახის

სადღაც, შორს, მთებში,

მიზგიტებში წასულ შუადღეს...

ახლაც ისევ ჩამოდან დაღესტნის მთიდან
ლექის ქალები სალოცავად ჩელთის ფშანებთან...

შემოდის გაზაფხული ზვრებიდან ბაღში,

როგორც სტუმარა უძვირფასესი.

ფარია-ფარჩებით მორთავდა ირგვლივ ჩვენს გარეშემოს
და მერე მძიმედ მთებისაკენ გაუყვებოდა.

ყველა ბალი და მთა თუ მდელო, ზემო თუ ქვემო,

სამოთხის კარებს ფართოდ აღებდა...

ისევ ისეთი ჩანხარ შენ, მზეო!

ბარაქიანი, იმედიანი,

დიდი და მძლავრი...

ო, როგორ ჩუმად შემოჭრილა გაზაფხული ირგვლივ,

მთა-ბარში:

აზოებიდან, ყანებიდან,

ისევ ხელს მიქნევს,

ის ძველთაძველი ძმაკაცი და

ნატრული ჩემი...

ხ ა რ ი ...

მაღალი, ლაღი, ქედმოხრელი

ტყიდან გამოდის დინჯი და წყნარი,

წითელი ხარი...

სოფლის თავიდან გაანათებს გარემოს კრძალვით,

როგორც დიდი მზის პატარა ალი.

გასწივ ხარო, მთელ სამყაროს

შენ დასდე ვალი..

და მიაბიჯებს მთის ფერდობზე დინჯი ნიკორა,

თითქოს კარემოს ეჩვევა თვალი.

გული მიუწევს სოფლიდან შორს, შორს, —

ისევ ტყისაკენ წაიყვანს კვალი.

მიდის და მიაქვს ორი დიდი ნამგალა მთვარე,

შუბლით კი ჯვარი...

მითხარ ძეგო. აზერბაიჯანი!

თუმც ქარია და ღრუბლები მარტის,

აზერბაიჯანო,

მე სივრცე შენი არასოდეს არ მღლის,

გზა სიყვარულის, გზა ანდამატის,

სიმღერა შენი ზეცამდე აღის...

თავისუფლებას უმღერ და მიხარია!

ირგვლივ ყვავილობს იალაღების,
გაზაფხულის მზის ლურჯი მირონი,

საუხეა ჩვენი თეთრი ფარებით

მაღალი მთების სანაპირონი.

და არის ჩემი სიხარული ესოდენ დიდი,

რომ ქართველი ვარ,

რომ ძმას მეძახი და არ გამყიდი!..
დიდი გზა განვლეთ,
ბრძოლების გზა,
ტკივილების გზა,
ასე არ იყო?..
მითხარ, ძმაო აზერბაიჯან!..
უღელი გვედგა მეტად მძიმე,
მონის უღელი,
ასე არ იყო?
მითხარ, ძმაო, აზერბაიჯან!..
დღესაც ჩვენ ერთად მოგვიწია
გვევლო მხარი-მხარ,

ასე არ არის?..
მითხარ, ძმაო, აზერბაიჯან!
მოვსულვარ
ძმა და მეგობარი გიდგევარ მხარში,
ჩემთანაც მოსულს, თუ არ დაგხვდე,
შემრისხე მაშინ,
ჩვენ ერთად გვათოვს გაზაფხული
მზის მარმაშებით,
ილაღებზე ერთად სძოვენ ჩვენი რაშები,
ტულით მიყვარხარ,
კარგო ძმაო, აზერბაიჯან!..

შენს გავო...

მთა-ბარის გამო,
ჩემი მთა-ბარის,
ჩემი არაგვის და ალაზანის,
ჩემი შავი ზღვის,
ჩემი რიონის,
სწორუბოვარი კაეკასიონის,
შენი ძმის გამო,
შენი დის გამო,

მინდერის ყვავილთა ლაღადის გამო,
რუსთავის გამო, ცხრაწყაროს გამო,
ვარძიის გამო,
მარაბდის გამო,
ჩვენი შრილა ბაღების გამო,
შენს გამო, ჩემო,
ჩემო, შენს გამო,
მე ვიწყებ დიდი ზარების რეკვას,
და შენ მჭირდები დაუვიწყარო...

• • •

მე დაგაკლდები ჩემი სიმაღლით,
ქუნას და,
უფრო კი ისევ შენ,
მე დაგაკლდები ერთ უტკმელ სიზმარს,
მოფარეს და კიდევ,
ერთ უნუმარ ხევს...
აღსავეს ეინით და რწმენით,
მომავალს მივანდობ ბედს,
არ მოვალ დამცხრალი,

მე როგორც
მარჯვენა მოჭრილი არსენა,
და არ დაგნებდები ზვედრს...
მე დაგაკლდები ჩემის სიმაღლით
ბილიკს,
რომელიც აღმართით მიდის,
მდინარეს,
რომელიც ღიღინებს მთებს შუა,
გვირილას,
ყამირზე რომ მოდის...



გ მ ი რ ი

ფრთხილად ასწიეთ,
მალა ასწიეთ...
მას, ვინც სარბოლაში სჯობდა არწივებს,
ვით ოკეანეს — მზე მიაცილებს...

აკეტორს, ოდისევსს,
და თვით აქილევსს,
არ უბრძოლიათ უფრო გმირულად,
არ უცხოვრიათ უფრო მღელვარედ,
უფრო სადად და თავგანწირულად...

მიწას გაქონდეს უნდა ზანზარი,
რადგან გმირისგან იბარებს ანდერძს, —
ლეგენდასავით მოარულ ამბებს.
ერცელი ველების წუსს ბინადარი!...

შემოკრბით ირგვლივ,
ვინც მას ფიცს აძლევს!..

მალა ასწიეთ,
შეხედოს ყველამ,
მას, ვისაც გული ედო რვალისა,
ვინც ბოროტების ბჭენი დაღეწა,
ვინც ძილს უფრთხობდა ყველა გარეწარს,
და იყო დროშა მომავალისა.

არც შებრალებას,
არც ცრემლს არ იღებს,
ის უკვდავებად შერჩათ თარიღებს!

ი ძ...

იქ, ახლა აღბათ ხმაურობს ცელი,
და ტყეში გვერიტი მღერის მალულად,
სასაფლაოზე წვეს ბიძაჩემი,
დიდ უზოში კი დაფრენს ღამურა.

ეს გახსენება ყველაფერია,
ველთა სიმწვანე ხევი და ჭალა,
ახლა იქ, მხოლოდ ქარნი მღერიათ
და საკალმახე წყალი დამშრალა...

როგორც შენ უნდა დაგენახა...

როგორც შენ უნდა დაგენახა, —
შენი თვალებით მე ვხედავდი ყველაფერ ამას:
შვილდისარივით მოზიდულ მთებს,
სოფლებს და ტინებს
და ონკანებში მიქეფარ წყაროებს.
მზე ჩადიოდა სადღაც, შორს, მთებში,
დიდი ალგები,
ისეუ ისე ფეხმოუცვლელად
ნელი შრიალით ღარაჯობენ ხევის წისქვილებს.
როგორც შენ უნდა დაგენახა,
შენი თვალებით მე ვხედავდი
ყველაფერ ამას...
ასე ინიება: ამ უთვალავ
ელვარე ფერებს,
ჩემი თვალებით დაინახავს
ვიღაცა მერე...

მამია ჯავარი

რომანი

თავი ოცდამეცხრა

სოლომონი გვიან ღამით მივიდა გელათის მონასტერში. რკინით შექედნილ ალაყაფის ქიშკართან, რომელსაც უკვე აღებდნენ შავანაფორიანი ბერები და აქ წინასწარ გამოგზავნილი მალემსრობლები, ერთხელ კიდევ გადაიწერა პირჯვარი, მხურვალე ლოცვა წაიჩურჩულა და უცნაურად გულაკანკალებული ცხენიდან ჩამოქვეითდა.

გელათში აღრევე იცოდნენ, რომ ამალამ ბატონი მეფე უნდა მობრძანებულიყო და მონასტრის გულავანი მამხალეებით გაეჩაღებინათ.

სოლომონის მხოლოდ ციხისთავი და ქეშიკთუხუცესი ქაიხოსრო ავიაშვილი ახლდა სამასიოდე რჩეული მხედრისაგან შემდგარი მცველი რაზმითურთ. დანარჩენები, მათ შორის დედოფალი მარიამიც, ხვალ უნდა მოსულიყვნენ.

ძმები უბისაში დასცილდნენ ერთმანეთს. გენათელი მიტროპოლიტი იოსები სამღვდელო და საერო პირთა მცირე ამალითა და ჩხერის ციხეში ჩასაყენებელი ჭარით ქართლის გზას გაუდგა, რათა იქ თეიმურაზ მეფეს შეხვედროდა

და სოლომონის მოყვრული დანაბარები გადაეცა, ხოლო ბატონიშვილი არჩილი და მისი უწმიდესობა ბესარიონი, ფრთებშესხმული ერისთავთა სახლისადმი მეფის გულის მობრუნებით, როგორც თავსავე გადაწყვეტილი იყო, რაქას, ბარაკონის ტაძრის საკურთხებლად გაემგზავრნენ.

უბისიდან პირდაპირ ვარციხის სასახლეში დაბრუნებულ სოლომონს, სადაც ის აფხაზ-ოდიშართა უკანასკნელი სადროშოების აყრას და შინ გასტუმრებას დაესწრო, ბეგლარბეგის მოკითხვის წიგნი და სიტყვიერი დანაბარები დაახვედრეს.

მაჩი-აჰმადი, „აჩიკ ბაშთა მეფის ძველი მეგობარი და კეთილისყოფელი“, სოლომონს მამაშვილურად მოიკითხავდა და შეშფოთებული მოაგონებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებსაც ახალგაზრდა მეფემ ხელი ვილაიეთის დივნის სხდომაზე მოაწერა. დადებული პირობის პატიოსნად შესრულება და გულმართლობა საკუთარი ღმერთის წინაშე ყოველი სინდისიერად აღზრდილი კაცის წესია, ჩვენ კი ბატონი სოლომონი სწორედ ასეთ



კაცად მიგვჩინაო, თავაზიანად და შეფარული ნიშნისმოგებით იტყობინებოდა ძვირფასად შემკული იშვიათი წიგნების მოყვარული ძღვევამოსილი ბეგლარბეგი.

ამ სიტყვებში იმოდენა თავდაჯერება, იმდენი მოწამლული შარბათი და შენიღბული მუქარა იყო, სოლომონს წამით თვალთ დაუბნელდა, მაგრამ თავს მალე მოერიდა და კვლავ შეუვალი, მიუჯარებელი კაცისა და თავის ძალაში ღრმად დარწმუნებული თვითმპყრობელის გამომეტყველება მიიღო.

რაკი მძინეარე პაჯი-აჰმადი ვილაიეთის დიენის სხდომაზე ხელმოწერილ ვალდებულებებს ასე მოიარებით და ლობობიერად ასხენებდა, მაშ, გამოლაშქრებისათვის ჯერ მზად არ იყო და ვიდრე ზეკარზე ვადმოსასვლელად ჯარს შეკრებდა, იმერთა მეფეს ტბილი სიტყვით იყოლიებდა.

„აჩიკ ბაშთა დიდებულ ბატონთან“ ბედნიერი სულთნის ფერხთა მტვერ ახალციხის ფაშას სხვა სათხოვარიც გასჩინოდა. პაჯი-აჰმადი მამაშვილურად თხოვდა და ურჩევდა სოლომონს, ბრძენი და სულგრძელი მეფის გულმოწყალება გამოეჩინა პირადად მისი მეგობრის, დედოფალ თამარის, მიმართ, რომელსაც ყოველთვის უღარეს პატივს სცემდა და რომლის საკვირველი გონიერება, მოსაზრებულობა და ღვთისმოსავობა სულ მუდამ აღტაცებას ჰკვირიდა. თამარი, მართალია, ქრისტიანე იყო, მაგრამ ის ყოველთვის გამოადგებოდა სოლომონს სულთანთან ქვეშევრდომული შუამდგომლობის გასაწევად, ვინაიდან პაჯი-აჰმადს მოეპოვებოდა სარწმუნო ცნობა, რომ ბაში აჩუკთა ქვეყნის დედოფალ თამარს სულთნის კარზეც იცნობდნენ და თვით დიდი ვეზირი თავს ხრიდა გურჯი ხათუნის დედაკაცური მომხიბვლელობისა და ელვა გონების წინაშე!

ეს უკანასკნელი სიტყვები რომ ამოიკითხა, სოლომონი ზიზღმა და აღშფოთებამ შეიპყრო. ნუთუ თავხედ და გარყვნილ ფაშას ავიწყდებოდა, ან განზრახ

ივიწყებდა, რომ დედოფალი თამარი, „გურჯი ხათუნი“, ვისი დედოფალის მომხიბვლელობის წინაშეც დიდ მტკაზირი თავს ხრიდა, მისი მშობელი დედა იყო? ნუთუ ასე აღმოვიფხვრა სირცხვილ-ნამუსის ნატამალი, რომ დაუბრკოლებლივ შეიძლებოდა, მოწიფული შეიღის, ისიც მეფის, გასაგონად ვნებააშლით ელაპარაკათ ხანშიშესული მშობლის „დედაკაცურ მიზიდველობაზე“? საიდან და როგორ გაუჩნდა ფაშას ეს ბინძური აზრები და სურვილები? აკი წინა რაყამშიაც ატყობინებდა იმერთა დედოფალს, თქვენთან პირადად შეყრის დიდი მოწადინე ვარო?

არაადამიანური ტყვილისაგან, გულზე ფინთხივით რომ დაეტაკა, სოლომონმა კინალამ შეჰყვირა. მას მუდამ თან სდევდა და სტანჯავდა აკვიატებული აზრი, რომ ბატონი დედა, როგორც ცოლ-ქმრული უღლის გამწევი და სარეცლის მოზიარე, მამის ერთგული არ იყო, რომ დედოფალი თამარი სხვა მზრივაც მტერმორეულ და დაბეჩავებულ თავის თანამეცხედრეს, მეფე ალექსანდრეს, სარეცელს უბილწავდა და ეს გარემოება მეფის ლოგინად ჩაეარდნისა და ნაადრევი სიკვდილის მიზეზიც გახდა.

ვაკეაცის დამამცირებელი, შემამრწუნებელი ეჭვი სოლომონს საკუთარი თავისთვისაც ვერ გაემზილა და გულის სიღრმეში ინახავდა. პაჯი-აჰმადის უგვანო წიგნის წაყითხვისას დაგუბებულმა ბოდმამ პირველად ამოხეთქა და ყველაფერს, რაც აქამდე მიჩქმალული იყო, თავისი სახელი დაერქვა.

სოლომონმა მთელი ნებისყოფა დაძაბა, შეეცადა, ამაზე არ ეფიქრა. ფიქრი თავისთავად უძვრებოდა ტვინში და ყველა ძველ რწმენასა და შეხედულებას ყირაზე აყენებდა. თვალწინ მამის აღსასრული წარმოუდგა. თამარი თვით უვლიდა მომაცვდავს, ვიდრე ის გონზე იყო და ავადმყოფის ოთახიდან მხოლოდ მაშინ გამოვიდა, როცა სასიკვდილოდ გადადებულმა მეფემ გრძნობა დაჰკარგა. ხომ არ შიშობდა დედოფალს?

ლი, ვაითუ სიკვდილის წინ სულთმო-
ბრძავემ რაღაც საზარელი თქვასო და
ამიტომაც მოაწყო საქმე ისე, რომ ეჭ-
ვებისაგან გაწამებული ქმრის ერთად-
ერთი მსმენელი სულის ამოსვლის
დროს თავად ყოფილიყო? ავი სოლო-
მონიც, ყველაზე საშიში, უფროსი შვი-
ლი, ტაბრის მემკვიდრე, თავიდან მო-
ხერხებულად მოიშორა და ახალგაზრდა
რძალთან ერთად კაცებს გაგზავნა სიძეზე
შემომწყრალი ლევან აბაშიძის მოსაყუა-
ნად და მეფესთან შესარიგებლად?

იმ შავბნელ ღამეს ვინ არ უწყოდა,
რომ ალექსანდრეს წუთები უკვე და-
თვლილი იყო და რომ აწი მას არც
არავის შერისხვა და არც არავის შემო-
რიგება აღარ შეეძლო?

„საბრალო მამაჩემო! — გაიფიქრა
სოლომონმა და თვალეზზე მომდგარი
სიმწრის ცრემლები მოიწურა. — შენც
მოგატყუეს და მეც, მურდალი ფეხე-
ბით ზედ შეგვდგნენ და გაგვთელეს, და-
გვაქინეს, განზე გამდგარი მტრის სა-
ღიმილოდ და სასაცილოდ გაგვხადეს.
რა ეკუთვნის ამისთანა დედას? რა სას-
ჯელი გადაუწყვიტო? რით ვაზღვევინო
ჩვენი დამდაბლება?“

მეგობრულ წიგნში აჩივ ბაშთა მე-
ფისადმი პაჭი-აჰმადი ერთი სიტყვითაც
არ ახსენებდა დანარჩენ შეთქმულთ.
მათ ხომ არანაკლები ბრაღი მიუძღო-
დათ ტაბრის წინაშე, ვიდრე თვით დე-
ლოფალ თამარს! ნუთუ ვერაგ ფაშას
არად უღირდა საქმეში ასე გამოსადე-
გი გიორგი და მამუკა ბატონიშვილების
ბედი და არც თავისი ყურმოჭრილი მო-
ნის, გურიის მთავარ მამიას ხვედრი
ანაღვლებდა? რით უნდა აგვხსნა პაჭი-
აჰმადის ამგვარი საქციელი?

ასნა მხოლოდ ერთი მოიძებნებო-
და: ფაშას წინამდებარე წიგნი იმერთა
ახალგაზრდა ბატონის რომელიმე უბო-
როტესი მტრის კარნახით იყო დაწერი-
ლი. მაგრამ რომელი მტრის? ნუთუ
მართლმადიდებელი ქრისტიანობის მო-
ძულე, ვილაყეთის უზენაესი ყადი სე-
ლიმი გაუხნდა საწდო მრჩეველად ბეგ-
ლარბეგ პაჭი-აჰმადს? ან იქნებ ხანის-

წყლის ხეობაში სამარცხვინოდ დამარ-
ცხებული ოლთისის სანჯაყბეგის მუსტა-
მი ემზადებოდა მწარე „სამაჯურის“ მო-
საზღველად? იქნებ ეს გათათრებული
თეიმურაზ ბატონიშვილის ხელი იყო?

არა! არც ერთი, არც მეორე და არც
მესამე! ეს კაცი, ვინც ფაშას გვერდით
უდგა და მტარვალს იმერთა მეფისათ-
ვის გამოსავლენი დაშაქრული წიგნი
შთააგონა, არგვეთის ნაბატონარი, სამ-
შობლოდან უგზოუყველოდ გადახვეწი-
ლი ლევან აბაშიძე იყო, სხვა არავინ!

მაშ, ლევანი ვადაჩია, წყალწაღე-
ბული ნაპირზე მშრალი ამოვიდა, დღე-
საც ცოცხალია და მშობელი ქვეყნისა
და სარწმუნოების პირშვე მტერს მიე-
კედლა? რა იყო აქ საოცარი და განსა-
ცვიფრებელი! როცა გაუქორდა და
ხსნის სხვა გზა აღარ მოიძებნა, განა
თვით სოლომონმაც ურჯულო ფაშას არ
მიმართა დახმარების მისაღებად? ლე-
ვანს, მხოლოდ ლევანს შეეძლო, მტრის
კლანჭებში მოხვედრილი თავისი ასუ-
ლის უშიშროებაზე ეზრუნა და ყველა
ძველი თანამებრძოლი, ბატონიშვილე-
ბიცა და გურიელიც, ღვთის ანაბარა
მიეტოვებინა. ისინი ახლა აღარ სჭირ-
დებოდა, დღეს თუ ხვალ გვერდში უკვე
სულ სხვა ვინმეს ამოიყენებდა და გა-
წბილებული შეთქმულნი მომავალ ომ-
ში მხოლოდ ხელს შეუშლიდნენ...

გალავანში შევიდნენ თუ არა და
ზურგს უკან ალაყაფის მძიმე ჭიშკარი
გრაილითა და გრუხუნით დაიკეტა, სო-
ლომონმა ღვთისმშობლის ტაძრის წინა-
შე მუხლი მოიყარა. დაიხოკა მეფის
ერთგულმა ყმამ, ქაიხოსრო აგიაშვილ-
მაც, ერთხანს ორივე ჩუმად იწერდა
პირჯვარს და ლოცვას ჩურჩულებდა,
შემდეგ ქაიხოსრო წამოდგა, ხელმწი-
ფე მოწიწებით წამოაყენა და სწრაფი
ნაბიჯით ტაძრის კარიბჭისაკენ წაუძღვა.

კარიბჭე ღია იყო, შიგ ტაძარში კი
უამრავი სანთელი ბრდღვიალებდა. ჭე-
რები და მორჩილები არსად ჩანდნენ,
თუმცა ყველა გამოუცლებლივ ფეხზე
იდგა და მონასტერში მობრძანებულ

გვირგვინოსან ბატონს შორიდან უთვა-
ლავალეზდა.

სანთლებისა და საკმეველის კვამლს
აქაურობა დაებურა. ფრესკებით მოხა-
ტული მაღალი, წახნაგოვანი სვეტები,
სოფიის კენჭით ნაქარვი თალი და კამა-
რები მჭრქალ ბურში მეტ-ნაკლები სი-
ცხადით იკვეთებოდა. სოლომონი თვა-
ლისმომპრელად გაჩირაღდნებულ, თი-
ქოსდა ოქროს წყალში აცურებულ სა-
კურთხეველს მიეახლა, მაცხოვრის ხა-
ტის წინაშე დაიჩოქა, პირჯვარი გადაი-
წერა, ჯვარცმულს სამგზის სამსუველა-
ვებზე ემთხვია, ისევ გადაიწერა პირ-
ჯვარი და ლოცეას გზა მისცა:

— უფალო, ნუ გულისწყრომითა
შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა
შენითა მსწავლი მე. მიწყალე მე, უფა-
ლო, რამეთუ უძლურ ვარ, განმკურნე
მე, უფალო, რამეთუ შემოდრწუნდეს
ქვალნი ჩემნი. და სული ჩემი შედრწუნ-
და ფრიალ და შენ, უფალო მაცხოვარო,
იხსენ სული ჩემი შეცოდებისაგან და
მაცხოვრე მე წყალობისა შენისათვის.
დავშვერი მე სულტქმითა ჩემითა, დაგ-
ბანო მარადღე ცხედარი ჩემი, ცრემლი-
თა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტო,
განრისხდა გულისწყრომითა თუალი
ჩემი. ისმინე, უფალო, სიმართლისა ჩე-
მისა, მოხედენ ვედრებასა ჩემსა, ყურად
იღე ლოცვისა ჩემისა არა ბავეთაგან
ზაკულებითა. პირითა შენითა განმართლე-
ბა ჩემი გმოკედინ და თუალთა ჩემთა
იხილედ სიწრფოება. გამოსცადე გული
ჩემი და არა იპოვო ჩემთანა სიცრუვე...

სოლომონი დიდხანს და თავდავიწ-
ყებით ლოცულობდა. ტაძარში მხოლოდ
მისი მავედრებელი ხმა ისმოდა და ისიც
ისე ყრუდ და ბუნდოვანად, თითქოს
ლოცვის ყოველი სიტყვა საკმეველისა
და სანთლების მჭრქალ კვამლში ინთქ-
მებოდა და ზენაარისაკენ მიილტუოდა.
თავდაც ლოცვით დაოსებული ქაიხოს-
რო, რომელსაც სწორედ წინა კვირაში
ძმოსთან უკმაყოფილება მოუვიდა და
გულში საკუთარ დანაშაულს გრძნობ-
და, მეფეს ფხვარეფით მოუხალოვდა.

სოლომონმა მაცხოვრის ფეხებთან და-
ნახა ბეჭებში გატეხილი ჩრდილო და
ჩოქილი წელში გასწორდა და მოიხე-
და.

— ვიკმროთ, დიდებულო მეფეო,
— კრძალვით ჰკადრა ქაიხოსრომ. —
უფალი მაცხოვარი — იდიდოს მისი სა-
ხელი უკენითი უკენისამდე, ამინ! —
შეისმენს ჩვენს მხურვალე ლოცვა-გედ-
რებას და ღვთისმშობლის წილხვედრ
მიწაზე წყალობასა და მფარველობას
არ მოგვკაკლებს!..

სოლომონი უხმოდ წამოდგა, პირ-
ჯვარი ერთხელ კიდევ გადაიწერა, ქრის-
ტეს კვლავ ეამბორა სისხლიან სამსუვე-
ლავზე და ქეშვიტუხუცესს მორჩილად
გაკყვა. ღამენათევს, მგზავრობითა და
ლოცვით მოქანცულს თავი უბრუოდა,
თვალეზი უქრელდებოდა, ეჩვენებოდა,
რომ ისევ ცხენზე იჯდა, ტანი ამძიმებ-
და და ძალღონეს ძაბავდა, რომ არ წა-
ბოროძიკებულებო. დასავლის კედელზე
გამოსახულ მეფეებსა და კათალიკო-
სებს, ჯერ დავით აღმაშენებელს, დე-
მეტრეს, გიორგი მესამეს, ბავრატს,
ხოლო შემდეგ იმერ-აფხაზთა მღვდელ-
მთავარ ევდემონ ჩხეტიძეს რომ ჩაუარა,
იატაკზე დამხოზილი ვილაყ შავოსნები,
ბერები თუ ტაძარს შემოკედლებული
ხეიბარი მათხოვრები შენიშნა. ესენი
აღტკინებულნი ლოცულობდნენ, წამდა-
უწყუმ შუბლს ქვის იატაკს ახლიდნენ
და მგონი არც კი გაუგიათ, ვინ იყო ის
ორი მლოცველი, წამის წინ რომ საკურ-
თხეველიდან ჩამოვიდნენ და ახლა სად-
ღაც მიეჩქარებოდათ.

— გააღვიძეს? — კარშივე ჰკითხა
აგიაშვილს სოლომონმა და თეთრი ნა-
ბადი, ძმებმა ნაფიჩაძეებმა რომ მოა-
გებეს, ბეჭებზე წამოისხა.

ქაიხოსრო ტაძრიდან გამომავალი
მკრთალი შუქით სანახევროდ განათე-
ბულ მეფის სახეს დააკვირდა და ფიქ-
რიანად მიუგო:

— არ დაწოლილა, მეფევე, მთელი
ღამე გელის. მე მიახლებ, თუ...

სოლომონს გული შეეკუშმა, აგია-
შვილსა და ძიძიშვილებს, რომლებიც

ზნად იყვნენ, ყოველი მისი განკარგულება უყოყმანოდ და დაუყოვნებლივ შეეცდებოდნენ, თვალი მოარიდა, აჩქარდა, უკანასკნელ შეკითხვაზე ქიხოსროს პასუხი აღარ ვასცა. ატყობდა: წუთიც, კიდევ ერთი წუთი ყოყმანიც და გაბედულებას დაჰკარგავდა. თეთრი ქვის ფილებით მოგებულ ბილიკს დაადგა და დღევანდელ გადაქცეულ მონასტრის ქსენონისაკენ წავიდა. სენაკის კართან, მხრჩოლავი მაშხალეებით განათებულ ვიწრო ტალანში, შუბოსანი მცველები იდგნენ. მცველებმა ტალანში შემოსვლისთანავე დაინახეს აქეთ მართოდმართო მომავალი უფიარლო მეფე, რომლის გელათს მობრძანება წინასწარვე შეეტყოთ, და ფეხი მოუსვენრად მოინაცვლეს. ერთმა გრძელი შუბი მარჯვენადან მარცხენა ხელში გადაიტანა და ყრუდ ჩაგმანული კარის რაზმა გადასწია, ხოლო მეორე მცვეთი მოძრაობით გვერდზე გადადგა და ბატონს გზა მისცა.

ჩაბნელებულ სენაკში რაღაც წამლების მძაფრი სუნი ტრიალებდა, ქონის სანთელი ბუტბუტავდა და რისამე ხეირიანად გარჩევა შეუძლებელი იყო; ბაღლობიდანვე ნაცნობი სუნი დედის საწოლ ოთახში სოლომონს მუდამ სცემდა. დედოფალს აჩქარებული მაჯისცემა აწუხებდა, მესამე მშობიარობის შემდეგ, არჩილი რომ შეეძინა, ხანდახან გულიც უღონდებოდა ხოლმე და პატრი ლეონე თავისი ხელით დამზადებულ რაღაც უებარ წვეთებს აძლევდა. საკანში ახლაც ამ წვეთების სუნი იდგა. სოლომონი ერთხანს კარში შეყოვნდა, იქნებ სიბნელეს თვალი შევაჩვიოთ, შემდეგ რაღაც მოისაზრა, შემოტრიალდა და შუბოსან მცველს, ვინც სენაკი გაუღო, ქვითკირის კედელში ჩამაგრებულ მაშხალაზე ანიშნა. მეტისმეტი მონდომებისაგან მცველმა კინაღამ ხელები დაიწვა, შუბის წვერი ტალანის დაბალ ჭერს წაჰკრა, რომ არ წაქცეულიყო, თავი ძლივს შეიმავრა, აბრიალებული მაშხალა დარცხვნილია მოარბენინა და სენაკში შეტანა დააპირა,

მაგრამ მეფემ გზა გადაუღობა, მაშხალა გამოართვა, ზემოთ ასწია და სენაკში გაუბედავად შეაბიჯა. ამ დროს მოესმა სწორედ უსაზღვროდ ნაცნობი, ოღონდ თითქოსდა ღრმა ქიდან ამომავალი მისუსტებული ხმა:

— რა მოგდის, ხომ არ გეშინია ჩემი, შვილო სოლომონ?

მეფე შეკრთა. ბნელ კუნძულში, სადაც საწოლი უხდა ძდგარიყო და საიდანაც ეს ხმა შემოესმა, დედას ჯერ კიდევ ვერ ხედავდა. კვლავ მუნჯივით ხმაგაკენდილი იდგა და სხეულის ყოველი ხავეთი უკანასკნელბა, ვიდრე დედოფალთ-დედოფალი თამარი სეხაკის ბისდბუხდს თვით არ გამოეყო და გახევებულ შვილს არ მიუახლოვდა. თავისდა უხებლივით, სოლომონს ერთადერთი სიტყვა „დედა“ აღმოხდა. ქვრივობის ძაძვებში გახვეული სნეული ქალის წინაშე, რომელიც მისი მშობელი იყო, მუხლებზე დაეცა, სახე დედის კალთაში ჩამალა და ყრუდ, გულამოსკვით, როგორც ოდესღაც, ბაღლობაში, აქვითინდა. თამარი დაიბნა. ის სულ სხვაგვარ შეხედრას მოელოდა. თავადაც გული აუჩვილდა, ღვარად მომსკდარმა ცრემლებმა უმზეობისაგან აუღამყოფურად გაფერმკრთალებული სახე დაუსკვლა. შვილს ჯერ მხარზე მოუთათუნა აკანკალებული ხელი, თითქოს ვერ დარწმუნებულა, მართლა ის არის თუ არაო, მერე ყვრიმალეებზე, მერე თავადაც მუხლებზე დაეშვა და დაუძინებელ მტრად მოკიდებული ღვიძლი პირმშოს თავი გულზე მიხუტა. ისინი დიდხანს იყვნენ ასე, გარინდებულები. ამ წუთს არც ერთს აღარ ახსოვდა, თუ დრომ, გარემოებამ, ადამიანურმა პატივმოყვარეობამ და შეუვალი ძალაუფლების დაუოკებელმა წყურვილმა მათ შორის რა გადაულახავი უფსკრული გათხარა. დედაშვილობის წმიდა გრძობას, რომელიც ნაპირებზე ვადმოსულ მდინარესავით მოვარდნილიყო, ყოველივე დაეჩრდილა და ამოებდალ გმცია.

თამარი ეალერსებოდა შვილს, კონცინდა, გულში იკრავდა და მდულარე ცრემლები დაპლუბით ჩამოსდიოდა, სოლომონი კი ვაჩინის დღეს იწყევლიდა, რომ განგებამ სამარადისო სასჯელი მოუვლინა, თავზე მეფის გვირგვინი დაადგა და ამით ყველა ამქვეყნიური ბედნიერება წაპვეკრა. ბოლოს, ისევ დედა მოეგო გონს, შვილს მაშხალა გამოართვა, შემოსასვლელი კარის თავზე საგანგებოდ ამისათვის დატოვებულ ზერელში დაამაგრა, კარი მიხურა და ზედ ზურგიით აეკრა.

დარცხვენილი და შეძრწუნებული სოლომონი თამარს თვალს არიდებდა. აღარ იცოდა, რით დაეწყო, თავისი აქ მოსვლა, ისიც ასე უდროოდ დროს, რით გაემართლებინა. ჩამოვარდნილი სამარისებური სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ აბრიალებული კუპრის კანტიკუნტი ტკაცუნე არღვევდა, ისევ დედოფალთდედოფალმა დაარღვია:

— მომილოცავს, შვილო სოლომონ, გადმომცეს, ინალიშვილის ასულ თინათის სჯულიერად გათვისებინარ და თამაშეცხედრედ მამაშენის ძველი მტრის, ოდიშის მთავარ ოტია დადიანის ასული მარიამი მოგიყვანია. ამასთან მაინც იყავი ბედნიერი. ხომ კმაყოფილი ხარ ახალი არჩევანით? მოყვარე, იმედია, შემწყობასა და დახმარებას არ მოვაკლებს...

— თქვენ გსურთ, ჩემი ღმობიერებით და თქვენდამი ჩემი სიყვარულით ისარგებლოთ, ბატონო დედა, — საპასუხო სიტყვა სოლომონმა ძლივს იპოვნა და იგრძნო, ცხელი კურცხალი დაწვეზე როგორ ჩამოუგორდა და ტუჩის კუთხესთან გაჩერდა. — არა მგონია, აქ შესაფერი ადგილი იყოს ჩემს გულზე გასაჯიროთებლად. მე აქ, კარგად მოგესხენებათ, თქვენი იქედნური მოლოცვების მისაღებად არ მოვსულვარ...

თამარის ხორცმოპარბებულ, ფერმკრთალ სახეზე წამიერი ღიმილი გაკრთა.

— შენ, იმერთა მეფე, ტახტის მოღალატე დედოფალთან მოხვედდი, მაგ-

რამ სანამ ხელმწიფურ ნებასა და განაჩენს მამცნობდე, მეც ხომ შეგიძლია ერთი-ორი სიტყვა შემოგებდე, ბოლოსდაბოლოს, თუნდაც გაბედნიერება მოგილოცო. რაც უნდა იყოს, დედა ვარ შენი და არა დედინაცვალი, ამ მკერდით შენთვის ძუძუ მიწოვებია!

— რატომ შხამი არ მომაწოვე, ბატონო დედა, თუკი დამამადლებდი და ბოლოს ამ დღეში ჩამავდებდი!

— მე თავის მართლებას არ ვაპირებ, შვილო, არ მომდგამს გვართ და სისხლით. რაც იყო, იყო. ომში გამარჯვება შენ მოგანიჭა ღმერთმა, ძალა შენს ხელშია და დილეგში ჩაყრილებს ახლა შეგიძლია ისე მოგვექცე, როგორც გონება და სინდისი გიკარნახებს. გამიგონია, შენთვის ახლობელი და შორებელი ერთია, თურმე ყველას ერთი არშინით ზომავ და ერთ ხვედარს უშხადებ!

— მე მინდოდა, ბატონო დედა, ამ დღეს თქვენგან სულ სხვა სიტყვები მომესმინა.

— იქნებ ცოდვების მონანიებას ელოდი?

— სწორედ! — სოლომონმა წარბი შეიკრა და ეს ისე კუმტად ისროლა, თითქოს ამ ჩახუთულ, კუპრის კვამლით გამოტენილ ოთახში თოფი დაეცალოს.

— მაშინ მღვდელი უნდა შემოგეგზავნა, შვილო.

— მღვდელიც მოვა, ბატონო დედა, მაგას ნუ ნაღვლობთ.

— კიდეცა მეშუქრები? აფერუმ შენს ვაჟაკობას! მიბრძანე, მწყალობელო მეფე, რა გადაგიწყვეტია. მე შხად ვარ, ყველა სასჯელი, როგორც ქრისტეს მრჩეველმა მშვეალმა, უდრტინველად მივიღო და სული შენზე ლოცვაში დავლიო. ხომ ხედავ, მე არ გესაყვედურები. ღმერთმა და დედაშვილობის მადლმა შეგინდოს, თუ შენდა უნებლიეთ ან სხვათა ჩაგონებით უსამართლობას სჩადიოდე და კისერზე გამოუსყიდველ ცოდვას იღებდე.

სოლომონი ციებინივით კანკალუბდა.

— კმარა! — შედრიალა მთელი

ხმით. — კმარა თავის მოკატუნება, კმარა ეს... აქეთ მდებთ ბრალს? სირცხვილი სად დაქარგეთ? ღმერთის მიანიც აღარ გეშინიათ? ქვეყანა ააწიოკეთ, გაყიდეთ, ნამუსზე ხელი აიღეთ, ყველაფერი გალორებულ მუცელს ანაცვალეთ, ქრისტეს ჭვარი ფეხით გათელეთ და კისერზე ცოდვას მე ვიდებ? ვინ მოგახსენათ? ვერა, დედაჩემო, ბრძმები და ყრუები ნუ გგონივართ, მაგას ვერ დაგიჭვრებთ. ღმერთი მალაღია და ყველაფერს ხედავს!..

— შენ ძალიან ცხარობ, შვილო სოლომონ, — წყნარად, სავსებით აუღელგებლივ შენიშნა თამარმა. — საკუთარ გულისწყრომას ვერ თრგუნავ და შენს წყრილმან, კაცობრივ რისხვას მეფის რისხვად მიიჩნევ. მეტი მოთმინება და სიბრძნე გმართებს. აგრე იყო საცოდავი მამაშენიც. მთისა და ბარის გასწორებას აპირებდა და კარგად იცო, სიცოცხლე რით დაასრულა. ბაბუაშენიც..

მამისა და ბაბუის — მამის მამის, თხმელისციხეში თავისივე ქვეშევრდომთა მსახურების ხელით მუხანათურად მოკლული გიორგი მეფის, ბაგრატიონების, აუვად ხსენებამ სოლომონს მთლად ცეცხლი მოუკიდა. მზად იყო, გულში დაგროვილი მძულარება ახლავე გადმოეღვარა და ყოველივე, რასაც აქამდე გაუმკლავებლივ ინახავდა, არგვეთის ნაბატონარ ლევან აბაშიძის ზვიადი ასულისათვის, თავისებურ ამპარტავნობას დიღვეშიაც რომ არ იშლიდა, დაურიდებლად პირში მიეხალა. უკანასკნელ წამს რალაც ზენა ძალამ უკან დასწია, ენაპირი დაუღღმა.

დედოფალთ-დედოფალმა იგრძნო, ვაჭობეთ, შვილის წამიერი შეტებუნებით ისარგებლა და კიდევ უფრო გამომწვევად განაგრძო:

— ხომ არ გგონია, შენი გულის მოღობობას ვლამობ და ამ გზით სასჯელის შემსუბუქებას გემუდარები? ჩემს სიცოცხლეს, შვილო სოლომონ, ფასი დიდი ხანია დაეკარგა. ღმერთო შეგცოდდე და, ვისთვის და რისთვის უნდა ვიცოცხლო? არ კმარა, რაც ვივაგლახე და

რაც ამ ძალღურმა ცხოვრებამ ძირმწარე მაგვმა? შენ არ გინდა შეივნო, რომ საქრისტიანოს ერთი მუქა შიშვერ-წყურავალი და შეუიარაღებელი ჭარით დიდი ოსმალების წინააღმდეგ ვერაფერს გახდები. სათაგურში შეტყუებული თავივით მოგაშობებენ და შენს საბატონო ქვეყანასაც ნაფუძრად აქცევენ. მაშინ მოგავიწყდება და გვიანი იქნება. აქამდე, ვინ არ იცის, თავს სულთნის მორჩილებით ვინახავდით. ვაძლევდით, რასაც მოითხოვდა და წვეთ-წვეთად ვილეოვდით. შენ გინდა, ერთბაშად გადაგეყლაპოს? თუ ისევ რომის პაპის ან თეთრი ხელმწიფის იმელი გაქვს? უბედური მამაშენიც მაგ აუხდენელი იმელით ჩავიდა სამარეში. თავიდანვე ამას ჩავჩიჩინებდი. აი, აქეთ, აი, იქით. მეგონა, მოვერუოდი შენს სიჭიუტეს და სწორ გზაზე დაგაყენებდი. ვისუსტე, არაფერი გამოვიდა. მერე ძალაც ვცადეთ... იცოდეს მამაზეციერმა, ეს შენი მტრობით არ მომსვლია. დედა ვარ. რომელი დედა გასწირავს შვილს! ენა რომ გწყველიდა ჩემი, ძუძუები გლოცავდნენ. მეგონა მე უბედურს, შენც გადაგარჩენდი და ქვეყანასაც. დაგვლუბა ოტია დადიანმა. მე მეტი აღარ შემოძლია. მომბეზრდა. დავიდალე. ღონე გამომგლია. ახლა კეთილი ინებონ და სხვებმა ივაგლახონ, სხვებმა სვან თავისი წილი შარბათიც და სამსალაც. დღეს მე და საცოდავ ბაბუაშენს, ჩემ მოხუცებულ მამას, ტაბტის მოლაღატეები შეგვარქვით, — თამარს კვლავ მწარე ღიმილი გაუკრთა სახეზე. — ამასაც მოვესწარი. წულუკიძისა და აგიაშვილის გაზრდილისაგან სხვას უკეთესს რას უნდა მოველოდე. ჩემი ბრალია, შვილო. გვიანია თითზე კბენანი. ახლა აგერ ვართ ყველა, მარტო ბაბუამ გაგასწრო... — დედოფალს ისედაც დასუსტებული ხმა გაეზარა, აუკანკალდა და ჩაუწყდა. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. კარის თავზე ტყაცუნითა და შიშვინით იწვოდა კუპრის ჩირაღდანი. თამარმა თვალეებზე კიდევამოქარგული პაწია ცხვირისასოცი მიიფარა და ჩუმად ატი-

რდა. — ძალიან ნუ გათამამდები, სოლომონ, იცოდე, — თქვა ოდნავ შეცვლილი ხმით, როცა სული მოითქვა. — ნუ ეცდები ვინმე დაარწმუნო, რომ შენისძიების ბოლმას არ შეუპყრიხარ და წინ პირადი ვაბოროტება არ მიგიძღვის!..

სოლომონმა დაუფარავი ზიზღით შეაწყვეტინა:

— ქვეყნისა და ტახტის ორგული დანას ჩემს დასაკლავად ლესავს, ბატონო ღედა. ვინც მე აგარიანის წინაშე მონურად ქედის მოდრეკას და სარწმუნოების ფეხით გათელვას მირჩევს, ვფიქვად დაუსაბამო ღმერთს, ის მტერია ჩემი და საქრისტიანოსი. რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერს არს; და რომელი არა შეპყრებს ჩემ თანა, იგი განაპნევს. ამას გეასწავლის მაცხოვარი. რატომ მიგაჩნიათ, რომ მტერს მოყვრულად უნდა მოვეკიდო? განა თქვენ კი მოყვრულად მომეკიდეთ, როცა მამისეულ ტახტზე ასვლის პირველსავე დღეს კვანტი დამიდეთ და უფსკრულში გადაშჩებეთ? ან იქნებ ხანისწყლის ხეობაში გამართული უღვთო ხოცვა-ყლეტა დაგვიწყდათ? მღევარს ხელიდან ძლივს დაეუსხლტი. აქეთ შინაური მტერი მომდევდა და იქით გარეული. მაშინ სად იყო თქვენი დალაგებული სიტყვა-პასუხი და კაცთმოყვარეობა? მე რომ ვადამიდევით და ანტექრისტედ გამომაცხადეთ, იქნებ ისიც მიბრძანოთ, რომ მამაჩემის ნებასა და სურვილს ასრულებდით? აა, იქნებ ასე იყო მართლა?

— რატომ ასხენებ მამას? უბედური მამაშენი შენ მხოლოდ მაშინ გაგონდებდა, როცა სიტყვას ტახტზე ჩამოაგდებენ.

სოლომონი მოიღრუბლა, კოპები დაებერა, სახეზე სისხლი მოაწვა, მარჯვენა ქუთუთოში, როგორც ყოველი დიდი გააფთრების ეპოს, კანკალი დაუწყო.

— მე ვერაფერ ამიკრძალავს მამაჩემის სახელის ხსენებას, — თქვა ისე, თითქოს დილეგში გამოიწყვდებულ დედას კი არა, უზარმაზარ დარბაზში შე-

ყრილ ერს ეუბნებოდა. — მხოლოდ თქვენ ვთხოვთ, თავი დაანებოთ ჩემსთან დასაწრებით წამდაუწუმ მამის-მტერს ნებას. ვაითუ სათქმელი სხეასაც აღმოაჩნდეს რამე და მუდამ სხვისი მოთმინების იმედად ნუ იქნებით. რაც შეეხება ტახტს, ტახტი მე არაფრად მჭირდება! ჯერ რა შემძინა ტახტმა ტანჯვის მეტი, ან ხვალ რას შემძენს, მაგრამ რა ვუყო. თუ ქვეყნის კანონიერი მეფე ვარ და ჩემგნით გვირგვინის დათმობა ქვეყნისა და სარწმუნოების ღალატს უდრის? რა სურს ღედაჩემს? გავცავლო აქაურობას, უცხოეთში გადავიხვეწო, ან სადმე მიყრუებულ მამულში დავესახლო და ქვეყნის სადავეები განდიდების წყურვილით შეპყრობილ ნათესაებს ჩაეუფლო ხელში? ვერა, ღედაჩემო, ამას ვერ ვიზამ. მე ფიცი მიმიღია, მშობელი ქვეყნის წინაშე, ყველა რომ უნდა ვენაცვალოთ, ჩემი ღმერთის წინაშე აღთქმა დამიღია და ფიცს ვერ გაეტებს, ვერც აღთქმას ვუღალატებ! ერთხელ უკვე ვთქვი და ახლა ვიმეორებ: მე ჩემს საბატონო ქვეყანას ბოსტნებად და ეზოებად არ ვანაწევრებ. პირიქით, რაც აქამდე დანაწევრებულა და განმდგარა, ყველა ერთად უნდა შეგყრიბო და მოზღვავებულ მტერს შეერთებული ძალით უნდა ვივუმკლავდე. მადლობა ღმერთს, დადიანი დღეს ჩემს გვერდით დგასო. რა შეთქმის მადლობის მეტი! უნდა ვიგულისხმო, რომ გვერდში მიდგანან გურულები, სვანები და აფხაზებიც. მამაჩემი მომიწონებდა ამას, ღედა, რომ შეეძლოს, და კიდევაც წამაქეზებდა. მხოლოდ თქვენ და ბაბუაჩემ ლევან აბაშიძეს არ მოგწონთ დადიანთან ჩემი ერთობა, ვინაიდან სწორედ კაცობრივ შეუღლს ვერ ერევით და ხელს უბედურ მამაჩემს ახოცავთ, იმ მამაჩემს, ერთსაც და მეორესაც ჰირივით რომ გძაგდათ, რომელსაც იჯაბნებდით, მისი გულუბრყვილო ნდობით სარგებლობდით და ზურგსუკან კიდევაც დასცინოდით. უფრო მეტი: რაჟის ერისთავი და დადიანიც თქვენ გადაპკიდეთ მამაჩემს

და ქვეყნის ძლიერებას ამით ძირი გამოუთხარეთ. მეფის სისუსტეს უნდა მივაწეროთ, სხვას რას, თუ თქვენ, არგვეთის ძლევამოსილი ბატონის ასული, ისევ სასახლეში დარჩით, ხოლო ბაბუაჩემი ლევან აბაშიძე მხარგაქრული არ მოიყვანეს თვალების დასათხრელად!..

— კმარა, სისხლისმსმელო! — ცივი ხმით შეჰკივლა უცებ თამარ დედოფალმა, რომელსაც შვილის ყოველი სიტყვა ტვინს შანთით უხერხტდა და გულში ლახვარივით ესობოდა, უკანასკნელმა გამონათქვამმა კი მთლად თავზარი დასცა. — რაღას უეცი, უბრძანე ბარემ ჯალათს და ახლავე აწამებინე ჩემი თავი. იქნება ამან შევება მოგგვაროს და გააძღოს შენი გაუმძღარი გული!

სოლომონი მეხდაცემული იდგა და დაკოდილი ძუ ლომივით აფოფრილ დედას უყურებდა. მუდამ სანდომიანი, ნამდვილი მეფური დიდებულებით შემკული დედოფალთ-დედოფალი თამარი საზარელი დასანახავი იყო. შვიი თავსაფრიდან ჭალარა თმის რამდენიმე ბეწვი ჩამოშლოდა და თვალებში ებლანდებოდა. ფერმიხდილ ლოყაზე მუარი აჩნდა. თვალები წრესგადასული რისხვითა და მძულვარებით უელავდნენ. სოლომონს ხმა აღარ ამოუღია, ისე დაიძრა ადგილიდან და გულდაგულ კარს მიაშურა. თმაგაწეწილი, თვალბარეული დედოფალთ-დედოფალი თამარი მთელი ამ ხნის განმავლობაში კარს არ მოსცილებია. ახლა, ტახტის მფლობელი შვილი რომ სულ ახლოს დაიგულა, სადღაც სიღრმიდან ამომავალი მძინეარე ხმით შეჰყვირა:

— სად მიხვალ ანტიქრისტე? ეგ არის, მორჩი საქმეს? სულ ეგ იყო? ამისთვის მოხვედი? აგიაშვილის პირით მაინც შემოგეთვალა შენი განაჩენი. მამაზეციერი გაგცემს პასუხს! — ჭალს ტუჩები აუკანკალდა და თვალები კვლავ ცრემლით აევსო. ერთბაშად მოეშვა, ამაყად აზიდული მხრები ჩამოუცვივდა. — სათხოვარი მაქვს... შემისრულებ უკანასკნელ სათხოვარს?

სოლომონმა სხვისი ხმით უპასუხა:

— ბრძანე.

— ჩემი მონატრებულნი შეივლები შემოუშვი, ჩემი არჩილი და იასე მანახე. ნუ გამატან იმით ჯავრს, სად არიან? ვაითუ ისინიც დიდებულნი გყავს ჩაყრილი? ვაიმე, შვილებო! დემერთო, ღვთისმშობელო მარია, ეს რა შავ დღეს შემასწარი!

— გაჩვენებენ, ბატონო დედა, — სოლომონს საოცრად შეეცვლილი, დაბერებული და ღონეგამოღებული მშობელი შეებრაღა, თან შიშმაც გაკრა, არ დავიღუპო, ქუეახე არ შეიშალოსო და, რამდენადაც შეეძლო, ისევ დაუყვავა: — მე ვკითხავ... ვეტყვი... ბაბუას ჯავრი ნუ გექნება. თათარშია. სადაცაა, მარბიელ ჯარს შემოგვისვეს...

თამარი წელში გაიმართა, შვილს გამომცდელად დააცქერდა.

— რა იცი?

— პაჭი-ამბადის წიგნი მომივიდა. თქვენს გამო მთხოვს...

— ბაბუაზე იწერება რამეს?

— არა. ჩანს, იქ არის. წიგნი ისეა შედგენილი.

— მეტი არაფერი გაგიგია?

— დანარჩენს, იმედია, მალე შევიტყობ. ვეცდები, მოუშაადებელი არ დავხვდე. ჯარი მყავს, ციხეებს ვამაგრებ.

— ჩვენ რას გვიპირებ? აქ დიდხანს გეყოლებით?

— ყველა ამ ავკაცობის გამო, სამეფოს ასე დიდი და აუნაზღაურებელი ზიანი რომ მიაყენა, მე უკვე ვადავწყვიტე: თქვენ, ლიხთიმერეთის მეფის, აღექსანდრე მეხუთის, ქვრივის, დედოფალთ-დედოფალს, ლევან აბაშიძის ასულ თამარს, საუკუნოდ აღგიკვეთოთ თქვენს საბატონო ქვეყანაში ცხოვრება, ჩამოგართვათ ყმა-მამული, ამიერიდან უკუნიით უკუნისამდე აღარ გიგულოთ იმერთა მეფის ქვეშევრდომად და გოგირდის ნელ ცეცხლზე დაწვა ვარგუნო ყველას, ვინც ფარულად თუ აშკარად ოდესმე შეეცდება სამშობლოში თქვენს დაბრუნებას. მხოლოდ საფლავი გერგათ სავარეულო საძვალეში.

ამ ჩემს საბოლოო და შეუცვალბელ მსჯავრს, რომელიც მალაღმა ღმერთმა ჩამაგონა, ბატონო დედა, მე ხვალ ერს ვამცნობ, კანონის ძალით აღვკურავ და ვბრძანებ, დაუყოვნებლივ აღასრულონ!

თამარი დამუნჯდა, ქვედა ყბა საცოდავად აუკანკალდა და ხელები გაასავსავა, თითქოს ფეხქვეშ საყრდენი ნიადაგი გამოაცალეს და მით როგორღაც წონასწორობის შენარჩუნებას აპირებსო. მეფე იმ წამსვე მიეშველა. ელდისაგან მეხდაცემულ დედას, იმ ნაცნობი წამლების სუნი რომ ასდიოდა, ორივე ხელი მოჰხვია და ატატებული სენაკის კუთხისაკენ წაიყვანა, სადაც საწოლი ეგულებოდა. საწოლის ნაცვლად იქ შეზობელ სენაკში გამავალი ცალფა კარი დაუხვდა. სოლომონმა ფეხისწვერი ჰკრა კარს და ხმამალლა დაიძახა:

— ჰეი, ვინ ხარ მანდ?!

ზღურბლზე შავი თავსაფრით პირ-შებურვილი და თავიდან ფეხქვეშა მთალხებში ვახვეული ხვაშაქი გამოსჩნდა. დიდი ბატონების სამსახურში დაბერებულმა მოახლემ უკვე იცოდა თავის ხელში ვაზრდოლი ბატონიშვილი სოლომონის, ამჯერად უკვე დავაჟკაცებული იმერთა მეფის, აქ ყოფნა. მისალმებისა და კაბის კალთაზე მთხვევის მაგიერ, რის ნებასაც, თუკი თვით ბატონი მეფე არ მოისურვებდა, მდაბიო წარმოშობა არ აძლევდა, კერპი დედაბერი უსიტყვოდ გაბრუნდა და კარი ღია დასტოვა. სოლომონი მიჰყვა. გულშედონებული დედოფალი ხის უბრალო ტახტზე დააწვიანეს. ხვაშაქმა ვერცხლის ტოლით წყალი მოიტანა, თამარს სახეზე ასხურა, ყვრიმალეები დაუწილა, ორი-სამი ყლუპი ძალისძალიად მოასმევინა და, როცა მან თვალი გააზილა, ტოლი უკან წაიღო და, ვით უხორცო, სენაკის ბინდბუნდს შეერია.

თავი ოცდამათი

მეფისაგან დიდსულოვნად შეწყალების და როსტომ ერისთავის, სტრატილატისა და ვიპატოსის, კვლავ რაჭა-ლეჩხუმის სადროშოს სარდლად დადგინების ცნობას, რომელიც აქ მანამ მოიტანეს, სანამ უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი და ბატონიშვილი არჩილი რაქას მოაღწევდნენ, წესის სასახლეში თავშეკავებული სიხარულით შეხვდნენ. არავისათვის საიდუმლო არ იყო, რომ ცხოველური შიშითა და ძრწოლით შეპყრობილი როსტომი ამ ცნობის მიღებამდე ადგილს ვერ პოულობდა, ყველგან ჩასაფრებული მტერი, მეფის მიერ მოგზავნილი მკვლელები ელანდებოდა. სასახლის დაცვა გააორკეცა, ციხეები, უპირველეს ყოვლისა კი მიუღდომელი მინდა, ორი მდინარის, რიონისა და ლუხუნის შესართავთან აღმართული ციხეებო კლდიდან მიდამოს რომ გადმო-

ჰყურებდა, ჯარით აავსო. ალი ენგინარმა მთელი თვე დაჰყო ხიდიკარში. საერისთაოს ყველა მხრიდან ხელმადლიანი ქვეითსურობები შეჰკრიბა და მდინარის გაღმა-გამოღმა განლაგებულ სადარაჯო კოშკებს თითო სართული კიდევ დაამატა, რათა აქ ორჯერ უმრავლესი მოდარაჯე ჯარი ჩაეყენებინათ და ხეობის ეს ერთადერთი შემოსასვლელი დასაველეთის მხრიდან საიმედოდ ჩაეკეტათ.

როსტომი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა. ნაქერალაზე საიდუმლო მზირები გაგზავნა და აქედან ფხიზლად ადევნებდა თვალს, რა ხდებოდა ქვემოთ, ოკრიბაში, საერისთაოს უახლოეს საზღვარზე, საიდანაც სავაქრო-საქარავნო გზა პირდაპირ რაქისაკენ მოემართებოდა.

მამაზე ნაკლებ შემკრთალი და შე-

ფიქრიადებული არც როსტომის ვაჟები ჩანდნენ. გიორგი, იაგორა და ნაბერალი მეთოდურ ღამეებს კვარას, ტოლისა და კვირიკეწმიდის ციხეებში ათენებდნენ. თუ ვინიცობაა, სოლომონი რაქაში შემოვიდოდა, ან მარბიელ ლაშქარს გამოუსევდა, მათ მსწრაფლ უნდა გამოეღოთ ხელი და მტრისათვის წინსვლის ყველა გზა მოეჭრათ.

როსტომი გრძნობდა, რომ მეფეს, თუ ის შურისძიებას მოიწადინებდა და გვერდში ერისთავის ძველ მტრებს: წერეთლებს, წულუკიძეებსა და აგიაშვილს ამოიყენებდა, დიდი უსიამოვნების მოყენება შეეძლო. სოლომონი აღექაწანდრე არ იყო, რომელსაც თავისი დიდგვაროვანი ქვეშევრდომები, სიმღიღრითა და სამხედრო სიძლიერით მეფეს კიდევაც რომ სჭარბობდნენ, ისე ათამაშებდნენ, როგორც მოებრიანებოდათ. ეს ვაქბატონი მამაზე ბევრად უფრო კვიციანი, წინდახედული და შორსმჭვრეტელი მეფე გამოდგა. მის ხელში დიდი ძალა დაგროვდა და ვაი იმას, ვისაც ეს ძალა თავზე დაატყდებოდა!

მარტოოდენ სამხედრო სამზადისით ვერაფერს გახდებოდი, ფონს ვერც ციხეთა სიმტკიცე გაგიყვანდა. ვიდრე გვიან არ იყო, საგონებელში ჩავარდნილ როსტომს უღალატო თანამზრახველები უნდა მოენახა და, თუ მეფეს იარაღით ვერ მოერეოდა, საერისთავოს შენარჩუნებისა და მშვიდობიანად მორიგების საშვილიშვილო საქმე მაინც გაეჩარხა.

განა ეს ცოტა ამბავი იყო?

სანამ სისხლით ნათესავ ოტია დადიანს ბარძიშს ან მეთოდეს მიუგზავნიდა, ანდა ოდიშის ბატონს პირადად შეხვდებოდა, როსტომმა გელათში მყოფ ძმას, უწმიდეს და უნეტარეს კათალიკოს ბესარიონს, აუწყა თავისი გაჭირვება და შემწეობა თხოვა. ძმას ყოველთვის უკიდურესი გასაჭირის ეამს მიმართავდა ხოლმე. ბესარიონი, რაც უნდა იყოს, ეკლესიის საქვს ფლობდა და, თუ მაღალი მდგომარეობის დაკარგვა არ უნდოდა — სოლომონი, ალ-

ბათ, არც საეკლესიო საქმეებში ჩარევისაგან დაიხვედა უკან. მისი თათვის მიკერძოებას ხმამაღლა უჭერდა ამქალაქებდა. ამჭერად კათალიკოსს მეფის სიამართან, ოტია დადიანთან ერთად უნდა ემოქმედა და თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, შეძლებისდა კვალობაზე ერისთავის მხარე დაეჭირა.

როსტომს თვით რაქაშიაც ბევრ რამ ჰქონდა საზრუნავი და სათავეც. რაქველ თავად-აზნაურთაგან, რომელთა ერთი ნაწილი მის ბატონობას მხოლოდ სიტყვიერად სცნობდა, ზოგი ამკარად უჭერდა მხარს მეფეს და ერისთავს არ ეპუებოდა. ამათგან ყველაზე ძლიერი და საშიში ზემოური ჭაფარიძეები გახდნენ. ისინი როსტომს დღენიდაც კრიჭაში უდგნენ, მტრობას არ იშლიდნენ, ქედგადაღმელ წერეთლებს რაქაში ეპატიებოდნენ და იაშვილს, ყიფიანს და სხვათ როსტომის წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

როსტომი კარგად ხედავდა, რომ ახლა, ამ არეულ დროში ურჩ მეზობლებთან ანგარიშის გასწორების დრო არ იყო, მაგრამ ეს დრო ოდესმე დადგებოდა, ჭერხნობით კი ამბოხებული ჭაფარიძეები ტკბილი სიტყვით როგორმე უნდა მოეთრგუნა და დაპირებებით მანამდე მაინც შემოემტკიცებინა, სანამ როსტომისა და მეფის მომავალი ურთიერთობა საბოლოოდ არ გამოირკვეოდა.

ერისთავმა მოლაპარაკება გამართა. ჭაფარიძეები ჩინებულად უღებდნენ ალლოს მის გასაჭირს და პირობას ითხოვდნენ, რომ ერისთავი არასოდეს არ მოინდომებდა ზემო რაქაში ფეხის შედგმას და ოდიშთანვე მათი კუთვნილი ყმა-მამულის ხელყოფას. მოლაპარაკებას გელათიდან სავანგებოდ დაბარებული უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი დაესწრო. იმედის წიგნი თავისი ხელით შეადგინა. როსტომმა შევებით ამოისუნთქა, თუმცა გრძნობდა კი, რომ ამ მორიგებამ ისედაც ეკვიციანი მეზობლები კიდევ უფრო დააეკვია. ჭაფარიძეებს ნაკლებ სჯეროდათ ბრტყელ-

ბრტყელი სამშვიდობო სიტყვებისა და ფიცისა, რომლითაც წიგნი იყო შედგენილი, ხოლო თვით როსტომს სული კბილით ეჭირა, ხელები ექავებოდა, როდის შეიჭრებოდა ზემო რაჭაში და ქვას ქვაზე აღარ დასტოვებდა.

მეფის შესაძლო თავდასხმით შესინჯებული ერისთავი იქამდე მივიდა, რომ ნაბიჯი სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაცილებული ყოფილი სიძის, სადმელის ციხის პატრონ ბუჭუტა იაშვილის შემოსარივებლადაც კი გადასდგა. ამაყი და თემომწონე ღარიბი თავადიშვილი, ბუჭუტა იაშვილი, ერთხელ და სამუდამოდ გასტეხა საყვარელი მეუღლის, ერისთავის ასულ თამოსას, გულიდან მოკლევამ და ვაუგონარმა დამცირებამ, რომელიც მას სიამარისა და ცოლისძმებისაგან მიადგა. შერცხვენილი და თელავდასხმული ბუჭუტა დღიანდამიანა ციხეში იყო გამოკეტალი, ახლოს არავის იყარებდა და სამაგიეროს გადასახდელად დანას ლესავდა. მძლეობამდე ერისთავისათვის ერთადერთი ციხის პატრონ ხელმოკლე თავადს აბა რა უნდა დაეკო, მაგრამ როსტომს მაინც გული ეთანადრებოდა, რომ სადმელის ციხე ხელთ ვერ იგდო და ვაითუ ის ოდესმე მისსავე წამოზრდილ შვილიშვილებს პაპის ან დედის ძმების წინააღმდეგ გამოეყენებინათ. ერისთავის შეამავლები ბუჭუტამ სათოფეზე არ მიუშვა, შუა გზიდან უკან გამოაბრუნა. უკეთესი დრო რომ მდგარიყო, გაცეცხლებული როსტომი ერთხელ კიდევ შემოარტყამდა ალყას სადმელის ციხეს, ყოველი მხრიდან ცეცხლს შეუნთებდა და ჯორზე შემჭდარ იაშვილს ქუთაზე მოიყვანდა. დღეს არც საამისოდ ეცალა და წყენა გულში ჩაიხვია.

მეფისაგან შეწყალება და ერისთავის კვლავ რაჭა-ლეჩხუმის სადროშოს სარდლად დადგინება როსტომსა და მის სახლელს თავზე მოულოდნელ ბედნიერებად დაეცა. პირველად ყურებს ვერ დაუჭერეს. ეს მართლაც წარმოუ-

დგენელი რამ იყო. გამჭინვარებულმა სოლომონ მეფემ მშობელი დედის დედოფალთ-დედოფალი თამარის ციხე დატუსადა, ხელეებზე ბორკილი დაადო, იგივე დამართა მეგრელებთან ომში დამარცხებულ ბიძა გიორგი ბატონიშვილს, ბიცოლა დარეჯანს — მამუკა ბატონიშვილის თანამეცხედრეს, მამიდის ქმარს მამია გურიელს, ხოლო ბაბუა ლევან აბაშიძეს და ბიძა მამუკა ბატონიშვილს სანთლით დაეძებდა და რაღა მიინცდამაინც როსტომ რაჭის ერისთავს დაუტკბა?

როსტომი წინასწარ მოფიქრებული გულგრილობით შეხედა ახალ ცნობას და ოჯახის წევრებიც დამოძღვრა, მეტისმეტი მადლიერება და აღფრთოვანება არავის გამოემტკიცებინა. ეს უნებლიეთ ღირსებას შეუღალავდა რაჭის დიდებულ ბატონს და იმგვარ შთაბეჭდილებას შექმნიდა, თითქოს ის მეფეს მართლა თავის ბატონად და ქვეყნის ერთადერთ კანონიერ განმგებლად თვლიდა. სოლომონს, ეტყობოდა, უჭირდა, დანა და ყელი ერთად ჰქონდა და როსტომსაც ამ წუთით უნდა ესარგებლა, თავბატიყი გაედო და საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს თვით იჩენდა გულმოწყალებას და მეფეს ყოყმანითა და ჯანჯალით ურიგდებოდა. რაკი დასთმო და ერისთავის წინააღმდეგ გალაშქრებას მასთან მშვიდობიანი მორიგება არსია, სოლომონს, მამასადამე, თავის იმედი არ ჰქონდა და მაგარ ქვას ვასატეხად აგრდემლი ტყვიისა ლბილისა შეავება. როსტომს ამის შეგნებამ საკუთარი ძალებისა და გავლენის რწმენა გაუათყეცა და გულში მხნეობა ჩაუნერგა სიფრთხილეს თავი მაინც არა სტკიოდა. მეფეს შეეძლო ერისთავის გულის გამხარებელი ხმები დაეყარა, ამით მის კარზე სიფრთხილე მოედუნებინა, თვით კი მონადირის ბილიებით საერისთაოში შემოჭრილიყო და მეორედ მოსვლა დაეტრიალებინა.

მეთოდემ, იაგორამ და გიორგიმ, აგრეთვე სხვა ძმებმა, რომლებიც როსტომმა პატარ-პატარა რაზმების თან-

ხლებით ოთხივე კუთხივ გაგზავნა ან ციხეებში ჩააყენა, ხოლო თვით საიმედოდ გამაგრებულ წესის სასახლეში დარჩა, ათი თვალი და ათი ყური გამოიბეგ. საექვოსა და საგანგაშოს არსად არაფერს წასწყდომიან. საერისთაოს საზღვრებზე, ჯრუჭულის ხეობაშიაც კი, სადაც დაჯანსაღებულ და შევიწროებულ წერეთლებთან კინკლაობას ბოლო არ უჩანდა, სრული სიწყინარე სუფევდა. მეფეს აქაურობა თითქოს განზრახ დაევიწყებინა. მეფის ფეხს აყოლილი წერეთლებიც ძალზე ორაზროვნად დუმდნენ. თუ ბარიდან ამოტანილ უკანასკნელ ცნობებს დაუჯერებდი, სოლომონი ამჟამად გურიაში იმყოფებოდა და იქ სამთავროს აწეწილ საქმეებს აგვარებდა. ამბობდნენ, დამდაბლებული მამიას მაგიერ სამთავროს განმგებლობას და გურიელობას მის უმრწემეს ძმას, გურიელისშვილ გიორგის აძლევსო.

ტაძრის კურთხევა ნათლილება დღეს, 1754 წლის ექვს იანვარს იყო დანიშნული. მოპატივებულმა სტუმრებმა, ერისკაცობამ და სამღვდლოებამ, მიუხედავად დიდთოვლობისა, ქვეყანას ნაშობვეს რომ დაატყდა და მიმოსვლა ერთობ გააძნელა, მთელი კვირით ადრე დაიწყეს დენა. ერისთავის სტუმართმოყვარე სასახლე და მისი მიმდებარე ნაშრალები სადღესასწაულოდ გამოწყობილი ყველა ჯურის ლიანვით აივსო. სტუმარი სტუმარს ემატებოდა. გახშირდა ეკლესიების ზარების გუგუნი და მწევარ-მეძებრების გაავებული ყეფა-წყავეწყავი. რაკი ჯერჯერობით სხვა საქმე არა ჰქონდათ რა, ახალგაზრდა ბატონები, დრო რომ მოეკლათ, დილაადრიან საკურდღლაოდ დაიარებოდნენ გაღმა-გამოღმა სერებზე, ერთმანეთს სროლასა და მუხლის სიმაგრეში ეჯობებოდნენ და უკან უხვი ნანდირევით დატვირთული ბრუნდებოდნენ.

ორ იანვარს დიდებულ მძახალს ბრწყინვალე ამალით ეახლა ყაბარდოს ბატონის ორი ვაჟიშვილი, ერისთავიშვილ იავორას ცოლისძმები, ეახლა და

საყდრისათვის შესაწირავად დიდძალი ოქროულობა და თვალმარცხლიტათი მოოქვილი საეპისკოპოსოში ტრაპიზონთა ვა. რად უნდოდათ საეპისკოპოსო მიტრა კარის ეკლესიაში? ბარაკონის ახალთ-ახალ საყდარს ყაბარდოს ბატონი ამით საკათედრო ტაძრად გადაქცევას უწინასწარმეტყველებდა და ეპისკოპოსის მიტრასაც წინასწარ უგზავნიდა. როსტომი მაღლიერებითა და სიამაყით აივსო. ყაბარდოელი მოყვრები გულში მამაშვილურად ჩაიკრა და მოსასვენებლად სამი ერთიმეორეში გამავალი ოთახი მიუჩინა სასახლის მეორე სართულზე.

მოვიდნენ შესაწირავით ხელდამშვენებული სვანები და ლეჩხუმელები. ამათ ცაგერელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი, სვანი ზევისთავეები და რამდენიმე მღვდელ-მონაზონი მოუძღვა საექლესიო დროშების ფრიალით.

სამ იანვარს ზელახლა თოვა დაიწყო. ცა, რომ იტყვიან, ფეხად ჩამოვიდა. გულშემოყრილი როსტომი ბოლთას სცემდა სასახლის ფართო აივანზე და დროდადრო მოაჩირთან მივიდოდა ეზოში გადასახედავად, ხომ არავინ მოვიდაო. ამისთანა წყეულ ამინდში ვის როგორ უნდა ევლო. შესაძლოა, ვინმე ზვავშიაც მოჰყოლოდა და აქამდე სულაც ვერ მოედწია. ამ მწარე ფიქრებში რომ იყო, როსტომს თვით დადიანის ძე კაციასა, მეგრელი დიდებულებისა და უკონდიდელი ეპისკოპოსი გრიგოლის სტუმრობა ახარეს. როსტომმა ტაში შემოჰკრა, ყმაწვილური სიჩაუქით კიბეს მიაშურა და ეზოში ჩავიდა სანატრელი სტუმრების შესახვედრად, რომელთა აქამდე მოუსვლელიობა ძალზე აფიქრებდა.

ნაშუადღევს თოვა გადაიღო. იჭიატა და ღრუბლებში მზემ გამოანათა. როსტომს კვლავ მოუსვენრობა დაეუფლა. რად იგვიანებდა სოლომონ მეფის კუდი ნიკორწმინდელი გერმანე? ის უთუოდ კათალიკოს ბესარიონსა და ბატონიშვილ არჩილს მოჰყვებოდა. ამ უკანასკნელთ გზა სწორედ ნიკორწმი-

დაზე ედოთ. მაგრამ გამოვიდოდნენ კი? ნაჭერალზე თოვლის ზეინები იღვა და ქარბუქი მძვინვარებდა.

თვალს აკლდა ბერძნის მიტროპოლიტი დანიელ დასკალი. სიმართლე რომ ითქვას, ის საგანგებოდ არც მოუბატიენიათ. როსტომისა და მისი სახლელულის სულიერი მოძღვარი კათოლიკე ბერები უამისოდაც საშინლად ექვიანობდნენ და თუ საქულველ ბერძენს აქ დაინახავდნენ, უმალ გუდა-ნაბადს აიკრავდნენ და ერისთავის მოწყალე ჭერს სამუდამოდ გამოეთხოვებოდნენ. კაცმა არ იცის, ეს მართლა ასე მოხდებოდა თუ არა. უცხოეთში წმიდა პეტრეს საწმუნოების გასავრცელებლად გადმოხვეწილ მისიონერ ბერებს, შესაძლოა, ამდენი ვერ გაეხედათ და თბილი ლუქმის დაკარგვის შიშით ბერძენი მიტროპოლიტის წესს ყოფნა კიდევაც მოეთმინათ, მაგრამ ისინი მაინც ცდილობდნენ თავი ისე დაეჭირათ, თითქოს ეს ჰეშმარიტი მორწმუნისათვის მიუტევებელ მკრეხელობად, ღვთის გმობად მიანნათ და როსტომიც იძულებული იყო, სულიერი მამების ნებასურვილი ყურად ელო.

ქართლ-კახეთიდან ჯერ არავინ ჩანდა. ნუთუ კახბატონი ერეკლე ძველ თანამდგომს გააწბილებდა და ამ ბედნიერ დღეს, როცა მთელი ქვეყნის ყურადღება რაქისაყენ იყო მოპყრობილი, მართო დასტოვებდა? ერეკლე-თეიმურაზის კაცების და სრულიად საქართველოს მღვდელმთავართა წესში მობრძანება უდიდეს მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა. ეს ასეც იყო ნავარაუდები. სუსტი მტრის იოლად დამარცხებით გათამამებულ სოლომონს ახლა მაინც უნდა შეეტყო, რა მაღალ თაროზე იდო რაჭის ძლევაშოსილი საერისთაო, რომლის მესვეურსა და ბატონსაც, ახირებული ძველთაძველი ჩვეულების გადაკიდე, ის თავის ყმად და ბრძანების მორჩილად თვლიდა.

როსტომს ნაბრძანები ჰქონდა, როგორც კი სასახლის დასავლეთით, წესის შემოსასვლელში, ნინიას ციხის ქონ-

გურზე ფიჩხის ალი ავარდებოდა, რაც ქართლ-კახელი სტუმრების გამოჩენის ნიშნად იყო დათქმული, მინდა-ციხეზე ზარბაზანი უნდა დაეცალათ და ქვეყნიერებისათვის ერისთავის კარზე დღესასწაულის დადგომა ემცნოთ.

ოთხ იანვარს მთელმა რაქამ, ზემომ და ქვემომ, დვალეთიდან და მამისონიდან მოკიდებული ვიდრე ლაჯანურამდე, ფეხი აიღვა და წესის მიდამოებში, ორივე მდინარის თოვლით დაფარულ რიყეზე, ატლაზებულ ვიწრო შუქებსა, კალოებსა, საჩხებებსა და ეზოებში დაიბანაყა. ერისთავის კარისკაცები და შინაყმები ძღვენისა და შესაწირავის მიღება-აღრიცხვას ველარ უთავდებოდნენ. გზები გაიჭედა. საძრაობა აღარსაით იყო. ცხენი, ხარ-ურემი და ქვეითად მოსიარულე ერთმანეთს გვერდს ველარ უქცევდა.

ჩამომხელდა თუ არა, რამდენიმე ადგილას კოცონები აბრიალდა და მიდამო გაანათა. კოცონების რიცხვი წუთ-წუთობით მატულობდა და აჭარბობა დიდი ომის ვადასახდელად დაცემულ სამხედრო ბანაკს ემსგავსებოდა. ხიდისყურში, მინდა-ციხის ძირას, სუსხიანი ზამთრის ჭირხლით დამძიმებული ჰაერი ცეცხლზე გაფიცებული დაირის გულის ამაჩქროლებელმა ბაგაბუგმა გაფხრიწა. დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, მოხუცებულმა და პირზე რძემეუშპრალმა, ვისაც თავისი მდაბიო წარმოშობის გამო ერისთავის სასახლეში გაშლილ სუფრაზე მიპატიეების პატივი არ ერგო და დაირის ხმა გაიგონა, აქეთ იბრუნა პირი. წრეში წყვილი წყვილს სცვლიდა, დანარჩენები ტაშს უკრავდნენ და მოცეკვავეებს სიცილით, კვიმატი შეძახილებითა და ყიყინით ამხნეებდნენ, თუმცა ყველა ისე იყო აღგზნებული და შეზარბოშებული, არავის გამხნეება და შემოძახება აღარ ჭირდებოდა.

მინდა-ციხის მომრგვალებულ ქონგურზე, აქედან ცამდე აზიდულ ბუხრის მილს რომ მიავავდა, ზარბაზანმა სწორედ ამ დროს დაიჭეკა და მისი მრის-

ხანე ქუხილი ხეობაში სამჯერ თუ ოთხჯერ განმეორდა, მიიღია და მოუსავლეთში დაიკარგა.

დაირა წამით მიჩუმდა, შეწყდა ტაშიც. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კიდევ წამიც და ცეკვა-თამაში და ტაშე-ფანდურა ახალი ძალითა და სიფიცხით გაჩაღდა. მდაბიო ხალხი, ყმაგლეხობა, აქ სამთავროს ყოველი კუთხიდან რომ შემოკრებილიყო, თავისი გულის ჭიას ახარებდა, წუთიერ თავდავიწყებას ეძლეოდა და არც ბატონთან, არც მის წარჩინებულ სტუმრებთან, რომელთა მოსვლას ერისთავის მარჯვენა ხელი ალი ენგრიჩარი ზარბაზნის ვასროლით იტყობინებოდა, არაფერი ესაქმებოდა.

სამაგიეროდ, სასახლე დადგა ფეხზე. შინაურა და გარეული ეზოში გამოფენა, რათა დიდებული სტუმრები პირველს დაენახა და მასპინძელთან ერთად მას პირველი მიგებებოდა. არ ჩქარობდა მხოლოდ როსტომი. წუთის წინ სუფრიდან წამომდგარი აივანზე იდგა და სახლეულით გარსშემორტყმული დარბაისლური მოუთმენლობით ელოდებოდა, თუ ვის მობრძანებას აუწყებდნენ.

აივანზე ჩაბალახით თავწაყრული ნაბერალი მეთოდე ამოვიდა და გულდაგულ მამას მოაშურა. მას კუპრში ამოვლებული მამახალა მიანათეს.

— ვინ გეწვია, შვილო, მეთოდე? — მიაგება ვაჟს როსტომმა.

— თქვენი ყოვლად სამღვდელი ძმა გეახლა, ბატონო, უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი.

— მშვიდობა მის მობრძანებას! — როსტომმა პირჯვარი გადაიწერა. — მარტოა?

— ბატონიშვილი არჩილი და ნიკორწმიდელი გერმანე ახლაც. სხვებიც არიან... ერისთავმა კოპები შეიკრა. შვილის გაურკვეველი პასუხი არ ეკაშნიკა.

— ვინ სხვები?

— გიორგი წულუკიძე და ლომკაც ჯაფარიძე, — ცოტა უფრო ხმადაბლა,

თითქოს ფრთხილობს, არსებენ ვარგონოსო, დააზუსტა მეთოდემ.

როსტომს სახეზე აღმური აუვიდა, მაგრამ არ შეიშინია, ძველი დაუძინებელი მტრების: სოლომონის უპირველესი მრჩეველისა და წამქეზებლის — წულუკიძის და მეფეების ერთგული ძალის, სახლთუხუცეს ლომკაც ჯაფარიძის სტუმრობა სხვათა დასანახად ჩვეულებრივ ამბად სცნო, თუმცა უმაღლე ივარაუდა, რომ ეს სტუმრობა გაცილებით ღრმა და შორს გაიზნული აზრის მატარებელი იყო, ვიდრე მას აქამდე ეგონა. რაჟი გიორგი და ლომკაცი როსტომის საბრძანებელ წესში მოსვლას უშიშრად ბედადენენ, მამახალამე, ზურგსუკან ძლიერი და ყოვლისშემძლე მეფე ედგათ, რომელსაც სურვილისამებრ შეეძლო ორგული ერისთავისათვის პასუხი მოეთხოვა, თუ მას ღმერთი გაუწყრებოდა და მთელი ქვეყნის თვალწინ მასპინძლისათვის შეუფერებელ საქციელს ჩაიდენდა. როსტომი ახლა კი მიხედა: მეფის სახით საქმე გამჭირბ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა და უნდა გაფრთხილებულიყო.

— აქამდე სად ვიყავითო? — ჰკითხა მან მეთოდეს, რათა საკუთარი ფიქრები დაემალა და ვიდრე ამ უმნიშვნელო კითხვაზე პასუხს გასცემდნენ, რაიმე გადაწყვეტილების მიღებაც მოეწრო.

— ნაქერალაზე გაჭირვებითა. ცხენებმა ველარ იარესო. აქედან რომ არ დახედროდა ხალხი, ახლაც, ალბათ, იქ იქნებოდნენ, ანდა უკან გაბრუნება მოუწყვედათ. თქვენ ჩამობრძანდებით, მამა? როგორ მოვიქცეთ?

აქ უკვე აღარ იყო ადვილი პასუხის გაცემა. როსტომს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომოდა. ერთი რამ ცხადი და უეჭველი შეიქნა: სტუმარ-მასპინძლობის მამაკაპური წესისა და შექმნილი მდგომარეობის კარნახით, ძველი დოყი დროებით მაინც უნდა დაევიწყებინა და ოჯახში სამოყვროდ შემოსულ მტერს ხელგაშლით და გულდიად დახედროდა. ხომ თქვენ

ბრძენმა ძველებმა, ქალსა და სტუმარს პატიოსანი ძაღლიც არ შეუყვდესო.

ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ლომკაცთან ჯერ პირისპირ შეტაკება არსად მოსვლოდა. ერისთავიცა და მეფის სახლთუხუცესიც ერთმანეთს ფარულად შეერაოდნენ და ურთიერთსიმძულელიდა და უნდობლობას გულთა ატარებდნენ.

სხვა იყო ხოტევის ციხის პატრონი გიორგი წულუკიძე. რაკი ის დღეს აქ თავისი ფეხით მოვიდა და შესარიგებლად ხელი გამაოწოდა, უბირო ხალხის თვალში უკვე მოგებულად და გამარჯვებულად ჩაითვლებოდა, თუკი როსტომიც იგივეს არ მოიმოქმედებდა და ქრისტიანულ მიმტევებლობაში წულუკიძეს ტოლს დაუგდებდა.

რაც შეეხება ბატონიშვილ არჩილს, რომლის ძარღვებშიაც მეფეთა სისხლა ჩქეფდა, მისდამი ერისთავს განსაკუთრებული მოწიწება და პატივისცემა მართებდა. არჩილის მეფური მიღებით ის ცალკერძ სოლომონს ასიამოვნებდა და ცალკერძ თვით არჩილს მოხიბლავდა. დაე სცოდნოდა მეფის ჭბუც მძას, რომ რაჟის მფლობელი როსტომი უზომოდ მდიდარი, ღირსეული, უშოშარი, ღრმად განსწავლული, ლაშქარმარავალი, აკარგვიანი, მტრის მიმართ მტერი და მოყვარესთან მოყვარე რაინდი იყო, ვისი მიმხრობა და თანადგომაც საქმეს ყოველთვის თავის მხარეზე გადასწონიდა.

ერისთავს გონება გაუნათდა. ყველაფერს, რაც წუთის წინ ასე აჭოკმანებდა, განკუთვნილი ადგილი უპოვნა და მტერ-მოყვრის საკადრისი დახვედრის თადარიგი დაიჭირა. მეთოდე სასწრაფოდ ძირს ჩაგზავნა. საპატიო სტუმრებს, რომელთა საპატივცემოდ მიინდაციხეზე სამჯერ გავარდა ზარბაზანი, ერისთავიშვილები სოფლის გარეთ, ხიდიკრიდან მომავალ გზაზე, ნინიას ციხესთან უნდა ზღუბოდნენ და შემდეგ წინ გამოსძლოდნენ. კარისკაცებითა და თავისი თავადანაპრობით, აგრეთვე დიდებული ნათესავეებით გარსემორტ-

ყმული როსტომი, მეტისმეტად რომ არ დამცირებულიყო და საჭმისათვის ფრად საზიანო თავმდაბლობა არ გამოეჩინა, ბატონიშვილს, ღვიძთ ძმა კათალიკოს ბესარიონს და მათ ამაღას ვალაყნის კარიბჭესთან შეეგებებოდა.

ასზე მეტი მხედარი, რომელთაც სათავეში ერისთავის ვაჟები: ბარძიმ, იავარა, გიორგი და მეთოდე ჩაუდგნენ, მსწრაფლ ცხენებს მოახტა და მტრის გულის გამგმირავე ყიყინითა და თფედამაზის სროლით ნინიას ციხისაკენ დაიძრა. მოახლეები და შინამოსამსახურეები, ქალი და კაცი, დიდი ბატონის განკარგულებებისამებრ, სანადიმო სუფრის განახლებას შეუდგნენ. მზარეულებთან მიჩინილმა ხელმარჯვე ბიჭებმა სახორცე დეკეულები და ცხვრები გამოუშვეს დასაკლავად და ოთხში ამოსაღებად. ვზადავა სახრეს იქნევდნენ და ხროვად შემოსეულ სოფლის ძაღლებს უტატანებდნენ. საიდან მოგროვდა მინც ამდენი წუწკი ძაღლი! ისინი ყველგან დასუნსულებდნენ, ყველგან ცხვირს ყოფდნენ და დასიცხულებივით ენაგადმოგდებულნი გამველ-გამომველს ფეხებში ებლანდებოდნენ. მემწდეურებსაც გაუჩნდათ ახალი საზრუნავი. ათი და ოცი წლის წინათ, ჯერ კიდევ როსტომის მამის, შოშიტას, ერისთავობაში დაბუქილი ჩასავალი ქვევრები მოხადეს. კაშნიკი გასინჯეს, სხეებსაც გაასინჯეს და საცალოები ზედაშე ღვინით აავსეს.

შუალაშე გადასული იყო, როცა ნინიას ციხის ქონგურზე კიდევ ავარდა ფიჩხის ალი და მინდა-ციხეშიაც დაიჭეჭა ზარბაზანმა. „ეგ არის, მოატანეს!“ — გაიფიქრა სხარულისაგან გულშეტოკებულმა როსტომ ერისთავმა და ძლივს შვევით ამოისუნთქა. ახლა უკვე შეეძლო თავი დაერწმუნებინა, რომ კახბატონი ერეკლე კვლავ გვერდში ედგა და ვერავი მტრის ანაბარა არც არასოდეს დასტოვებდა. თუ ღმერთმა ჩაუღაპრა მოვისაჯა, რაღა ნიბლია ჩიტის ლუკმა ვახდე, არა სჯობია, თვით ლომმა ვიყოს პირი? ლომად როსტომი, რა-

საკვირველია, მეფე ერეკლეს მიიჩნევდა, რომლის ფარულ ზრახვასაც, ძნელბედობით დაქუცმაცებული დედა-საქართველო ადრე თუ გვიან გაეერთიანებინა, ძლიერ სამეფოდ ექცია და მისი ყველა მტერი და დუშმანი იარაღის ძალით დაეთრგუნა, დიდი ხანია მიმხედარი იყო. თუ საარაკო ვაჟკაცს და პოლიტიკოსს, მეფე ერეკლეს, ხმლის ძალითა და ხელმწიფური ჭკუა-გონებით აღმოსავლეთშიაც რომ კარგად იცნობდნენ და დასავლეთშიც, ღმერთი ხელს მოუშარათავდა, რაჟის ერისთავსაც სხვა რაღა ღონე დარჩებოდა გარ-

და იმისა, რომ საქართველოს მეფეთა-მეფეს ომებში ნაცადრ ხმლით მარშვლებოდა და, როგორც დიდ ლიპარიტ ბაღვაშს ნეტარი თამარის კარზე, მასაც თავისი აწინდელი ღირსება და გავლენა შეენარჩუნებინა.

როსტომმა კალთა დაიბერტყა და ამ იმედიანი ფიქრებით აივანზე გამოვიდა. ძირს, ატალახებულ ეზოში, უკვე კახმაგდნენ ცხენებს. ღამენათევი და ნასვამი ხალხი გალაგნის კარიბჭესა და სასაზღეს შუა რეტდასხმულივით დაბანცალეზდა.

თავი ოცდამეთერთმეტი

ბატონებმა გვიან ინებეს გაღვიძება. წუხანდელ ნამგზავრთ და ნაჭეიფართ დაღლილობა ისე ძალუმაღ მორეოდათ, იქნებ მომღვენო დღე და ღამეც ძილსა და განცხრომაში გაეტარებინათ, ახალმოთაგებელი კარის ეკლესიის მხრიდან საგანგებოდ ამ ეკლესიისათვის ჩამოსხმული ზარების წირვის მუწყებული რეკვა რომ არ გაეგონათ. რაჟის ერისთავის დიდებულ სასაზღეს რამდენი ხანი იყო აღარ სწვეოდა ერთად შეკრებილი ასე ბევრი სტუმარი, გამოჩენილი ერისკაცი თუ სამღვდლო პირი! დღეს ვისღა არ დაინახავდი აქ, ვინ არ გაითენა ნათლისღება როსტომის ჭერქვეშ, ვინ არ იგემა რაჟის ბატონის განთქმული სტუმართმოყვარეობა!

სადღესასწაულოდ შემოსილი სამღვდლოება რომ გარეთ გამოეჟინა და საეკლესიო დროშების ფრიალითა და ვალობით ერს წინ გაუძღვა, თოვლით ტოტებდატანილ ხეებზე შეხუნძლული, დილის სუსხისაგან ცხვირპირგალურგებული ცინგლიანი ბალები პანტაპუნტით ძირს ჩამოიცივდნენ და ხალხის ზღვაში მორგვში გადასროლილი კენჭებივით დაიკარგნენ.

მზე შუბისტარზე იჭდა. მინდა-ციხესა და ბარაკონს თვალისმოპკრელი შუქის შარავანდელი დასდგომოდა. როგორც კი სამღვდლოება და ბატონები მოახლოვდნენ და სერს გადმოადგნენ, მშენებლებმა უკანასკნელი ხარაჩო წააქციეს და განცვიფრებისაგან დამუნჯებულ მნახველთ შთელი თავისი სიდიადით წარმოუდგა ნატიფი ჩუქურთმებით შემკული თეთრპერანგა ტაძარი, რომელიც ჯადოსანი მოხელის სასწაულმოქმედ მარჯვენას თითქოს ერთი ვეება ლოდისაგან გამოეკვეთა.

მგალობლებმა ხმას აუწიეს. მათ მთელი ხალხი აჰყევა. ჰანგი ისეთნაირი ძალით აეღერდა და აგუგუნდა, ხეობა კილით კიდემდე აავსო და ცას მისწვდა. სხვებზე მეტ გულმოდგინებას და მონდომებას აქაურობის ბატონ-პატრონი როსტომ ერისთავი და ერისთავიშვილები იჩენდნენ. მათ ხეავრიელი ბანი და უხილავი სიღრმეებიდან ამომდინარე ხვეერდოვანი მოძახილი ათას სხვა ხმაში ერჩეოდა და ყველას, ვისაც კი ის ესმოდა, ენით აუწერელი სიხარულით ავსებდა. გალობდნენ ღვთისმშობლის სადიდებდელ ტროპარს „ღირს არს ჭეშმარიტად“. წუთით უკუდგა ამქვეყნიუ-

რი გასაქირი და მწუხარება, კაცთა შორის მტრობამ და შეღღმა ადგილი სასოებასა და მოყვასის სიყვარულს დაუთმო. სული ზეიმობდა. ამ ბედნიერმა წუთმა ერთად შეჰყარა ბატონი და ყმა, დევნილი და მდევნელი, მსხვერპლი და მტარვალი და თითოეულის გულში სათნოების ბაზმა დაანთო. ახლა, ალბათ, არავის გაუკვირდებოდა, ცა რომ გახსნილიყო და ცოდვითა და მადლით საესე ქვეყანაზე ღრუბლებიდან თვით დაუსაბამო ღმერთს გადმოეხედა. მაშა ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი..

სამღვდელოთა კრებულმა, რომელსაც წინ ბერულ შავ ანაფორაში გახვეული და შვეივე კუნკულით თავდახურული უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი მიუძღოდა და ოდნავ მოხრილი სამი თითით ჭვარს სახავდა ყველას და ყველაფერს, ჭერაც კირშეუშვრალ ეკლესიას ვარს შემოუარა. ხარაჩოების გატანა ვერ მოესწროთ. ჰირხლით შეუღრული ფიცრები მიწაზე იყო მობნეული. წმიდა მამები ანაფორებს იკალთავებდნენ, ფრთხილობდნენ, ფეხი არსად წამოეკრათ. კრებული ვალობითა და გაჩაღებული საცეცხურების ქნევით განაგრძობდა სადღესასწაულო სვლას. თეთრი გედივით ყელმოღერებული საყდრის ირგვლივ მჭრქალი კვამლი და საკმევის სუნი დგებოდა.

ეკლესიას მესამედაც რომ შემოუარეს და პირი ყურთამდე ვადებულ კარიბჭისაკენ ჰქნეს, ერისთავის კარის დეკანოზმა ლუკა იაშვილმა, ბუჭუტა იაშვილის ვარეთა ბიძამ, რომელსაც დღეს მთავარდიაკონის მოვალეობა უნდა შეესრულებინა და წირვა-ლოცვის მთელი სიმძიმე ეტვირთა, ხელების ზეაპურობით და ლაღადისით — „უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე!..“ ნიშანი მისცა ქანდარაზე გადმომდგარ შაოსან მორჩილს და ახლა ეკლესიის თაღებმა დაიგუგუნეს:

— რათა ვადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ

იქმენ, ყოვლად უბიწოო დედოფალსა ჩვენისა, უპატიოსნესად ქერუნიშთასა და აღმატებით უზესთაესთა სერაბითასა, გაუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა ვალობით ვადიდებდეთ...

ღრმა თაღები და კამარები ხმებს აუცხოებდნენ და რაღაც ზებუნებრივ იერს აძლევდნენ. ჭერაც კედლებ და სვეტებმოუხატავ ეკლესიაში უთვალავი დიდი და მცირე სანთელი ციმციმებდა. მხოლოდ კონქში მოჩანდა საკვირვლად ცინცხალი ფერებით შესრულებული ღვთისმშობელი მარიაიმი და ყრმა იესო. ღვთისმშობელს ტალღა-ტალღა დაშველებული და გულსპირთან ოდნავ მოღვლილი ცისფერი მარამაში ემოსა, იმავე უკიდევანო ცის ფერი, რომელიც შთაგონებულ მხატვარს ფონად გამოეყენებინა. ქმნილება დასრულებულს არ ჰგავდა. მცოდნე თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ მხატვარს აქა-იქ ეჩქარა და ბოლოს სამუშაოზე ხელი ნაადრევად აელო. ეს, ალბათ, იმ იმედით, რომ თავისი სულიერი მრწამსის გამოსახვას ოდესმე დაასრულებდა და პირვანდელი შთანაფიქრისამებრ სრულყოფდა. ხელოვანს უთუოდ სულსწრაფი შემკვეთები შემოუჩნდნენ და ცეცხლზე დაადეს, სანამ მან ხარაჩო არ ჩამოხსნა და ძირს არ ჩამოვიდა. მოთავებული მართო კანკელი იყო. იგი თეთრი მარმარილოს ოთხ სვეტზე იდგა. ტრაპეზში გამავალი სამეუფო კარის თავზე, რომელიც ახლა დაკეტილი იყო და პირველად, როგორც წესი და რიგია, მღვდელმთავარს უნდა გაეღო, საიდუმლო სერობის ხატი ჩაესვათ, ხოლო კანკელს, აღსავლის კარის ორსავე მხარეს, ოთხი სხვა დიდებული ხატი ამკობდა.

ერისთავს არაფერი დაეშურებინა. რაც კი რამ სასახლეში ოქრო-ვერცხლი და სხვა ძვირფასეულობა გააჩნდა, უკლებლივ აქ გადმოეტანა. ოქროცურვილ დიდრონ შანდლებში, საყურთხევის წინ და ნიშებში რომ ჩაემწყრივებინათ, მაგისისმსხო შამახური სანთლე-

ბი ბრდღვიალეზდნენ. ერისთავის ოჯახისათვის ან რაჰის ეკლესია-მონასტრებისათვის სხვადასხვა დროს შემოწირული ძველთაძველი ხატებით მორთული სვეტები თითქოს სულს იდგამდნენ. ტაძრის შუაგულში, სამრევლოს რომ ეძახიან, ხავერდვადაფარებულ ანალოლიაზე, ფასდაუდებელ ყდაში ჩასმული სახარება და ზურმუხტის თვლებით გაციკროვებული ქრისტეს ჯვარი დაესვენებინათ. ჯვარი ნიკორწმიდელი გერმანეს მოძღვნილი იყო, სახარება კი სავანგებოდ გადაწერათ სხარტალელ მეუღდაზნოეებს და რამდენიმე წლის შრომისა და რუდუნების ნაყოფი ამიერიდან წმიდა მარიამის სახელდებულ ბარაკონის ეკლესიისათვის შემოეწირათ.

როსტომ ერისთავი, თანამეცხედრე ხორეშანთა და ვაეებითურთ, ტაძარში პირჯვრის წერით შემოვიდა, საკურთხევის წინ მდგარ შანდალში თავლის სანთლები აანთო, დიდებულებისა და მდაბითთა ვიწრო წრე გაიარა და ხალიჩებით მოფარდავებულ შემალეებულ ადგილზე, ამბიონის მარცხენა მხარეს, მაღალზურგნიან სავარძელი დაიკავა. იქვე დაბრძანდა თანამეცხედრე მისი, ყიფიანის ასული ხორეშანიც და დაჯდომისთანავე, ვაიმე, შვილოო, მწარე კენესას ამოაყოლა. ეს მხოლოდ როსტომმა გაიგონა და, თითქოს ფინთიხი მოხვედროდეს, ისე შეტოკდა სავარძელში. ერისთავის ვაეკაცი შვილები: ბარძიმ, ივორა, გიორგი, მეთოდე, მამუკა, ნიკოლოზ, იოანე და დემეტრე დედ-მამას ზურგსუკან ამოუდგნენ. აკლდათ მხოლოდ ბუკუტა იაშვილის ცოლყოფილი თამთა, ვისი ნოუქარებელი ჯავრიც შვილის დამკარგავ დედას მზეს უზნელებდა, ხოლო ანგარიშში მოტყუებულ მამასა და ძმებს მძიმე ლოდად აწვა გულზე.

ამბიონის მარჯვნივ, ასევე შემალეებულ ადგილას, ოღონდ ძოწისფერი ფარჩის ბალდახინის ქვეშ, რომელიც მაღალღეროიანი ჯვრით წიწიბოშემკობილ სამეფო გვირგვინს გამოხატავდა, მოთავსდა ერისთავის ყველაზე უფრო

საპატიო სტუმარი და ტაძრის უკრთხევის თანამონაწილე, შეფინს ძმა პატრონი-შვილი არჩილი. უჩვეულო ხარზეიმში მოხვედრითა და საყოველთაო თავყვანისკემის გამო დაწვევაბატყცილ არჩილს მოწიწებით მხარს უმშვენებდნენ თმაკვადარა დარზაისელი: სახელმწიფო ბეჰედის მცველი გიორგი წულუყიძე და სახლთუხუციები ლომკაც ჯაფარიძე.

იქით ერისთავისა და აქეთ ბატონი-შვილის გვერდით თვალსაჩინო ადგილები მიუჩინეს ყაბარდოელ სტუმრებს — ერისთავიშვილ იაკორას ცოლისძმებს, ოტია დადიანის ძე კაკიას და ქართლ-კახეთის მეფეთა წარმოგზავნილ ქრცხინვალის მოურავე მაჩაბელსა და ტფილისის ბოქაულ ამილახვარს. მეგრელი, ლეჩხუმელი და ქართლ-კახელი სამღვდლოება, ბედიელი, ცაგარელი, წილკნელი და ალავერდელი ეპისკოპოსების თავკაცობით, თავიდანვე კათალიკოსის კრებულს შეერია და საქმევის კმევით ტაძრის კარიბჭეს მოადგა.

ხალხი უმალ შუაზე გაიპო და პირჯვრის წერით წელში მოიხარა. ზოგმა კიდევაც დაიხოკა და შუბლით ქვის იატაკზე დაემხო. გუნდი გალობდა ნათლისღების ტროპარს — „რაყამს იორდანეს ნათელ ილე შენ, უფალო“ და მიწიდან ცად აღვლენილი ეს ხმა, ტაძრის თაღებში განწმენდილი და განსპეტაებულო, როგორც ცის მანანა, კვლავ მიწას უბრუნდებოდა.

მღვდელმთავართაგან ეკლესიაში პირველმა ფეხი უწმიდესმა კათალიკოსმა ბესარიონმა შემოსდგა. ის დღეს უჩვეულოდ ტანთხელი, მაღალი და პაერთვანი ჩანდა. მიუხედავად ნაცთების სინატიფისა და რბილი, ნამღვილად ღვთისნიერი გამოხედვისა, ბესარიონი რაღაცით მაინც ჰგავდა თავის ძეალმსხვილ, ტლანქ და სისხლმოჭარბებულ ძმას, როსტომს, უფრო კი ერისთავიშვილებს იაკორასა და გიორგის, რომლებიც ბიძასავით შევგვრემანები იყვნენ და შვეთმა-წვერს ატარებდნენ. ხანგრძლივ მარტულობასა და ამქვეყნიურ სიამეთაგან ასკეტურ თავის შეკაეებას კათა-

ლიკოსის ფერმკრთალ დაწვებსა და სახის გამომეტყველებაზე უცხო თვალისათვის შესამჩნევი კვალი დაეტოვებინა. ბესარიონს თავი აეწია, თვინიერი თვალების მზერა ერთი ამოჩემებული წერტილისათვის მიეპყრო, გველისთავიან სამღვდელმთავრო კვერთხს ნება-ნება იბიჯებდა და საკვირველად მშვიდი და უღრტივინელი წინ მოდიოდა. ორი-სამი ნაბიჯის მოშორებით კათალიკოსს წყვილ-წყვილად მოსდევდნენ ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები და მღვდლები, რომლებიც გაჩაღებულ საცეცხლურებს წინ და უკან იქნევდნენ და თავის გზაზე ააღებული საკმევლის სურნელოვან კვალს სტოვებდნენ.

ბესარიონი სამრევლოში შეჩერდა. სახელდახელოდ გამართულ კათედრაზე აბრძანდა და ჯერ საკურთხევის, მერჯე იმ მხარეს, სადაც ბატონიშვილი არჩილი და ერისთავის დიდებული სტუმრები ეგულეობდა, შემდეგ როსტომისა და მისი სახლუელის მხარეს, კვერთხით ჯვარი გადასახა და ორ კერძო დიაკონს მინებდა, რომელთაგან ერთმა ღრმა მოწინებით კვერთხი ჩამოართვა და დამხმარე მღვდელს უკან გადააწოდა, ხოლო მეორემ შავი ბარტყულით დაფარული თეთრჯვრიანი კუნკული მიიღო. კუნკული ბესარიონმა თავისი ხელით მოიხადა და ერთხანს თავშიშეული დარჩა. აქა-იქ ქალარაშერეული წაფივით შავი თმა მზრებზე სცემდა და კათალიკოსიც არასოდეს ისე არ მოგავონებდათ თავის ერისკაც მძისწულებს, როგორც ახლა. დგებოდა ყველაზე დიადი წუთი: მოვდელმთავრის შემოსევა! კერძო დიაკვნების მიერ მოწოდებული კვერთხი და კუნკული ხელიდან ხელში გადავიდა და ბოლოს საკურთხევის მარცხენა კარში გაუჩინარდა. სადაც შთამბეჭდავი სანახაობით შეძრული უამრავი ხალხი იდგა და ეკლესიის უბრალო მსახურები ფუსფუსებდნენ. კათალიკოსს ანაფორა გახადეს. ის უკვე კოკებამდე დაშვებულ და ნიკაპქეშ ახალუხივით მკიდროდ შებნეულ იისფერ კვართში დარჩა. ყელზე წერილი

ტეწვით ბაწაწინა ოქროს ჯვარით ეკლესია ბესარიონი ხელეზამოშვებული იდგა და კვლავ წინ იუფრებოდა, ცდილობდა, თვალი არსად გაქცეოდა და თავისი გამორჩეული ყურადღება არავისთვის მიეპყრო. მისი სახე სრულ მორჩილებადა და განუტრეველობას გამოხატავდა. შალე იმავე განის კარიდან კანდელაკმა და ორმა უწვევრულ მორჩილმა კათალიკოსის შესამოსელი გამოასვენეს. ბესარიონი ოდნავ დაიხარა და ტანდაბალმა კერძო დიაკვნებმა, რომლებსაც მღვდლებიც ეხმარებოდნენ, ხურჯინივით ორ თვალად გაყოფილი თოვლივით თეთრი სტიქარი თავზე გადმოაცვეს. სტიქარს ოქროს სირმით ამოქარგული ოლარი და ამავე ფერის სარტყელი მოჰყვა. ენქერით — სულიერი მახვილით რომ აღტურვეს, ნიკორწმიდელმა ეპისკოპოსმა გერმანემ კათალიკოსს კარიბჭის მხრიდან შემოუარა, კათედრის პირველ საფეხურზე შედგა და ბეჭებზე შინდისფრად მოლივლივე ბისონი წამოასხა, რომელზედაც ფართო ზოლად ძვირფასი თვლებით მოოქვილი ომფორი მოახურეს და წინ გადმოშვებული სარტყელთან გადაუჯვარედინეს. სამღვდელმთავარო მანტიით შემკობისა და კეთილშობილი ქვეებით მრავალფერად მოციმიციმე მიტრის დახურვის შემდეგ, რამაც ბესარიონი მთლად შესცვალა, ყელზე ჯვარი და პანაღია დაჰკიდეს და ხელში ბაჯალო ოქროს სამღვდელმთავრო კვერთხი მისცეს.

ვიდრე მღვდელმთავრები, მღვდლები და კერძო დიაკვნები კათალიკოსს იოანე ოქროპირის, ვასილი დიდის და გრიგორი ოვთისმეტყველის მიერ დადგენილი წესისამებრ მოსავდნენ, კანდელაკი და ერისთვის კარის მოძღვარი დეკანოზი ლუკა იაშვილი საკურთხევის წინ ბოლთას სცემდნენ, კანკელის ხატებს, აღსავლის კარს, შანდლებს და ნიშებს საცეცხლურით საკმევლს უკმევდნენ, ხოლო როდესაც შემოსევა გასრულდა და კათალიკოსმა ერთხელ ჯდევ გადასახა ჯვარი სამწყსოს, მამა ლუკამ ხელი დაიკალა, მაცხოვ-

რის ხატის წინაშე პირველი დაიწერა და ხმამაღალი ვაღობით ვედრება დაიწყო:

— შენ გვედრებით ღვთისმშობელი ქალწულო, შეურყეველსა მაგას ზღუდესა ცხოვრებისა ჩვენისასა, წინააღმდეგობთა ზრახვანი განაქარვენ, ერისა შენისა მწუხარებაი სიხარულად გარდასცვალენ და სოფელსა შენსა აღმოუწოდენ, ყოველთა ერთობისათვის და მშვიდობისათვის სოფლისა ევედრე შენგან შობილსა ქრისტესა ღმერთსა, რამეთუ შენ ხარ სასო და მეოხი ყოველთა ქრისტიანეთა...

დროდადრო, როცა დეკანოზი ხმას დაუდაბლებდა და ვედრების მუხლს სიტყვებით — „უფლისა მიმართ ვილოცოთ“ — დასრულებდა, თითქოსდა დასტურის მისაცემად ახლა მგალობელთა გუნდი აღავლენდა: „უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე!“

ლუკა იაშვილმა თავის მსურველ ლოცვა-ვედრებაში მოიხსენია ოთხნი პატრიარქნი: კონსტანტინოპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმისა, აგრეთვე მცხეთა-ტფილისის მთავარეპისკოპოსი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბატონიშვილი ანტონი, ქრისტიანობის თავგამოდებული მოსარჩლე და შემწე, ურჯულოთა და მწვალებელთა რისხვა ხელმწიფე-იმპერატორი ელისაბედ პეტრეს ასული და სრულიად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უწმიდესი სინოდი, დავითიან-იესიან-პანკრატოვანი, ლიხთიმერეთის ღვთისაგან კურთხეული მეფე სოლომონი, ქართლის დიდებული მეფე, ერის მამად აღიარებული თეიმურაზი და ძე მისი კახაბატონი ერეკლე, განთქმული სივანეკაცია და ღვთისმოსავლობითა ყოველთა აღმოსავლეთსა და დასავლეთსა შინა, პონტო-აფხაზთა, ოსთა და დვალთა, რაჭა-ოდიშ-გურიათა და ყოვლისა ჩრდილოს კერძოთა ჯვართა მაწმინდებელ-მანათობელი, პირველწოდებით მოციქულისა ანდრიას თანამოსაყდრე, ბიჭვინთი-

სა და გენათის საჭეთმპყრობელი, რაქის ერისთავის ძე უფალი კათალიკოსი ბესარიონი, გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები, კუონდიდელი გრიგოლ, შემოქმედელი ნიკოლაოზ, ცაგერელი ნიკოლოზ, ნიკორწმიდელი გერმანე, ბედიელი ბააკა, ხინოწმიდელი იოანე, ეპისკოპოსები წილკნისა და ალავერდისა, ბერძნის მიტროპოლიტი დანიელ დასკალი, თეათინელ ძმათა ორდენის მოძღვარი პატრი ლეონე, ლიხთიმერეთის დედოფალთ-დედოფალი, დადიანის ასული მარიამი, ბატონიშვილი არჩილი, ოდიშის ბატონი ოტია და ძე მისი კაცია, სტრატელატი და ვიპატოსი, ლიხთიმერეთის სარდალი, რაქის ბატონად ღვთივ დადგინებული ერისთავი როსტომი და სახლელი მისი...

კათედრაზე ცხოველი სვეტიცით აღმართულ კათალიკოსს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში განაბული იდგა და სამარჯლოს ზარების ყოველდინჯ ჩამოკვრაზე პირველს იწერდა, კანდელაკმა თავლის სანთლების მთელი ბლუჯა მთართვა. ბესარიონმა სანთლების ბლუჯა მარცხენა ხელში დაიკავა, მარჯვენათი ერთი მოაკლო, იქვე მობრიალე სანთელზე მოუკიდა და ყველაზე ახლო მდგომ ნიკორწმიდელ გერმანეს მიაწოდა. გერმანემ კრძალვით ჩამოართვა სანთელი, უწმიდეს კათალიკოსს ხელზე ეამბორა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, რათა ახლა სხვებისათვის დაეთმო გზა. კათალიკოსთან რიგრიგობით მიდიოდნენ ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები და მღვდლები და ისიც ყოველ მათგანს ანთებული სანთლის ბოძებით ამწყალოებდა. ბოლოს, როდესაც სანთლები გაუთავდა, ბესარიონმა უკანასკნელი თავისთვის აანთო, ზეასწია, თითქოს სურს ღამის წყვილიადმი გზა გაინათოსო და კათედრიდან ჩამოსვლა დაიწყო. კერძო დიაკვნები მანტიის ბოლოს დასწვდნენ და მის უწმიდესობას ფეხდაფეხ მიჰყვნენ. დაიძრა აქამდე კათედრის გარეშემო შემოკრებილი სამღვდლოება, საკურთ-

ხევისსაყენ შეტრილდა და ორ რიგად გამწვრივდა. კათალიკოსმა შუაში გაი-
არა, სამღვდელთაგან ამბიონზე
აბრძანდა, ერთხანს მრევლისაყენ ზურგ-
შეკცევით იღგა და მაცხოვრის ხატის
წინაშე პირჯვარს იწერდა, მერე ნაბიჯი
წინ წარსდგა, ხატს სამგზის ემთხვია,
ემთხვია ღვთისმშობლის ხატსა და სხვა
ხატებსაც, გამობრუნდა, საიდუმლო სე-
რობის ქვეშ თავი დახარა და ორივე ხე-
ლით აღსავლის ანუ სამეფუთო კარი შეა-
ლო.

გამოჩნდა მრავალი სანთლით განა-
თებული და საყმეველის ცისფერი კვამ-
ლით დაბურული საკურთხეველი, რომ-
ლის შუაგულში, ფარჩაგადაფარებულ
ტრაპებზე წმიდა სამირონე იღგა, ხო-
ლო მის წინ კიდევ ერთი სახარება და
ჯვარი ესვენა. ტაძარში ყველამ დაი-
ხოჯა. ბესარიონი სამირონეში შევიდა
აღსავლის კართ, პირჯვარი გადაიწერა
და წმიდა სამირონეს ემთხვია. მალე
საკურთხეველი მღვდელთაგანებით და
ყვლეისის მსახურებით აივსო. ისინი
აქ ორივე განის კარიდან შევიდნენ და
აგრეთვე თაყვანი სცეს ტრაპებსა და
წმიდა სამირონეს. საყმეველის კვამლში
მიტრები და ყელზე დაკიდებული ოქ-
როს ჯვრები გაიბრწყინებდნენ ხოლმე.
უკანა ქანდარიდან ნიაღვარივით წამო-
ვიდა „შენ ხარ ვენახი“ და მთელ ტა-
ძარს მოედო. დიდებული სანახაობით
გაბრუნებულმა და გულაჩუყებულმა
როსტომმა ოდნავ მოაბრუნა დამაბული
სახე და უკან გაიხედა. გუნდში თუ კა-
თაკმეველთა თაღქვეშ, სადაც აგრეთვე
ხალხის ტევა არ იყო, მოხანეთაგან რო-
მელიდაც ერთი ხმა უშლიდა, მეტისმე-
ტად მალა ბანს ამბობდა. შეიშუშუნენ
ერისთვიშვილებიც. ადგილიდან მაინც
არავინ დაძრულა. ეს გარემოება, ეტყო-
ბა, სხვებმაც მალე შეამჩნიეს. ხელმო-
ცარული მგალობელი, თავში ჩაუთაქეს
თუ რა იყო, ერთბაშად ჩაჩუშდა.

როსტომი მაინც მოუხევენრობდა.
სახეზე წამდაღუწუშ ცხელი ოფლი ახ-
ხამდა და სუნთქვაც უჭირდა. მაგრამ
შიშით, შინაურები არ დაეფრთხოო,

თავის გაკირვებას ხმამაღლა იმ-
ხელდა. სასახლიდან გამოსვლის წინ,
ისე რომ არავის ვაეგო, კარის მკურნა-
ლი ზოსია გოგობერიშვილი მოაყვანი-
ნა და მალულად მაჯა გაასინჯა. მკურ-
ნალს არ მოეწონა თავისი ავადმყოფი.
კინალამ ხალხი შეუყარა. სხვა დრო რომ
ყოფილიყო, იქნებ ქვეშაგებულშიაც ჩა-
ეწვინა და წამხდარი სისხლის გამოსა-
შვებად წურბლუბიც დაესხა, მაგრამ
ახლა, ამისთანა სტუმრიანობის დროს,
ამაზე ფიქრიც არ ეგებოდა და ისიც
მარტოოდენ უბრალო რჩევა-დარიგე-
ბით დაკმაყოფილდა.

როსტომს სულ სხვა რამ სჭირდა,
გუნებას სულ სხვა რამ უწამლავდა.
არც ზოსია გოგობერიშვილს, ერთგულ
ყმას და არც სხვა ვინმე, ზოსიაზე უფ-
რო გამოცდილ აქიმს, ამ სენის გან-
კურნება არ შეეძლო.

მდიდრულ არმაღანთან და ტაძრის
შემოსაწირავთან ერთად, ტფილისის
ბოქაულ ამილახვრის ხელით, როსტომს
თეიმურაზ ჭართლის მეფის წიგნი მოუ-
ვიდა. ძველთაძველ მეგობარსა და ჭირ-
სა და ლხინში თანამდგომ როსტომ რა-
ქის ერისთავს თეიმურაზი გულთბილად
მოიკითხავდა, კარის ეკლესიის კურთ-
ხევას ულოცავდა, უსურვებდა, მალე
მოეთავებინა წმიდა ბარბარეს სახელო-
ბის საყდარიც, რომელსაც რაქის ბატო-
ნი აღთქმულ მიწაზე, იერუსალიმში
აშენებდა, მალაღ ღმერთს სთხოვდა,
მშვიდობა და ჭანის სიმართლე მოე-
ვლინა როსტომის მრავალრიცხოვანი
სახლეულისათვის და წიგნის ბოლოს,
თითქოსდა გაკვრით, უბრძანებდა, თუ
ჩვენი ხათრი და მორიდება კიდევ
გაქვს, შენი მწყალობელი მეფის, ღვთივ
კურთხეული სოლომონის, ვამგონე და
სიტყვის მორჩილი იყავით. თეიმურაზი
იფონებდა ძველ კეთილ დროს, როდე-
საც რაქის ერისთავები, ჭერ ბაღვაში
ლიპარიტისძენი, ხოლო შემდეგ ტარი-
ქისძენი საიმედო ბურჯად უდგნენ
სრულიად საქართველოს ძღვევამოსილ
მეფეებს და მეფეთა კარზედაც ჭირო-
ვანი პატივითა და ნდობით სარგებლობ-

დენ. მართალია, დავით ნარინის მეფობაში, როცა მონღოლთა ურდოებმა საქართველო წააღეს და ურჯულო მტრისაგან ძლეული ქვეყანა ორ სამეფოდ გაიყო, ეშმაკის ჩაგონებით რაჰის ერისთავმა ნოინების მხარე დაიჭირა და თავისი მეფის მტრობის გზას დაადგა, მაგრამ მონღოლების განდევნისთანავე დაქინებული საერისთაო მაინც ყვეზე წამოდგა და ერთიანი სამშობლოს დროშის წინაშე მუხლი მოიყარა.

„ცხოვრებამ ბევრი სიბრძნე შეგვანებინა, შვილო და ძმავო როსტომ, — იწერებოდა მეფე თეიმურაზი. — აწ გვმართებს ყველა ძალი შევეკრიბოთ და უწმიდურობასა ზედა გავილაშქროთ. მე და ჩემი შვილი, მისი უდიდებულესობა კახატონი ერეკლე, ფრიად მოწადინებული და მსურველი ვართ, მანდ, ლიხთიმერეთში, ზავი დაამყაროთ, გარეშე თუ შინაურ მტერს ერთპირ და ერთსულ დაუხედეთ და შინაური მიხტომ-მოხტომით მოყვარეს გული არ მოუკლათ. გვსმენია და ვცანით, რომ იმერთა კანონიერი მეფე სოლომონი საღვთო საქმეს ადგია. ღმერთმა და მამაზეციერმა ხელი მოუმართოს. თქვენც შემწედ ექმენით, შვილო და ძმავო როსტომ. აქედან, თუკი რამე შევიძლეით, მე და ჩემი შვილი, კახატონი ერეკლე, დახმარებას არ მოგაკლებთ. ახატ-ხანი კვალად არ გვასვენებს. ერეგნის სახანომ ხარკი შეგვიწყვიტა. მოციქული მოციქულზე მოგვდის. სომხები შეწყენას გვემუდარებიან. იტინა, ჩონჩოლ-მუსა და იტარისა ზურგში ხანჯლის ჩაცემას გვიპირებენ. მჭადიჯვარში სამარცხვინო დამარცხების შემდეგ სამაგიეროს მოზღვას ესწრაფვიან. გვატყობინებენ, ვანჯის ხანსაც განზე უჭირავს თვალიო. ყველა ამით თავზეხელადებული ახატ-ხანის იმედი ასულდგმულებს. მოგეხსენება, სპარსეთში ისევ არეულობა სუფევს, ტახტის მოკლებები ერთმანეთს ეუთყვენ და ახატ-ხანიც წააღას ამღვრევს. შაჰის გვირგვინს უპოტინება. ერეგნის ციხის

დაკავებით დიდი ძალი მოვიტყუე მტროხეთს ერთი მუგუზალმ წაუღე და მძი, ეგეც! დიად გაგვხარებთ, შვილო და ძმავო როსტომ, უკეთუ გასაქირში ჯარს მოგვაწვდით და, მეფე სოლომონის თანსმობით, თავადაც გვეახლებით...“.

„რამ გადარია ეს ხალხი? ყველამ, მტერმა და მოყვარემ, ჩემს წინააღმდეგ რაღა შექერა პირი? დავიჯერო, მართლა სიკეთე სურთ ჩემი და უნდათ დოუცად ხიფათს ამარიდონ? — ფიქრობდა საგონებელში ჩავარდნილი როსტომი. — ღვთის წინაშე, მე იქით ვაპირებდი ქართლ-კახეთის მეფეებთან ერთობით სოლომონის დაშინებას, ეკლესიის კურთხევაც ამისთვის დავაჩქარე და შუბი აქეთ არ მომიტრიალდა? ეს ყველაფერი იმ წვერცამეტა იოსების წყალობა გახლავს, ძმავო რომ თეიმურაზის კარზე ელჩად გაგზავნა. თითქოს მის სიტყვებსაც ვცნობ. დიდ მეფე თეიმურაზს ეს ღლაპები თავიანთ ჭკუაზე აცუნდრუკებენ და ძველი თანამდგომების წინააღმდეგ ამხედრებენ. ასე გასინჯე, მუქარასაც კი აგზავნიან ქართლის მეფის პირით, ზოლო კახატონი ერეკლე დემილით მამას კვერს უკრავს და უთქმელად გაგვრძობინებს, მეც ამ აზრს ვიზიარებო“.

ორციცხლშუა მოქცეული როსტომი იოტისოდენადაც არა სცდებოდა. თეიმურაზ მეფის ტკბილქართულს ტყუილად როდი ერია მწარე სამსალა. ეს სამსალა იმერთა მეფე დავით რუსუდანის ძის და რაჰის ერისთავ კახაბერ ლიპარიტისძის გახსენება იყო. ღალატის გზაზე დამდგარ ერისთავს მეფემ ერთხელ მართლაც შეუნდო შეცოდება, მეორედ კი, როცა კახაბერმა თავისი არ დიშალა, შეიპყრო და მსჯავრის აღსასრულებლად ჯალათს გადასცა. ოდესღაც პატივითა და დიდებით გარემოსილ კახაბერს მარჯვენა თვალი შანთით დაუეცეს და მარჯვენა ხელ-ფეხი ცუდით მოჰყვეთეს, რის შემდეგაც მალე სული ღმერთს მიაბარა. მეფის სავანებში ბრძანებულებით რაჰის სამსალისათვის გაუქმდა და აქაურად ყმა-მ-

მული შორაპნის საერისთაოს გადაეცა. ამ დღიდან მოკიდებული ას წელიწადს წესში ერისთავი აღარ მჯდარა, ვიდრე ძირძველ დიდგვაროვანთა მკლემთა გიორგი ბრწყინვალემ იმერთა მეფე ბაგრატი შორაპნის ერისთავად არ დაადგინა და ჩხეიძეებს, შორაპნის ყოფილ ერისთავთა საგვარეულოს, რაჭა-ლეჩხუმი არ უბოძა საერისთაოდ.

ქართლის მეფე თეიმურაზი ბრძენი და წინდახედული კაცი იყო. ამ ძველ, ყველასაგან დაეიწყებულ ამბავს ტყუილად არ გაიხსენებდა. რაკი მისი მოგონება საპიროდ სცნო და კიდევაც მოიგონა, ამით როსტომს პირდაპირ და შეუფარავად გამოუტყდა, რა განსაცდელის წინაშეც ის იდგა. გამოდიოდა, რომ სიმამრის მხარდაჭერით უზომოდ გაძლიერებულმა სოლომონმა ლისს იქითაც გაიდგა ფესვი და მოკლე დროში უკვე შესძლო გვირგვინოსანი მამაშვილის თავის მხარეზე გადმოზირება. ამასვე მოწმობდა რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებულ კაპიტან ლეოვის მოსვლა სვერის ციხეში. ამჟამად რუსთა ილჩი მეფეს გურიაში ახლდა და კაციშვილმა არ იცოდა, იქ რა ერთობლივ გეგმებს ადგენდნენ.

მეფე თეიმურაზის მოჩვენებითი აღერსის უკან, წიგნის ყოველი პწკარიდან რომ გამოსკვივოდა, როსტომი ცხადლივ გრძნობდა ლითონის სიციფეს და გონიერულ ანგარიშზე დაფუძნებულ ზრახვას, თავისი მეფის ურჩი მოხელე გონზე მოეყვანა და თუ ნებით არა, ძალით მაინც ქედზე უსიტყვო მორჩილების უღელი დაეგა. თეიმურაზს რაჭის ერისთავისაგან ომში მამველი ჯარის მიღებაც აღარ სურდა, თუ ეს იმერთა მეფის სურვილისა და ნების გამოხატულება არ იქნებოდა. ისე გამოდიოდა, რომ ქართლის მეფე ერისთავს თავის ტოლად და სწორად არ თვლიდა და დღიდან უშუალო, იმერთა მეფის გვერდის ავლით, ურთიერთობის გავრძელებასედაც კი უარს ამბობდა.

როსტომი საკუთარ ბუნავში გამომწვევდელ მტაცებელ ნადირს დაე-

მსგავსა. ვისი იმედი უნდა მტკნარად სისხლით ნათესავი ოტია დადიანი იყო და სოლომონი სიძედ მოიკიდა, უპირველეს მოკეთედ გაუხდა; ლევან აბაშიძე იყო და მოუხავლეთში დაიკარგა; შერისხულ დიდ დედოფალ თამარსა და უფროს ბატონიშვილებს, დეკანოზმა ლუკა იაშვილმა დღეს წირვაშიაც რომ აღარ ახსენა, ძალაუფლება ხელიდან გამოეცალა და მათ ბედს ახლა უბრალო ბოგანო გლეხის ბედი სჯობდა. იგივე ხვედრი ერგო გურიის მთავარ მამიასაც... ვინღა დარჩა ისეთი, ვისაც როსტომი გულის ხვამლად გაუშველდა და მძენივარე მეფის კირთებისაგან საერისთაოს შეუვლობას დაიკავდა? მხოლოდ ქედგადაღმევი ურჯულო მძახალი — ყაბარდოს ბატონი და ლეთა და ჩერქეზთა დაქირავებული ლაშქარი, რომლებიც მტერმორეულ საქართველოში საშოვრის მოსაპოვებლად მოდიოდნენ და ნაკლებ ადარდებდათ, თუ ვის წინააღმდეგ იომებდნენ? გარეშე ძალის იმედი წყალში თევზის დაფასებას ჰგავს, როცა არც ბადე გაგანია და არც ტოტის დაშრობის რაიმე საშუალება!

ქმრის თავყანისმცემელი თანამეცხედრე ხორეშანი და საკუთარ უძლეველობაში ყმაწვილურად დარწმუნებული შვიდივე ერისთავიშვილი აინუნშიაც არ იყვნენ, რა თავსატეხი გასჩუნოდა ოჯახის წინამძღოლს, საერისთაოს სულსა და გულს, როსტომს, რა საფიქრალი და უკურნებელი სენი უმოკლებდა წუთისოფელს.

თეიმურაზის წიგნი უაღრესად საიდუმლო იყო და იგი თვით როსტომის მეტს არც არავის წაუკითხავს. რა ექნა, იგივე ამილახერის ხელით ვაეგზაენა საკადრისი პასუხი და მისი უდიდებოლოესობა ქართლის მეფე მზაკრობაში ემხილებინა? თეიმურაზი და, რასაკირველია, მისი შვილი ერეკლეც, ამიერიდან სანდონი აღარ იყვნენ. ვინ დადებოდა თაედებად, რომ მათდამი მიწერილ ერისთავის წიგნს სოლომონი არ წაიკითხავდა და თავის აგარეშე მოხე-

ლეს, როგორც ხანდახან რაქის მფლობელს უწოდებდნენ ხოლმე, ლალატს არ შესწამებდა?

როსტომი წუთებს ითვლიდა. ყოველად სამღვდელო ძმასთან განმარტობა ეჩქარებოდა. კათალიკოსი ბესარიონი ერთადერთი ადამიანი იყო ამქვეყნად, ვისაც ის უყოყმანოდ ენდობოდა ყოველგვარ საქმეში, მაგრამ რა შეეძლო საბრალო მღვდელ-მონაზონს, თუნდაც მღვდელმთავრის ტახტზე მჯდომარეს, გარდა ლოცვა-კურთხევისა და კეთილი რჩევისა? სოლომონს უკვე ისე მიჰყავდა ქვეყნის საქმე, რომ ჩაურევლად და გავლენიან ადგილებზე თავისი სანდო ხალხის დაუსმელად არც ეკლესიას დასტოვებდა. მეფის მსტოვრები, ბოლო დროს ასე რომ მომრავლდნენ, რა თქმა უნდა, კათალიკოსის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალდნენ და უკეთუ სიტყვასა და საქციელში იმას შეამჩნევდნენ, რის შემჩნევაც მეფეს ასე გულით სწადდა, სოლომონი სულ მცირე საბაბსაც იკმარებდა, საეკლესიო კრებას მოიწვევდა და ბესარიონს კათალიკოსობიდან გადააყენებდა. ძველ ქართულ მატიაწეებში, რომელთა პირები წესის წიგნსაცავეზიაც ბლომად მოიპოვებდა, ვანა ამის ცოტა მაგალითი იყო აღნუსხული?

— პირველი დაიწერე, ბატონო, ქვეყანა ჩვენ მოგვჩერებია! — მოესმა საპირბოროტო ფიქრებში ღრმად წასულ როსტომს თანამეცხედრის არამქვეყნიური ხმა და თითქოს ბურანიდან გამოერკვა.

შემოსილი ბესარიონი კვლავ ამბიონზე იდგა. ტრაპეზის კურთხევა უკვე მოეთავებინა და აიაზმის წყალს ახლა კანკელს ასხურებდა. ნაბერალი მეთოდე წინ გადმოიხარა და მამას ხმადაბლა უთხრა:

— ბატონი კაცია მიბრძანდება, მამა ბატონო, როგორ მოვიქცეთ?

— კაცია მიბრძანდება? — კინაღამ დაიყვებრა როსტომმა. — როგორ თუ მიბრძანდება, ჯერ საყდარი არ გვი-

კურთხებია, ზეთი არ მიგვიღია და რა დროს წაბრძანდება?

ეს რომ თქვა, აწრიალებულმა როსტომმა იმ მხარეს გაიხედა, სადაც წირვის დაწყებისას, წინასწარ მიჩენილ ადგილზე, ბატონიშვილი არჩილის მხარმარცხნივ დადიანის ძე კაცია და მეგრელი დიდებულები იდგნენ და სახტად დარჩა, როცა იქ ვერც ერთი ამათგანი ვეღარ დაინახა. როსტომი წამოენთო. უამისოდაც მოკარბებული სისხლი სახეზე მოაწვა. კილოკავად მიხვდა, რა მიზეზმაც ააბილბილა ოდიშის ბატონის პარტიკოვარე შემკვიდრე, იუკადრიისა, რატომ ბატონიშვილ არჩილზე ნაკლები პარტიკი მომავეს, ყაბარდოელ მე-ბატონეებთან და ტფილისის ბოქაულთან გამათანაბრესო, მაგრამ ახლა მარჩიელობის დრო აღარ იყო და, სხვებს რომ არ შეემჩნიათ და წირვის დროს ეკლესიაში მითქმა-მოთქმა არ ამტყდარიყო, შეეცადა მშვიდი გამომეტყველება მიეღო და შვილს თავის მოუბრუნებლად უბრძანა:

— გიორგუნა გაიყოლე და გადი, გააჩერეთ, ყელი არ გამოშკრას!

— რომ არ დამიჯეროს, მამა? ხომ იცი, რა თავისნათქვამა კაცია!

— ძალა იხმარეთ, დაუჩოქეთ, შეეხვეწეთ-ყე ჩემი სახელით, ეს მინდა ახლა მე? — თავისდა უნებურად როსტომმა ხმას აუწია. ნაბერალი მეთოდე უსიტყვოდ მოსცილდა მამას, იქვე მდგომ ძმას, გიორგის, ჭლიკვი გაკჯრა, მომყუო და მასთან ერთად ხალხს შეე-რიო.

— რა შემოგერიათ, ბატონო? — ჩიხტი-კობით თავდახურული ნამტირალევი ხორეშანი აქეთ გადმოიხარა და ქმრის ანთებულ თვალებს წააწყდა.

ერისთავმა მიაფუჩეჩა, ხელი ჩაიქნია.

— სტუმრები მოსულან.

— ვინ სტუმრები? თამთსგან ხომ არაფერი ამბავია?

— გაჩუმდი, ქალო, — დაიღრინა როსტომმა. — კეილის ასატეხად სხვა ადგილი ვეღარ მონახე?

— მე როდის ვკვირ, ბატონო, გეკითხები.

— არ ვიცი, ვინ გვესტუმრა. გიორგი და მეთოდე მობრუნდებიან და გვეტყვიან, ვინც არის.

— არაფერს მიმალავდე, როსტომ, დედ-მამის სულს და თამთას გაფიცებ! თუ სტუმარია, ეკლესიაში ვერ შემოვა? ახლა რა დროს ბიჭების ვაგზავნა იყო?

ერისთავმა თავი გააქნია და მთლად აკანკალებულ თანამეცხედრეს თვალეზით საკურთხველზე ანიშნა. საქმეგლის მჭრქალ კვამლში ვახვეული ბესარიონისათვის კანდელაქსა და კერძო დიაკვნებს ტაბაკით ზეთი და ტაბლა მოერთმიათ საკურთხებლად. სადღაც წინ, ტრაპეზის მარცხენა განის კართან, შედავითნე სხაპასუპით და ოდნავი წამღერებით კითხულობდა კურთხევანის უკანასკნელ მუხლებს. როსტომი საეკლესიო წიგნებშიაც განსწავლული იყო. დიდი და მცირე სჯულის კანონი, ტიბიკონი, პარაკლიტონი და სამღვდელთათაგრო კონდაკი ზეპირად იცოდა. ამის შემდეგ მღვდელთათაგრებით გარსშემორტყმული კათალიკოსი კვლავ კათედ-

რაზე უნდა აბრძანებულიყო და ნაკურთხის ზეთის ცხებას შესდგომოდა.

არ გაუვლია ნახევარ საათს, მეთოდე მობრუნდა და მამას დამამშვიდებელი ამბავი მოუტანა: კაცობის ცხენების მოსაყვანად ეფრინა კაცები, მაგრამ ჭერ წასული არ იყო. ეკლესიის გალავანშივე გიორგი წინ გადაეღობა, წირვის ვამოსვლამდე არასგზით არ გაუშვებდა.

როსტომს გულმა ველარ გაუძლო, შევიღს შეძრული ხმით ჰკითხა:

— რაზე მირცხვენს ოჯახს, რა უნდა?

— ბატონი მამა დაეტოვე უქეიფოდ და რაღაც არ უნდა დამიჯდეს, დღეს დაბინდებამდე ალბანას უნდა გავცდეთ. ამას ვარდა, სხვა საქმეც ჰქონია...

— მერე რატომ აქამდე არაფერი არ თქვა, სულ ნუ მოვიდოდი, ბატონო...

მეთოდეს მეტი აღარ უპასუხნია. ეჭვებით შეპყრობილ დედას, კიდევ ხომ არაფერს აპირებენ დვთის განმარისებელსო, ყური აქეთ ჰქონდა მოპყრობილი და ცდილობდა გაეგო, ასე გაფაციცებით რაზე ჩურჩულებდნენ მამა და ვაჟიშვილი.

თავი ოცდამეთორმეტი

როსტომს ისე ჰქონდა ნაანგარიშევი და თადარიგიც იმნაირი დაიჭირა, რომ საქართველოს ყოველი კუთხიდან, აგრეთვე ქედს გადაღმიდან შემოკრებილი ძვირფასი სტუმრები მთელ კვირას არ გაეშვა და დიდი და მცირე რაქული პურ-მარჩით, დროსტარებით და სხვადასხვა სამხედრო ვარჯიშობით მოეხიბლა. საღმელის ქალაზე, იმ ადგილას, სადაც წესურის უსიერი ტყეებიდან მომავალი გიგმაყი რიცეულა ამბროლაურის დასავლეთით რიონს ერთვის, საგანგებოდ გამართეს მოედანი ცხენჭურთის სათამაშოდ და ისინის სატყორცნად. აქვე მოგროვდებოდნენ

მთელი ზემო და ქვემო რაქის განთქმული ფალავნები და ერთმანეთს ჰიდაობაში გამოიწვევდნენ. ჰიდაობის ასპარეზის მოსაწყობად წინაღღეს ურშეებით მოზიდეს აფარებელი ნახერხი და ორი კალოსოდენა წრე მოამზადეს. გამარჯვებულთა ჭილდოდ ოქროსა და ვერცხლის თასები, მოსევადებული ყანწები, ძვირფასი ჭამარ-ხანჯალი და თოფ-იარაღი გადაიღო. ჰიდაობის შემდეგ დოდი, ფარიკაობა და ტყვიისა და ისრის ნიშანში სროლა გაიმართებოდა. სამხედრო და სხვა ასპარეზობებში, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იწილს

ავით როსტომი და მისი ვაჟებიც დაიდებდნენ...

რაჭის ბატონის სურვილის აღსრულებას ბუნებამაც ხელი შეუწყო. მზინი დარი გამოვიდა და ნამშრალების სახურავებზე ბარაქიანად დადებულმა თოვლმა წვეთა დაიწყო.

სამწუხაროდ, სტუმრებმა გამოიდგეს თავი და გაიწიეს. დადიანის ძე კაციას დაკავება არასგზით არ მოხერხდა. მართალია, ტაძრის კურთხევის დამეს კი გადაათქმევინეს წასვლა და მეფურ სანადიმო სუფრაზე ბატონიშვილ არჩილსა და ერისთავს შორის დასვეს, მაგრამ ინათლა თუ არა, ისევ ატყდა, ისევ მოიღო მიზეზად მამის ავადმყოფობა და მანამ არ დაწყნარდა, ვიდრე სასურველი სტუმრისა და ნათესავის ჰირვეულობით გულმოკლულმა მასპინძელმა განკარგულება არ გასცა საჭინბოდან მეგრელი სტუმრების დაურევბული ცხენები გამოეყვანათ და შეეკაზმათ.

რაკი ბატონი კაცია მიბრძანდება და ჩვენც მასთან ერთად ვართ მოსულიო, ერთსულოვნად წამოიშალნენ ლეჩხუმელები და სვანებიც. როსტომი ბევრს ეცადა და ემუდარა, თქვენ მაინც რალა გეჩქარებათ, ყურის მეზობლები ხართო, მაგრამ შიშით, მათი აქ დარჩენა კაციას არ სწყენოდა, ლეჩხუმელებმაც და სვანებმაც მასპინძელს წრფელი ბოდიში მოუხადეს და გუდა-ნაბადი აიკარეს.

ჩქარობდა არჩილ ბატონიშვილიც. მას კერძს უკრავდნენ მხლებელი დიდებულები: ბოტყევის ციხის ბატონი გიორგი წულუკიძე და მეფის სახლთუხუცესი ლომკაც ჭაფარიძე. თუ ბატონიშვილი წავიდოდა, სამასი რჩეული მხედრისაგან შემდგარი ამაღაც თან უნდა წაეყვანა და კათალიკოსი ბესარიონიც, მეფეს რომ რაივე ეჭვი არ აედო, ნება-უნებლიეთ მას უნდა გაჰყოლოდა. როდისღა ნახავდა თავის ყოვლად სამდგელო ძმას როსტომი სალაპარაკოდ? როდისღა მოახერხებდა ბესარიონისათვის გულის გადამლას?

არჩილის აჩქარება, თუმცა ის ამის მიზეზს არ ასახელებდა, სრულგზობისათვის ადვილად მისასვლელი იყო. სხვის კარზე საწოწილოდ განწირულ დიდ დედოფალ თამარს დღე-დღეზე გაგზავნიდნენ ოდიშს, სადაც მას ოქროს გალიაში ჩასმა და უსინარულო ტყვეობა ელოდა. როგორც გვირგვინოსანმა პირმშო შეიღმა უთხრა, თამარს მსოლოდ საუღდამო განსასვენებელი ერგო სავეარეულო საქვალეში, წუთისოფლის დღენი კი ექსორიაქმნილს უნდა დაეღლია. არჩილი ეჭვობდა, ვაითუ მე და ჩემს შუათანა ძმას, იასეს, სოლომონმა დაპირება გაგვიმტყუნოს და თავისი განაზრახვის შესრულება მანამ ინებოს, სანამ ჩვენ შინ მივბრუნდებოდეთ და დედა ჩვენს უნახავად გაამგზავრონ ოდიშშიო.

ქაბუქს დანა პირს არ უხსნიდა. მთელი ეს მეფური თავგანისცემა და ზარ-ზემი, რითაც ერისთავის კარზე მიიღეს, ყურგახვრეტლი ფარადაც არ უღირდა და სულსა და გულს არ ეკარებოდა. ერთთავად იმაზე ფიქრობდა, თუ რა სიტყვებით მიემართა დედისათვის შეხვედრისა და განშორების ეამს, როგორ მოქცეულიყო ისე, რომ არც მშობლის გული მოეკლა და არც საყუთარი მრწამსისათვის ეღალატა. არჩილს ჩინებულად ესმოდა, რომ დედას უპატიებელი დანაშაული მიუძღოდა სოლომონის წინაშე და ეს დანაშაული დედა-შვილური ურთიერთობის ფარგლებს შორის სცილდებოდა. დედა ნამდვილად აიყოლია ბაბუა ლევანმა, თავის გავლენაში მოაქცია და ყველაფერი სამეფოში თავისი გავლენის გაზრდისათვის ანაცვალებინა არჩილს ჯერ ბავშვად თვლიდნენ, თუმცა ბავშვი უკვე აღარ იყო. ამა, მას ვინ რას კითხავდა, მაგრამ რომ ეკითხათ, ერთი სიტყვითაც ვერ ვაამტყუნებდა. გვირგვინოსან ძმას, რომელსაც შეთქმულთაგან მიტაცებული ტახტის დასაბრუნებლად ასე დიდი ადამიანური მსხვერპლის გაღება მოუხდა და ამდენი უდანაშაულო სოსხლი დაღვარა. ბაბუას და დედას მხარდაჭე-

რა რომ არა, უფროსი ბატონიშვილები, გიორგი და მამუკა, რასაკვირველია, ხელსაც ვერ გაანძრევდნენ სოლომონის წინააღმდეგ და დღეს, ვინ უწყის, არც თუშა ჰაჯი-ამბაღი ჰყოლებოდათ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული და აღარც ქვეყანა ყოფილიყო ეგზომ წელში გატეხილი.

მაგრამ დედა დედა იყო. დედის სიყვარულს, მისდამი შვილობრივ სწრაფვას არჩილი ნებისყოფის, ყველა სულიერი ძალის უღარესი დაძაბვით უმკლავდებოდა და ვაჟაკისათვის დასაძრახავი ყმაწვილური სისუსტე და გულჩვილობა რომ არ გამოეჩინა, ცდილობდა, ერთი ნაბიჯითაც არ მოშორებოდა საქვეყნო ზრუნვით შეპყრობილ ძმეს, მონატრებული დედისაგან თავი შორს დაეჭირა და ამ პიროვნულ უბედურებაზე, ძმებთან ერთად მასაც რომ დაატყდა და სიყრმე მოუწამლა, რაც შეიძლება ნაკლებ ეფიქრა.

ყოვლად სამღვდლო ბესარიონის რჩევით, მასპინძელმა ძველი მოსისხლე გიორგი წულუკიძე გვერდზე გაიხმო და მდაბლად შეეხვეწა, თუ ჩემი მომავალი თანამდგომობა და მოყვრობა რაიმედ მიგაჩნია, დიდებული მეფის ძმა ბატონიშვილი არჩილი ერთი ორი დღე კიდევ მასტუმრო.

როსტომმა იცოდა: უკეთეს წულუკიძე გულით მოიწადინებდა, მის სიტყვას არჩილი ვერსად წაუვიდოდა და ამაში არც მოტყუებულა. ახალგაზრდა ბატონიშვილმა ერთი ორი კი არა, მთელი სამი დღით გადასდო შინ გამგზავრება და ასპარეზობებზე დასწრების სურვილიც კი გამოთქვა. ლომკაცმა და გიორგიმ ერთმანეთს შეხედეს და მხრები აიჩჩინეს, მაგრამ ერისთავის ან მისი ხალხის თანდასწრებით ბატონიშვილის სურვილის წინააღმდეგ რისამე თქმა არ ეგებოდა და მათაც დუმილი და თანხმობა ამჯობინეს.

— აბა, შვილებო, ახლა კი თქვენ იცით! — რაჟის ბატონი დატრიალდა, თვალბეჭეში შემოჩერებულ ვაჟებს მიუბრუნდა და ყველა იმათი ვაცილების

შემდეგ, ვინც წასვლა არ დაიშალა, კერადად შეამოწმა, ყველაფერი მზად იყო თუ არა ხვალისდელი ასპარეზობისათვის. ნაშუადღევს, გადაუდებელი საქმეები როგორც კი მოიცილა, ყოვლად სამღვდლო ძმასთან ერთად ეზოში გაიარ-გამოიარა. ბესარიონს ახალი ნამშრალები და შარშან გახაფხულზე გახარებული ნამყენები აჩვენა.

როსტომი მაღლიანი ხელის პატრონი იყო. არ შეიძლებოდა, მის ნახელავ ნამყენს ხმობა შეპარვოდა. მყნობა თავის დროზე მამისაგან, შოშიტა რაჟის ერისთავისაგან, შეისწავლა, იმას კი, შოშიტას, ეს კეთილშობილური ხელობა მამისა და პაპისაგან მიეღო. საიდან და რა გიშის ხეხილის კვირტები არ მოჰქონდათ წესში როსტომისათვის და, თუ სადმე ლაშქრობაში არ მიეჩქარებოდა, ისიც ხალისიანად ხმარობდა სანამყენე დანას და ყოველ გახაფხულზე ასობით ძირ ვაშლს, მსხალს, ბალსა და ზღმარტლს ანამყენებდა. ამ საქმისადმი გულგრილი არც უწმიდესი კათალიკოსი იყო. მასაც გუშინდელ დღესავით ახსოვდა ომებში გაქაღარავებული მოხუცებული მამის გატაცება ხეხილის მყნობით და სიყმაწვილეში, ვიდრე ბერად აღიკვეცებოდა და შემღვგავ, მოცალეობის ეამს საყვარელ საქმეს თავადაც მნიშვნელოვან დროს ანდომებდა.

როსტომი რამდენიმე ძირთან შეჩერდა, ნორჩი ტოტები ფრთხილად შეარბია და თოვლი ჩამოყარა, თან მალულად სასახლისაკენ გაიხედა, თვალს ხომ არავინ გვადევნებსო. ნაფარგები ნამყენები სათუთად შეეფუთა მზრუნველ ხელს. გასანთლული ჩვარი, რითაც ჭრილობა შეეკრათ. აქა-იქ გამსკდარი იყო და შიგნიდან შეხორცებული ნაქდევის ჯერ კიდევ ნაზი, ქერქმოუდებელი წიბოები მოჩანდა.

კათალიკოსი დინჯად და აუჩქარებელივ ათვლიერებდა ნამყენებს. იცოდა, ამ სიცივეში ძმამ რისთვისაც გამოიყვანა და საუბრის სადავის მას უთმობდა. როსტომს უქირდა დაწყება. დრო უაღ-

რესად შეზღუდული იყო. თუ უმთავრესი სათქმელის გამელაგნებას ახლავე, ამ ბუნებრივ ვითარებაში ვერ მოასწრებდა, სასახლეში კედლებსაც ყურები ჰქონდათ გამობმული და კათალიკოსთან განმარტოების საშუალება იქნებ აღარც კი მისცემოდა. ერთხელ კიდევ მოატარა თვალი ხეხილნარს, დარწმუნდა, რომ ყურს არაეინ უგდებდათ და ყოველგვარი შესავლის გარეშე, რამდენიმე სიტყვით ძმას ქართლის მეფე თეიმურაზისაგან მიღებული საიდუმლო წიგნის შინაარსი გააცნო.

ბესარიონი შეიკრუნა, მაგრამ ის, რაც როსტომმა უამბო, არ გაკვირვებია. აცალა, კიდევ რას იტყვისო. ერისთავმა წიგნის ის ადგილი გაიხსენა, სადაც მეფე თეიმურაზი განმდგარი კახაბერ ლიპარიტისძის დასჯას ივონებდა და მწარედ გაიღიმა.

— ვშიშობ, ძმაო, რომ ღვთივ კურთხეული თეიმურაზის პირით სიმართლე დაადებს, — დაარღვია სიჩუმე ბესარიონმა, ჩაახველა, ხმა ჩიწმინდა და წამით შეუოვნდა, დაფიქრდა, ვთქვა ბოლომდე ჩემი სათქმელი თუ არა ვთქვაო. — გაფრთხილება გემართებს. გლახა დროა. თუ ჰკუთ არ მოვიქეცით და საქმე ბრძნულად არ განვაგვთ, შეიძლება თავი წავავოთ შენც და მეც. თავს ვინ ჩივის... ერი სოლომონის მხარეზეა. მეფის ძვირს ვერავის გაავონებ. ტყვის სყიდვის აკრძალვით ყველას გული ერთბაშად მოიგო და ზურგი გაიმაგრა. შენ გახსოვს, როსტომ, მეც ბევრი ვინმე შევაჩვენე და ხატს გადავეცი, ეკლესიისგანაც მოვეკეთე, ვინც ტყვეს ჰყიდდა, მაგრამ სხვას ვის მოვერეოდი, თუკი ღვიძლი ძმა და ძმისწულებიც ვერ დავანამუსე...

— ყმა ჩემია! — შეაწყვეტინა როსტომმა და მის თვალეში მრისხანების გოროზმა ცეცხლმა გაიელვა. — ჩემს ყმას გინდ მოვკლავ და გინდ დავარჩენ!

— ღმერთს ნუ სცოდავ, ძმაო, — წყნარად შეჰბედა კათალიკოსმა და გათოწილი თითები ყელზე დაკიდებული

ჯვრის ძეწკვს შეახო. — ყველა ღვთის შვილი ვართ, ყმაც და ბატონიც.

— ახლა ეგ მაკლია, ჩემი ტილიანი ყმები გამიტოლე! ვატყობ, ქვეყნის დაქვევა გადაგიწყვეტიათ შენ და მეფე სოლომონს, გინდათ, რიონი შემოაბარუნოთ და პირი აღმა უქნათ. აგრე გეთქვა, შე კაცო, ქვე რაღას მაწვალბიდი და თავს მიქონავდი!

— ნუ გავიწყდება, როსტომ, რომ მე სტუმარი ვარ და შენ მასპინძელი, აქ შენი კეთილდღეობისთვის და ჩემი დედამამიშვილური ვალის მოსახდელად მოვსულვარ. დღეს სხვაგვარ არის საქმე. ვინც მეფის სიტყვას გადავა, ვფიცავ ამ ჯვარს და ბრავალზლის წმიდა გიორგის, მისი რისხვა არ ასცდება. დიდი და პატარა გაფაციკებულია. თუ სოლომონის ორგულობა ან მცირედი უქმაყოფილება ვისმე შეამჩნიეს, მაცხოვრის მადლმა, არავის დაზოგავენ. ვიცი მე ეს და არ გითხრა? ბოჯანო ხალხი ქვას ქვაზე დაადულებს. მარტო ვავე იმერეთში, არგვეთსა და ოკრიბაში კი არა, ყველგან, აქაც, შენს საბატონო რაჭაში, სოლომონს ბევრი მომხრე და ერთგული ყავს. შენ ნუ მომიკვდები...

— ეგ მეც კარგად ვიცი! — ისევ შეაწყვეტინა ყოვლად სამღვდლო ძმას ერისთავმა. — ყრუ არა ვარ, თვალი მეც მიჭრის. ყველაფერს ვხედავ და ყველაფერი მესმის. მე რომ იმის ჯავრი არ მისივებდეს ვულს, ადრე თუ გვიან მეფე ბარაკონზე მომიხტება და შვილიან-ძირიანა ამიკლებს, ჯანი გავარდნიო, დაფლუნავ თავს და მეც... არავინ მომასვენებს! აქაურობას, მალალ ღმერთს ვფიცავ, ცოცხალი თავით ვერ შეველევი. იქით ხომ არავის ვუხტები, ბატონო. რაჭა ჩემია! მე აქ მეფეც ვარ და... ხომ ამოგიკითხავს: „ვის უპყრავ ციხე მინდა, იგი არს მპყრობელი რაჭისა“?

ეს რომ თქვა, ერისთავმა სქელი, ჭადარა წარბები აზიდა და წიწიბოიანი მთის წვერზე ორბის ბუდესავით გადმომდგარ ხონხისფერ ციხეს აშხედა. კათალიკოსმაც იმ მხარეს გაიხედა, თით-



ქოს სურდა დარწმუნებულიყო, მომხედური მტრის თავზარდამცემი ციხე მართლა იქ იდგა თუ არა და სიტყვა ჩამოართვა:

— დროს ნუ ვკარგავთ, ძმაო. შენს გაჭირვებას მამაზეციერმა ნუ შემასწროს. რა ბევრი ჩვენ ვართ, ბოშო, დედამამისშვილებს რა გაგვაჩნია ერთმანეთის ფასი! დამშვიდდი და ყური დამიგდე. უხეიროს არაფერს გირჩევ. მეფე სოლომონს ერმა და ბერმა ერთგულება შევფიცეთ. მე ეს ფიცი ერთბელ კიდევ უნდა მოგაგონო...

— ჯერ თავად გვიბოძოს ხელშეუხებლობის ფირმანი! მშიერ მგელს მე ვერ ვენდობი და ტყეში ვერ შევყვები, ბესარიონ, გინდა გეწყინოს და გინდა არა. ძმა ხარ ჩემი, სისხლი და ხორცი და რა უნდა დაგიძალო. სოლომონი, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა, მგელზე უარესია. რომ ვაწყრეს ღმერთი, მომიხტეს და ამიკლოს? — როსტომმა კვლავ თავისი დაეკვება გაიმეორა.

— არ მოგიხტება, არ აგიკლებს.
 — საბუთი!
 — საბუთი ის ვახლავს, რომ... — კათალიკოსი შეყოყმანდა, ნამყენი მსხლის დაღვლარქნილ საძირეს ხმელი ქერქი შეატეხა. თითებს შუა მოსრისა და უკვლევ თოვლში ფეხი მოინაცვლა. — სოლომონს უქირს, არა აქვს ახლა შენთან ხელახალი წაკიდების დრო. პირიქით, შინაური მშვიდობა ახლა ისე ძალიან სჭირდება, როგორც არასოდეს. ერთი შეიარაღებული მხედარი მის წონა ოქროდ უღირს. ძველი სიგელები განაახლა, ერისთავად და ლიხთიმურეთის სარდლად ისევ დაგადგინა. ასე მოწყალედა და პატივით არავის მოქცევია. შენს ვაყიშვილს, მეთოდეს, დიამბეგობას პირდება. ერთი ცხვრისკენ და ერთიც მგლისკენო. ხომ გაგიგონია. რაც სიყეთე გვიქნა, იმას ნუ დაგუყარავთ, ხალხს ნუ ვათქმევინებთ, უმადურები და პირშავები არიანო, ქვეყანას მტრად ნუ მოვიკიდებთ. ეს ნაბიჯი იქნებ გაჭირვებამ გადაადგმევინა,

ასეც არის, რა გგონია შენ, მამაჩემო! ხომ გადადგა და დღესდღეობით წყალობით და სიყვარულით ვავსებს. მოვიძიკოთ ჯერ ეს, ვნახოთ, ხვალ საქმე რაგვარ შეტრიალდება...

როსტომი მწარედ ჩაფიქრდა. ბრძენი ძმის თათბირი თანდათან კვლავი უჯდებოდა. ბესარიონმა თითქოს ყველა იმ საქირბოროტო კითხვას გასცა პასუხი, რომლებიც როსტომს გულში უტრიალებდა და აქამდე ხმამაღლა ვერ გამოეთქვა.

— რას მირჩევ მაინც?
 — მადლობის და მორჩილების წიგნი აახლე მეთოდეს და იაგორას ხელით. ძღვენი მიართვი და ჯარის მიშველებას დაპირდი. გამოხატულდება და ნაქერალაზე გზა გავა თუ არა, პირადადაც გეახლებითქო, შეუთვალე.

— ბიჭუნებს რომ რამე შეამთხვიოს, ბესარიონ, რალა ვქნა მერე!

— შენგან არ მიკვირს, როსტომ?
 „მადლობისა და მორჩილების წიგნი“, როგორც მისმა უწმიდესობამ კათალიკოსმა ბესარიონმა ძმასთან საუბარში უწოდა, იმავე ღამეს შეადგინეს. ბესარიონმა თავად გადაიკითხა კარის დეკანოზ ლუკა იაშვილის ხელით დაწერილი წიგნი და რამდენიმე ადგილას შეასწორა. წიგნი ხელახლა გადასაწერი გახდა. ბესარიონი ყოყმანმა შეიპყრო: დაეტოვებინათ თუ არა როსტომის აშკარად გამოშვებვი ხელრთვა „ღვთით რაჟის ერისთავს ომით ხმალი მიქვს“? დიდი ფიქრისა და ჭოჭმანის, ათასი „ჰო“ და „არას“ გადაწონვის შემდეგ ძმებმა გადაწყვიტეს. ბექდის ეს ძველი წარწერა, ჯერ შოშიტა რაჟის ერისთავი, ხოლო ბოლო ხანს ქე მისი როსტომი ალექსანდრე მეფის ზეობაში რომ ხმარობდნენ, ახლით შეეცვალათ და მორჩილებისა და მადლიერების მიუწყებელი წიგნისათვის ნაკლებ გამოღიზიანებელი და თანაც ღირსებით აღსავსე ხელრთვა დაერთოთ: „ლიხთიმურეთის სარდალი, მპყრობელი რაჟისა“...
 სოლომონს, შესაძლოა, არც მპყრობელი მოსწონებოდა. „მპყრობელი“ ის

სიტყვა არ იყო, რომელსაც ის თავისი ქვეშევრდომების, თავისი დარბაზის წევრების ასამაღლებლად გაიმეტებდა, ვინაიდან უკლებლივ ყველა ტახტის სამსახურში მყოფ უაზრო კარისკაცებად მიაჩნდა, მაგრამ ძმასთან მოთათბირების შემდეგ კათალიკოსმა მანც გაბედა ეს სიტყვა ეხმარა.

ამას, რაღა თქმა უნდა, ღრმა საფუძველი ჰქონდა: ვერც ერისთავი, ვერც გურიელი და ვერც დადიანი, თვით აბაშიძეც კი, ასე ადვილად ვერ დასთმობდნენ ხმლით მოპოებულ სამემკვიდრეო სახელოს. ას წელიწადზე მეტი იყო, რაც ერთიც, მეორეც, მესამეც და მეოთხეც თავ-თავიანთი ყმა-მამულის შეუვალ მპყრობელებად ითვლებოდნენ, ქვეყნის ბატონის წინაშე ქედს არ იღრეკდნენ და, როსტომის თქმისა არ იყოს, თავიანთ სამემკვიდრეო მხარეში მეფის სწორი პატრიოტ სარგებლობდნენ. რა დროც არ უნდა დასდგომოდა, როგორც არ უნდა მომძლავრებულიყო, სოლომონს ძვირად დაუჭდებოდა ძველი ადათ-წესის მოშლა და უფრო აღრინდელი, თვით დავით აღმაშენებლის მიერ დადგინებული და ჟამთა სიავის კვალად ივაგარქმნილი უფროს-უმცროსობის ხელახლა შემოღება.

როსტომი უზომოდ მაღლიერი იყო ძმისა. სიბრძნე და შორსმჭკვრეტელობა არც თავად აკლდა, მაგრამ ერთის ჭკუას ორის ჭკუა ყოველთვის ჯობს და ბესარიონის ყველა გონივრული რჩევა გულში სასოებით აღიბეჭდა.

ინათლა თუ არა, როგორც წინასწარვე დათქმული ჰქონდათ, ახალგაზრდებმა ბატონიშვილი არჩილი გააღვიძეს, სახელდახელოდ შენაყრდნენ, ცხენებზე შესხდნენ, წინ სიხარულისაგან აწკაწკავებული მწვეარ-მეტებრები გაიძლოდეს და ლიხეთის მთაში სანადიროდ წავიდნენ.

არჩილი გაბაღისდა. მთის ჯანსაღმა პაერმა დილაადრიან ძალისძალიად გადაკრულმა ქაქის არაყმა, კლდოვან-ქარაფოვანი გარემოს მკაცრმა სილამაზემ,

მწვეარ-მეტებრების ყველაწკაწკავებადა მუხლის გამართვას დანატრებული ცხენების ლაღმა ნაეარღმა მოღუნებული გულგვმიდან თითქოს რული გამოჰყარა და ის ერთბაშად გამოაფხიზლა.

ხეობა ვიწრო იყო. საღდაც, ქვემოთ, თავდაღმა ჩაყუდებულ სალი კლდეების ძირას, თოვლით დაფარულ ვეება ლოდებს შორის, საკვირვლად დაპატარავებული ლუხუნი მოედინებოდა. გზა თანდათან ძნელი სავალი გახდა. ცხენებს ღეხას მოკიდება უჭირდათ მონადირეები დაწლოკებული მიდიოდნენ.

ბატონიშვილი არჩილი, თუმცა ასაკით ყველაზე უმცროსი იყო და არც უებრო ცხენოსნობით გამოირჩეოდა, ტოლს არავის უგდებდა.

უზღვავ თოვლსა და ნამქერში აბავის რა უნდა ენადირა, მით უფრო მიუღდგომელ ლიხეთის მთაში, საღაც ორჯერ და სამჯერ უფრო ღრმა თოვლი იდო, მაგრამ ახალგაზრდებს ეს არაშინებდათ და წინ ჰბატუყური გზებით გულგახურებული მიიწვედნენ. ბატონიშვილი არჩილი სხვებზე მეტად ფაცხობდა და ზეაგებით ჩაბრაშელ უფსკრულების თავზე ცხენს უშორად მიავლევენდა.

ნადირობა თუ ხეობაში ცხენებით გასეირნება, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, რის მოწმე და მონაწილეც წესში მოწვეული სტუმრები გაბდნენ, წინასწარ გამიზნული და გაანგარიშებული იყო. ერისთავიშვილებმა იგი თვით ბატონი მამის რჩევითა და დარბაზის მიხედვით გამართეს. გულუბრყვილო და მიმნდობი ხასიათის მკორეწლოვანი არჩილი იმდენად უნდა დაახლოებოდა და დამწყაიებოდა ერისთავის ძეთ, რომ მათ შორის ბატონ-ყმობის ყოველგვარი ზღვარი წაშლილიყო, ამას კი ისე ვერაფერი შეუწყობდა ხელს, როგორც ტყე-ღრეში გვერდი-გვერდ ნადირობა და სამხედრო ვარჯიშობანი, საღაც სახელსა და დიდებას მარტო ის მოიპოვებს, ვისაც სხვაზე მეტად უჭირს მუხლი და ხმა-

ლი, ანდა ის, ვის გამარჯვებასაც სხვები მოიწადინებენ...

ერისთვის იმედი არ ვასტრუებია. ნადირობიდან ბატონიშვილი სულ ერთიანად გამოცვლილი დაბრუნდა. სადღა იყო მისი უკუნებობა და ყველასათვის ადვილად შესამჩნევი სულწასულობა! აღარ იცოდა, თავისი კმაყოფილება და აღტაცება რით გამოეხატა. იაგორას, გიორგის, მეთოდეს, მეტადრე თავის კბილა დიმიტრის, თვალეში შესციცინებდა. ერისთვიშვილები ზეიმობდნენ, რაკი ღმერთმა ხელი მოუშართათ და მამის დავალება ასე პირნათლად შესრულეს.

მომდევნო დღიას, ბრწყინვალე ამალით გარემოსილი არჩილი რომ სადმელის ქალაზე გავიდა და რაქველი ფალავნების ჭიდაობას უყურა, სანახაობით მოზიბლულმა და აღგზნებულმა საჭიდაო ჩოხა მოითხოვა და წრეში შესვლა დააპირა. ამაზე კი თავახიანი უარი ჰკადრეს. გვარიშვილობითა და ოქახიშვილობით მისი შესაფერი ფალავანი აქ მართლაც არავინ იყო. იმერთა მეფის ღვიძლი მმა უბრალო ყმა-გლეხის ბიქს ზომ არ დაეჭიდებოდა! სამაგიეროდ, დოლსა და ისინდში მონაწილეობით იქერა გული. მასპინძლებმა იმდენი ჰქნეს, იმდენი მოახერხეს, ისინდის ტყორცნაში გამარჯვებისა და საუკეთესო ცხენოსნობისათვის ძვირფასი ოქროს თასი და თვალმარგალიტით მოქარგული უნაგირი, რომელიც ისარივით შემართულ ტანმორჩილ კავშა ცხენს ედგა, სწორედ მას არგუნეს. არჩილი ცას ეწია სიხარულისაგან. ხუმრობა როდი იყო, ამდენი სანაქებო მხედარი და მოისარი დაქაბნა! როსტომ ერისთავს, როგორც უსაყვარლეს მამას, გადაეხვია და გულში ჩაეკრა. აქვე მოიწადინეს, არჩილს ერისთავის ბაღში, ერისთვიშვილ გიორგის მცირეწლოვანი ასული მაკა დაეწინა და რაჭის ერისთავთა სახლი თავისი მომავალი სიძობით გაუბედნიერებინა. არჩილს ისე გულწრფელად მოსწონდა ყველა და ყველმფერი, რასაც ირგვლივ ხედავდა,

რომ მზად იყო სტუმართმშობლად პინძლის ეს სურვილი საკუთარ სურვილად გაეხადა, მაგრამ უეცრად გიორგი წულუკიძის საყვედურით აღვისლ თვალეშს წააწყდა და სირცხვილის ოფლი მოეძალა, მიხვდა, მეტისმეტი მოუვიდა, გვირგვინოსანი ძმის ნებართვის გარეშე მას, ბატონიშვილს, ასე შორს წასვლის უფლება არ ჰქონდა.

მდგომარეობა ხელახლა დაიძაბა. ზოტევის ციხის ბატონი ისევ გამოდიოდა მეფისა და რაჭის ერისთავის მშვიდობიანი დაახლოების გზაზე და არამცთუ ხელს უწყობდა ამ დაახლოებას, მათ შორის გადაულახავ სამანსაც ასობდა.

არჩილი აიღეწა. ყმაწვილის გულში წუთით თავმოყვარეობამ, სიკერპემ, საკუთარი აღამიანური ღირსების შეგნებამ გაიღვიძა. ბოლოსდაბოლოს, მმა იყო მეფისა, მონა ზომ არა! როდემდე შეიძლებოდა სხვის ჭკუაზე და სხვის ნება-სურვილზე სიარული! მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი სისუსტის გამომჟღავნება აღმოჩნდა. არჩილს ცხადლივ მოაგონდა ძმებთან დადებული პირობა, ერთმანეთს წინასწარი შეთანხმების გარეშე ქვას ქვაზე ნუ დავდებთო და რამდენადაც ასაკი და საზოგადოებაში თავის დაჭერის გამოცდილება საშუალებას აძლევდა. შეეცადა, მასპინძლების ვითომდა უცაბედი წინადადება მიკობულ-მოკობულ ზომრობაში ჩაეტარებინა და სიტყვა ბანზე აეგღო.

როსტომს ეყო სიღარბისლე და თავისი გულისწყრომა გიორგი წულუკიძის მოურიდებელი საქციელით, რასაც, რალა თქმა უნდა, მეფის სახლთუხუცესი ლომკაც ჭაფარიძეც იზიარებდა, არავისათვის უგარძობინებია. გარეგნულად ცვლილება არაფერი მომხდარა, ისე კი ყველა დამსწრე გრძნობდა, რომ ერისთავისა და მეფის უპირველესი კარისკაცების სიტყვით გამოთუქმელმა ჭიდილმა ბევრი რამ ნათელი და საცნაური გახადა: მეფე, მართალია, ერისთავის მიმართ მოწყალეობას იჩენდა, მაგ-

რამ ეს ისე არავის უნდა გაეგო, თითქოს ყმასთან და ქვეშევრდომთან თავის გაყადრებას აპირებდა.

ნაშუადღევს კიდევ მოთოვა, ხოლო დღამებისას თოვამ ისე იმატა, ცა მიწას ჩამოემხო. სტუმრები, ვინც ჯერ კიდევ აქ იყო, საგონებელს მიეცა. თუ თოვა დილაღე არ გადაიღებდა, ისედაც დიდ თოვლს იმდენს დაამატებდა, გარეთ ცხვირს ვერავინ გაჰყოფდა და სურდა თუ არა, მასპინძლის ქერქვეშ გამოდარებადღე უნდა დაეცადა. არჩილს ხელახლა მოერია ნაღველი. ნაქრალაზე, ვინ იცის, გზას როდის გაიკვლევდნენ და ამასობაში, სანამ შინ დაბრუნდებოდა, ვაითუ ის ამბავი მომხდარიყო, რაც ასე ძალიან აწინებდა და სასოწარკვეთაში აგდებდა.

ბედად, თოვა მალე ჩაწყნარდა, ცა მოიწმინდა, მთვარე ამოვიდა და საშინელმა თოვმამ მოუქირა. დარბაზში გრძელი სუფრის გარეშემო მსხდომთ ზურგები გაეყინათ. პირმოღებულ შავ ბუხარს ხმელი კუნძები შეუქეთეს. ცეცხლთან ყიზილბაშურად ინით წვერშეღებილი ალი ენგიჩარი ტრიალებდა და ხმელ კუნძებს ადგილს ოსტატურად უნაცვლებდა. ბუხარში ცეცხლი აგუზგუზდა.

დილას გზაზე დადგომა სათუო იყო. ჯერ კაცები უნდა გაეგზავნათ და ამბავი გაეგოთ, როსტომმა და მისმა ვაყებმა ყურები ჩამოყარეს. ბატონიშვილის უეცარ დანაღვლიანებას და გუნების გაფუჭებას ისინი მეფის აღმზრდელ გიორგი წულუკიძეს მიაწერდნენ და გაუშხელელი ბოღმა აზრობდათ.

სტუმრებმა მხოლოდ ნასადილევს შეკრეს ბარგი. წესიდან ისინი იმ ანგარიშით გავიდნენ, რომ ვახშმად ზოტევეში შეჩერებულიყვნენ და ღამეც იქ

გეითიათ. გიორგი წულუკიძემ წინასწარ გასწია თადარიგი და ზოტევეს თავისი ხალხი აფრინა. იქ ათასი კაცის მისაღები პურმარილი, ღამის გასათევი ადგილი და ცხენების საკვები უნდა დაბეჭდროდათ.

ქართლ-კახელი სტუმრები და მათი ამალა, რომლებიც აქ დვალეთის გზით მოვიდნენ, კათალიკოს ბესარიონისა და არჩილ ბატონიშვილის თანმხლებთ შეუერთდნენ და საომრად აღქურვილ მხედართა რიცხვი ერთიორად გაიზარდა. გზა ერისთავის სასახლიდან ვიდრე ზიდიკარამდე, ჯარით გაივსო. ძვირფასი სტუმრების გამომშვიდობების ნიშნად მინდა-ციხის ქონგურზე სამჯერ დასცალეს ზარბაზანი. ახალნაკურთხი ბარაკონის ეკლესიის სამრეკლოზე, როგორც დიდი წირვა-ლოცვის დროს, ზარებს რეკდნენ. წესის შეკებში, რომლებშიაც დიდებული ბატონებისა და ეკლესიის უწმიდესი მამების თანმხლები ჯარი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი გამოეფინა. მრავალქირანხული, ტანი-სამოსჩამოკონილი ხელჯოხიანი ბერიკაცები და თალხებში ვახვეული, სახედამქნარი დედაბრები აკანკალებული ხელათ პირჯვარს იწერდნენ, მღალღმერთს ქვეყნად მშვიდობიანობის ჩამოვლებას ევედრებოდნენ, საულვაშე-აღინდლულ ბიჭებს, დარახტული ცხენებისა და ძვირფასად მოქედილი თოფიარალის შემხედვარეთ, სიხარბისა და აღტაცებისაგან თვალები უელავდათ, ჩითის კაბაში ტანგამოკრული ვასათხოვრად შეღერებული გოგოები კი ერთმანეთს ეფარებოდნენ, კოკობულვაშა მხედრებს ნამალევად ზვერავენენ და ჩუმად ერთმანეთს შესცინოდნენ.

ფილოსოფიანი

შენ —
ოქრო-ვერცხლით,
ანგარიშით,
დახლით,
ამქართ,
მე —
ჩემი ფუნჯით,
საღებავით,
ფერით ჩამქრალით,
— ღმერთის წინაშე შიშვლები ვართ!
ბოლოს ორივეს
დედაშობილას
მიგვიბარებს საღმე საფლავი!..

ნარიყალიდან
ჩანს ღრუბელი ბებერ გალაგნის
და მღვრიე მტკვარში
ირეკლება ლანდი მეჩეთის...
— მყოფნის სამოთხედ
დედას პური,
ყველი ალვანის,
ტიქა ღვინოში
ჩაგდებული დარდის ბეჭედი!..

— ხეირი მოგცეს!
სულთან ერთად ყველაფერს კყიდი,
შუბლზე გაცხია მირონივით
მულამი ჩარჩის!..
— არა მქონია ეპარხოზთა
არასდროს რიდი,
მიტომაც ასე
გალოკილი თითივით დავრჩი!

ოხრად ჩაივლის ყველაფერი,
რასაც დახარბდი,
ბოლოს გახდები
ისევე მიწა,
ისევე ტალახი...
მხოლოდ ამ კედელს
კვლავ შერჩება ჩემი ნახატი,
ალაღი, როგორც წყაროს ტური,
ნამი ბალახის!

მაიდანს,
ისანს,
დეკემბერმა უცვალა ნირი,
დუქნის კარებთან
ისევე დამწვრის შიქასტა ტირის,
ყვირის კედელზე მიხატული
ნახშირით ვირი
და ილოცება შავი ღვინით
მუშტარი დილის...

— დაახხი!
ნაღდი სიყვარულის უნდა დავლიო,
ქვეყანა ცრემლის საუფლოა,
სევედის გზა არი!..
— დაახხი,
მუქთად დაგიხატავ
შემკრთალ ალიონს,
დასტით,
დუღუკით,
თეთრი კრავით,
დილის საართი!..

— დაახსი,
 ამ გზას
 მწუსარებით ბევრი ჩაივლის,
 ხანამ დრო არი,
 ხანამ შემწედ არის უფალი,
 ხანამ მეძახის
 ამხივებულ მთვარის დაირით
 განათებული ორთაჭალა,
 ვარდისუბანი...

დამცხრალა ძველი მუხამბაზი —
 — რა დრო გაეიდა!
 რაც დარჩენილა
 მასაც ალბათ ტილოს გაგატან...
 გაღიმებული მიეტანტალებ
 იქით,
 საითაც,

ეს დალოცვილი მზე თავდება
 ქრება თანდათან...

შენ —
 შენი დაბლით,
 ოქრო-ვერცხლით,
 არღნით,
 ამქარით,
 მე —
 ჩემი დარდით,
 მარტოობით
 გულის საკლავით,
 — ღმერთის წინაშე შიშვლები ვართ,
 ბოლოს იორივეს,
 დედამობილას
 მიგვიბარებს სადმე საფლავი!

• • •

ლერი გამრეკლიძეს

კვირაა,
 ჩქამი წუხანდელ წვიმის
 კამერტონივით კიღია ტოტებს...
 და ალიონი
 ლილისფერ გრიშით
 ურიგებს ქუჩებს იისფერ ბლონდებს...

ფაჩუნი ბინდის,
 განკრთომა ჩრდილის,
 მიძინარე სახლებს სიგრილეს მოდებს.
 და მოლოდინი ბანგივით მივლის
 სანთელი უხმოდ ჩაქრება ოდეს.

ივსება ზეცა
 ღია ალუბლით,
 მიაქვთ ღრუბლები მეწამულ ქარებს,
 და მთელი ღამე ლანდთან საუბრით
 დაღლილი
 უხმოდ გაგაღებ კარებს.

აწყდება მიწის სურნელი სარკმელს
 და შორეული ყივილი მამლის,
 ფერდობებს მჭირვალ საკმეველს აკმევეს
 აყვავებული ხეხილის კვამლი...

გადაუარეს
 თეთრმა მტრედებმა
 სახურავებს და წითელ კრამიტებს,
 და თუ კი რამე შეიმედება,
 ვუმაღლი მხოლოდ მყუდრო ამინდებს...

ეს ერთი თვეა
 უხმოდ ვაწყდები
 კედლებს,
 სურათებს,
 მინებს და ფარდებს...

— დრო გადის, მაგრამ არ შევიწყდება
 რა მწუსარებით ვკოცნიდი ვარდებს...

— ეპ, ჩემო ლერი.
 რამდენი რამე,
 რამდენი რამე დამრჩა სათქმელი!..
 შავი პეპლებით ივსება ღამე...

ფიქრით,
 ლოდინით
 და ქრუნანტელით...

— რას შევალე,
ვის შევალე,
ცხოვრება ჩემი თლილი კიკებიით?..
— შევხარხარებდი ცის დასალიერას,
როცა გარშემო ხტოდნენ კინკები!..

მზე ჩადიოდა
და ერთნაირად
იღიმებოდნენ ნიღბები თეთრი,
აბრიალებდა ცეცხლის ბაირალს
ცა დასაუღეთით მძაფრი და მკვეთრი!

ახლა კი ლანდი
მოსუცი მგოსნის
თანდათანობით მიიწევს ცისკენ...
— მოვიყრი მუხლებს,
სველ ბალახს ვგოცნი
და უდარებელ ქორალებს ვისმენ...

ირვება ახლა ჩემში ყოველი
და ძველი ხმები
აწყდება სმენას,
და როგორც მცხეთას სვეტიცხოველი
სულს ტვიფარივით შემორჩა რწმენა!..

აწ სამუდამო სიმშვიდე ელით
უმშვენიერეს და ნაზ პროფილებს...
გადასისხლული ვარდების ფერი
ბოლომდე მაინც ვერ ვიმყოფინე!..

განათებული
როგორც ხარება,
აპრილი მთებზე დგას და ფოფინებს!..
— კვირაა,
ვაკის ბანოვანებმა
ნოსები წითლად კვლავ გადმოფინეს.

დამძიმებული ზამთრის კორით და
გახუნებული ზაფხანის ალად,
— მატარებლის ხმა ისმის შორიდან,
მატარებლები მოაწყდნენ ქალაქს!..

ღიმილი მაინც
იქნება ღალა

ჩვეულებრივი დღის და ხვალის,
— ო, მერამდენედ მთავაზობს ღალატს
ტუნთან მღიმარე ცბიერი ხალი!

ეს გაზაფხულიც
თავიდან მანჯღრევს
და სული ისევ სიმაღლეს ითხოვს,
ვეცილდები უზმოდ
გაღებულ ფანჯრებს
და ვუბრუნდები ღამეულ სტრიქონს

გარეთ კი ისევ აღმოსავლური
ფერით ღუიან მზეზე ნოსები...
შორს კი ბავშვობის დღესასწაული
მოჩანს კვილით და ამბოხებით!..

ერთად აყვავდა
ვველა ფსალმუნი,
რაც მწუხარებით მქონდა აცრილი...
ატმის აღმურით,
მზის სალამურით,
უახლოვდება თბილისს აპრილი!

— შენ,
ჩვენში აღბათ ვველაზე მართალს,
ბოლომდე გამტანს,
კაცურად წმინდას,
მე უკვე დამდგარს სიბერის კართან
ამ გაზაფხულით გაკურთხო მინდა!..

იმ დღეებს ისევ უზმოდ ვიგონებ,
როს დადიოდა დვინით ცედური,
— აჰა, შენ ჩემი კოჭლი სტრიქონი,
ჩემი მადლობა და საყვედური!

რადგანაც ჩვენი მოდგმა და ჯიში
სიცოცხლეს მაინც
ზვარაკად ითხოვს,
ეს გაუმარჯოს ძვალში და რბილში
გამჯდარ სიყვარულს,
დატნეულ სითბოს!..

ბ ა კ უ რ ი ა ნ ი

 თბილისი
 ზ. ა. ჯ. ჯ.

მე ეს მიდამო მუდამ
 მავსებს უცნაურ თრთოლვით,
 — დღეს შთაგონება უნდა
 გადავითეთრო თოვლით!

მაქვს ხმარაგდებით სავე
 მზისკენ გაწედილი პეშვი
 — მოვა იგრეკა ხვალ-წევ,
 კარვებს დაიდგამს ხევენი!

ჯერ კი მარხილის ზარებს
 ცა იმეორებს ლურჯი,
 — მოხატულია არე
 ახვლედიანის ფუნჯით!

შალე ზავერდი ტყუთა
 გადმოანათებს ველებს,
 აქა-იქ უკვე წვეთავს
 და თავქვე მიდის ლელე.

მიიპარება თოვლზე
 წყლით მოჩხრიალე არხი,
 — უნდა ვესტუმრო ოსებს,
 გამოვებრუეო რახით!

ხაბიზგინით და თაფლით,
 ხანჯლით გაჭრილი ფიჭით,

დავიზგიზებულ ალით,
 დაღველფებელი ფიჭვით...

აიშლანება მდუმარ
 ცისკენ ცისფერი კვამლი,
 და გადაირბენს ჩემად
 თოვლზე ნადირის კვალი...

მთვარის ჭვირვალი ლილა
 გამოახედებს კობტას,
 — დაველოდები დილას
 სადმე, მეტყვევის ქობთან!..

მანათობელი ყოელის
 ცად აღმოსდება ოდეს,
 წვეთი გამდნარი თოვლის
 ააწკრიალებს ტოტებს...

წვიმებიანი ჩადრით
 მოჭირვეულე მარტო,
 — ამ სიხარულის ყადრი
 მხოლოდ შენ იცი მარტო!..

... მზე დაკრიახობს თოვლში
 მამალი ხოხბის ფრთებით...
 — და ჩანს ორთქლმავლის ბოლში
 გადათოვლილი მთები!..

— დღეს უცხო კაცი
 მივამსგავსე საწყალ მამაჩემს!..
 ... ის მიდიოდა მომღიმარი,
 ნელი ნაბიჯით,
 ხელში ეჭირა შოკოლადის
 თეთრი გოლოფი
 აღუბლებით მიმოხატული,
 მზე ადგა ქუჩას...
 მომადგა ცრემლი

და გამახსენდა:
 — აღარ ვყოფილვარ მის საფლავეზე
 მესამე თვეა!
 — მაინც რა არი ჩვენი ცხოვრება!
 რა მონდომებით ვვალელებით
 საკუთარ ტკივილს,
 დრო კი ამღვრეულ მდინარეხავეთ
 მიდის და მიდის,
 საფე ლანდებით და მოვონებით...

ს ა ლ ა მ ო

ვნებიან ბაგით
 მწიფე ნაყოფს კოცნის აგვისტო.
 და ლეღვის ხეებს
 მზე დამცხრალი ედება ხიბლად...
 გაკაყურებ დაისს,
 სრულყოფილი როგორც ავეუსტა
 — და მაღალ ყელზე
 სერდოლიკი ბრიალებს წითლად!..

შემოგბურვია დიადემად
 საღამო მშვიდი,
 თანდათან ქრება
 მოყვითალო ბაღი ჭაღვივით...
 — შემღვრევა სისხლი
 სევდიანი თვალების ბინდით
 და გარდიგარდმო გაფატრული
 ვარ ყივილივით!..

დაგზუჭავ თვალებს: —
 — თავზე გადავამ სანთლებით გვირგვინს,
 მოგკიდებ ხელს და
 მოგატარებ გალობით გელათს...
 ... მზე ჩადის მშვიდად
 და შეწამლულ ვენახებს იქით
 ღარის წისკვილი
 დარჩენია მიდამოს მძევლად...

მისი ყავარი
 მე და შენ რომ თავზე გვეხუროს,
 სარჩენად მინდი გვეყოფოდა
 ერთი ბათმანი!
 — მაგრამ სხვისია, დიოფალო,
 საუბედუროდ,
 ბეჭდებით მძიმე
 შენი ხელი და ხელთათმანი!..

— წყდება ნაყოფი,
 ნიამორის ნუკრით კრთები
 და გინდა უხმოდ ამარიდო
 დარიშხანს მწარეს...
 მსხმოიარ ტოტზე
 მოიკეცა საღამომ ფრთები
 და ჭრიჭინობლის წყნარი სევდა
 მოფინა არეს...

ვითარ მლოცველი
 დგახარ ახლა და გარინდებით
 ყურს უგდებ ტაროსს,
 ფოთლის ფანუნს,
 ძვრას ნიავისას...
 — და ხარ მოსილი
 შეღამების ღურჯი ბინდებით
 ნატიფი, როგორც
 ტყუპის ცალი მარამისა!..

ნაჩქარევი წიკილი

აფხაზეთში დარები
 მარტმა ისევ არია,
 — ზამთართან შედარებით
 გულს რაღაც უხარია!

არი სხვა მისწრაფებით
 ეს საღამო პყრობილი,
 — გადაბმული წარბები
 და ქართული პროფილი!
 B. „მნათობი“, № 8.

შევეჩვიე აქ დარებს
 და აფხაზურ კილოსა...
 — გწერ ამ წერილს ნაჩქარევს
 და გაზაფხულს გილოცავ!..

... სახლი ზღვისკენ დახრილი
 მარტმა თოვლით მიმოსა.
 — და ყვითელი კვამლივით
 დგას ეზოში მიმოზა!..

გადაურა სვეტიცხოველს
 ზაფხულის წვიმამ —
 — შაბიამისფრად ბეუტავს ქვიტიკირი!..
 გვირილებივით ბიბინებენ
 თეთრი სანთლები...
 ამ კათედრალთან
 არა ერთხელ მდენია ცრემლი
 უშენოდ შთენილს...
 მე ვტოვებ ტაძარს
 და მივდივარ იმ გრძნეულ ბაღში,
 სადაც ოდესღაც
 ვყოფილვართ ერთად
 — წავიდა ის დრო,
 აღარ არის ბაღის პატრონიც!
 ნაწვიმარია პატარა ბაღი —
 — კონიდარი,
 ბაღბა,

ზაფხანი...
 ნესტი გაქვითილ სიჩუმეში
 დგანან ხეები,
 დახუნძლული ლოკოკინებით
 დაწიქარები
 ქვის მოვარდისფრო ნაყოფებივით
 ასხია ტოტებს...
 პატარა ბაღი
 საესეა სველით
 და გაეს ანთებულ აქვარიუმს...
 ისევ დაეცა მსხვილი წვეთი
 აკაციის იისფერ მტევანს: —
 — იწყება წვიმა!
 და ამოძრავდნენ ზამბახები
 ფართო ფარფლებით,
 როგორც მთვლემარე ლურჯი თევზები...
 — წვიმს!..

შ ე ნ დ ა ე ი

თუნდება,
 ყვითლად დაშრა შანდალი,
 სველი ვარდივით მიდგმული კედელს,
 — აყრია ხატებს ბზა შარშანდელი
 და მწუხარება
 უთქმელი დღემდე...

გულამოვარდნილ დღეების სრბოლით
 საკუთარ იღბალს
 ბოლომდე ვენდე,
 ოდეს ჭაღების ბრდღვიალა ბროლი
 უსშენდა მოყარტს
 ბახსა და ქენდელს...

აფენდნენ ღამის ამორძალები
 თეთრ მაგნოლიებს
 ლილისფერ გედებს...
 — ვიცი ბევრ რამეს დამაბრალებენ
 ან ახლა,
 ანდა ცოტა ხნის შემდეგ!

მაგრამ იმ მწარე სიმღერის მოტივს
 ოდესმე მაინც
 გაიგებს ვინმე...
 — ბეჭებზე მადევს ლოდინის ლოდი,
 ყოველდღიური ცოდვებით მძიმე!..

ვერ გავეიტანე სული ტაძრიდან,
 ვერ დავთმე სიტყვა
 ფერი და ბგერა,
 და მავანივით მხოლოდ ნაცრიდან
 ვერ გამოვძერწე სიმღერა, ვერა!

შემოაფრინდა ცისკარი სარკმელს
 წყალწყალა თოვლით გალუმპულ ფრთებით,
 ვაგროვებ
 როგორც გატეხილ სარკეს
 დარდს და
 იანვრის სითეთრით ვთვრები.

ჩვეულებრივად მიდის ცხოვრება —
 — თავაზიანად მხედებიან მტრები,
 თვლემს ნებიერად

და იზმორება
ქალაქი თვალთა ელამი ვნებით...

მე კი მარტო ვარ,
ეინელაჟს მარტივით,
მამტერეუს, მცივა და შენ მენატრები!
და ძველ რვეულში
ისევ მარტივად
აგვისტოს სვამენ ოლეანდრები...

შეკრება ფიქრი
შერბეულ ფარდით
და ჩრდილი სარკეს პირისპირ უზის,
ოთახში დადის
მობრლი ლანდი
მძიმე ექვნებით ასხმული კუზით...

ტანით ვეკვრები და ვეტმასნები
მიმქრალი ბუხრის
მიღუულ სითბოს...
ლალით და ლილით თლილი სტანსები
ვიღაცამ კიდევ იმღერა თითქოს.

მობუცი მგოსნის გამოწვდილ ჭიქას
მთელი ცხოვრება
გიჟივით ველი,
მაგრამ ერევა მოღრეცილ ნიღაბს
ღიმილი მწარე და შიმისმგვრელი...

წკრიალებს თუნგი
სინკმით მთვრალი,
გადარეკილი ფარდავით ჭრელით,
— და ახლა როგორც
სიცხიანს წყალი,
მე მინდა შენი
გამხდარი ხელი!

სული თანდათან მიიწევს მაღლა,
დრო კი ტრიალებს
როგორც კორიდა...
— ჭორით მაძლარი თბილისი ახლაც
ჭოგრით ხელში
მიმზერს შორიდან!

— მიშველე რამე!
ჩემს ფიქრს არეულს
სანამ ჭურჭელში გაფენდეს ვინმე,
თორემ ჩემს სხეულს
მთვრალს და მთვარეულს
გადაუაკვივლებ იანვრის ყინვებს!..

... თენდება.
ყვითლად დაშრა შანდალი
სველი ვარდივით მიდგმული კედელს,
აყრია ხატებს ბზა შარშანდელი
და
მწუხარება უთქმელი დღემდე...



— მწუხარება თენდა და მწუხარება
იბრუნა მარტოველ ფარდით... —
ფარდით მარტოველ

მწუხარება თენდა და მწუხარება
იბრუნა მარტოველ ფარდით... —
ფარდით მარტოველ

ნოდარ აღიიზვილი

უიქნი

სურს ფოთლებმა ცა ჩამოწურეს,
წვიმების შემდეგ ისევ დარია.
ეძახის ღვინო ტურიან სურებს,
თეთრი მკლავები — ჭიამაიას.

— არ შეიძლება დღეს ვინმეს ვკუდღე,
ფიქრობ,
მიდიხარ
და გიხარია.

• • •

გავაღებ სარკმელს —
გაზაფხული მიხსნის იარებს,
დაღარულ შუბლზე
დიდთოვლობის ფიფქი შრიალებს.

ვერ გავიგე,
როგორ გავიდა...

ჩემი სიმიდრე
აპრილის ცა იყო თავიდან,
გავიდა წლები,

მიფრინავს ჩიტი,
გაფრენილი დარი გამწვედა...
მშვიდობა ყველას —
დღევანდელ დღეს
ვინც გამახსენდა.

• • •

ჩემსკენ მოდიხარ?
მოდი, ბალახო!..

ცოტა მომწარო,
ცოტა მოტკბილო,
სულს — შენი სული მოუფოფინოს.

იქნებ გულს
რაც სხვამ ვერ ამყოფინა
შენმა ნათელმა ცამ ამყოფინოს...
შენი ფესვების ლუკმა ყოფილა
კმაყოფილიც და უკმაყოფილოც.

ჩემსკენ მოდიხარ?
მოდი, ბალახო...

თვალახვეული
დგას და არიგებს,
დგას და
არიგებს ბედნიერებას.

იგი ჩემსკენ გზას
ვერ გამოიგნებს,

მეც მისკენ
მუდამ ფეხი მერევა...

და დღემდე ასე,
ჩემო თოლიგე,
სხვას ვფერები,
სხვა გეფერება.

ეფინება შარა-შუკებს
ფიფქი, კვლავაც ქარის ქროლვით...
თოვლი ისევ,
მაგრამ უკვე
ჩემი აღურების თოვლი.

ჩქარა, სანამ დრო წასულა,
მიყვირია: სულო, საით,

ჩქარა, სანამ დაცლილ სურას
მოგზვევივარ სუროსავით.

ეფინება შარა-შუკებს
ფიფქი, კვლავაც ქარის ქროლვით...
თოვლი ისევ,
მაგრამ უკვე
ჩემი საფეთქლების თოვლი.



წარმოემ პეტრე
...თბილისი

...მეტივენი რეგ წაქაშ ვარ
...მომიფიქრებ წაღ ანუელით ამმენ
...აუდიოვ ინკლუა შინცქმედ იბენ
...ეოლიფიფიამენ ად ვიუთიფიფაბ



ოტია იოსელიანი

შავი და ცისფერი მღინარა

რომანი

თავი მეოთხე

I

— მა-ამინ ფრო-ონტზე მაინც გა-
ამიშვით! — სველე სამზარეულოსთან
შემოფეთებულ კაპიტან მიცხონაშვილს
გადაუდგა ლეონი.

— აა, თქვენ — ამალღობელი ხართ,
არა?

— დიახ, და-ამეხმარეთ, შალვა...

— შენ ჩემს ბატალიონში რომ არა
ხარ?... — სცადა კაპიტანმა ამ ახირე-
ბულ კაცს გასცლოდა, რომელსაც
ცხელფაფიანი კარდალა ეჭირა.

— აბა, აქ სა-ანამდე ვი-იჭდე?..

— რომელ ბატალიონში ხარ, ამალ-
ღობელო? — ჰკითხა მიცხონაშვილმა
და ფეხის ტერფი ნერვიულად აუთა-
მაშდა, მის ფართო საულვაშეს პატრო-
ნის უნებართვო ღიმილი წამოეპარა.

— ბა-ატალიონს რას და-ავექებ...
ახლა პატრონის ნებართვით გაელიმა
ვრცელ საულვაშეს.

— შენ, ამალღობელო, სამხედრო
წესები არ იცი?

— წე-ესები კი არა, ო-თმია...

— პოდა, ახლაა სიჭირო ყველაზე
მეტად ამის ცოდნა! — კაპიტანმა ჩექ-
მიანი ფეხი თევზის ცარიელ კასრზე
შემოდო და ვერცხლის სათუთუნე ამო-
იღო, ლეონს მიაწოდა.

— ა-არ გე-ეწევი...

— მოსწიე.

— მა-აგი მი-იშველის?..

— მე ფინეთის ომში ვიბრძოდი
ამალღობელო!..

— ლე-ეონი მქვია...

— ჯარში ხარ, ამალღობელო, რა-
ტომ გავიწყდება?..

— მე-ერე სა-ახელმა რა და-აშავა?..

— სახელით, მაშის სახელით და
„ბატონო, შენი ჭირიმეთი“ მერე... ახ-
ლა მაგ ფაფა გაგიცივდება...

— არ და-ავექებ...
კაპიტანს ისევ წამოეპარა „არამკოთ-
ხე“ ღიმილი საულვაშეზე.

— ფინეთის ომში ოთხ დღეს მში-
ერი დავრჩით, მერე გაყინულ ტბის
იქით, ტყის პირას ჩვენები გამოჩნდნენ,
სურსათი მოიტანეს...

— ფი-ინეთის ომზე კი ა-არა, გე-

ერმანიზე ი-ილაპარაკე!

— ამბობდელი, მე ენა კი არ მე-
ქალება!

— ა-არა...

— ჰოდა, რომ გეუბნები, გაიგონე!

— მე აქ ვე-ერ ვა-ფრეხდები...

— ვერ გაჩერდები კი არა, ოთხი
დღის მშვიტებმა ფინელი სნაიპერების
გამოთოვილ ყინულის სარკეზე ვცა-
დეთ ვადასვლა, მაგერ რომ ხელში პე-
რის ნაჭერი გიჭირავს, მაგისთვის...

— მაქ და-აიღუბა ჩვე-ენებური...

— ჩემთან იყო ერთი ქართველი.

— ლა-აცაბიძე...

— ანზორი...

— ია-ასონის...

— ისონის-ძე.

— რას ა-ამბობ?

— კი, კი. სად შეხვდება კაცი
კაცს!.. — ფართო საულვაშე ქვედა
ტუნს ვაღიფარა და კაპიტანს ლაპარა-
კის საღერღელი მოუკეტა.

— ნა-ატეხი პე-ურისათვის?

— არა, ის მაშინ არ დაღუბულა,
მაგრამ სულ ერთი არაა? იარი ჭარისკა-
ცი მოგვიკლეს...

— სულ ა-არ ვცა-ამდი...

— ასეთია ომი... — თავი დაუქნია
მაცხონაშვილმა, — ერთი მეტრძოლი
მასხვს, ასე ქვაბუნა რომ ეჭირა... ეჭი-
რა კი არა, ნაძვის ძირში იჭდა და ფე-
ხებში ქვაბუნა ეღვა. საღაციდან ჰკრეს,
ვაუხვრიტეს შებლი, მაგრამ ეს კი არაა
მთავარი. მთავარია, მკვდარი რომ აიყვა-
ნეს ჭარისკაცებმა, ისე ფრთხილად ას-
წიეს, ქვაბუნა არ ვანძრეულიყო.

— კა-აცი და-იღუბა და ეს ო-ოხ-
რად დასარჩენი... — ლეონმა კარდალა
მიწას დაახეთქა. მაცხონაშვილს ჩექმა-
ზე მოეშეფა თბელი ფაფის წვეთები და
ამან ისევე ის „არამკითხე“ ღიმილი გა-
უჩინა უუღვაშო საულვაშეზე.

— ჩვენზე ნაკლები ბიჭები არც ერ-
თი არ იყვნენ, არც ჩვენზე უგულონი...

— მა-აშინ მა-აგი ო-ოთმი კი არა...

— ომი, ომი... ესაა ომი, ჩემო
ლეონ... აბა, შენ გვონია, მარტო სანჯ-
რების ვათხრა და ხიშტიო ჩხვლეტაა

ომი? ამიტომ ნუ ჩქარობ, საუბრე-
მალე დადგება მაგის დროც...

— რაღა და-ადგება, მთლად გა-ად-
მოქელა...

— რას იზამ, ყველაფერს დრო გვა-
ჩვენებს! — კაპიტანმა პაპროსის ნამ-
წვი გადაავლო და კასრის თავზე გად-
მოხრილ ხის ტოტს წნელი შეატეხა,
ფოთლების ვაცლა დაუწყო.

— ლა-აცაბიძე?

— ლაცაბიძე, მგონი ციხე-სიმაგრის
მისადგომებთან დაიღუბა, მე, სიმათ-
ლე გითხრა, ზუსტად ვერ გეტყვი.

— იქ ა-არ ი-იყავი?..

— იქ ვიყავი... იქვე ვიყავი.

— მე-ერე?..

— მერე... — ისევ წამოეპარა ღიმი-
ლი კაპიტანს, — შენ გვონია, რაკი იქ-
ვე ხარ, რაიმეს ხედავ?

— თვა-აღები?!

— თვა-აღებშიაც იხედები, თით-
ქოს ყურებშიც გესმის, მაგრამ არაფე-
რი არ გესმის და ვერაფერს ხედავ...

— სა-ად და-ასაფლავეთ, გე-ემახ-
სოვრება, მა-მამისს შევატყობინებდი...

— მემასხოვრება რა, კაციო?! —
ისევ ის „არამკითხე“ ღიმილი აპირებ-
და წამოპარვას, და როგორც იყო, შეი-
კავა შალვამ.

— სა-აფლავეი...

— სადაა საფლავეი...

— და-ავაგიწყდა?..

— რაც არ ვიცოდი, რა დამავიწყებ-
და, ან რაც არ ყოფილა, რა დამემახ-
სოვრებია.

— მკვდა-არი უ-უსაფლავეო?!

— აბა, იქ საფლავეები ვჭრათ და
ვითავცემოთ, თუ მტერი რომ შენც
შებლში გიმიზნებს, სად ქვესკნელში
ჩაძვრე, იმაზე უნდა იფიქრო!

— მკვდარი რომ მკვდარია და ვე-
რაფერს უშველი, ეს იცი და ამიტო-
მაა...

— სა-აფლავეი?!

ისევ დააპირა ღიმილმა საულვაშე-
ზე გადაღუნა და ისევ მტერივით მოი-
გერია კაპიტანმა.

— და-ამარხვას არ გა-აცლის?...

— დამარხვას და აღაპის გადახდას არ გაცლის... — გაიმარჯვა ღიმილმა საულვაშეზე და კაპიტანმა წააგო ომი.

— მე და-უბადებელი ბავშვი და-ამელუპა და კი-ინალამ ფეხზე გა-ავხმბი...

— როგორ? — ვერ გაიგო შალვამ.

— რო-ოგორ და ცო-ოლს...

— მუცელი მოეშალა?

ლეონი გაწითლდა.

— ... და ის ვა-აეკაცის და-ამარხვას არ გაცლის... კა-აცი არაა, კაცო?

— კაცი კაცია, მაგრამ ომი ომია. — კასრიდან ფეხი ჩამოიღო და ჩექმის ყელზე წკებლა დაატკაცუნა, — ეს სა-ლაპარაკო არაა, მაგრამ. ჭერ ერთი, მიხვალ და თვითონაც ნახავ, მეორეც, ომი ასე ლექსად დაწერილი წიგნი ნუ გგონია... მე ვფიქრობ, ჭარისკაცმა წინ-დაწინ უნდა იცოდეს, რომ ფრონტზე ფლავს არ არიგებენ.

— მე-ერე არ შე-ეიძლება?

— შენ რა, ისევე წასვლას იძახი?

— აბა, იოლი თუ ა-აარ არის, უ-უჩ-ვენობა ხომ უფრო გა-აძნელებდა...

— იქნებ შენც მართალი ხარ, მაგ-რამ ცოდნა...

— ახლა, ფა-აფიანი კა-არდალის გულისთვის...

— მკვდრის აყვანას და კარდალის ხელუხლებლად დატოვებას იქ ისწავ-ლი.

— ვე-ერ ვი-ისწავლი...

— ის ომი, ამ ომთან მონაგონია. იქ იქნებ უარესიც ვისწავლოთ, კვირას ჩვენსკენ გამოიარე, — კაპიტანმა აშუ-რმები გაისწორა და ჩექმაზე წკებლის ტკაცუნით წავიდა.

— კვი-ირამდე კიდეც აქ უ-უნდა...

— ვინ იცის, შეიძლება დავრჩეთ...

— ა-არა, მე წა-ავალ...

კაპიტანს უკან აღარ მოუხედავს. მის ფართო საულვაშეს ისევე ის ბევ-რის მცოდნე კაცის ღიმილი ახლდა, რო-მელმაც ისიც იცის, რომ ასეთ დროს არ იციან.

ხმელ ნარზე თავდაღმა დამხობილ, იდაყვებზე დაყრდნობილ ბაკურს შუა-ზე გაშლილი საერთო რვეული ედო და გულგეთელ ყაფლან გასვიანს წერილს სწერდა.

მოკითხვისა და კეთილი სურვილე-ბის შემდეგ შავ ცხენზე უნდა ელაპარა-კა, ელაპარაკა ბევრი, დაუსრულებლად ბევრი, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მი-დგა, სათქმელი არაფერი ჰქონდა. კარ-გად რომ მოეწყვენ და ცხენი რომ მასთან არის, ამის თაობაზე მაშინვე აცნობა, როგორც კი აქ დაბანაკდნენ, მაგრამ მას მერე დაწერილებით რაიმეს მიწერა გაუჭირდა, მან ხომ არაფერი იცოდა ცხენის ხასიათზე და ჩვევებზე, მით უმეტეს ყაფლანის ცხენზე, რომე-ლიც იმ დღეს ღობის შიგნით დაინახა და სულ ევ იყო...

ეს ბესოიაც რომ აღარსად ჩანს...

მაგრამ ბესოს თუ ცხენისა რაიმე გაგება, ეს თავისთვის იცის, იცის მის ზელში გაზრდილი პირუტყვის თვისება, თორემ რომ ჰკითხოთ, იქნებ ვერც გი-თხრას, სად დაიოჩნებს (თუ საერთოდ ოჩნობს), ან როდის წაართმევს თავს, რას უფრთხის და რა აყენებს კარგ გუ-ნებაზე... ბაკურს ისიც ვერ დაუჯერე-ბია, ცხენი რომ არასოდეს არ წვება, თუმცა ათასჯერ გუგონია ეს, და არც დაწოლილი უნახავს. ბესოს ცხენს შაქ-რისთვის თვლიც არ მოუკრავს და არც საგანგებოდ შერჩეული თივისა და ბა-ლახის გემო იცის, მთელი ზამთარი გა-შვებული იყო ტყე-ველად და როცა სახედრად დასჭირდებოდათ, მაშინ თუ მოძებნიდნენ.

ბესომ პაპიროსი შემოაბოლა, ბაკუ-რის წინ ცარიელ ნარზე ჩამოჯდა.

— იშოვე? — ჰკითხა ქალაღზე თავდახრილმა ბაკურმა.

— ვიშოვე, არ მოსწევ?

— მომეცი, სადა ხარ მთელი დღე?

— კვირია, ეს უბატრონო... — გაა-ლაწუნა ბესომ მავარი კბილები.

— კვირია, კვირა რომაა, „ის კაცი“

ისვენებს და გართობა თუ უნდა, დღეს უნდა...

— ვინაა „ეს კაცი“, რომ გააწყალე გული და მეც ჰკუთამირიე. ეს ნასწაველი ხალხი... ქართველ მეთაურს შევხვდი, მაცხოვნაშვილი ყოფილა. ორი სიტყვა ვუთხარით ქრთმანეთს. ვილაცხა ქართველია კიდევ აქ, საღამოს გამოიარეო, იქნებ ისიც მოვიდესო...

— ვილაცხა ქართველი მეთაური ვერ გიშველის, ბესოია, გყავს შენ შენი მეთაურები.

— ასმეთაურს ხომ არ ჩამოუვლია...

— კბილებში გამოცრა კინწურაშვილმა და თვალთ ცოცხსა და ფსკერდაცხავებულ სათლს დაუწყო ძებნა.

— კარცერში ხარ გამწყესებული.

— სემიჩასტნი არ ახლდა?

— რა ექნა სემიჩასტნის, რომ ახლდა, სიმართლე არ ეთქვა?

— რომ ეთქვა, მაინც არ დამზოგავდა. — ბესომ პაპიროსი გადადექა და გადააფურთხა.

— „რას გავს აქაურობაო“, გადაიროა კლიმოვი, აქ ჭარისკაცები ცხოვრობენ, თუ ღორების ფერმააო.

— ძაღლი და ღორი მიაკვდა მამამისს სულში! — ამოიგმინა კინწურაშვილმა და ყაზარმის კუთხისაკენ ღონიერი ფეხები დაბრუნებულელებით წაათრია.

— დამავალონ — საყენ შეშას დავაპობ, წისქვილს დავაბრუნებ. ამ ხვეტა-წმენდას რა მოვუხერხო...

— სამაგიეროდ, შეშა მე და გორბატოვმა დავაპეთ და ქვაბები დავხეხეთ.

— რომელი გორბატოვი, მესამე ოცეულში რომ მთვარის ჩრდილივით დალასლასებს?... — მოიხედა ბესომ.

— ის, ყოველ მეორე დღეს რომ აციებს... — თავი დაუქნია ბაქურმა, — აი, აქაა სერიო. აბა, შენ რომ მორებს ჩეხლდ და გორბატოვი თეთრი ჩერით მინებს წმენდდეს, ან მე კედლის გაზეთს ვაფორმებდე, იმდენი შეუსაბამობა არ იქნებოდა და მოსიერესათვის არც გართობად ეღირებოდა...

ბესომ ცოცხი და ჯვალის ნაგლეჯი გამოათრია.

— ეს ცოცხი ცოცხია და ამ ძონძს რაღა ვუყო? შენც იცი, ჩვენს სახლს სოხანე ჰქონდა, — კბილების კრაჭუნით შეუდგა ხვეტა-წმენდას კინწურაშვილი, — რაღაცა ორი სიტყვა დაველაპარაკე იმ კაცს და წამამწარეს, — დაკოდლი დათვივით აღრინდა, — ფინეთის ომში ყოფილა...

— ვინ?

— ის, მაცხოვნაშვილი.

— მერე რა მინდაო...

— დედა შვილს არ აიყვანდაო, ისეთი უბედურება უნახავს.

— ენას კბილი დააჭიროს...

— ის კაცი კაპიტანია.

— კაპიტანიც ჭარისკაცია და გენერალიც, არ დავეძებ. იმ კაცს რა მიეწერო, ბესოია?

— ვის?

— იმ შენს დედულეთელ ვასვიანს.

— იმას რა მიეწერო კი არა, ამას რა მოუხერხო, არ ვიცი...

— ცოცხი დაასველე თუ არა, აბდღვირდება აქაურობა და კარცერს არ დაგაჯერებენ...

— დამხერტენ?! — იღრიალა ბესომ და ცოცხი ძირს დაახეტქა.

— ნუ გადაირევი, ბესოია, ყველაფერი მაინც ისე იქნება, როგორც უნდა იქნეს.

— როგორ უნდა იქნეს?! წინდაწინ თუ იცოდი, კლიმოვი ჩამოივლიდა, ვერ მითხარი? ფეხს არ მოვიცვლიდი...

— მე რა ვიცოდი...

— აბა ვინ იცოდა, მითხარი, ვინ იცოდა?! — ქვაპირილის ნატეხივით დაფშვნა კბილები კინწურაშვილმა, — წაგვიყვანონ ქე მაინც იმ უბედურებაში, იქ სახვეტი და სარეცხი მაინც არ მიქნება და ვილაცხა ოჯახამოწყვეტილია, ან მოვკლავ, ან მომკლავს.

— რაო, იმ კაცმა...

— ვინ „კაცმა“... მოეშვი ამ აბდა-
უბდას! — ილაღა ბესომ ამიტოვდა
— შენ რომ დღეს გადაცვივდი... კი
— მაცხოვნაშვილმა? — ემთხვეოდა სარ
— მათე თემა მით კაცი ვინა ცნობდა
— მაცხი

ბესომ დაუქნია თავი და წაიდა...

ბესომ დაუქნია თავი და წაიდა...

— ჰო, რაო, ფრონტზე უკეთესიაო?

— ხომ გითხარი...

— ჰოდა, მაგ დროც დადგება, ჩემო ბესოია. აილე ახლა მაგ ცოცხი, მეც მოგვხმარებდი, მაგრამ არავინ დაგვიწახოს და მერე, სანამ ვირის აბანოში შეგაბრძანებდნენ, შენი ცხენის ამბავი მაინც მომიყუევი.

— საღამოს ისინიც... იმითანაც რომ უნდა წაესულიყავით...

— აჰა, გოგოებთან... ესეც ახალი თვალის სიერი. მე სულ ვადამვარდა გულზე, მაგრამ თავის დროზე ყველაფერი იქნება. კაცმა რომ თქვას, სულ არაა საჭირო რაიმე დამხმარებელი და იპულობო ქვეა. ყველაფერი თავისთავად იქნება... ესე იგი, შენ რომ დაჯდები ოთხ კედელში გამოკეტილი და ვალია ეთინა დაგიკრუტს ვვირილებს... არც ესაა ურიგო თვალისსიერი...

— იმ გოგოსთვისაც მიგეწერა...

— ბესოია!

ბესო იატაკზე დახეთქებულ ცოცხს დასწვდა და ჩაიღრინა:

— მე, ჩემიანი რომაა, იმიტომ კი არ ვამბობ...

III

„მზიანი დეკორაცია დაუხატავს“...

— გაიფიქრა ბაკურმა, როცა ფერდობს შეუყვდა, საიდანაც სანბატის ბარაკები მოჩანდა. შენობების მარცხნივ, შიშველი ზეგნის მკაცრ, ძუნწ პეიზაჟს იქით, გახურებულ, ღია ნატირსფერ ნისლს მიღმა, მზის გავარჯარებული დისკო ისე შეგეძლო დაგენახა, როგორც ნახატი, და თვალი არ მოეჭრა.

დაღმართზე თამარი გამოჩნდა — დათქმული და უხალისო, თითქოს პავსანზე კი არა, ფოსტაში მიდიოდა და სულაც არ ჰქონდა იმედი, გასახარელი წერილი დახვდებოდა.

„ეთინა ამ სურათში არ მონაწილეობს. — მხრები აიწურა ბაკურმა. — სცენაზე მე და ამ გოგოს მოგვიწევს ჯერჯერობით თამაში“.

— გალოდინეთ? — იკითხა გულგრილად ქალიშვილმა.

— არა, ხალხიანს მოედი: აქ რომ

საათობით მარტოდმარტო ვმჯდარიყავი, აბა რა საყურებელი ვქნებოდი?

— ვალია ვერ მოვა...

— ვერც ბესო.

— ხომ მშვიდობაა?

— ვინ იცის, ალბათ არაა საჭირო... თამარიც თითქოს ამას ელოდა, მეტად მიზეზი არ უკითხავს.

„ეს ეპიზოდური გმირი სულაც არაა“.

— რაღაც მეტისმეტად მოშიშველებულია აქაურობა და ეს მგონია, მართლა სცენაზე ვდგავართ.

— დეკორაცია შეეცვალათ?

— ჰო, რა ვიცი, აი, სოფლისკენ... იქ, ეკლესია არა ჩანს?

ბაკური იქით მიბრუნდა, საითაც ქალი იქცირებოდა.

— ჰო, მაგრამ ნამეტანი რომანტიულია...

— აქვს მნიშვნელობა?

— რაც საჭიროა, მნიშვნელოვანიცაა...

— ჩემსას ალბათ ჩემს ცხოვრებაში ვერ მივეჩვევი. — თქვა ქალმა, როცა გზას ნება-ნება დაადგნენ. სცენიდან უცებ გაქცევა და კულისებში შევარდნა, ეტყობა, გათვალისწინებული არ იყო.

— ჰო, ძნელია... — ჩაილაპარაკა ვაქმა, აქაოდა, სულერთია, რას ვიტყვი. მაინც იმაზე ვილაპარაკებ და იმას მოვიმოქმედებ, რაც როლში სწერილია.

დაღმართზე ერთადერთ ოთხთვალს ვაველო ერთი კვირის წინ, ნაწილობრივ და სოფლისკენ წასულიყო. ამ მალლობზე საიდან ამოვიდა, კვალი არ ჩანდა.

„შეიძლება პირდაპირ ჩამოუშვეს, სადაც საჭირო იყო, და იქედან გაახაზვინეს გზა, რომელსაც უნდა გაეყვებო? — გაიფიქრა მინდორს ჩამოტყობულმა ბაკურმა. — შით უკეთესი, თამაში არ გართულდება“.

— თქვენ იცით? მე ერთი უბედურება მჭირს, — თავი მოაბრუნა თამარმა და იმ ნაცნობი, ჰკვიანური ლიმილით გაუღიმა, ასე მხოლოდ მე ვიღობებიო.

— ეს ალბათ ხასიათისათვის, თუმცა სულერთი არაა? —

— უბედურება არ იქნება, ალბათ საჭიროა...

— უბედურება კი არა, უფრო სწორად, ზნე მჭირს...

— მაინც?

— პირველ შეხვედრას ყოველთვის მე ვეძებ... თუ, როგორ გითხრათ...

„კარგად ამოიკითხე“ — შეახსენა ქალს თავის გუნებაში ბაკურმა.

— თქვენ ყოველნაირად გამიგებთ.

— მე მგონია, ახლაც გავიგეთ. თქვენ პირველი ხართ შეხვედრის მსურველი.

— თუ შეიძლება ითქვას, ინიციატორი.

— ყოველ შემთხვევაში, გასაგებია.

— მაგრამ მერე — არასოდეს...

— ვერ გიგებენ?

— არ ვიცი, ვერ მიგებენ, თუ ვერ ვეძებ.

— პარტნიორი არ შეგხვდათ?

— რა ვიცი, ასე შეიძლება ითქვას?

— რაღაც ასეთი რამ კი იგულისხმება.

— მე თითქოს წინასწარ ვიცი, რომ ასე მოხდება და მაინც ვეძებ... ძალიან გულწრფელად ხომ არ ვლაპარაკობ?

— ასე ვთქვათ...

— მაშინ გავჩუმდები, — ისევ გაელიმა, — აქ სხვასაც შეეძლო გასცინებოდა.

— მაგრამ ჩვენ უკვე მესამედ ვხვდებით ერთმანეთს! — გააგრძელა როლის კითხვა ბაკურმა.

— მე ამან ძალიან დამალონა.

— რაღაც უჩვეულო მოხდა?

— უჩვეულო.

— ალბათ, ეს უფრო საინტერესოა...

— მაგრამ... ისევ იმ სიტყვას გავიმეორებ, უჩვეულო, მე სხვა დროს ვიცოდი „ჩვენი“ შეხვედრა რით დამთავრდებოდა, ახლა აღარ ვიცი...

— თქვენ სხვა დროს მიდიოდით და იცოდით, ხელცარიელი დაბრუნდებოდით.

— თითქოს ზუსტად თქვით.

— მე რა ვთქვი, — გაელიმა ბაკურს, — მე რისი მოქმელი ვარა?

— ახლა... ისევ თქვენ თქვით.

„რა ვთქვა, — დაიბნა ბაკური, — მავისი როლიც მე ვიკითხო?“

— ახლა გეშინიათ მომინადიროთ და მე — ეს სამოცდათორმეტი კილო მძორი ხელში შეგჩრეთ?

— ბაკური?! — ქალი შეჩერდა.

— მეც ზედმეტი გულწრფელობა ხომ არ გამომივიდა...

— ძალიან.

— სიყალბეს მაინც ჯობდა.

— არა მგონია.

ბაკურმა თავი აიღო. ეკლესიაც მდლობზე აეგოთ, დაახლოებით იმავე სიმაღლეზე, როგორც სანბატის ბარაკები იყო გაშენებული. ქვევით, დაბლობში გრძელი გულზე იდგა და გაღმა, მონაჩეხი ხეების ძირებზე, ხშირი ამონაყარი შრიალეზდა.

ეკლესიის შემალღებაზე ქალიშვილმა უელთან ორი დიდი შეიხსნა.

— ვითომ მინდა მივეჩვიო, მაგრამ ამ ჩექმებისა არ იყოს, ეს ვიმნასტურაც...

— თქვენ გგონიათ, არ ვიხვდებით ეს მორთულობა?

— ამაზე ფიქრიც კი, ფუფუნება ხომ არ იქნებოდა?

— ფიქრი... ფიქრი ერთადერთი რამაა, რაც ჭერჭერობით კიდეც შერჩა ადამიანს ადამიანური.

— და რაც უფრო არა ჰგავს ის იმას, რაც ირგვლივაა, იმდენად სატანგველია.

— მაგრამ სადღაც ხომ უნდა იცხოვრო?

— ძნელი არაა?

— გააჩნია ვისთვის. მე უმცროსი ძმა მყავს — მამუკა და, მე მგონია, მას არ გაოკირდება, რაკი იგი ამ გულეს ვერ შეამჩნევს. თუ მის ფიქრში მხოლოდ ეკლესია ჩანს.

— და როგორ, პირდაპირ ამ ქაობში შეაბოტებს?

— არა, ზევიდან გადაუვლის და

დებს არ დაისვენებს, ისე მივა ეკლესიასთან.

— ბედნიერი იქნება, ვინც მას ეყვარება, — დაჯერებული, ვარდისფერი ღიმილით თქვა ქალმა.

— ასეცაა, იგი მართლაც იმის მეტს ვერავის ხედავს.

— თქვენ ღვიძლი ძმები ხართ?

— ღვიძლი... — გაეღიმა ბაკურს და დაეკვდა, ხომ არ ვინჩარგო? უკან გადაიხედა. ზოგჯერ ზდება, ერთის მაგიერ რამდენიმე ფურცელს გადაშლი, თითი თუ არ დაისვენე.

თამარი შეჩერდა, მარჯვენა მხარი აუტოკდა და ზურგისკენ შემობრუნდა. ეკლესიის კარებთან ჭარისკაცი იდგა.

ბაკურმა ძირს დაიხედა. ნაურმალი მოაგონდა, მაგრამ იგი აღარსად ჩანდა.

— ჩვენ გზას ავცდით. — თავი გადააქნია ვაჟმა.

თამარი მისკენ მოტრიალდა და თვლებში ჩააჩერდა აშკარა გაოცებით.

— თქვენც ნაურმალს მოჰყვებოდით?! — ხელებიც კი აუცახცახდა, — დამანებეთ თავი, მე თქვენ შემოიყვარდებით... — გამწყრალი მიბრუნდა და ზუსტად თავის ნაკვალევს გაჰყვა.

— ვალა უიქინამაც ამიტომ ხომ არ თქვა უარი დღეს პაემანზე, ბესოს ძლიერმა, უთქმელმა, მაგრამ ვაჟაკურმა ხასიათმა მიიზიდა და დაფრთხა?

— ჰო, ჰო, ჰო! — მოტრიალდა ქალი და ქვევით, გუბისკენ უკუსვლით წავიდა სახელაღწილი, სხვა რომ სხვის დანაშაულზე გაწითლდება, რაკი იცის, თვითონაც ამას ჩაიდენდა, — მერე რა, რა გინდა, რა გინდათ ჩვენგან?..

— მე რა მინდა! ღმერთი და რჩული... — ეკლესიას მოხედა, დაეიწყა, რომ ქვევით ჩამოინაცვლა, ეგონა, გუმბათს დაეინახავო და თოფიან ჭარისკაცს კი შეაშტერდა, — არაფერი... მე ჩემი გაჭირვება არ მეყოფა... — ახლა გუმბათს ახედა და გუგუტა მოუღანდა, არ გაკვირდებო, — არაფერი, მე და ბესოს — არაფერი... არ გვინდა...



დაღამებისთანავე ცემს პირზე მოხსნა, და თუ მანამდე კიდევ ხერხდებოდა ამ უგზობაში მანქანების ზურგით თრევა, ახლა ესეც უაზრობა იყო. მუხლამდე ტალახში, რომელსაც წინ წასული ალალი და მანქანა, ცხენი და კაცი, საწვეარი და ჩექმა ტოვებდა, დაზურგულ ჭარისკაცს ქვეითად მაინც მეტი შეეძლო გაეველო, ვიდრე ამისთანა გზაზე და ასეთ ამინდში ტრანსპორტით.

სოფლამდეც ხელით სათრევი, მოცვეთილსაბურავებიანი, სამტონიანი ღია საბარგო, როგორც კი სოფლის მოხრეშელ გზას გამოსცდა, ისევ ხელი-ხელ საგოვმანებელი ვახდა.

ბესოს კიდევ არაფერი, მისი ნიჩბივით ხელები თითქოს ამ საქმისათვის იყო გაჩენილი, მაგრამ ბაკურს, წიგნებისა და რვეულების მერე, საველე მეცადინეობებმაც ვერ გაუსქელა კანი ისე, რომ ეს სამტონიანი, უგზობითა და უამინდობით გასაცოდავებული კუტი ხელისგულზე ეტარებინა.

ერთიანად გაზუზულმა და ამოლაფულმა ბესოიამაც ეშმაკს მიაფურთხა და ძარაზე აფორთხება სცადა, სადმე იქ მაინც ჩამოეჭდები, წყალჩამდგარ მუხლს ჩახვრიო.

— კინწურაშვილი! — იკივლა ამ დროს მანქანის იქითა მხრიდან კლიმოვმა, ალბათ ცის ოდნავ ღია ფონზე ძარაზე ამართული ბესოს ბრგე მოყვანილობა იცნო.

— რა უნდა ამ შობელძაღლს! — ბესო მანქანის აქეთა მხარეს გადმოიხარა, სადაც ტალახში დარგულივით ბაკური ეგულებოდა.

— რა ვიცი, რა უნდა. ჯერ შენი გვარის მეტი არაფერი უთქვამს და მაგდენი რუსული შენც იცი.

— ვინ ასწავლა ჩემი გვარი, იმის ოჯახი დაიქცა! — გამოცრა ახრქილებულ კბილებში ბესომ, ძარიდან პირდამირ ტალახის ფაფაში ჩამოხტა, გვერდით დაუდგა ბაკურს, თუ მეთაური

კიდევ რაიმეს მეტყვის, ვიცოდე მაინც, რა უნდაო.

ჩაფლული მანქანის ირგვლივ უკვე უაზროდ და უნდობლად მოჩალიჩე, დათხვრილ ჯარისკაცებში კლიმოვი აღარ გამოჩნდა, სადღაც, წინა მანქანასთან მოისმა მისი მკვიანა ხმა.

— ალბათ მოაგონდა, რომ აქ კარცერი არა აქვს, — აუხსნა ბაკურმა ბესოიას ასე მშვიდობიანად გადარჩენის მიზეზი.

— ახლა კარცერი ნანატრი იქნებოდა!

— ეი შენ, ზორბა, მოდი, მოაწე-ქი! — ეძახდა ბესოიას კაბინიდან თავგამოყოფილი შოფერი, რომელიც, ვინ იცის, გულზელდაკრეფილ კინწურაშვილს ამ ბნელში მართლა ხედავდა, თუ მანქანა ადგილიდან რომ სულ არ იძვროდა, ამის კვალობაზე მიხვდა, მისი ძალა რომ მოაკლდათ.

— კი მაგრამ, სანამდე უნდა ვათრიოთ ასე მხარზე გადებული?

— ალბათ ბერლინამდე მაინც, — თავი გადააქნია ბაკურმა.

— არ გვირნდა ეს ობერ-ტიალი! ფეხით გაგვიშვან! — გაიხრჩიალეს მობუქსირე მანქანის ზრიალში ბესოს კბილებმა.

— არა, — იუარა ბაკურმა, — არ შეიძლება.

— ჩემი უბედურება არ მეყოფა, ეს კიდევ ზურგზე არ მომდვათ!

— ესაა სათვალსეირო. საერთოდ, მანქანა იმისთვისაა გაჩენილი, კაცი დაჯდეს ზედ, იქროლოს, კარგ გუნებაზე დადგეს, მაგრამ ეს იმდენად ჩვეულებრივი ამბავია, მოსაწყენია. ახლა თუ პირიქით მოხდება, მანქანას ავიღებთ და ზურგზე მოვიდებთ... აჰ, რას იტყვი?

— რას ვიტყვი! — აღაწუნდა ბესო, — ზომ არ გადაირიე შენ!

— არა, როგორი საყურებელი იქნება?

— ბიჭებო, ბიჭებო! — საიდანღაც სემიჩასტინი მოდგაფუნდა, — დაანებეთ თავი, მოეშვი!

შოფერმა მაშინვე ჩააქრო ძრავა, მაგრამ უკან ისევ ისმოდა მანქანების თუბთუხი და ხროტინი. ოცმეთაურმა დაიცადა, სანამ ისინიც ენას ჩაიკმენდნენ.

— რა ვქნათ, ტოლია? — ქართულად ჰკითხა ბესომ, როცა ყურებმა მოისვენა.

— ამაღამ აქ უნდა გავჩერდეთ! — უხერხულად ამოილაპარაკა სემიჩასტინიმ, თითქოს მეგობრები ქეიფზე მიეწვიოს და წუხდეს, ეს რა დავიდარაბაა გადაგვიდეთო.

— ამაღამ ფეხს ვერ მოვიცვლით. ხომ? — მიხვდა ბესო და ოცმეთაურს მხარზე ხელი დაადო, — ამან, ბაკური, თათრულად რომ ილაპარაკოს, რაც არ უნდა თქვას, მეყურება, კლიმოვმა ქართულიც რომ იცოდეს, მაინც ვერაფერს გავუვებ.

— ჭრელია ქვეყანა, ბესოია, — დაზუზული მხრები აიწურა ბაკურმა.

— რატომ კაცო, რატომ. აქ ხომ ყველა ერთნაირად ვართ და ერთნაირად ვერ ვხედავთ, თუ რა ჯანდაბაა?

— კი, ერთ ტაფაში ვიწვით, მაგრამ მაინც მოსვირესათვის ასე უფრო საინტერესოა.

— ბიჭებო... — მთლად წაუხდა გუნება ოცმეთაურს, — სანამ დავისვენებდეთ, იქით მანქანები ყოფილა ჩაფლული და...

— ჯერ აქაც კარგ დროს გავატარებთ! — მწარედ გაიცინა ათმეთაურმა ივანოვმა.

— არა, ალბათ აქ, ამ ტალახში არ დავრჩებით, — დაეკვდა სემიჩასტინიც, მაგრამ მანამდე, სოფელთან, სადღაც სანბატის მანქანებია ჩაცვენილი...

— ეუუ! — შეიკურთხა ვილაცამ ძარის მეორე მხარეზე.

— რაო კაცო?! — ამჯერად ვერ გაუგო ბესოიამ ოცმეთაურს. — რა სანბატიო?..

— რაო და ასე კობტად მორთულმა ბესოიამ ახლა ჟიჟინა აიხუტოსო...

— შოიკა; კაცო, რა ჟიჟინა, გამაგებინე, რა უნდა?

— ეიენას მანქანა აიხუტოს, უფრო კარგი საყურებელი იქნებაო.

— ივანოვ, ვაუტეხი შენს ათეულს, — შეიხვეწა სემიჩასტინი და ლაფიდან ფეხი ხმაურით ამოგლიჯა, — კარხანოვი სადაა?

— კარხანოვი კაბინაში შეძვრა! — გასცა მეორე ათეულის უფროსი მისივე წრიპინა ჯარისკაცმა, ალბათ თვითონ ეჭირა თვალი კაბინაზე და ახლა კარხანოვის ბედი შურდა.

სოფლის მოხრეშილ გზაზე გავიდნენ თუ არა, ბათინეების ბათქა-ბუთქი ატყდა, თითქოს პარადზე ფეხარეული მარშით მოდიანო; შავი ლაფი მოიცილეს, წვიმამ ოდნავ იკლო, მაგრამ კიდევ რომ გადაედო, უკვე სულერთი იყო, დასასველებელი კარგა ხანია არავის არაფერი შერჩენოდა.

— აქ, სოფელში სკოლა ექნებოდათ, — თქვა კარხანოვმა, ალბათ კაბინაში ხუთი წუთით ჯდომამ დააჯილდოვა ასეთი საზრიანობით.

— შენ იქაც შემასწრებ და მე გარეთ დამტოვებ! — ისევ დაიწრიპინა მისმა გულდათუთქელმა ჯარისკაცმა.

— ჩემად, გენადი ვიქტოროვიჩი! — დაარიგა ათისთავმა, — საჭიროა უმცროს-უფროსობა იცოდე.

პასუხად გენადი ვიქტოროვიჩმა დაიფხუტუნა.

— მაშინ ნება მომეცი სემიონ სემიონიჩ, ამ სოფელში ვინმე დედაბერს საფერხულში შევუწვე, ეს ხომ სამშობლოს ღალატი არ იქნება.

— გენადი ვიქტოროვიჩი! — დაიწყო განგებ დიდაქტიური იუმორით, მაგრამ დაღლილი ხმით, კარხანოვმა, — შენ მოწოდებული ხარ დედაბრებისა და უმწიროთა მშვიდი ძილი დაიცვა, საფერხულში რომ შეუწვეები, სადა იქნება სამშვიდე?

— მე ხომ ავი განზრახვა არ მიდევს გულში! — იმართლა თავი წრიპინა ხმამ, — თანაც ფერხით... ის ხომ არ მოთქვამს, კბალიშზე დაედებ თავს დედაბერთან-მეტყი...

— თავი, მართალია, მეორე მხარეს გექნება, მაგრამ...

— ქვედა წელი... — საქმეში ჩაერია მეორე ათმეთაური ივანოვი, თანაც სრულიად სერიოზულად; და ამ ქანცვაწვეტილ, დალაფულ ოცუელს, კარხანოვის და მისი ჯარისკაცის ხუმრობაზე სულაც რომ არ გაღიმებია, ახლა ივანოვის სიტყვებზე გულიანი ხარხარი აუტყდა.

— არა, ხომ ასეა... — დაიბნა ათმეთაური: რა ღმერთი გამიწერა, რაღაცა ვერ გავიგეო?

— არა თუ? — დაუდასტურა კოლეგას კარხანოვმა, — ქვედა წელი სწორედ იქ ექნება, სადაც იმ დედაბერს... — და ისევ ქილიკური დიდაქტიკით განავრძო, — შენ „მთავარსარდლობის“ შეცდომაში შეყვანას ნუ ცდილობ, ვაიდუკოვ...

ვაიდუკოვმა „დაიმორცხვა“.

— ვერ გავითვალისწინე „სარდლობის“ შორსმჭვრეტელობა...

— დაგავიწყდა რომ აქ, ჩემს გვერდით ივანოვი მოდიოდა?

— ბნელა, ამხანაგო „სარდალო“!

— ეშმაკსაც წაუღიხართ! — გადააფურთხა ივანოვმა და თვითონაც გაციუნება სცადა, მაგრამ კრიჭა ვერ გახსნა.

— ხმა არ ამოვიღოთ, არ გვიცნონ! — გააფრთხილა ბესომ ბაკური, როცა ბნელში ბრეზენტგადაჭიმული მანქანის შავი სილუეტი გამოილანდა.

— მე კრინტს არ დავძრავ, ბესოია, მაგრამ...

— ჰოდა, გაჩუმდი!.. — გააწყვეტიანა: — „ეს ნასწავლი ხალხი“ ახლა იმას არ მოჰყვეს — „რა საინტერესო“ და „რა სათვალსიერო“ რალაც ხდებოა. მაგრამ ვზადავზა ლაფში მოჯახირე გლეხი მაინც დაეჭვდა, მართლა რა მოხდა, ამდენში წინ წასულ ჯარისკაცებს რატომ მოუწია ისევ უკან დაბრუნება რა მაინცდამაინც სანბარის მანქანის ამოსათრევიად, და რატომ სამზარეუ-

ლოს, სურსათის ან იარაღ-საჭურჭლისა არაა?

— ბნელში ვალურსულ, სანბატის ბრეზენტით გადახურულ, დაფლულ მანქანას ისე მიუახლოვდნენ, ხმა აღარავის გაუღია. არც იქ ისმოდა ბაიბურო, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ზერინვის გარდა. კაბინაში კარებზე თავმობჯენილ, კონსერვატორებზე შოფერს ეძინა და ზოგჯერ სუნთქვაშეგუბებული ამოიხროტინებდა.

— აქ, ამ მუსიკალური ტიპის მეტი მგონი არავინაა, — ახსნა ვითარება კარხანოვმა; როცა მანქანას მიუახლოვდა და გაიდუქოვდა ისევ აწრიპინდა, კაბინაში შემასწრებსო.

— მანდ, ძარაზე, არავინაა?! — იკითხა ივანოვმა ფეხმოუცვლელად, რაკი გუმანით იცოდა; ადგილზე ნაჯახირები მანქანის უკან მუხლამდე ლაფი იქნებოდა.

— როგორ არ არის?! — გაიკვირვა ბრეზენტის მიღმა ქალის ხმამ, თითქოს ხელიდან ბროლის თავი გავარდნოდეს.

ამ ხმას გოგოების სსრიალი და ეივ-ეივი მოჰყვა.

— ოი ხანუმ, ხანუმ! — დღესასწაული გაუთენდა ამდენი ქალიშვილის ელურტულზე ტაშიბულად რახიმოვს, ბესოსავით რუსულზე ხელმოკლედ რომ იყო.

— რაღა დედაბრებთან მაგზავნიდით, აგერ ჩვენს გოგოებთან დავიძინოთ, „სარდალო“! — შემოიტანა წინადადება გაიდუქოვმა, თითქოს „სარდალს“ დაეძალეზინოს, გინდა თუ არა, დედაბრებს საფერხულში დაუწეკიო.

— ივანოვი რას იტყვის? — ისევ სერიოზულად იხუმრა კარხანოვმა, ეგონა, პირველი ათეულის მეთაურის იუმორის გრძნობა ახლაც უღალატებდა.

— გამთცვალე გაიდუქოვი და ორ ჯარისკაცს მოგცემ, — სხვა მხრიდან მოუარა ივანოვმა.

— ერთს დაგჭერდები, კინწურაშვილს მირმეცი... — თითქოს ჯდაიჭერა კარ-

ხანოვმა და უდიმილოდ მიიღო წინადადება.

— კინწურაშვილი, ბესო?! — წამოიძახა ბრეზენტის შიგნით ვალია ეივინამ.

— მე არაფერი არ მითქვამს, ბესო! — თავი იმართლა ბაკურმა.

— ნეტავ ბაკურიც აქაა? — ახლა თამარის ჩურჩულიც მოესმათ.

— კინწურაშვილს ვერა, და თუ გინდა, რახიმოვი წაიყვანე, რუსული არც ამან იცის! — თავისი ვარიანტი შესთავაზა ივანოვმა.

— რა უნდათ, მაინც რატომ მახსენეს? — იკითხა ბესომ.

— არაფერი, რაღაცას უკბილოდ ხუმრობენ, — აუხსნა ბაკურმა, — ალბათ ასეა საჭირო...

— რაა, კაცო, საჭირო! ახლა ლლიცინის დროა?

— სწორედ ესაა საქმე, — ისევ ნიპილისტურად გეპასუხა ბაკური, ბესოს თუ ვიღაც სხვას, რომელიც ახლომახლო არ ეგულებოდა.

— რახიმოვს მაიბოროტადე რომ დაუმატო, გაიდუქოვში ვერ გაგიცვლი, — გაასაყსავა ტალახიანი ხელები კარხანოვმა.

— ვერ გაცვლი და, დადექი ამაღამ და ეძიე დედაბრების საფერხულებში. მე ისეთ ხალხს გთავაზობ, საკუთარ ცოლს მეორე ოთახში დააწვენენ და თავისი ოთახის კარებს შიგნიდან ჩაკეტავენ. ღმერთი არ გაუწყრეს, ღამე ეშმაკისაა, ქალმა არაფერი მოინდომოსო.

— რა ლაპარაკია მანდ! — გაანჩხლდა ბრეზენტის მიღმა ისევ ის ხმა, თავდაპირველად რომ ბროლის თასი ხელიდან გაუვარდა, — ეი, შოფერ! — ხელი შიგნიდან დასცხეს კაბინას.

შოფერმა ხროტიანი შეწყვიტა და ამოიგმინა:

— ოი, დედა მშობელო! რა ხალხთანა მაქვს საქმე!

— გონს მოდი, შოფერ, წავიდეთ! — დაიწრიპინა გაიდუქოვმა და საფერხულზე შეტბა, იქნებ საქმეს უჩემოდანე უშე-

ლოს და მე თვეზი ისე დავივირო, ფეხი არ დავისველოო.

— არაფერი არ გამოვა! — არ დანებდა შოფერი, — ღერძამდე ვარ ჩაფლული.

— წელამდე ხარ, — გაუსწორა წრიბინა ხმამ.

— წელქვევით ტალახშია! — დააზუსტა ივანოვმა, ის პირველდელი გაბიაბრუება რომ გაეფანტა.

— ჩამოსხი ბუდიდან ეს შენი ფრთოსნები... — ჩაიჭირქილა მაიბოროდამ: მართლა თუ გგონიათ, ქალს მეორე ოთახში დეაქინებ და ჩემი ოთახის კარებს ჩავეკეტავო.

— რას ქვია ჩამოგვსხამთ! — მოისმა ძარიდან ისეთი წიკვინა ხმა, ჯარისკაცებს ყურებში ძაფგაუყრელი ნემსივით გაუარა.

— „სარდალო“. ამ ხმის პატრონს ძარიდან ჩამოსვლაში მე მივეშველები! — მაშინვე ლაფში ჩამოვარდა გაიდუკოვი და კარხანოვს ხელი აუღო.

— წელს ქვევით! — გააფრთხილა ივანოვმა, როცა გაიდუკოვმა „სარდალს“ თანხმობა გამოსტყუა.

— არ იფიქრო, რომ „მთავარსარდალობას“ შეცდომაში შეიყვან, — თავის მხრივ დაუმატა კარხანოვმა, სიფრთხილეს თავი არ სტკივავო.

— ნუ ჩამოყრით მაგენს ამ ლაფში და ტალახში. ამდენ კაცს, რა ღმერთი გავვიწყრება, როგორ ვერ ამოვიყვანთ! — გაალაწუნა კბილები ბესომ, გავარდა, მუხლებამდე ლაფში ჩადგა და დატვირთულ ძარას ბეჭით ეძგერა. ადგილზე შეატორტმანა.

— რაო, რა თქვა? — ჰკოხა კარხანოვმა ივანოვს: შენი ჯარისკაცი რას ამბობს კი არა, რას ფიქრობს. ისიც უნდა იცოდეთ.

— აქ ერთი ქალიშვილი მეგულება, ოღონდ იმას მიწაზე ფეხს ნუ დაადგმევინებთ, ამ მანქანას მხარზე ადებულს წავიღებო! — თქვა ბაქურმა და ბნელში თვითონვე მხრები აიჩეჩა: რატომ ვთარგმნე ასე, ვინ მაიძულაო?

— შოფერ, გაუსწვი ძრავა! — ბრძა-

ნა ივანოვმა, უფრო კარხანოვის გასაგონად: ვიცე, რატომ მიცვლდი კინწურაშვილს გაიდუკოვში, მაგრაშ! მეც რა ბიჭი ვარ, მაშინვე დაგყაბულდით.

V

მოთენდა.

წყლით გაქვნილი, მძიმე ნისლი ლილადაკრული თეთრი ქოხების ბურულიანი სახურავების თავზე იდო და იმ ქოხების საფაფურებიდან გამოვონილ კვამლს იქვე ერწყმოდა.

ენედლავედა თვალგაუხარელად, სევდიანად.

გზა, ოთხკლასიანი დაბალი სკოლის მოედანი და ეზოებიც კი ასე იყო აძიძგნილი და ალაფებული, თითქოს ტალახი ეწვიმოს.

სკოლის ეზოში, რომლის ანჯამაზე მოგლეჯილი ჰქონდა, აედოთ და ღობეზე მიეყუდებინათ, მეორე ათეულის ბიჭებმა ხაყისფერი საკაცით გაიდუკოვი შემოასვენეს და ოთხსაფეხურიანი კიბის წინ, მიწაში ჩაიჭყნო და ნაყული წითელი აგურისა და შავი ლაფის ნარევეზე დაუშვეს.

კიბის თავზე პოლკის დროშა ეჭირა თვალმომოწყურულ უმცროს მეთაურს, რომლის ორივე მხარეს შეიარაღებული ჯარისკაცები გაკიშულიყვნენ. შენობის კედლის გაყოლებაზე მეთაურები იდგნენ უფროს-უმცროსობის კვალობაზე.

ათეულის ჯარისკაცებმა უკან დაიწიეს და მიცვალებულის თავთან გალენჩებული კარხანოვი დარჩა, სანამ ასეულის პოლიტბელმა მხარზე ორივე ხელი არ მოხვია და უქუსლით თავისკენ არ წაიყვანა. ამმეთაური იქაც მწყრივს გარეთ დაეყუდა, ერთი ნაბიჯით წინ წამოჩრდილი.

მიცვალებულისთვის სახე მოებანათ და ტანსაცმელი გამოეგრეცხათ. სუსტ ბიჭს, თითქოს სცივავო, სახე გალურჯებოდა და რაკი მეთაურების წინ მოკრუნხვავ ვერ გაებედა, ფეხებზე დადებული მაზარის წაფარებას ითხოვდა. სიმწრით ჩამოკმული ტურის კუთხეში

წერილი, მიჯრილი, კრიალა კბილები მოუჩანდა ამქვეყნიურ ამოებზე გავრამბულივით.

მეორე ათეულის გარდა ჯარისკაცები მწყობრად იდგნენ, ეზოში და ეზოს გადღმა — გზაშიც. მოსახლეობა დიდიან-პატარიანად ღობეებს შემოსეოდა, როგორც ამ ხაკისფერ გარემოს შემოვლებული, შავმოძალეული ფერადი არშია.

სანბატის ქალიშვილების მწკრივი ვილაცას რატომღაც წინასწარ ისე დაეყენებინა, როცა მიცვალებული მოსაგენეს, ისინი მეთაურების საპირისპირო მხარეზე დარჩნენ მკვდართან, ქირისუფლებივით ახლოს. დაღუპული ჯარისკაცის თავთან და ფეხებთან კორად გაყოფილი მისი ათეულის ბიჭები იდგნენ, როგორც უახლოესი სისხლით ნათესაეები.

პოლკის კომისარი კაპიტანი მირონოვი კიბის მხოლოდ ერთ საფეხურზე შედგა, დათრგუნული ბანით ალაპარაკდა და უმიზეზოდ და უნდოდად ხელების ქნევას მოჰყვა, სანამ არ მიხვდა, რომ გარეგნული ვესტები ასეთი ვლოვის ეამს უადგილო იყო. ამან კიდევ უფრო დაუბნია ისედაც თავმოუბმელი სათქმელი. აქ არ იყო ის, რაც მან იცოდა და რაზეც შეეძლო თამამად ელაპარაკა. მას უნდა ელაპარაკა გმირობაზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე, უკეთესი მერმისისათვის დაღუპულზე; უნდა ეთქვა, რომ იგი იბრძოდა სიმართლისათვის და მკვდრად არ ჩაითვლება, სანამ ქვეყნად სიმართლე და სამშობლო იცოცხლებს, რომ მას არ დაიფარებენ ადამიანები, ვისთვისაც მან თავი დასდო.

ლაფში დაცურებული, დატვირთული მანქანა, ინერციის ასაღებად უკან დახევასას, შუაღამისას, ბნელში დაეჯახა ელექტრონის ძირმოძვალ ბოძს და დაწყვეტილ მავთულებში გაიხლართა უბედური ბიჭი. დილით ტალახში დაკრუნჩხული იპოვეს, ისევ მის დამღუპველ მავთულებს ჩაფრენილი. ასე გაქრა სიცოცხლის გარიჟრაჟზე სრულიად

უმიზეზოდ და უდანაშაულოდ ადამიანი და ახლა უხერხულობისგან არფელს იწურავდა მირთოვი. გულში წყევლაკრულვას უთვლიდა ბოძებს, მავთულებს, ელექტრონს და ნათურებსაც კი... არ იყო აუცილებელი გაიდუქოვი მაინცდამაინც მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში გამირულად დაღუპულიყო; თვით სავლე მეცადინეობის დროსაც რომ მომხდარიყო ფათერაკი, ან ამ გადასვლის და ფრონტისაკენ მიმავალი ათასი გაუთვალისწინებელი შემთხვევის მსხვერპლიც რომ გამხდარიყო, მირთოვის ენა არ დაებმებოდა — ეს იგივე ბრძოლა, იგივე მტერთან შერკინება, იგივე სამშობლოსათვის თავდადება იქნებოდა.

„ახლა ალბათ საოცრება იქნება, რას ვიფიქრებ მე თამარზე, არა? — თავის თავს ჰკითხა ბაქურმა, — რაკი ჩემსა და გუგუტას შორის ასეთი რამ არ მომხდარა, ჩვენს შორის იყო გაუტანლობა, კაცთმოძულეობა, მაგრამ არ ყოფილა მიცვალებული. ახლა აქ სიყვდილია, რაც ყველაფერს ამთავრებს. აქეთ-იქით კი ვდგავართ მე და თამარი. როგორც სიყვარული, სიცოცხლე. შუაში კი ის, ვინც დაგვიცინის ჩვენც და გუშინდელ თავის თავსაც, ვისაც უთუოდ უფრო დიდი სიყვარული შეეძლო, უფრო განუხსჯელი და გულწრფელი“.

ბესოიას წინწამოვარდნილ ნიკას იქით ბაქური თამარის ჩატეტკილ სახეს ხედავდა, რაკი იგი პირველ მწკრივში იდგა, მიცვალბულისკენ მობრუნებულნი; ალბათ სკოლის სახურავს უცქეროდა, სრულიად არაფრის გამოშხატველი, მაგრამ მაინც ფიქრით დაყურსული. მას ახლა ისევე არ შეეძლო ტირილი, როგორც სიცოცხლი.

„ის მაინც მოიხედავს, სახეს არ მოაბრუნებს, — თვალებით. მას ახლა ჩემი დანახვა არ უნდა, არაფრით არ უნდა დაინახოს იმაზე მეტი, რასაც ხედავს. საშინელებად ესეც კმარა და იმის გამმაფრებას არ მოინდომებს, მაგრამ რაკი არ უნდა და თავს აუკრძალავს, სწორედ იმას ვააკეთებს, რასაც მე,

რასაც ადამიანები ჩადიან, როცა ისინი თავის თავს ან ეკუთვნიან“.

თამაშა მოიხედა და ბაქრაშა მის თვალეში ადვილად ამოიკითხა ზიზღი, რაკი ბაქრაშა მას უცქეროდა. ქალს ამისთვის ვაგი იმდენად შეეხანა, — ის ზიზღი მკვდრის ღიმილად ექცა.

შეციებულ ვაიდუკოვს, როგორც იყო, აღიარეს და მანარა წაახურეს. თვალეზე, არაფრის მოიხედედ რომ ტყვიისფერ ცას მიჩერებოდა და ზედა ტუჩის კრილობაზე, სიღიანაც მიჯრილ კრიალა კბილემს აჩენდა, პილოტურა დააფარეს და ბაქრაშა ქვეყანამ ქუდი მოიხადა.

მიცვალელები სკოლის ეზოს კენჭულში გადასვენეს. რატომაც სოფლის სასაფლაოზე მისი დაკრძალვა ან მოხდა და მისმა ათეულმა დაცალა ის ვანები, რომლებიც ვაიდუკოვს კაუთვნიოდა.

ჯარი მწყობრად და თანმიმდევრულად გამოვიდა სკოლის ეზოდან და თავის შორეულ გზას დაადგა.

„სადაურსა სად წაიყვან“...

VI

— მი-იშა! — ლეონმა ჭლიქვი წაქრა გვერდით მოლაყუნე აფანასენკოს, მაინცადამაინც ახლა ჯავლაგი ცხენივით რომ ფეხზე ჩაეთვლიმა, — შე-ეხედე, რა უ-უბედურებაა!..

— ლტოლვილები... — თვალის გახელისთანავე ამოიკვნესა აფანასენკომ და გზისგადაღმა ყოველ თვალატრეხულ ბოლიანს და ზურგზე ტომარამოკიდებულს თავისიანივით დაუწყო ძილვაიმფრთხალი, დაწითლებული თვალეებით ყურება.

— ბა-ავშეებია, შე კაი კაცო, და ის მთლად მო-ოხუცია!

— ჩემი მოხუცია...

— ი-იციანი თუ?..

აფანასენკომ არაფერი უპასუხა, გზის კიდზე ჩარიგებულ, ჯარისკაცობისაკენ უიმედო იმედით თვალმოშტე-

რებულ ლტოლვილებს მისხმუნა ჩაბრუნებით ჩააშტერდა.

— ა-ამათ ერჩის ვი-ინმე თუ? შენ სა-ადღაც... ა-აქაური ხარ მიშა?.. — ვითომ თანაგრძნობა თუ სამძიმარი სცადა ლეონმა.

— მთელი ღამე უველიათ... — ამოიკითხა ლტოლვილთა სახეებზე აფანასენკომ.

— ბა-ავშეებს?! — ახლა ლეონიც, თითქოს მათ შორის ძალიან ახლობელს ეძებსო, ისე ჩააჩერდა მწყობრიდან ერთ ნაბიჯს იქით ატუზულებს, — რა ხა-ანია პი-ირიც არ და-აუბნაიათ. მთლად მი-ისავათებულა ხალხი!.. — გულუბრყვლოდ თქვა ის, რაც დაინახა და მერე მიხვდა. ამ კაცს თავისი ცეცხლი არ ეყოფა, მე რომ მდღღარე არ დაეუსხაო; ვითომ ნუგეშისცემა სცადა, — მა-აგრამ ვინ ი-იცის... — დაიწყო და გზაზე შემოხილულ ხელით სატარებელ ურიკას გადააწყდა, წინ წასულეებს რომ გვერდი-აველოთ. წვეფი პატარა ხელნას მიარტყა და წინ წამხო-ბილი, ბაწრით შეკრულმა შეხვეულმა საბანმა დაიფარა, თორემ მტკავლიან ჰვალს თვალს ან შებღს დაახვედა.

ნამტირალევი ბიჭს, მტვრიანი უბეები ხელით რომ ამოეტიკუნა, ხელნის თავი დაუეარდა და ახლა შეშინებულ მარტო თვალეზად იქცა.

— ა-არაფერი... ა-არაფერი... — ლეონმა ბიჭის დასამშვიდებლად გაციუნება სცადა. ამ უბედურებაში რომ კაცს ენა დაება, ბავშვს ეგონა, მე დავმართეო. ამას მოჰყვა ყოვლად უადგილო ღიმილი, რომელსაც პატარა ლტოლვილი სულ გადასჩვეოდა, და იფიქრა, ჩემს მისატყუებლად დასჭირდაო, ალბათ ამიტომ იყო, რომ ყმაწვილი აბლავლდა, თავისიანებს უკან მიაწყდა და მაქოსავით ვაძვრა.

— ა-არაფერია-მეთქი... მი-იშა, შენ უ-უთხარი! — ლეონი მიხვდა, ალბათ ჩემმა სიბლუემ და უადგილო სიცილმა ვადარია ბავშვიო და უკან გამოუდგა.

აფანასენკოს თავისი სხეულის მოგება

და ისედაც ფეხათრეულ რივიდან გზის კიდევ გამოვიდა.

ბიჭმა, ალბათ რაღაცა დიდი უბედურება ჩავედინე და მომდევნო, არხზე ისკუპა, მინდორი გადაირბინა და თავი ლელიანში დღრთა.

— მი-იშა! — უხმობდა ლეონი მშველელს და გულგახეთქილი ბიჭს მისდევდა, რომ გვეკითხათ რა უნდოდა, თვითონაც არ ვაგებებოდა.

— მიშენკა, ჩვენია! ჩვენი ჯარისკაცია! — ეძახდა ქალი, რომელიც ლელიანს გამოეყო და ათიოდე ნაბიჯზე გაჩერდა, მას აქეთ გამოქცეული აფანასენკო წამოეწია.

— მიშენკა?! — ჰკითხა ქალს დარტყანივით, მისი ბავშვობის სახელი რომ მოესმა, — ქალო, მიცნობთ? მიცნობდით?..

— არა... — დაიბნა ქალი.

— მაშ, მიშენკა...

— ეს ჩემს ბიჭს...

— აჰა, თქვენს ბიჭს ჰქვია? — მოეგო გონს და ლეონს მიაძახა, — ეს მე არა!.. — თითქოს ლეონი იმისთვის დადევნებოდას ბიჭს, შენც პატარა აფანასენკო ხომ არა ხარო.

მიშენკა ლელიანში გაუჩინარდა და ლეონსაც ის იყო შეაბოტა, რომ, როგორც იქნა, გონს მოეგო, გაჩერდა.

— და-ავსაფრე ბა-ავსფი, რა ღმერთი გამიწერა...

— რა გინდათ ბავშვთან?.. — ვადაირია დედა და ისიც აფანასენკოს გამოეკიდა. დედის გულმა ალბათ მაინც უკიდურესობა წარმოიდგინა, მართლა დამნაშავედ ხომ არ თვლიან ჩემს ბიჭს, ურიკა რომ ფეხებში წამოსდოო, — თქვენი იმით გამოეკიდეთ, ვინც დაგვაქცია და ამოგეწვიოტა, რა ვინდათ ამ ისედაც გულგახეთქილ ბავშვთან?!

აფანასენკომაც ახლა ის იაზრა, ლეონი რაღაცნაირი კაცია, მართლა მიშენკას ხომ არ უჯავრდებაო და თვითონაც დაუყვარა.

— ლეონ, სად მისდევ ბავშვს?!

— სა-ად მი-ივსდევ?.. — ლეონმა პირაქეთ ჰკითხა ლელიანთან მივარდ-

ნილ ქალსა და კაცს, — ა-არ მი-ვსდევ...

აფანასენკომ დაიჯერა, ალბათ მართლა უჯავრდებოდა და ახლა იმიტომ დაიბნაო, ამ ისედაც თვალატირებულ დედა-შვილს კიდევ ეს უნდოდაო, და ხელი მოუქნია.

ლეონი ისე არ მოელოდა ამას, არც გარტყმა უგრძენია და არც ტყვილი, მაგრამ მაინც იკითხა: — რა-ატომ, მი-იშა?..

აფანასენკო ყველაფერს მაშინ მისგან და, როცა ასე უძრავად დარჩა ეს შეიარაღებული, მკლავმაგარი ჯარისკაცი და მოეხვია, მაგრამ ახლა ქალს მოეჩვენა, ხელდახელ შეიბნენო.

— თქვე უნამუსოებო, ერთმანეთს ხოცავთ?!

— მა-აპატიე, ლეონ! — მიშასაც ენა დაება, — ლეონ, რა ვიცი, რა დამემართა, მთლად დავჯარგე ჰქუა... ამა-ნაც... — ქალზე მიუთითა, — ქალო, შენ მაინც რამ გადაგრია?

— მე თუ რამ გადაგრია!.. — ქალის სახეზე ზიზღი გამოიხატა, ამას ჰქუათა-მყოფელი იკითხავსო? — მიშენკა! — გასძახა ლელს.

— დედა! — მოისმა მაშინვე ქვევით, ლელიანიდან თავგამოყოფილი ატირებული ბიჭის ხმა.

— გითხარი, ესენი ჩვენებია, გითხარი მე შენ!

— ლეონ, ლეონ!.. — იმეორებდა გალახელივით აფანასენკო.

— მე ვთქვი, თუ ბავშვს... მო-ოდი შე კა-აცო!.. — ბიჭს გაუცინა ცალ-ლოყაწითლებულმა და მიშა მთლად დაიბნა: რა ებავშვება, რატომ საყვედურს მაინც არ მეუბნებო.

ბიჭი მოშორებით გაჩერდა და თავის მართლება სცადა, თან მუშტებით ისევ თვალებს იფშვინებდა:

— მე თქვენ რომ დაგინახეთ... გა-მიხარდა.

— მე-ერე და ვი-ინ გითხრა!.. —

ბავშვმა ამ ბლუტუნზე ისევ უკან დაიხია, — შე-ენ უ-უთხარი, მი-იშა...

— ჰო, მიშენკა... — ახლა ლეონის მაგიერ აფანასენკო აღაპარაკდა და ბავშვსაც, თითქოს უდანაშაულოდ გაელაზნა, ფერება დაუწყო, — ეს ბიძია იმიტომ გამოგყვა, არაფერი არ მტყუენია, ნუ გარბინარ, ნუ გეშინიაო...

— ჰო, — თავი დაუქნია ლეონმაც.

— აი, ეს შენ! — აფანასენკომ ჭიბიდან ნიკელის ჯაყვა ამოიღო და ბავშვს გაუწოდა, — ამ ძიამ გაჩუქა... — და ისევ ჭიბეებში დაიწყო ქექვა, ლეონი ასეთი ვულის კაცი, კიდევ რაღაც მეტს და უფრო ძვირფასს აჩუქებდაო.

«ცოდება ეს უბედური, — ფიქრობდა გზადაგზა ლეონი, რომელსაც გვერდით დარცხვენილი აფანასენკო მისდევდა, — მთელი მისი ქვეყანა დაუქცევიათ... ნორას სად შეუძლია ახლა ასე ადგეს და ლეიბი და საბანი ათროს... ანდა იმ ბეოლებს მხარზე ვინ მოიდებს... შე კიდევ ნაწილის უფროსს... კომისარს რომ არ მოესწრო, სკამს დაეარტყამდი თავში»...

სალამოს, როცა მანქანებიდან გარები ჩამოცალეს, ლტოლვილები ჩახხეს, რომ რკინიგზის სადგურამდე გადაეყვანათ და იქიდან საბრძოლო საკუთრველი წამოედოთ. ურიკიანი ბიჭი იმდენად შორს გადასულიყო გზიდან, მიწაყრილზე საზიდარის ამოთრევაში ასლა დედაც ეხმარებოდა და მინც უჭირდათ. ბაკური მისაშველებლად ჩავიდა დაღმართზე, მაგრამ ბავშვმა მშინვე ხელი უშვა ხელნის თავს და ურემს აეფარა, თითქოს ეშინია, ეს ჭარისკაცი ურიკას ვერ დაინახავს, დაეტაკება და კისერს მოიტეხსო.

ბაკურმა თავზე ხელი გადაუსვა: ნუ გეშინია, ბრმა კი არა ვარო.

ბიჭი ქვევიდან ამოაჩერდა და შეეხვეწა:

— თქვი რაიმე, ბიძია...

ბაკურმა ქალს შეხედა: რას მთხოვს

ეს ბავშვი, მუნჯი ხომ არა ვგონივარო.

— ერთ ჭარისკაცს მიგანსვავსათ... ბაკურს გაელიმა.

პატარა ლტოლვილი იმ ღიმილზეც დაფრთხა:

— დედა, რატომ არაფერს ამბობს?

— რა ვინდა ვითხრა, მითხარი და გეტყვი.

ბიჭმა თავი გააქნია და ურიკას მიუბრუნდა.

— ნუ გაგიკვირდებათ, — უბოდიშოდ ახსნა ქალმა, — ბავშვია, ამას გარდა, ჩვენ რომ თავს გადაგვხვდა, ბავშვს კი არა, დიდს ნუ აჩვენოს ღმერთმა.

ბაკურმა ქალს საზიდარზე ხელი გააშვებინა და ბიჭს მიშტერებულო, აღმართზე მანქანისაკენ გვერდულად წავიდა. იქ ბესომ ურიკა აიტაცა და ძარაში ჩაღვა.

ბავშვი ბაკურმა აიყვანა.

— ვიტყვია... — უთხრა, როცა თავის ბარგზე დასვა, — არ გეკადრება!

ბიჭმა თავი ორქოფულად დააქნია: არც შენ გეკადრება ასე ენაშუებორძიებლად რომ ლაპარაკობო...

VII

საპერო თავდასხმა, რომელიც ტრამალზე გაბაჩრულ პოლკს დაატყდა, შელამებისას დამთავრდა. თავდასხმელს იგი ერთი თვითმფრინავის ფასად და პოლკს საველე საშარეულოდ დაუჭდა.

ბინდთან ერთად მითქმა-მოთქმაც გაჩნდა: ერთი მზარეული დაღუპულა და ორი დაჭრილა, თუ ორი მომკვდარა და ერთს კიდევ სულ უდგასო.

მზარეულის დაღუპვას ომში უფრო ნაკლებად მოელიან, მაგრამ ვინც ოთხკლასიანი სკოლის ეზოში დასვენებული გაიდუკოვი თავისი თვალით ნახა, დაუჭერებლად აღარაფერი მოჩვენებია და არც ის სულსშემსუთველი ტკივილი უგრძენია, როგორც მოსალოდნელი იყო განეცადათ იმათ, ვისაც მზარეული თავისი ნახელავით აბურებდა. მას ყვე-

ლაზე დიდი უფლება ჰქონდა, მისი და-
 ლეპვა სხვაზე მეტად, უფრო მეტი გუ-
 ლისტიკილით ეგლოვათ. ის არ იყო
 ჭარისკაცისათვის ვინმე პეტრე ან ივანე,
 რომელიც თავის საქმეს აკეთებდა
 და თავის ჭირსა და ვარაშს მიათრევდა.
 ეს ცხელ ქებათან მოფუსფუსე ბიჭი
 რასაც ამზადებდა, ყველასათვის ამზად-
 ებდა და დღეში ორჯერ-სამჯერ უბ-
 რუნებდა თვითვეს, რაც დედასთან,
 ცოლთან და დასთან დატოვებს. იქნება
 წყალწყალა, უგემური და უღიმილო
 იყო, რასაც ის საცოდავი აცოდებდა-
 და, მაგრამ მას მაინც ჰქონდა ჭარის-
 კაცებზე ამაგი და ახლა მათი დამპყრე-
 ბელი მარჯვენის მიწაში დასალობად
 დამარხვა, ბატალიონის მხოლოდ ერთი
 კაცით შემცირება არ უნდა ყოფილი-
 ყო. მაგრამ გაიდუკავმა თავისი ხალი-
 სიანი სიცოცხლის დაკარგვით გააუფა-
 სურა სიკვდილი და თავის ნაცნობ და
 მეგობარ ბიჭებს სკოლის ეზოს კუნძუ-
 ლიდან ისეთი სევდით და დარდით დაუ-
 მძიმა ისედაც ჭარისკაცული მძიმე
 მხრები, — ახლა ასე ახლობელი მზა-
 რეულების დაღუპვის ტკივილი ველა-
 რავინ იტვირთა. არც არავინ მოინდო-
 მა, უფრო დაწვრილებით გამოეკითხა,
 და უბრალოდ არ დაიჭრეს, ან თავი
 აარიდეს სინამდვილის გაგებას, მით-
 უმეტეს თავისი თვლით ნახვას.

მაგრამ იმდამინდელმა უვახშობამ
 (ის ღამე რატომღაც უფრო ცივი გა-
 მოდგა) და მეორე დღის ნაშუადღევს
 ძლივს თავმობმულმა სადილმა, პირვე-
 ლი კოვზი კერძის აღებისთანავე თქვა.
 რომ თუ სამივე არა, ერთი ბუზღუნა
 ბიჭი — „დამატება არ გამავართ“,
 მართლა სადღაც გამჭარალიყო და ყვე-
 ლას, ყველას, მათ შორის ბესოია
 კინწურაშვილსაც, თითქოს მდღუარეში
 ჩავარდნოდეს, ისე მოეწურა გული.

ბესოიას თავისი ჭარისკაცული წილ-
 ხვედრი კი არა, ერთი „დამატებაც“ არ
 შეელოდა. ჭანჭავარი გლეხი იმას, რაც
 მის წილობაზე ერგებოდა, გადაყლაპ-
 ვისთანავე კისრთან ინელებდა და მერე
 მუცელს იმით იყორავდა, რასაც ამის

შემდეგ მისცემდნენ. მზარეულს ჰქონდა
 სინდისი; ბესოიამ დაკარგა ის, ვისაც
 მისი შიმშილი და წყურვილი ვერასო-
 დეს დაიფიქვებდა, როგორც ძუძუმწო-
 ვარა ბავშვი საკეთარ დედას.

იქნებ არც იმ დღეს ეთქვათ კინწურ-
 რაშვილის წინწამოვარდნილი ნიკაპისა-
 თვის უარი დამატებაზე, მით უმეტეს,
 წინა ღამით ორი ორცობილა მზესუმ-
 შირასავით სადღაც კბილებში ჩარჩა და
 მის კუჭს არაფერი ღირსებია, მაგრამ
 ბესოიამ კარდალა გაურეცხავად ჩა-
 ჩურთა ჩანთაში და „დამატება-მზარე-
 ულის“ სსოვნას პატივი სცა.

ბაკური ამან იმდენად გააკვირვა,
 რომ მისთვის აქამდე აუხსენელი: „ის
 გოგო ჩემიანი რომაა, იმიტომ კი არ
 ვამბობ“... ერთბაშად გასაგები გახადა
 და თვალეზი აუხილა.

ეს უენო გლეხი ისე მარტივი და
 „ორჯერ ორი თხზია“ არ ყოფილა, თუ-
 რმე შეიძლება ადამიანი გაიცნო იქ, სა-
 დაც ეს ყველაზე ნაკლებადაა მოსი-
 ლოდნელი. იქნებ ბესოიას გულისწყვე-
 ტა სწავლაზე იმით კი არაა გამოწვეუ-
 ლი, რომ იგი მუშის მძიმე ხვედრს გა-
 ურბის, ან უფრო მსუქანი ლორი უნდა
 აათალოს ამ ქვეყანას, იქნებ სწორედ
 ეს სტანჯავს, რომ მას არ შეუძლია
 გულს შეგნით მოქცეულ სამყაროს გზა
 მისცეს და დროშასავით ენის წვერზე
 გადმოკიდოს. მას გუგუტა უბრალოდ,
 დედაბრტულად კი არ ებრალება და მა-
 ქანკლურად კი არ ცდილობს მათ შო-
 რის უღვთოდ ჩანგრეული ხიდის შე-
 კონწიწებას. იგი უთუოდ ხედავს მათი
 გაუთიშველობის აუცილებლობას, რო-
 გორც თავისი ძლიერი სხეულის მთლი-
 ანობას.

არ დაქორწინდა ბესო, როგორც სხ-
 ერთოდ ხდება, მომწიფდება გლეხი თუ
 არა, მაშინვე ვინმე დედაბერი მოადგე-
 ბა და უბიდან თვალეზგაშეშებული,
 ლოყებდაბერილი გოგოს სურათს ამოა-
 ძვრენს...

გაღია ეციენამ იგრძნო რაღაც ამ
 კაცში ქალური ალღოთი და გომანით.
 ბესო არაფერს ამბობს ამ გოგოზე, მა-

გრამ მისკენ ვული მიუწევს აშკარად; თუმცა ბაკურს თავის სოფელში მსგავსი რამ არასოდეს გაუგონია, მაგრამ იქნებ აქ მოხდა პირიქით, — ენის უცოდინარობამ გახადა მეტი რამ გასაგები, ვინემ იქ, სოფელში, სადაც კინწურაშვილი ამით თავს ვერ იმართლებდა. აქ უნდა გაეგოთ მისთვის, იქ კი მოთხოვდნენ — ეთქვა. ბესო ორივე შემთხვევაში მუნჯად რჩებოდა, მაგრამ ახლა „მეტყველი მუნჯი“ იყო და იმ დამით ჩაფლულ მანქანასთან რაც ბაკურმა თარგმნა, სწორედ რომ სიტყვა-სიტყვით თარგმნა, თუმცა ბესოთის ის არ უთქვამს. ბაკურმა სწორად გაუგო, რაც კინწურაშვილს ვულში ედო.

„აი, გუგუტა ხომ არაფერს ამბობს, ფოთოლა კი იმდენს ქაქანობს... იქნებ ბესოიაც უფრო მეტს ხედავს, ვინემ ჩვენ გვეგონია? როგორ მოხდა, რომ სხვა ეროვნების ქალმა, ეივინამ, მეტი დაინახა ამ კაცში, ვინემ ჩვენი სოფლის ბესოსთან თანშეზრდილმა ქალიშვილებმა? იქნებ ენა ზოგჯერ ისეთივე ბორკილია, როგორც უენობა? რაკი ენა გაქვს, თქვიო, გეუბნებიან და რაკი რალაცას იტყვი, ამას იქით არაფრის დანახვას არ მოინდომებენ“.

ბაკურმა სიყვითლეშეპარულ კენკარის ძირში სარმაგამოსმულივით მიგდებული ბესოთის გვერდით დახვეული მახარა დადო და თვითონაც მიუწევა.

— ბესოია...

— არ დამიწერია წერილი. — აალაწუნა კბილები კინწურაშვილმა.

— მაგას არ გეკითხები.

ბესოთის ხმა აღარ გაუღია.

— პაჭიე გახსოვს?

— ვინ?

— პაჭიე.

— მუნჯი?

— ჰო, მწყემსი პაჭიე...

ბესოთამ მადლობით შეხედა ბაკურს: მი რომ მახსოვს. მახსოვს, მაგრამ შენ რამ მოგაგონაო.

— რამ მოკლა პაჭიე, თუ იცი. ისეთი ჯანლობით სავსე კაცი?

— ჩემს მეტი სოფელში ხელს ვე-

რაინ ვერ კიდებდა და მეც თუ გახსოვს, რა დღეს მახსოვდა...

— ჰოდა, რამ მოკლა ხომ არ იცი, მე მაშინ თბილისში ვიყავი.

— დარდმა...

— მოიცა, ბესოია, რა პქონდა სადარდო. ან რა იცოდა, დარდი რა იყო.

— სადარდებელი ვისაცა აქვს... — ენა ველარ მოაბრუნა და კბილები გაალაწუნა.

— ჰო, ვისაცა აქვს, იმას ეცოდინება, მართალია...

— მოიკლა თავი...

— ეს არავის არ უთქვამს.

— იგი მუნჯი იყო... არც წერა-კითხვა იცოდა.

— რა იქმა უნდოდა. თუ არ იცვირე, ან ძალიან გასაგებად არ დაწერე, ისე ვის რას ვაგებინებ...

— თავი ხეზე კი არ ჩამოუბრჩვია, არც თოფით...

— ვიცი, ასე რომ ექნა, სოფელიც დაინახავდა.

— ისე მოიკლა...

— მართლა უყვარდა ის ვეტეკიმი ქალი?

ბესოთამ თვალბში შეხედა ბაკურს, თქმით არაფერი თქვა.

„ბესოს ჰგონია. არაფერი მესმის უთქმელისა, ისე, როგორც მე მეგონა — ამას არაფერი გაეგებოდა და მიუხედავად ამისა და ვულუბრყვილობისათვის მიყვარდა“.

— მერე იმ ქალმა არაფერი იცოდა?

— იგი ნასწავლი იყო, ექიმი.

— პაჭიე მუნჯი...

— ყრუც. — დაუმატა ბესოთამ ყრუდ და წამოჭდა. იქვე დაგდებულ თოფს იდაყვი გადაუსვა, მტვერი და ბალახის თესლი მოაცილა.

— მიწერე წერილი... — დაღწეული ძვალვით გადმოყარა და ადგა.

— ბესოია, შენ არ იცი... — ჩანთის ღვედებში მკლავები გაუყარა ბაკურმა.

— მაინც მიწერე.

— შენ გგონია, ამით რამე შეიცვლება? ყველაფერი ისევე ისე იქნება.

კინურაშვილი უკანმოუხედავად მი-
ლაჩებდა და ბათისკების ღრმა ნაკვა-
ლევს ტოვებდა.

VIII

მდინარის გაღმიდან ჩრდილო-და-
სავლეთის ძლიერმა ქარმა დაშურის,
რუჯის და ნაცრიანი მტერის სქელი
სუნი მოიტანა. მარჯვნივ ახოლებული
ნაქალაქარი ჩანდა, მაგრამ ქარს მისი
კვამლი სამხრეთ-აღმოსავლეთით მია-
ქონდა და ტყის პირას შეჩერებული
ქარისკაცები თვალით სხვას ხედავდ-
ნენ, ცხვირით სხვა სოფელ-ქალაქის
ფერფლს ულაპაუდნენ და შთაბეჭდი-
ლება ორმაგად ამაზრუნეი იყო. რასაც
თვალი ხედავდა და არ ხედავდა, ყუ-
ლაფერი ვადაწევათ და ვადაგებუვათ.
თითქოს აღარაფერს აზრი აღარ ჰქონ-
და: რისთვისაც უნდა ვებრძოლა — მი-
წასთან გაესწორებინათ, ვინც უნდა ვა-
დაგერჩინა — მოეკლათ, რაც სიცოცხ-
ლეს ვაიძლებდა — იმისგან ნაცარტუ-
ტა იყო დარჩენილი და იმასაც ქარი
იტაცებდა.

შეღამებისთანავე მშვერავები ვაი-
უნავნა, თითქოს უამისოდ არ შეიძლე-
ბოდა სცოდნოდა კაცს, რომ ვინც ეს
სოფელ-ქალაქი, ხე და მიწა ვადაბუვა,
იგი ხიდს არ დატოვებდა: თუმცა ვითა-
რებასაც ვაჩინა. ზოგჯერ იმას, რაც
თვითონ სჭირდება, მტერი ხელუხლებ-
ლად ინახავს; უთუოდ შტაბმა ამის ამო-
ცნობა მოინდომა: რა ელო ამჯერად მო-
წინააღმდეგეს ვუნებამი.

მტერს თურმე მდინარის იქითა ნა-
პირი ჯერ კიდევ მალანად ვერ დაე-
პყრო, თუმცა ალბათ უკვე თავისად მი-
აჩნდა, და წყალთან მომწყვდეული ჩვე-
ნები რომ კვლავ წინააღმდეგობას სწე-
დნენ, ვაგულისებულს ვადმა კი არა,
აქედან რომ არავის ვაგებდა მოახლოე-
ბა, ვამოღმა ნაპირიც მიწასთან ვაესწო-
რებინა. ხიდი კი ჯერ დანანებოდა და-
სანგრევად; როცა იქაურობას მოსპობ-
და, თვითონვე დასჭირდებოდა, მაგრამ,
სანამ მდინარესთან მომწყვდეულებს

კავშირის იმედი ექნებოდათ, მათ წინააღ-
მდეგობას ვერ ვატეხდა, ან ამ ხი-
დით უკან დაისვენდნენ, პირწმინდად ვა-
ნადგურებას ვადარჩებოდნენ და რასაც
დაკარგავდნენ, თვითონვე ააფეთქებ-
დნენ. ამიტომ მოგვიანებით ხიდიც დაე-
მსხვრიათ.

საპაერო დაბომბვა და საარტილე-
რიო ცეცხლი ვერმანელებს დაღამებ-
მდე ერთი საათით ადრე შეეწყვიტათ,
რომ ხაფანგში მომწყვდეულებს დღის
სინათლესე ყოველივე კარგად დაენა-
ხათ და არავის ჰგონებოდა, თუნდაც
მდინარის მეორე მხარეზე რაიმე ვა-
დარჩა ისეთი, რისთვისაც კიდევ ღირ-
და ბრძოლა. მათ აზრით, რუსები ცხად-
ლივ უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ
არსაიდან ხსნა არ იყო და დიღამდე
აეწონ-დაეწონათ, თუ კიდევ რამე სა-
კოქმანო ან დამაფიქრებელი იყო და
დილით უბრძოლველად დანებებული-
ყვნენ.

მშვერავებმა ის ამბავი მოიტანეს,
რასაც მანამდე თვალით ხედავდნენ: ქა-
ლაქი დაკლილი და დანგრეული იყო,
ხიდი დაღეწილი და წყალს ვატანებუ-
ლი. მართალია, ჯერ აქეთ მტერი არ
ქაპანებდა, მაგრამ ის, რაც ამათ ევალე-
ბოდათ: მდინარეზე ღამით ვადასვლა,
სისხლისაგან დაკლილ ჩვენს ნაწილებ-
თან ტყვია-წამლის შეტანა და მორა-
ლურად ვამაგრება, შეუძლებელი ჩან-
და, რაკი ნაპირზე ორი ფსკერავაგარდნი-
ლი ნავის მეტი არაფერი შეუნიშნავთ.

- ამდენხანს რა იყო, ბესოია, თვა-
ლის სერიი ახლა იწყება...
- ვინ ვეძახდა? — ვერხვის ფეს-
ვებთან ჩათვლემიღმა კინურაშვილმა
თავი აიღო და ხის ტანს მიბაჭინა, ტყე-
ში ჩამოპარული მთვარის უღიმღამო
შუქზე მის წინ ატუხულ ბაქერს ასე-
და.
- სემინასტნი.
- მერე, რატომ აქ არ მოვიდა? —
რაღაც იაზრა და კბილზე კბილდაჭერი-
ლი დაილურსა.
- შენი მოერიდა ალბათ.
- ის შობელქაღლი კლიმოვი ვე-

ძახის? — ძაღლის ძვალივით გახრა ბესოიამ სათქმელი.

— შე კაცო, თავის საქმეზე კი არ გვეძახის.

— რა უნდა!

— რა გითხარი მე შენ. ამდენხანს ჩვენ საქორწილოდ რომ მაყარი ემზადება, ისე ვიყავით...

— სადაა „ქორწილი“?

— არც ისე შორს, ჩემო ბესოია. გაღმა ნაპირზე.

— ეს ნასწავლი ხალხი...

— კი, ბესოია, კი. თუ თვეში გინდა, ფეხის დასველებაც უნდა გინდოდეს.

— რა თვეში მინდა.

— რა ვიცი, თუ გინდა...

— რა თვეში მინდა! — წამოვარდა კინწურაშვილი.

— არ ვიცი, ბესოია, კლიმოვის ეცოდინება.

— რა უნდა, მდინარეში მახრჩობს?

— დასახრჩობად კი არა, შენს იმედზეა ქვეყანა. ჩვენი ჯარია იქითა ნაპირზე მომწყვდეული, მშვიერ-მწყურვალი და თანაც უტყვიანაშალოდ. დილამდე კავშირი უნდა დავამყაროთ.

მდინარის გაღმა შუშხუნა ავარდა. ბნელ ტყეში ხეებს შორის აბრეშუმის ქსელის ძაფებივით გააბა კონა-კონა სხივები.

— არა, ისე, კაცმა რომ თქვას, ლამაზი კია...

— გაჩუმდი! სემინასტინი რა თქვა?

— ვუთხარიო, საქართველო მთიანი ქვეყანაა, მაგათი მდინარეები ჩქარია, მაგრამ ასე, მუხლებამდეაო. ამსიფართე მდინარეზე ცურვით გადავლენ თუ არა, არ ვიციო.

— მერე...

— ზღვა იქვე არა აქვთო?! — მოუპრია კლიმოვის.

— მე რომ მთელი ზაფხული ოფლში ვცურავდი, თუ იცის მაგ მკედარძაღლმა? — დაილეწა კბილები ბესოიამ.

— უთქვამს ანატოლის, ბესო გლეხია, ავარაკებზე კი არ იჯდაო.

— ჰო...

— მაგათთან ზღვა უსე (ზხილდა) იანვარშიც იბანავენს კაცნიო. დასწორედ უთქვამს.

— ჰოდა, თუ სწორი უთქვამს, წამიყვანე, დამკიდე გულზე ქვა და ვადა-მაგდე! — ბესოიამ, თუ რაიმე ებადა, ხელები წამოუსვა და ისე გულზე ახორხლილი წაიღო, ტყიდან გავარდა.

— მოიცა კაცო, მარტო მე და შენ კი არ მივდივართ, ან ასე, წყალში კი არ უნდა გადავცვივდეთ!..

— აბა როგორ, ან ვინ გადაგვაგდებს? — შეჩერდა თოფ-ნიჩაბ და ჩანთა-მაზარა გულზე აკრული.

— სადღაც ნაპირზე მოსახლეობაში უნდა მივდგე-მოვდგეთ, რაღაცა უნდა ვიშოვოთ.

— მოსახლეობა სადღაა?

— იქნება ვიღაცა...

— მერე ახლა ჩვენი თავი აქვს დაქცეულს და ამოწყვეტილს, თუ კიდევ ვინმეს სული უდგა?

— აბა, ასე ჭრისტესავით წყალზე ხომ ვერ გაივლი...

IX

კლიმოვის ასეულიდან რომ მაინცადამაინც ივანოვის ათეულს დაევალა მდინარის ვადალახვა, მტრის ყბაში მოქცეულ თავისიანებთან კავშირის დამყარება და დახმარების გაწევა, ათმეთაურმა კლიმოვსა და კინწურაშვილს შორის თავიდანვე ჩამოვარდნილ უსიამოვნებას დააბრალა და ახლაც, ამ ჭოუტ გლეხზე დაბოღმილმა, მდინარის ნაპირს რომ აუყვენენ, უბრძანა:

— კინწურაშვილო, იარე წინ!

— მე რატომ მიშვებთ წინ? — ჰკითხა უდანაშაულო ბესოიამ ბაკურს.

— ალბათ ნამყოფი ხარ აქ, არ გახსოვს და სემიონ სემიონიჩმა კი იცის.

— მაგენი მე... — გამოლერდა ხმაურით ბესომ.

— არაფერია, შე კაცო, — მხარდამხარ გაპყვა ბაკური, — ვიღაცა ხომ უნდა დაწინაურდეს, ერთ ხაზზე ჩამწკრივებული ხომ ვერ ვივლით.

— თვითონ წაიღეს, აქაური.
 — რა აქაურია, სადღაც ვორონე-
 ეის ოლქის სოფლიდანაა...
 — ლაპარაკი! — აკრძალა ათმეთა-
 ურმა.

— ბაკური, რა უნდა ჩემგან, ჰკით-
 ხე ერთი..

— ნუ ბუზღუნებ, მეგობარო, მეც
 შენთანა ვარ, — წამოეწია სრული ბა-
 თინკების ჩლახუნით გორბატოვი და
 ბესოს მეორე მხარეზე გაჰყვა: ბეჭზე
 რომ ვერ მისწვდა, ხელი წელზე მოხ-
 ვია.

ბესომ კბილები გაალაწუნა და მდი-
 ნარის ნაპირზე ჩაუხვია, ალბათ ითმე-
 თაურს რომ არ უთქვამს, იმიტომ გაა-
 კეთა.

უკან მომავალი ივანოვი და კარგად
 ჩასუქებული კონოვალოვი ფეხდაფეხ
 მიყვნენ. მეთაური მაშინვე გაიბერა:
 განკვირვებით ჩაუხვია. მაგრამ რაკი წინ გა-
 უშვა, ახლა იძულებული იყო კვალში
 ჩადგომოდა.

— არა, ნუთუ რაიმე ეგულებათ აქ
 ისეთი? — კითხვობდა გულგახეთქი-
 ლი კონოვალოვი ბავშვით, წყაროზე
 რომ გაგზავნიან და კოკა არ გატეხო-
 სო, წინდაწინ გალახავენ.

— სიჩუმე! — პასუხობდა დაბოლ-
 მილი ათმეთაური, მაგრამ ამ წუთსაც
 გაიდუკოვის დაღუპვით დამწუხრებული
 კარხანოვის და მისი ათეულის მაინც
 არ შერდა. სემიონ სემიონის ბესოზე
 ემღერებოდა გუნება: აქ სხვა ათეულე-
 ბიც იყო და თუ კინწურაშვილის გადა-
 მკიდეს ყველა საზიფათო და სასიკვდი-
 ლო ოპერაცია ყოველთვის ივანოვს და-
 ევალა, ღღეს არა. ხვალ გარდაუვალი
 დაღუპვა ელოდებოდა. იყო თუ არა ბე-
 სო ამაში დამანაშავე, ახლა მეთაურს
 ამის განსჯის თავი არა ჰქონდა. კაცმა
 რომ თქვას, არც თვითონ ივანოვს წა-
 მოუწყია ეს ომი და არც მისი სამხედ-
 რო-სტრატეგიული შეცდომაა, რომ
 ჩვენი ჯარები გაღმა, მტრის მარწუხებ-
 ში მოექცნენ.

ნაპირიდან კარგა მოშორებით შეშ-
 ხუნები აბრიალდა და ზუთივე ჯარისკა-

ცი ისე დაენარცხა კბოდეს მტრის წინააღ-
 ნოვს ენის მობრუნება არ მძინუნებოდა

საღღაც დაბომბილი ქალაქის გარე-
 უბანთან, ორი ფსკეოგავიარდნილი ნავი
 უნდა ყოფილიყო. იქ მისვლამდე ჭურ-
 ვის ამონაგლეჯ უშველებელ ძაბრში
 გადაცვივდნენ და სანამ წამოდგომას
 მოასწრებდნენ, ისევე აბეღვივდნენ
 შუშუნები. ამჯერად თავმესაფარზე
 თვითონ მტრის ეზრუნა, წუხანდელ
 ორმოში ვადავიარდნას უბრალოდ არ
 ჩაუვლია.

ჩამობნელდა და გზას ბორძიკით გა-
 ყვნენ, მაგრამ ნაპირი უფრო ნაკლებად
 იყო დაბომბილი: გარდა ამისა, საღაც
 ამონაყარი ბელტი მომრავლდებოდა,
 კინწურაშვილი უკვე გრძნობდა —
 ძაბრიც აქვე იქნებოდა და გვერდს უქ-
 ცევდა.

როგორც იქნა, ქალაქის დასაწყისს
 მიაღწენ.

ქვევიდან, მდინარის გასწვრივ ფეხ-
 აკრფით მიმავალმა ბესოიამ მალა,
 კალაპოტის კედლის თავზე ჩამავალი,
 ნამლევა მთვარის შექვე ღობის და
 ღობეში ჩატანებული ტოტებჩამომსხვ-
 რეული ზის აჩრდილი დალანდა და ფე-
 ხი მისაო.

ივანოვს ამასობაში მოაგონდა, რომ
 მის მიერ წინ გაგზავნილ ჯარისკაცს,
 სადმე თავისი ხელით გადამალული ნა-
 ვები ან ტივები არ ჰქონდა და მათ
 პოვნას, მით უფრო ბნელში, ვერ მოა-
 ხერხებდა.

ათმეთაურმა წინ წაიწია და კბოდენ
 ძირში ჩაწვა იმ იმედით, გაღმიდან ისევე
 გაანათებენ და აქაურობას მოვითვლი-
 რებო. მაინცადამაინც ამჯერად მოი-
 ნდომა მტრმა შუშუნები დაეზოვა,
 თუ ასე რომ სჭირდებოდა ივანოვს,
 იმიტომ არ დაადგა საშველი. ბოლოს
 ინათა და ნაპირის თვალსაწიერში. თი-
 თქმის ქალაქის შუაწელთან ჩამვიდ-
 ბულ ზიღამდე ნავი კი არა, ფიცრის ნა-
 ტები არსად ჩანდა.

ბესომ მდინარის ღრმა კალაპოტში
 ასევე ღრმად შემომავალი ზევი შე-
 ნიშნა, რომელიც ღობიან კბოდენ გა-

დალმიდან უერთდებოდა. ბაკურს და სენკა გორბატოვს ხელები მთავია და ხვეის ვიწრო, ტალახიან ორწოხებში შეღალა, მაღლა რომ ორივე მხარეზე დამრეცად ფართოვდებოდა და მარცხნივ კედლის თავზე ისევ დაკბილული ღობით, ჩეჩმით, საქათმეებით თუ სალორეების სილუეტებით ბოლოვდებოდა.

სემონ სემიონიჩმა და ჩასუქებულმა კონოვალოვმა უხმოდ შემოსდიეს ხევში: როგორ, წინ თუ ვაგიშვით, არ მოგდევთ და არჩეულ გზას გიწუნებთო, თუ?

ხევი ერთ დროს სიცოცხლით სავსე ქალაქის გარეუბნის ნარჩენებით, ნეხვით, ნაკელით ყარდა და ასლა აქაურობით უფრო შეიძლება ამ უბნის აეკარგაინობაზე ვარაუდის დადგენა, ვინემ მაღლა ასვლისას.

ბესომ იქვე, პირველ-მეორე მოსახლის სახლართან აუხვია, სადაც ორი, სხედასხვა კაცის ნახელავი ღობე ილანდებოდა და ციკაბოზე აფორთხდა. მაღლა-მაღლა კბოდე მშრალი იყო და გაჭირდა ბათინკებით ფეხის მოკიდება, მაგრამ წვიმების დროს ჩამოტანილ ნაკულზე ამოხეთქილმა ბალახმა, პირუტყვს რომ პირი არ დაეკარებია, ახლა ბესოს მძიმე სხეულიც კი დიმიავრა და ჭარისკაცი ზევით-ზევით აჰყვა. ხელში მოსრესილმა ნახეირებმა ბალახმა ვლენის ბიჭი ნოყო შმორის, სარეველებში ნეხვს გამოყოლილი ბოსტნეულის თესლით მომრავლებული ოხრაბუშის, ბოლოკისა და ქლაკის მძაფრი, ტკბილ-მწარე სურნელით და მიწის გემოთი გაეღინთა.

მაღლა ამძვრალი ჭარისკაცი ღობის ძირში ჩამოვდა და ფეხები ქვევით, ხევისკენ ვაღმოკადა. მაშინვე ერთზე ბაკური მოეპოტინა, მეორეზე — სენკა. იფანოვმა მარჯვნივ გაუხვია, მოშორებით ამოფორთხდა და კინწურაშვილის ქვევით ჩაკიდებული ფეხები ჩასუქებულმა კონოვალოვმა დაისაკუთრა: ამ ხევის კედელს რომ ამოჰყვა, მას რაღაც მუსიკალური სუნთქვა აუტყდა

და მეთაური რამდენს არ აფორთხილებდა, რა დროს სტვენნაო, აქამდე მანც ვერ გაეგო, ვინ იყო სტვენისა და სიმღერის გუნებაზე.

— აქ რაღაც ქოხმახებია გადარჩენილი! — თითქოს ღობეში ნაგაზმა თავი შემოჰყოო, ისე ამოიღრინა ბესოიამ და შარვლის ჯიბეში ჩაბნეული წეკო თითებით მოეფოთნა.

— აი, ვილაცა კიდევ უნდა იყოს დარჩენილი... — თქვა ბაკურმა რუსულად, როცა ღობის იქით დამფრთხალმა მაღლმა წმებტუნით გაირბინა და ქოხმახთან გაქრა.

— მივიდნენ და ელაპარაკონ, ჩემვან რა უნდათ! — ვანეული ხელით დაკეცილ ვახეთს ვულჯაბეშივე ჩაახია ერთი ფურცელი და გალიფეს ჯიბის ყურში მიკალაღებელი თამბაქო ოთხი თითით ისე ამოიღო და ქალაღზე დაყარა, ფიციკვი არ გაეარდნია.

X

ათმეთაურს კინწურაშვილისათვის არც მოწვევა აუკრძალავს და არც გაუფრთხილებია. ბაკურს და გორბატოვს უბრძანა გაჰყოლოდნენ, ღობეს აედევნა იმ ქოხმახის გასწვრივ, სადაც ხმაწართმეული ძალლი გაუჩინარდა და ქანგაინი ხმელი მავთულით გამოკრულ კუტიკართან გაჩერდა, სანეხვესთან რომ გამოდიოდა.

ბაკურმა ისეთი უხერხულობა იგრძნო, თითქოს გასაძარცვავად მიდგომოდეს ისედაც დაზარულ ოჯახს და წინ გორბატოვი გაუშვა, თვითონ სულ ბოლოს აედევნა კუტიკარიდან ქოხისკენ მიმავალ, გატყეპნილ ბილიკს.

კარგებზე ფრთხილად დააკუნებას ბაიბური არ მოჰყოლია. ძალლი აწუწუნდა ისევ სახლის მეორე მხარეს და მაშინვე ისიც გაილურსა.

ბაკურმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

— თქვენთანები ვართ! — იჩურჩულა ფანჯარასთან ამრდილივით მიახლოებულმა გორბატოვმა და მაშინვე

გაისმა ოთახიდან მინებთან მოდარაჯე-
ბულის ხლიჩინი.

- ჩვენები?..
- თქვენები!
- ესე იგი...
- წითელარმიელები!

ფანჯრის მინებზე შიგნიდან მოტმა-
სნილი მუქი ქსოვილის ყური ცერის
ფრჩხილის ტოლაზე გადაიწია და ბა-
კურს მთვარის მკრთალ შუქზე მოეჩვე-
ნა, რომ არც ასეთი სიფრთხილე და
არც ის თვალი, რომელიც ამ ქუქურ-
ტანიდან გამოკრთა, ამ ხლიჩინა ბანის
პატრონს არ ეკუთვნოდა.

— რაკი ჩვენები ხართ... — თქვა
ბანმა, თითქოს თუ მართლა ჩვენები
არა ხართ, გირჩევნიათ ახლავე თავს
უშველოთო.

ცალი კარი ღრბოდ მოიღო.

— რალაც სინათლე მაინც აგენ-
თოთ... — უკან დაიწია ივანოვმა, ერ-
თი პირობა რომ შეძრომა დააპირა.

— სინათლე მოინდომე! — გაიკვირ-
ვა ხმაწარმთეულმა ქალმა.

— მაშინ გარეთ გამოვიდეს ვინმე...
— დაიბნა ივანოვი.

— რა უნდათ ამ ეშმაკის კერძებს!..
— წარმთეულმა ხმამ უკმეხობა და

სიცივე დაიბრუნა.

— ჩვენები... — აუხსნა ისევ ბან-
მა, თავისთვის უფრო რომ არწმუნებ-
და, ვინემ ქალს.

— ეშმაკსაც წაუღიათ ვინც არიან,
რა უნდათ?!

— იტყვიან, ალბათ.

— თქვან და ჯანდაბას იქით წავიდ-
ნენ!..

კარი უფრო ფართოდ მოიღო და
მან, ვინც შიგნიდან მოფარებული ცალი
თვლით და თეთრი წარბით იტყობო-
და, კარებში ნახევარი სახე გამოაჩინა.

— ივანოვი, სემიონ სემიონიჩი. —
ხელი შეჰყო ათმეთაურმა კარებში ჩა-
მოსართმევად.

„ალბათ მე შემეყოლიებს“ — გაა-
ჭრეოლა ბაკურს, თითქოს სუსხიან
ჭარს მოებეროს, — რაკი ახლა იქ შე-

სვლა სიკვდილივით არ მინდოდა...
— ამალღობელი, ჩემო...
ბაკური გაიწურა და ივანოვის
ზურგს უკან აიტუნა.

— ივანოვია, სემიონ სემიონიჩი. —
აუხსნა ხლიჩინა ბანმა თავისიანებს.

— აჰ, ივანოვია? შემოუშვი, შემო-
უშვი, ბაბუა დანიელ, მავასთან მე საქ-
მე მაქვს!

სემიონმა უკან დაიწია და ბაკურს
მოაწყდა, მავრამ შესასვლელი უკვე იმ-
დენზე მოიღო, ივანოვი კი არა, ბესოც
გაშლილი ბეჭებით შევიდოდა.

როგორც კი სასლში აღმოჩნდნენ,
კარი მაშინვე მოხურეს და ბაკური იქ-
ვე დარჩა, კედელზე მიყრდნობაც ვერ
გაბედა.

ასანთს აკანკალებული ხელით გა-
კრეს, თუ სველი იყო და არ მოეცადა,
ისევ და ისევ გაახანკუნეს, მუქში ან-
თეს და უშუშო ლამპის ჩაწეულ პატ-
რუქზე მოლურჯო ალი აცრიატადა.

ბაკურმა უხმაუროდ, ნახევარი ნა-
ბიჯით უკან გადაინაცვლა და სემიონის
თავს მოეფარა. ოთახის მოთვალეირე-
ბას აპირებდა, რომ კედელთან მიდგმუ-
ლი საწოლის წინ გამომწვევად დოინჯ-
შემოყრილ ქალს წააწყდა. ქალის უმ-
კერდსაკრავო საფე ტუქუები და ბო-
ლომდე შესწნილი საკინძე არავითარ
ვნებას, ჯარისკაცი რომ სის კერპშიაც
მოახერხებს დაინახოს, არ იწვევდა. იქ-
ნებ იმიტომაც, რომ ქალს კაბის კალთა-
ზე მამაკაცის ბლუნა ჰქონდა წინსაფა-
რივით აკრული და სახელოებით ფარ-
თო მენჯზე უკან ჩანასკვული.

— ივანოვ, სად დაბრძანდები შენ?!

— ჰკითხა ქალმა, ქარიშხლის წინ რომ
ცივი სიო გაისისინებს, ისე.

ათმეთაურმა ბაკურს მოხედა: შენ
ზომ არაფერი იცი, ამ დედაკაცს პირვე-
ლად ვხედავო.

— მაგი ვინაა, უკან რომ იმაღე-
ბა. კიდევ კარგი, სინდისი მაინც შერ-
ჩენია!

— ჩვენ დღეს აქ... პირველად... ახ-
ლახანს მოვედით... — აბლუკუნდა ივა-
ნოვი: თუ ვინმეში გეშლებით, ჩვენ ამ

არემარზე ჯერ ფეხი არ დაგვიდგამსო.

— მეც მაგას მოვახსენებთ, რომ ახლა მოხვედით! სად იყავით გუშინ და გუშინწინ?

— გლაშა, ღვთის გულისათვის, გლაშა... — ოთახის მეორე მხრიდან მოხუცი ქალი გამოფარცუხდა და მაგიდაზე განახევრებული, წყლიანი თუ არყიანი ბოთლი დადგა, — წაიღონ და წავიდნენ...

— რა წაიღონ, მავათ კიდეც ეს უნდათ? ბიცოლა ფენია, ვაიტანე ვარეთ, ქვას მიაძვრიე, ხევში გადაავდე და მავათ არ აღირსო!

— ჩვენ მაგისტვის არა... — ივანოვი მაგიდის ყურთან გაშეშებულ, აფეხბრულ მოხუც კაცს მიაჩერდა.

— აჰა, ხომ ხედავ, დაიმორცხვა. არ ჰქონდა მოსასვლელი პირი და დაიმორცხვა...

— არა, ვფიცავარ... არა! — ახლა სემიონი ლამპასთან გულზე ხელებდაკრფილ დედაბერს მიაჩერდა და იქიდან ოთახის ბნელ კუთხეში ხატის ოქროსფერ გრეხილზე გავიატებულ ნათელს შეხედა.

— სად ბრძანდებოდი, ივანოვ! ერთი კვირაა ჩვენს ქალაქში ქვა ქვაზე არ დარჩენილა...

— გლაშა, ეს ხომ... — სახედაღარულმა ბიცოლა ფენიამ აცხვანებული ნიკაბი ვარისკაცებისკენ წამოსწია, — ესენი ხომ ბრალში არ არიან...

— აბა, ვინაა ბრალში, რომ ზევინდან მარტო ბომბს კი არ გვაყრიან, თავზე გვაფურთხებენ, მე კი გადაფარებული ვარ ორ, რვა-რვა თვის ბავშვს და ვკვივ: ივანოვ, სადა ხარ! სადა ხარ! სად ზიხარ, და რაზე ფიქრობ, საითაა ჩვენი არმია, სადაა ტანკი ან თვითმფრინავი!

— იყვენ, ჩვენები იყვენ. — გადაქნია დაბრილი თავი ბაბუა დანიელმა.

— სად იყვენ?! —

— იყვენ, ღმერთია მოწამე, იყვენ... — ხატს მიხედა გულხელდაკრფილმა ბიცოლა ფენიამაც.

— რა იყვენ, ქალაქში ნანგრევები და დახოცილები არ ემარდნა, რომ ისინიც არ მომეტებოდნენ?

— რა ექნათ, თავი არ დაუხოვათ... — დაბომბილივით დანჯღრეული ბანით ამოთქვა დანიელმა და ცოლთან ერთად პირჯვარი გადაიწერა.

— ჩვენ, ბაბუა დანიელ... ნავის... ნავის თაობაზე... — სცადა ათმეთაურმა მოსვლის მიზეზი როგორმე გაეგებინებინა, რომ ბავშვი ასხრიალდა და ქალი ლოგინზე მუთაქასავით დაგორებულ, აკეთვებულ ჩვილს ქორივით დაააცხრა და აიტაცა, აღბათ იმის შიშით, თუ ახლავე არ გავაჩერე, მეორესაც ააჩხავლებსო. მკერდთან მიიყუდა, მოლედილი მკერდიდან ნესვივით ძუძუცალი ხელით ძლივს ამოავკრა, აღნავლებულს პირში ჩასჩარა, მაგრამ საწოლზე მეორე მინც აკრუსუნდა.

— იცის ივანოვმა? — არისხდა დედა, როცა მეორე მუთაქაც მკერდზე მიიკრა, — რომ ამ ბავშვების საგებზეც კი დამიწვა მტერმა და მე... — 'რა-კი ხელები გაკავებული ჰქონდა, ფეხი მაღლა ასწია, წინ აღარებული მამაკაცის ბლუზა უხელით გადაიგდო და ქვედა წელის კაბის გამოშვარი კალთა გამოაჩინა.

— გლაშა, კაბას რაღაცას... გლაშა!..

— არა, ბიცოლა ფენია, არა! თქვენი მე... ამალამ ჩემი სახლის ნანგრევებში... ნაკარში და დადარში რომ არ მძინავს... ამას კი არ გამოვიცვლი... ასე ვივლი ხვალ ამით ნაწილებში, რომ კარგად მიყურონ და დაინახონ, რა დამმართეს!

— გლაშა, ღმერთო დიდებულო, ამით?! — მოხუცი ქალი ხატისკენ მიბრუნდა.

— იციან, რომ მე ქმრის — ამათი მამის სურათიც აღარ დამრჩა? ის კი დაიღუპა, მაშინვე, მინსკთან და ახლა ობლებს აღარც მამა, აღარც მამის სურათი... დაიღუპა ივანოვის იმედით! ესენი კი მოდიან, რომ გადაკრან!..

— არა! — იყვირა ივანოვმა.

— მე ამის ყურება და მოსმენა არ

შემიძლია... ეს სცენა ვინც მოაწყო, იმან უტყვიროს!“ — ბაქურმა კარი გააღო და გარეთ გავიარდა.

არავითარი ნავი და მეთევზე ბაბუა დანიელს ახლო-მახლო არ ეგულებოდა და დამძარბული ათმეთაური ანგარიშ-მიუცემლად მდინარისკენ გაბრუნებას აპირებდა, რომ ბესომ იუარა და ხევის პირზე ღობის კიდეებს გააკეცა, რაკი მოხუცს ეთქვა: მეთევზეებისა რა მოგახსენოთ და ამ გარეუბანში, გუშინდლამდე ქალაქის ლუდის ქარხანა იყო. ალბათ, გულში მაინც ფიქრობდა, რომ ჭარისკაცები ნავს კი არა, გადასაკრავს ეძებდნენ. უთუოდ გლაშამ სინდისში ჩაახდეთ და უარი მხოლოდ ამიტომ თქვესო.

XI

ბოკერია, ისედაც უთქმელ, გულჩახვეულ ჩუმალს რომ ვერც ერთი სიტყვა ვერ დასტყუა, თუ საიდან ვადმოიტანეს ის ორიოდე ყუთი ტყვია-წამალი და ამ უხილო მდინარეზე ან როგორ გააბეს იქითა ნაპირთან ობობას ქსელივით სუსტი კავშირი; ხელშეხვეული ცინცაქე მან სანგარში თავის ადგილას დატოვა, იშვირა ფეხი და მეთაურთა მიწურისაკენ გახოხდა. პირველი, მეორე და მესამე ეშელონი უკვე ერთად, მდინარის პირზე იყო მირეკილი და მტერი თავზე მამხალეებს აყრიდა, მიწის ზევით ცხვირის ამოყოფა და ჰაერის ჩასუნთქვა რომ არ გაეხდებოდა.

ავთანდილი სანახევროდ ამოვსებულ სანგარში კისრით გადავიარდა და წახრილი ჩახოცილ, დაკრილ თუ ჩაძინებულ ჭარისკაცებში ხვლიკვით გაძვრა.

მიწურის შესასვლელთან ატუხულმა, ფეხზე ჩათვლემილმა ჭარისკაცმა რომ შეჩერება დაუპირა, ბოკერია იქით შეუწყრა...

— ფეხზე გძინავს?! — ჰკრა თავი და მიწურში შევიარდა. დარაჯმა შემოს-

დია ცარიელი თოფის ჩახმახის (ჩხვეულნი) ნით, რაზედაც ბოკერია, მტრულზე დაყრდნობილ იდაყვებში მოქცეული თავი ელდნაკრავივით წამოსწია და ვინოკუროვის შემცველი, უკვე ოცმეთაური — ბოკერია ძლივს იცნო.

— კირილ სტეპანიჩ! — იმის მაგიერ, რომ სამხედრო ჩინით მიემართა, სახელით და მამის სახელით დაუწყო ლაპარაკი.

ამან ბოკერისაკენ ერთი წუთით დაავიწყა სამხედრო მიწური და იქვე ჩამხოზილი, ჩაძინებული თუ ჩათვლემილი მეთაურები.

— რა იყო, ბოკერია? — თითქოს ფანჯარაზე ქალმა დააკუნაო, ისე წყნარად ჰკითხა მაიორმა და მერე მოაგონდა: ამ ბიჭის გვარი, მგონი სხვანაირად უნდა მეთქვაო.

პატრული მხოლოდ ამ სიტყვას უცდიდა, თოფი კეტვივით გარეთ გაათრია და გავიდა.

— ეს ჩემი ერთადერთი თხოვნა იქნება...

— შეტად ველარ ვნახავთ ერთმანეთს? — მეთაურმა თავი გადააქნია, თითქოს გამოფხიზლდა და ვალიმება სცადა.

— არა, იმიტომ არა, კაცო! — იუარა ავთანდილმა.

— თქვი, რაც გინდა, შენ ხომ იცი, მე შეაკრი ვარ, მაგრამ...

— ვიცი, კირილ სტეპანიჩ! და ამიტომ მოგაშურე, გამიშვი ჩემი ბი-ბიჭებით... — ბოკერიას „ბიჭების“ თქმაზე ენა დაემა, მუდამ სამართებელივით რომ უჭრიდა, — ვინც ვადამირჩა...

— წასავალი გზა არის სადმე?

— არსად. წასვლა კი არა, აი, მდინარეზე რომ ტყვია-წამალი ვადმოაქვთ...

— ის ორი ფსკერგავარდნილი ნავით ვადმოიტანეს, თურმე შუა მდინარის აქეთ ცურვით მოყვებოდნენ ჭარისკაცები, ალბათ დილაამდე... და საერთოდ შეტს ველარ მოასწრებენ.

— კიდეც ველოდებით, ჩუმალსემა...

— ჰო, რაღაცა კასრებით მოაქეთო... ვერ გავიგეთ, კაცშირი არა გვაქვს, ხიდი და ბილიკი...

— აი, იმათ ჩვენ გადმოვცლით, მით უმეტეს თუ კასრებია...

— კასრებში ტყვია-წამალია?! — თავი გადააქნია ბოკენჯომ, — გადმოცალეთ, თუ...

ბოკერია მაშინვე გამოტრიალდა. შემოსასვლელი, როგორც დატოვა, ასევე ღია ეგონა, ვერ მოიფიქრა, რომ გახელებული მტრის შიშით, თუნდაც მიწის ქვეშ, ასეთ სუსტ სინათლესაც კარმოუხუტრავს არ დატოვებდნენ და ზედ შეასკდა.

ოთხმა ჯარისკაცმა ცხვირპირშეხვეული და ხმელ ხესავით მანქანაში გამოკონილი დაჭრილი მდინარის კალაპოტთან გამივალ გრძელ სანჯარში ხოხვით ნაპირთან ჩაიყვანა. დანაბოშებ შამბში ვადარჩენილ, მალალ ბალახებში დადგეს საკაცე, წყლის პირას მოძალეებულმა ნაემაე რომ კაცის სისხლის სუნს ვერ გაუქრო, ზედ დაგლეჯილი ღელის და ლაქაში წააყარეს შეშხუნების აბრიალების მოლოდინში.

— აქ ზუსტად კი არავენ იცის, სად მოადგება, ვაითანტო!

— საით, ქვევით? ზევით? — იკითხეს გასაქცევად შეტრიალებულმა ჯარისკაცებმა.

— ან ანან რა იცის, თეთრი ქვებით კი არავის დაუწერია გაღმა ნაპირზე... — ამოიხვნეშა ერთმა და მდინარის დაყოლებზე წელში მოკეცილი უხმაუროდ გაძინებულა.

— მაგრამ ხომ იცით, არ შეცდით, ის ძაღლები არ იყონ, ზურგიდან არ წამოგვეპარონ...

— კასრებო, ასე არ თქვი?

— ჰო, რაღაც კასრებია, მაგრამ არავენ იცის... მე აქ, სანჯარის პირთან, ზემდეგს დაველოდები, მომავლდაესაც ხომ ვერ მივატოვებ...

„რა მოიფიქრა ბოკერიამ ეს, მისი ახლობელია ეს ბიჭი, თუ ასე ძალიან

უყვართ ერთმანეთი? — ფიქრობდა ანდრეი ბოგომოლოვი, მდინარის სანჯარზე მომხის ამონათხარ ძაბრში ჩაწოლილი, სადაც ძაბრში წყალს შემოეყვინა, — არაფერი განსაკუთრებული აქ არ არის... ერთენული სიმცირე... თი თავი-დათავი მიზეზი. მე მოსკოვში... მარტო მე კი არა, რომელ მოსკოველს რა ერთენება არ უნახავს, რუსულს რომ აჯახილებენ და, ვინ იცის, სიტყვას რა დაბოლოებას არ უყეთებენ, ან სულ აცილებენ... თითქოს ორი ენა არსებობდეს, ერთი რუსების და რუსულის მცოდნეთათვის და მეორე — რუსულის სარჯზე შექმნილი, ამ ენასთან შერწყმული და თითქოს მაინც გასაგები, თუმცა ზოგჯერ ყურს ისე მოგჭრის, თვალები აგეწვება“...

ბოგომოლოვმა ერთი კვირის დაუბანელი და გამოუძინებელი თვალები მოისრისა და სულ გადააფიქრა ამგერად რაზე მოაგონდა მოსკოვი, მერე თითქოს სწორად ამოეცნოს: „მოსკოვს რა დამაფიქვებსო“ და სისხლი გაეყინა: ალბათ, ველარ უნახავო. ეს მხაგვრელი აზრი რომ მოეცილებინა, ძაბრის კიდებზე ამოიწია, დააყურა.

ვითომ რაღაცა ჭყაუნებდა წყლის პირზე, იხვი რომ ნაიყურყუმელავებს და ამოყვინთავს, ჩაყვინთავს და ამოყვინთავს...

ანდრეის მონადირე ძაღლი?..

„თუ მოსკოვი დაბომბეს, დედაჩემმა რა მოუხერხოს ძაღლს... ნატაშას კი კატები, კატები...“

მთვარე კარგა ხნის ჩასული იყო. მტერიც — ბარემ რაღა შეშხუნა. ტყვიას დავუშენო, იარაღს ტენიდა.

მრუმე ბნელი იდგა. წყალზე კი ისევ ყურყუმელაობდა იხვი და ნაპირის ტენცუობს უახლოვდებოდა.

ანდრეის ფიქრი გაუქრა. ამ ბოლო დროს, დიდი დამბულობისას რომ თავი უხვევდებოდა და გამურულ-ვათხვრილ სახეზე, გუგებს შიგნით, ჭროლა თვალები თითქოს მთლიანად უთეთრდებოდა, ახლაც ისე დაემატა.

— ბოკერია! — წამოიძახა, როცა

წყალმა მონადირის ჩიხურივით რაღაც შეხუხულაფებული ნაპირთან მოიტანა. მაგრამ ბოკერია რომ სანგართან დატოვეს და მის ქვემოთ, მდინარის დასწვრივ მკლავში დაჭრილი ცინცაძე ეგულეობდა, ახლა მოაგონდა. ცინცაძე ცალ მკლავზე ფორთხვით ამოხოხდა, ანდრეის გვერდით ამონათხარში ჩამოგორდა.

— ვინ არიან? — იკითხა.

— ვინ იცის?

— წადი, ბოკერიას გააგებინე...

— რა ვუთხრა, ვინაა, ვიცი თუ? ისე ნელა ახლოვდება, თითქოს ტალღებს მოქონდეს...

— კასრებია, ხომ ზედავ, კასრებია!..

— ამის დედა ვატარე... — აღმოხდა ცინცაძეს ქართულად, როცა ფიცრებით გადაჰედებულ ოთხ ლუდის კასრზე შემომჯდარი ჯარისკაცები ნაპირთან წყალში ჩაცვივდნენ და მძიმე ყუთები აიტაცეს, რომ უფრო ახლოს მოცურებით დრო არ დაეკარგათ. ფეხდაფეხ გამოეტანათ და თავისთვის ეშველათ.

— ვილაც ქართველია აქ, ნაპირზე? — ამოილაპარაკა ბესომ, ცალ ილღიაში ყუთი რომ ამოედო და მეორე ხელით კასრებს ექაჩებოდა, თითქოს თავისი სოფლის ჩქარ მდინარეში ტოვებდა და ეშინოდა, დინებამ არ წამართვასო.

— ალბათ... — ამოიოხრა წელში გაწყვეტილმა ბაკურმა.

— კაია, ჩვენები ყოფილან... აბა მე რომ რუსული მეყურება, იმდენი ლემენცსაც ეცოდინება.

ლადო ერთხანს ვახევედა, მერე წამოვარდა, მაგრამ ბოგომოლოვი რომ ვაიქცა, მოაგონდა და ნაპირთან მოსულებს ჩურჩულით მიესალმა.

— გაგიმარჯოს! — უთხრა ბესომ და ყუთი ნაპირზე მოშორებით დადგა, წყალთან ახლოს სინესტე არ აიღოსო.

ბაკურიც რომ ქართულად გაეპასუხა, ლადომ იფიქრა, სულ ქართველების

ჭგუფი ყოფილათ, და ყელში შეხედუნდა: უოტი ვაეხიდა:

— საიდან გაჩნდით ამდენი ერთად, ბიჭებო?

— რაო, რას ამბობს? — იკითხა ივანოვმა.

— ყველა ქართველები ვეგონეთ... — აუხსნა ბაკურმა.

— ყველა არა, მაგრამ მთავარი ვინცაა, ქართველია! — შეაქო ათმეთაურმა კინწურაშვილი: ყველაფერი ამის წყალობით გაკეთდა, თორემ მე უკან დაბრუნებას ვაპირებდი, თითქოს ბაბუაჩემს მეზობლისას ცელის სანათხოვროდ გავეშვი და მეზობელი შინ არ დამხვედროდეს...

— ეს რაა, საიდან, როგორ, სად გყავდათ? — კისერში ხელწაჭირებულივით ჩიფჩიფებდა ვილაც ბნელში და ხრეშზე ჩქარი ნაბიჯით მომავალი გვერდზე მოსდევდა.

— მეთურებმა ყველაფერი იციან...

— პასუხის ღირსად არ თვლიდა ვილაც და მიინც პასუხობდა.

გამოდან მოსულებმა ყუთები რომ მოიშორეს, წყალში შეცვივდნენ.

— მოიცაო! — შეაჩერა ლადომ.

— მოვიცადოთ? ჩვენ აქ წყალქვეშა ნავი კი არ გველოდება... — აუხსნა ივანოვმა.

მოახლოებულმა ბოკერიამ, საკაცეს რომ მოუძლოდა, პირდაპირ წყალში შეალაჯა და ერთმანეთზე გადაჰედებულ კასრებს მიაშურა.

— სდექ, საით! — გადაუდგა ივანოვი.

ბოკერიამ, იმის მაგიერ, რომ წინ გადადობებულისათვის აუხსნა საქმის ვითარება, გზადაგზა რომ ჩიფჩიფით მოსდევდა და ახლა ნაპირს მოაწყდა, იმას უჭაღვლა:

— ჩუმად, ჩუმად! კრინტი არ დასძრას! ვიცი, ხსნა მიინც არაა და ფეხებზე მკიდია ყველაფერი...

— მე ივანოვი ვარ! — აუხსნა ივანოვმა.

— ოქვენ, ვიცი, ივანოვი ხართ! — მიხვდა აეთანდილი, ამ კასრებზე ამხე-



ერთი აკადემიური გამოცემის გამო

იქნებ სჭირს, დრო და ადგილი არ დავაარ-
გო და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ: უპირვე-
ლეს უვლესა, უნდა შევნიშნოთ, რომ ვალაკ-
ტიონ ტაბიძის თორმეტკომიუნიკაციის გამოცემით
დიდი საქმე გაკეთდა. მაგრამ, როგორც კი ამ
ტომების კომენტარებში დაშვებული შეცდო-
მები, უზუსტობები, ლაფსუსები გვახსენებ-
ნათ, არ შეიძლება გული არ დაგწყდეთ.

ვიყოთ გულახდილები და პირდაპირ ვთქვათ:
ლიტერატურულ წრეებში და ფართო მკითხ-
ველ საზოგადოებაშიც არც ერთ წიგნს არ გა-
მოუწვევია ისეთი აღშფოთება, როგორც ეს
გ. ტაბიძის მე-12 ტომს ზედა წილად, და მერე
რატომ? ამ კითხვასაც პირდაპირ ვუპასუხებო:
უპატრონოდ გამოსულ წიგნს ჰგავს, ჰგავს კი
არა, არის.

თუმცა, რატომ უპატრონოდ, როცა წიგნის
სარედაქციო კოლეგიაში შვიდი მეცნიერი და
მწერალი ჩამოთვლილი. ტექსტიც გამოსაღე-
მად სამ მეცნიერს მოუშვათ და კომენტა-
რები ერთს დაურთავს. უბრალო ართმეტიკით
ისინი, გ. ტაბიძის მე-12 ტომის (ისე, როგორც
სხვა დანარჩენი ტომების) შესვერნი — თერთ-
მეტი არიან. მრავალრიცხოვანი და შთამბეჭ-
დავი კოლექტივია. ალბათ, კიდევ ერთი გვარის
მწერა რომ საქართველოში უფრო მეტი
უკვე ადგილს ვერ იპოვიდნენ, დიდი სიფიქრო-
ვია კონტრატულზე.

უნდა ვთქვათ, თერთმეტი მწერალი და
ლიტერატორი რუდუნებით თავს ევლებოდა
სახელმწიფო მწერლის შექველდობას, მაგრამ
როგორც ჩანს, ეს ასე არ მოხდა. ამ ამბა პი-
როვნებამ სრული ნდობა გამოუცხადა კომენტა-
რების შემდგენელს, ისევე ღორთქიფანისძეს და
10. „მნათობი“, № 8.

ერთხელაც თვალი არ წაუყრავს ამ რთულ ამა-
რატურაში. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ:
ერთ მთვანს მაინც რომ წაუკობა ეს კომენ-
ტარები, ცხადია, მიუთითებდა კომენტატორს
და ამ შეცდომებს ვასწორებინებდა.

მაგრამ მოგვხსენებთ, ჩვენში სარედაქციო
კოლეგები, ხანდახან მარტო ქალაქულ არსე-
ზობენ. და აი, ამის საგალო შედეგიც.

ლიტერატურის ისტორიას როგორი კურო-
ნი არ ახსოვს, როგორი სასაცილომდე მი-
სული ამბები არ შემთხვევით სხვადასხვა
დროის მეცნიერებს და ლიტერატორებს, მაგ-
რამ ერთ ნარკვევში (თუ არ ვცდები, ი. ლორ-
თქიფანისძის კომენტარები 7-8 ნაბეჭდი თაბიხი
იქნება) რომ ამდენი კურიოზი ერთად იყოს
თავმოყრილი, გაუგონარი რამ არის. ეს ალბათ,
მართლაც რომ უპირველდნო შემთხვევაა.

ბოლოს და ბოლოს, იტყვის მკითხველი, რა
მოხდა ასეთი, კომენტარებს ხომ იშვიათ შემო-
ხვევაში, ვაშინაქლისები კითხულობენო? მარ-
თლაც და, პროფესიონალის გარდა ვინ კითხუ-
ლობს კომენტარებს, მაგრამ როგორც მკითხვე-
ლებს, ასევე ამ წიგნის გამოცემლებს მოეხებ-
ნებთ, რომ სწორედ ასეთი კომენტარებია და
აქედითი გამოცემების საფუძველზე იქმნება
ლიტერატურის ისტორია.

იციოთ კიდევ რა არის გულსატკენი? როცა
გ. ტაბიძის თხზულებათა პირველი ტომი გამო-
ვიდა, „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა
შაღვა აღზაზიშვალის საფუძვლიანი კრიტიკუ-
ლი წერილი. როგორც ახლა ვხსენებთ, მაშინ-
დელ დონისიძეებს თითქოს ცუდი შედეგი არ
უნდა გამოეღო. მაგრამ ფაქტია, წარსულის გა-
კვეთილმა ვერაფერი ვასწავლა, პირიქით, უფ-

როცა ცუდსაჲს გუბაჲსა, იგი ღარა ხმად მღაღღებდად უდაბნოსა შინა, რაც ჩვენთვის მოულოდნელი იყო.

მაჲ აბე, დავიწყოს:

პატრიუტული იოსებ, თქვენს კომენტარებში რაჲმე ერთიან პრინციპზე ლაპარაკიც კი შეუძლებია, მაგრამ მე მაინც ვეძებო, ჩემი შენიშვნები რაღაც პრინციპით დავადაგო, თუმცა თითოეული თქვენი კომენტარი მრავალნაირად სცოდავს.

წიგნის 644-ე გვერდზე შევით თვთარზე წერია — „რამდენადაც წინამდებარე ტომს ერთვის პირთა საძიებელი, კომენტარებში ერთი და იგივე პირების მრავალგზის განმეორებას მოვერბებოთ“. და აი, ეს უბრალო დანაპირების კი ღარადღვით და კომენტარებში ერთი და იგივე პაროფნება არათუ ორჯერ და სამჯერ მოიხსენიეთ, არამედ სხვადასხვაგვარად განმარტოთ და შერეო როგორ სასაყლოდ და აღმამოფოტებულად: 668-ე გვერდზე გარკვევითაა განმარტებული: „ნექსე-ანდერსენ მარტიან — (1869-1914) დანიელი მწერალი“. შერე, 669-ე გვერდზე, თითქმის პირველი განმარტებას ვასწერებ, განმეორებულია: „ანდერსენ ნექსე — (1869-1914) დანი დანიელი მწერალი“.

ჭერ ერთი, პატ. იოსებ, ნექსე ანდერსენი დღეობით არ იწერება; მეორეც, რას ნიშნავს როცა პირველ შემოსვენებაში წერთ „დანიელი მწერალი“, ზოლო მეორეგან „დანი დანიელი მწერალი“ (პირველ შემოსვენებაში რომ დავეწერათ ზიტყვა „დანი“, კიდევ ვიტყოდით, მეორეჯერ აღარ ვაიშეორა, ერთხელ სომ თქვაო), მესამეც — ზოლოს და ზოლოს, რომელაა ამ მწერლის გვარი და რომელი სახელი? 668-ე გვერდზე წერია ნექსე, 669-ე გვერდზე — ანდერსენი, და ზოლოს, მეოთხეც — როლის ვარადაცაა ეს პაროფნება, 1914 წ., თუ 1915 წელს?

თუშეა ჭერ სადა ვართ?!

თუ შევით მოყვანილ თქვენს აზრს მოვიშველიებო, სადაც წერთ „ერთი და იგივე პირების მრავალგზის განმეორებას მოვერბებოთ“, მაშინ თქვენც დარწმუნებული ხართ და სხვებაც ვინდათ დაარწმუნოთ, რომ ნექსე-ანდერსენ მარტიან და ანდერსენ ნექსე სხვადასხვა პაროფნებებია. მაგრამ დანიურ ლიტერატურაში ნექსე ცალკე, ანდერსენი ცალკე არ არსებობს. იყო მხოლოდ ერთი, ეს გახლდათ: — ნექსე, მარტიან ანდერსენი, დაბ. 1869 წელს კონსტანცენში — გარდ. 1914 წელს, ღერზედენში, იგი ცნობილი იყო არა მხოლოდ დანიურ, არამედ მთელი სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურაში, როგორც რვეოლუციური პაროფნატორი ვაშინენილი მწერალი. აი ამის მსგავსს რაჲმეს რომ წაიკითხავს მეცნიერი თუ ღონტარისებული მკითხველი, ვფიქრობ, მათთვის ყველაფერი გასაგები იქნება. თუ

აქ ჩემ მიერ მოტანილი მაგალითის მითხველო ვიხსენებო, მთელი სახეობის მკითხველთა შორის მთლიან განცევაბო, მახლოებული და მსგავსი რამ წიგნის კომენტარებში არ მოიძებნა.

ერთი მაგალითიც, 645-ე გვერდზე თქვენ განმარტათ — „არტურ რემზო (1857-1891), ფრანგი პოეტი, სიმბოლისტი“. ახლა ვადავმოლოთ 667-ე გვერდი. აქ წერია — „რემზო არტური (1854-1891), ფრანგი პოეტი“. მთლი მკითხველო და იმტარი თეა — არტურა რემზო, თუ რემზო არტური, სიმბოლისტია იგი, თუ არა და ნამდვილად როლის დაბნადა — 1857 წელს, თუ 1854 წელს, და ზოლოს, უნდა მხვდეთ, რომ სინამდვილეში ლაპარაკია ფრანგ ლირიკოსზე რემზო, თან ნიკოლას არტურზე, დაბ. 1854 წ., გარდ. 1891 წ.

სურათის სიტყვითადაც აქვე დავუშობო, მოსწავლე ან სტუდენტი, რომელიც ერთ უბრალო საკითხში აწლენ შევდომის დავშვებს, ვეკვობ, მან შევავათით მეორე შეკითხვა მოიღოს.

სამდვილო ერთნადაც ბოლოში, ხშირად ათავსებენ დ. წ. „გასართობ თანატებებსა, გამოცენებს და ა. შ. ახეთა თანატებები ამ კომენტარებშიც ბლომად შეგხვდებოთ. აი, მაგალითად, აქ აღნიშნულია, რომ ფრანგი მწერლის თეოფილე გოტიეს „მოთავარი კრებულია — „ემილი და კაენი“ (გვ. 788).

ახეთი კრებული სინამდვილეში არ არსებობს. გოტიეს „მოთავარი კრებულს“ ეწოდება, არა „ემილი და კაენი“, არამედ „მინაქრები და კაენები“, ფრანგულ ორიგინალში: „Fables et Contes“.

მინაქრებს აქ განმარტება არ სჭირდება, ეს არის ემილი, სოლო კაენა (ან ქაენა) არის ქვა ან ნიჲარა, რომელზედაც ამოყვითილია ჩუქურთმა და რომელდაც ნახსენებ სოლომ ბეკედენი ან ბროში.

ზოლო ხაიდან ვაშნა კომენტარებში ან ვადაც ემილი, ან ბიბლიური კაენი — ეს უკვე მისტკია!

იქვე, იმავე კომენტარებში ნახსენებია გოტიეს რომანის სათაური „ამდვიულ მოქენი“ (გვ. 788); ნამდვილად გოტიეს წიგნს ქვეა „ამდვიულ დე მოქენი“. თითქოს უბრალო ამბავია, აკლია ერთი მარცვალი — „დე“, მაგრამ საქმე ის არის, რომ არისტოკრატი ქალიშვილი მდებარე წარმოშობის ქალად აქციეთ.

ხერთოდ, შევდომისგან დასდევული ვინ არის, მაგრამ უხედურება ის არის, რომ შევდომებს აქ პირდაპირ ანედოტური ხასიათი აქვს. აი, მაგალითად, კომენტარებში ვეოთხულობო:

„გრაფი მირბახი — მირბახი; ვოლუემი (1871-1918) გრაფო, გერმანელი, დიპლომატი, ბრესტის ზავის შექვევა გერმანიის ელჩი მოსკოვში, 1918 წლის 6 ივლისს პაროფნაციული



მინით მოკლეს მოსკოვში შემარცხენე ესერებ-
მა, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეფუთათ ბრებ-
ის ზავი და მოეხილნათ ომის პროვოცირება
გერმანიასთან (გვ. 893).

ყველაფერი სწორია, ყველაფერი თავის ად-
გილზეა. მაგრამ იქვე, იმავე გვერდზე, კომენ-
ტატორს სპირიტუალური გვირი შეხვედრია და
გაოცებულს ეს ვინაა არისო, ასეთი სტრატეგია
დაუბრუნებს:

„სპირიტუალიზმი“ (?)“.

აჰ, აი რა არის საყვირველი: თუ ლორთქი-
უანიმემ ბრესტის ზავისა და შემარცხენე ესე-
რების აქაყუებას ამზავი იცის, როგორ შეიძლე-
ვა არ იცოდეს, ვინ იყო მარია ალექსანდრეს
ასული სპირიტუალიზმი, ლიბერალი შემარცხენე ესე-
რებისა, ზღაპრულად მათი აქაყუებისა?

კარგა, ვოკვათ, ავტორი უღმერთოდ მოი-
კლებს ისტორიის ცოდნასო. თანამედროვე
მატერულ ლიტერატურაზე მაინც არ უნდა
ქონდეს ელემენტარული წარმოდგენა? საიდან
მოიგონა მან, რომ გამოჩენილი რუსი საბჭოთა
ევრანალიზტი მიხეილ კოლცოვი იყო „რუსი
საბჭოთა პოეტი“? ან ის, რომ ცნობილი რუსი
საბჭოთა პროზაიკოსი ვსევოლოდ ივანოვი იყო
„რუსი საბჭოთა პოეტი“? (გვ. 893). ხელ წაი-
კობს მან მ. კოლცოვის ან ეს. ივანოვის ლექ-
სებზე? თანაც ეტყობა, იძულებით პოეტად გა-
დანათლული, თორმეტი წლის წინ გარდაცვლი-
ლი ეს. ივანოვი კომენტატორს ისევე ცოცხალი
ქაონია (მითითებულია მარტო დაბადების წე-
დი — 1895).

წარმოადგინეთ. თურმე პოეტი ყოფილა მი-
ხეილ ზოშინცკოც, თანაც მისი ნამდვილი გვირი
ყოფილა ზოშინცკოც (გვ. 872). ერთსა და იმავე
გვერდზე (850) წერასოცის თანამშრომელი და
თანამებრძოლი, ცნობილი ევრანალიზტი ვერ
ი. პანიკოვი, მერე — ი. პანიკოვი; 871-ე გვერდზე
აღნიშნულია, რომ ანტონ კაბალიკოსი თურმე
ყოფილა „განათლებული სწავლული“. განა შე-
იძლება არსებობდეს განათლებული სწავლუ-
ლი? ან კიდევ. აი ასეთი საყვირველი ამზავი,
რომელიც ადამსტრებს. რომ კომენტატორმა
არ იცის, რა არის მთავარი მწერლის შემოქმე-
დებლისა და რაზე უნდა გადაიტანოს აქცენტი
კომენტატორს შედგენის დროს; გ. ტაბაძეს დაუ-
წერია პატარა წერილი პ. კაკაბაძეზე, სადაც
აღნიშნულია, რომ „ყვარყვარე თუთაბერი“
შევენიერა მისეა“, და პ. კაკაბაძე „ამ მიხეილი
ერთ-ერთი ფრემდებელიაგანია თანამედროვე
ქართული დრამატურგიისა“ (გვ. 119). სჭირდებ-
ოა ამას რაიმე კომენტარი? თუ მაინცა და
მაინც სჭირდება, კომენტატორს შეიძლება
დამატებოდა, რომ ამის გარდა, პ. კაკაბაძე ავ-
ტორია მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებისა, მათ
შორის შეიძლება დავსახელებოდა „კოლმე-
ურნის ქორწინება“, „მეფე ვახტანგ პირველი“,
„დავით მეგრე“, „მაგარტ მეშვიდე“ და სხვ.

ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი, და კო-
მენტატორს შეიძლება შეეხსენებინა შეი-
ველიასოცის, შეიძლება — არა. ნინამდვილი
შე კი, ის აი რა კომენტატორს ურთავს ვა-
ლუკაონის წერილს პ. კაკაბაძეზე: „უნდა
შევენიეროთ, რომ „მოლოდიოც ვრუზის“
(1958 წ. 29 ავტორი) ფურცლებზე დაიბე-
და პ. კაკაბაძის „ინტერვიუ“, რომელმაც ქარ-
თული საზოგადოების სამართლიანი აღ-
შფოთება გამოიწვია“ (გვ. გვ. 678-674). შე-
ტა არაფერი არ არის ნათქვამი. ახლა შევე-
კითხოთ კომენტატორს: რა ისეთი ისტორიუ-
ლი მნიშვნელობა ჰქონდა პ. კაკაბაძის იმ მარ-
თლაც და მცდელობა „ინტერვიუს“, რომ ამ გამო-
ჩენილ დრამატურგს ყველაფერი დაეშორებოდა
და მაინცა და მაინც ეს მარცხიანი „ინტერვიუ“
გაეფუთებინათ? ნუთუ ეს იყო მთავარი მის შე-
მოქმედებაში, რომელსაც თვითონ ვალუკაონი
ცხოვრებ მძალე შეუთავსებდა ახლევს.

ერთი წუთით დავანებოთ ყველაფერს თავი,
მათ შორის კომენტატორს შედგენის პრინციპაც.
მაგრამ ის მაინც არ უნდა იცოდეს კაცმა, რო-
დის გამოდიოდა ვაჭეთი „ივრია“? ვალუკაო-
ნი წერს: „დავით პავლიაშვილი „ივრის“ და
„ცნობას ფურცლებს“ თანამშრომელი იყო“.
ი. ლორთქიანიძემ ამ წერხილს 684-ე გვერდზე
ასეთ განმარტებას ურთავს:

„ივრია“ — ყოველდღიური ვაჭეთი
(1919 წ.)“.

არა, შეუძლებელია ამ კომენტარებმა ვინ-
მე მიამბობსა და გულუბრყვილი კაცს შეი-
ძლება სულ აუზნისოც გონებამ ახა თქვენ თვი-
თონ განსაქოთ, რა უნდა ითქვას კაცმა, როცა
ასეთ რამეს წააკითხავს:

„სოლომონ მეფე — იმერეთის მეფე სო-
ლომონ მეორე, ვამეფდა 1751 წელს“ (გვ. 652).

ესე იგი, კაცი მეფე იყო, ვანაგებდა სახელ-
მწიფოს ისე, რომ ქვე დაბადებულად არ იყო.
დაიბადა ვამეფებთან ასე იოიოდ წლის შემ-
დეგ...

ეს კიდევ იმდენად საყვირველი არ არის,
რამდენადაც ორი კაცისაგან, ორი მდენიერისა-
გან ერთი კაცის გაყვება. თქვენ ესეც შესე-
ლები, მათივემეფოც ოსებ, აი, როგორ მოხდა
ეს:

852-ე გვერდზე არის ასეთი განმარტება:
„მოკლი ოგუბტი — (1798-1857) ფრანგი ფი-
ლოსოფოსი და სოციოლოგი“. ცხადია, საქმეში
ნათუბდავი ადამიანი კმაყოფილი დარჩება, თი-
თის ყველაფერი რიგზეა — გვირი და სახე-
ლი, დაბადებისა და გარდაცვალების წლები,
ეროვნება და სხეციალობა. მაგრამ სინამდვილე-
ში თქვენს განმარტებაში ყველაფერი უარზეა
დაყენებული. როგორ შესებლოთ, რა სწავლა
დროს მიმართება, რომ ორი პაროვნება, ორი
სხედასხვა ქვეყნის მდენიერი ერთ ადამიანად,
ერთ პაროვნებად და რაც მთავარია, ერთ მესე-

ნიერად გარდაქმნით. გვარი ინგლისელის და-
რჩენილა, სახელი (სხიცი უღვთიოდ დამახინჯე-
ბული) — ფრანგის, დანარჩენი მონაცემებაც
ფრანგისაა. როგორც ხედავთ, ფრანგული მო-
ნაცემები კარბობს, მაგრამ გვარი, ჩემი აზრით,
უველად ფრანგის აწონასწორებს.

ძალიან ძნელია, შეუძლებელიც კია, ამ შეც-
დომის მიზეზის ამოხსნა.

ნამდვილი ვითარებათ კი კომენტარებში
ასეთი რამ უნდა განმარტებულიყო: გ. ტაბიძე
წაქარია ჭიჭინაძისადმი მიძღვნილ წერილში
მრავალ მეცნიერსა და მწერალს ასახელებს,
მათ შორის ბოკლაც და კონტასაც. კომენტა-
რებში გვარის — კონტის სწენებაც არაა, შეტა-
ნილია ბოკლაცი და მიწერილი აქვს კონტის
მონაცემები.

შე არ ვიცი რა ვუწოდო ამ მანიპულაციას!
სწორი კი ასე იქნება:

კონტი, ოგიუსტი — (1708-1857) — ფრანგი
ბურჟუაზიული ფილოსოფოსი და სოციოლოგი,
სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენელი.
პოზიტვისტური ფილოსოფიის ფუძემდებელი.
ბოკლი, ჰენრი თომას — (1821-1862) ინგ-
ლისელი ისტორიკოსი, სოციოლოგი, პოზიტვი-
სტი.

• • •

შეუძლებელია გაგვარძელოთ, თუ ცოტა არ
შევასვენებთ მკითხველი... მოდიეთ, გავასწეროთ
მარც ტენის მოთხრობა „როგორ ვრედაქტო-
რობდი სასოფლო-სამეურნეო გაზეთს“.

ამ წაწარმოებში დიდი ამერიკელი მწერალი
მოკვიბობობს: ერთხელ, როცა გაზეთის რე-
დაქტორი შევხუდებოდა წაბლად, რედაქტორი-
ბა დროებით მე დამავადებო.

და აი, დროებითმა რედაქტორმა მთელი
გულით მოჰკიდა საქმეს ხელი, მთელი კვირა
იმუშავა და ჩააბარა მასალები სტამბას. გაზე-
თი რომ გამოვიდა, იმ დღით რედაქციას აუა-
რებელი ხალხი მოაწყდა. იდგა მთელი ბრბო
ქუჩაში და რედაქციის ფანქარებს შესცქეროდა:
ბოლოს ერთმა მოხუცმა კაცმა შეაღო რედაქ-
ტორის კაბინეტი, მისი პირველი შევიხვია ასე-
თი აუო: „თქვენ როდისმე გამოშავიათ გაზეთ-
ში?“ „არასოდეს“ — უპასუხა დროებითმა რე-
დაქტორმა. „როდისმე ეწეოდით სოფლის მე-
ურნეობას?“ „არასოდეს“, აუო კვლავ პასუხი.
მანინ მომხვედრება ვადაშალა გაზეთის ახალი
ნომერი და რედაქტორს წაუკითხა:

„ჭირბადი ხელით არასოდეს არ უნდა მო-
კრიფო. ამით ის შეიძლება დანაინდეს. უმჯო-
ბესია აგზავნოთ ბავშვი ხეზე, რათა მან
ფრთხილად დაარბიოს იგი“.

— რას ფიქრობთ თქვენ ამაზე, ეს ხომ
თქვენ დაწერეთ? — გეიობება მკითხველი
რედაქტორს.

— რას ფიქრობ? შე მგონი, ეს ამ იქნება

ურიგო. მარტო ჩვენს ოლქშიც [მრედიტორები
ცენტრები კარხალი ფუძემდებელი] [გამოქვეყნო
მას დამწიფებამდე ჰერტენ. ბოლო ბავშვი რომ
ავგზავნოთ ხის დახარხევად...]

— დაარბო ბებიაშენი კარხალი ხეზე რომ
არ იზრდება?

— ახ, არ იზრდება? მერე ვინ ამბობს ხეზე
იზრდებაო. ეს უნდა გავიგოთ ვადატანითი აზ-
რით, უველა, ვისაც კი სოფლის მეურნეობისა
თუნდაც ცოტა რამ ვაგებია, მიხვედებია, რის
თქმა მიწოდია...

ამის თქმა აუო და სტუმარი წამოხტა, და-
ხია გაზეთი და გაიქცა. ახლა მეორე მკითხვე-
ლი შემოვარდა. ამაინც გაზეთის ახალი ნომერი
გაშალა და რედაქტორს შეევედრა — წაი-
კიობე, მგონი ბუკაზე შევიშალე და თვალებს
ვედარ ვუჭერებო. რედაქტორმავე აიღო გაზეთი
და გულდინჯად წაიკითხა:

„როგორც ჩანს, მარცვალეული კულტურე-
ბის მოხვადი წელს გვიან შემოვა... ამიტომ
სჭობია სომინდის ტარობისა და ქადას დარგვა
ფერმერებმა დაიწყოთ არა ივლისში, არამედ
ავგოსტოში.“

ახლა კვამის შესახებ. ეს ხილი ძალიან უუ-
ვართ ამერიკელებს, და ფიქრობენ, რომ ის
სჭობია ზურტკმელს... კვამი ერთადერთი სა-
ხეობაა ფორთოხისებურთა ჭიმიდან, რომე-
ლიც ჩრდილოეთში იზრდება, თუ არ ჩავთვლით
ცენტრებს და წესვის ორ-სამ სახეობას. ჩვენში
აიზრდ იუო რეულებმა, რომ კვამს რგავდნენ სახ-
ლების წინ, როგორც დეკორატიულ მცენარეს.
ეს ჩვეულება ახლა მოდიდან გამოდის, ვინაი-
დან დამტიკებულ იქნა, რომ ის იძლევა ძა-
ლიან ცოტა ჩრდილს ამ დღეებში, როცა ახ-
ლოვებმა ცხელი ამინდები და ბატები იწყებენ
ქვირილის დაღებას“...

— საკმარისია, საკმარისი... — წამოხტა
მსმენელი და რედაქტორს ხელი ჩამოართვა, —
ახლა შე ვიცი, რომ სრულ ბუკაზე ვარ. თქვენც
სიტყვა-სიტყვით ისე წაიკიობთ, როგორც შე.
შე კი მეგონა შევიშალე-მეთქი. ვმადლობოთ, ბა-
ტონო, თქვენ შე მიხსენით...

შემდეგ მოთხრობილია როგორ შეცვიოდე-
ბიან მკითხველები რედაქციაში, დამატარებენ
სამდინებებს და აუტირებენ საწერ მაგალებს.

მუშაობი რედაქტორი, ამ ამბებს რომ შეი-
ტყობს, უმაღლეს ბრუნება შევხუდებოდა, და
სამინელ საუბრეებს ეუბნება თავის დროებით
შემცვლელს.

აი, ასეთ ამბებს მოკვიბობობს მარც ტენი.
ახლა კი, როცა ცოტა ამოვისუნთქეთ, გაუ-
ყვეთ კვლავ კომენტარებს.

• • •

ამ კომენტარებიდან შეიტყობთ, რომ ანდ-
რე ფილის მკაჯვარს დღიურები და კონკრეცი

მოგზაურობის ჩანაწერება თურმე მოთხრობა უყოფილა (გვ. 668), ასევე თურმე მოთხრობა უყოფილა იმავე მწერლის რომანი „უაღბლი ფუღლები მჭრელნი“ (გვ. 668); იქვე წაიკითხავთ, რომ თურმე სტენდალის ნამდვილი სახელი და გვარი იყო არა ანრი მარი ბელი, არამედ ანრი მარი ზელი (გვ. 668), თურმე ფრანგი მწერალი ანდრე მადრო არის ანდრე მარლო (გვ. 670), ალბათ, კრიტიკულერ მარლოს შთამომავალი; ერთი სიტყვით, კომენტარები კი არა, რომ იტყვიან, ცირკია, ფოკუსებია...

დანტე ალიგიერი, თურმე, „ინტერნაციონალური ლიტერატურული ენის ფუძემდებელია“ (გვ. 740). რა არის ეს „ინტერნაციონალური ლიტერატურული ენა“ — მარტო ალაშა უწყის; ამას ვარდა, დანტეს თურმე, კონცოციები დაუწერია, კანციონები კი არა, სწორედ კონციონები, და ა. შ.

აბა, ცოტა ხანსაც მომავართ უური, პატონსებ... 648-ე გვერდზე თქვენ წერთ: „ნოვალისი ფრადრის ფან გარდენბურგი (1772-1861) გერმანელი პოეტი, რომანტიკოსი“. რომელ ნორმალურ ლექსიკონში, ან ენციკლოპედიაში (იქნებ თქვენ მიერ შედგენილი კომენტარების მსგავსი კიდევ არსებობს) ამოკითხეთ ასე უღუთოდ დამახინჯებული გვარი, სახელი და ფსევდონიმი? ნოვალისი არის ფსევდონიმი, ხოლო ამ ფსევდონიმის მატარებლის სრული გვარი და სახელი ასეთი იყო: მარდენბერგი, ფრადრი ლეოპოლდ ფრანცი ფონ. ლიტერატურის ისტორიამ, პირობითად შეიძლება ითქვას, ეს სახელი და გვარი „დაიიწყო“ და მას მხოლოდ ნოვალისს უწოდებენ. ამ სახელწოდებით გამოდის მისი წიგნები, ასე მოხსენიება იგი კრიტიკულ ლიტერატურაში და წარმოადგინეთ, სურათებსაც ასეთი წარწერა აქვს — ნოვალისი. ხოლო, როცა რაიმე წერაში ან შენიშვნა იწერება, არის ეს მისი წიგნებისაღმებ დართული წინასიტყვაობა, თუ ზოლოსიტყვაობა, ან მონოგრაფია, იქ, ცხადია, მისი გვარი და სახელი სრულად წერია. ლექსიკონებშიც იგი ნოვალისის გვართაა შესული და არა გარდენბურგის, ან თუ გნებავთ, მარდენბერგის გვართ. სხვა რომ არაფერი, გვარის დაბოლოება „ბერგ“ მთას ნიშნავს გერმანულად, თქვენ მიერ მოტანილი „ბურგი“ კი ციხესიმაგრეს. მაგრამ ახლა ამის დარდა ვისა აქვს, როცა საბოლოოდ გაიკვია ვინ ვინ არის. „ლიტერატურულ საქართველოს“ ფურცლებზე (1975 წ. № 24) ნ. ალანიამ სრულიად დასაბუთებული წერაში გამოაკვებია ამ კომენტარებზე, მაგრამ არც მისი გასწორება — ხარდენბერგი — იყო მართებული.

ეს რა გეშართებათ, როცა არც ერთი გერმანელი მწერლის გვარსა და სახელს სწორად არ წერთ და თქვენებურად ნათლავთ. არ არსებობს გერმანული სახელი „ენრაბა“, ეს არის

რუსული „გენრიხიდან“ გადმოღებულ შემტრუხულში „პაე“ არ არის). ქართულად უნდა იყოს „პაინრიხი“, არის თუ არა განსხვავება „ენრაბისა“ და „პაინრიხს“ შორის? უფრო უარესი: ვახთან ამოკითხეთ, რომ შეველს გიორგი ერჭვაო? (გვ. 728). ან არადა, რუბენის ნათლობის სახელი პეტრე იყო? (გვ. 649).

აქ უკვე, როგორც იტყვიან, კომენტარები შედმეტია.

ფრანგული გვარისა და სახელების დაწერის დროსაც ასეთივე მდგომარეობაა: ვინა როდენა იოვულსტა? (გვ. 646). კომენტარებში არც ერთხელ სწორად არაა დაწერილი ფრანგული სახელები: „ოგიუსტი“, „ანრი“ და სხვ. არც ზარბიუსს ერჭვა პანრი (გვ. 660). სკოლაშიც კი ასე ვგანწავლეს: ზარბიუსი, ანრი.

იქნებ ამერიკელებს დააგვათ საშველი? ნურას უყარავად!

ამერიკელი მწერალი, ნოველისტი პო ედგარ ალანი არასოდეს უყოფილა ედგარ პო ალანი (გვ. 648). შე პირველად შეხვდი ასეთ გვარს. ეს მახხრად ავლებია, როგორც ამერიკელი კლასიკოსი მწერლისა, ასევე მკითხველებში იქნებ აქვს მისხაზოთ, რა დაშვება ამით დიდი არა დაშვება, რომ იყოფეთ მიცნიერული ამარატურის შედგენა ედმენტარულ კულტურას თხოვლობს: ჭერ გვარი უნდა დაწეროს, შერე სახელი. მაგრამ თქვენთვის სულ ერთია. ჩანს, არ იცით, რომელია სახელი და რომელი გვარი.

იცით, რატომ ვაზიბთ ამას? თქვენ მიერ შედგენილი კომენტარების თითქმის ყველა სტრიქონი, ვარდა იმისა, რომ ალანიანს თქვენს ცოდნაში დაიკვებეს, იმ აზრსაც გაუწენს, რომ ეს ალანიანი ისე გულგრილად აკეთებს ყველაფერს, ისე მორღვეულად და მოშლილად, რომ თითქოს ვინმე იწულებით აკეთებინებს ამ საქმეს.

ამის შემდეგ გვეითებით, რა მოტივით ხელმძღვანელობდით, როცა კომენტარების 668-ე გვერდზე „ტოლერი ერნსტი (1802-1839), გერმანელი მწერალი“ ორქერაა ვანმარტებუთ. იმას კი უკვე არ ვისაუვედურებთ, რომ კარგი იქნებოდა დაგწერათ — დრამატურგი უპირველეს უოვლოსა, და ლირიკოსსაც და პროზაიკოსსაც თუ მიუმატებდით, მაშინ ხომ უკეთესი იქნებოდა.

იმავე 668-ე გვერდზე, თქვენ განმარტავთ: „ფიხტანკერი ლიონ (1864-1961), გამოჩენილი გერმანელი მწერალი“. ჭერ ერთი, უნდა იყოს ფილიტანკერი, მეორეც — იგი 1864 წელს კი არ დაბადებულა, არამედ 1854 წელს და შენიშნა — 1961 წელს კი არ გარდაცვლილა, არამედ 1958 წელს.

თქვენ ხელში ახერთი წელი იცოცხლა (კარგი კი იქნებოდა, მაგრამ...) ოსკარ უაილდმა (გვ. 646), თუმცა არც დაბადებისა და ვარ-

დაცვალების წლები ებოძევა სინაძეძეებს (1859-1900). უნდა იყოს — 1851-1900. ახვევ- 667-ე გვერდზე ასეთი წლის სიციცხლე ში- ნიკეთ რედიალ კაპლინგს (1805-1906), მაგრამ კაპლინგი 1906 წელს გარდაიცვალა.

გერმანელი მწერალი მაინრიხ მაინი თქვენ სულში პენის მანად იქცა (გვ. 669). აღფრულ დებლინი (გვ. 668) კი არ უნდა დაგვეწერათ, არამედ აღფრულ დიობლინი; მერცა რადა მხოლოდ დიობლინივე გაგახსენდათ, რომ იგი „გერმანელი ებრაელი მწერალია“? ქერ-ერთი — რა ახსნაა, როგორი განმარტებაა „გერმანე- ლი ებრაელი მწერალი“? როგორი უბრალო სუბარში იტყვიო, ყველაფერი ისე კი არ უნ- და დაწერეთ. ე. ი. თქვენი აზრით, არსებობს გერმანელი გერმანელი მწერალი? გერმანულ, ისე როგორც სხვა ლექსიკონებსა და ენციკლო- პედიებში, დიობად მითითებულია ამა თუ იმ მწერლას წარმოშობაზე. მაგრამ არასოდეს არ- სიხად არ დაწერია, რომ იგი გერმანელი, ან ინგლისელი, ან ფრანგი თუ იტალიელი ებრაე- ლი მწერალიაო. ასეთი გამოთქმა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ასეთი ფორმულირება — ეს და ეს მწერალი წარმოშობით ებრაული ოჯა- ხიდანაო. შესაძლებელია სხვაგვარად ფორმუ- ლირება ისრაელელი მწერლების ებრაელობა. მაგრამ ერთი წუთით დავეშვათ, ეს ასე არაა, და თქვენ ვსურდათ დიობლინის ებრაული წარ- მოშობა მიგეთითებინათ და ასეთი მონაცემე- ბით გაგეშვიდებინათ თქვენი კომენტარები (მახატოთ — თქვენი კომენტარები-შეთქი, რომ ვერ, მართლაც და იგი თქვენ ვარდა კაცის- შვილს არ გამოადგება), მაშინ რადა დაგვიყავთ იგივე ფოიტიანგერმა, ილია ერენბურგმა, ლუი არაგონმა და სხვებმა? მაგრამ თქვენ განა რაიმე პრინციპით ზედმძღვენილობთ, რომ ვიკამათოთ?

669-ე გვერდზე — „ბროლი მაქი — გერ- მანელი მწერალი“ — წეროთ თქვენ, რას ერჩო- დით ამ ბრწინივანე მწერალს, დრამატურგს, ლირიკოსს, ესეიანსა და მთარგმნელს, რომე- ლიც, სხვათა შორას, წარმოშობით ებრაელი გა- ხლდათ; წუთო მას არ ქონდა დაბადების და გარდაცვალების თარიღები (დაიბადა 1884 წელს, პრადში და 1908 წელს ტელ-ავივში გარდაიცვალა); სიტყვამ შოიტანა, და ეს ის მაქს ბროდი ვახლავთ, რომელიც ფრანც კაუ- ტს დიდ მეგობრად იყო ცნობილი და რომელ- მაც კაუტს ანდერძის წინააღმდეგ, ამ უკანას- კნელის სიყვდილის შემდეგ, გამოსცა მისი ნა- წარმოებები.

მაქს ბროდის შემდეგ, ორი სტრიქონის გა- შვებობა თქვენ განმარტავთ — „მუშალი — (1880-1912) ავსტრალიელი მწერალი“. ქერ ერთი, რატომ წაართვით ამ მწერალს სახელი — რომბერტი, მეორეც — რას ერჩოდით ავსტ- რიელ მწერალს ავსტრალიელად რომ აქციეთ?

ახლა არ მიხბრა, თუ შიმა ხარ, ვერცერთი ამიტომაც წევნი ავსტრიელი ავსტრალიელად იქცევა, ინდოელი ინდოელად, ჩილეელი ჩილე- ლად, ესპანელი იტალიელად, გერმანელი ფრან- გად და ზოგჯერ კი პირიქით და ა. შ. და ასე დაუბრუნდებოდ.

668-ე გვერდზე — მარსეცა გ. (უნდა ვი- გულისხმობ, „გ“-ს თუ გერმანოფრანო, თქვენ ვანის დაწერა ვსურდათ, მარსეციას კი გერმა- ნულად მაინი ერქვა). იგი მართლაც გერმანე- ლი მწერალია და დაბადების წელს სწორად ვიწერით — 1890. მაგრამ იგი 1906 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა; ათი წლის წინათ გარ- დაცვლილი მწერლის თარიღის დადგენას, თუ არ ვიდებო, მონღოიმებული აღამაში მოახერ- ხებდა.

მუშაობაც ასეთი უნდა, როცა წიგნი და- შევებული ასეულობით ეტრიოზული შეცდომები წიგნის გამოხვლისთანავე „ხელისებლავგამე- ზელა“ რომ ვახდებთ: 700-ე გვერდზე თქვენ გან- მარტავთ: „ელისკირია — (რომელიც ამირანი, თუ ვიქტორი)?“, ჩვენ ვეკითხებოთ, რომე- ლიო? შერტედა, არ უნდა იცოდეთ, რომ არის გუარი ვახტესკირია (იგივე ამირანისა თუ ვიქტო- რის) და არა ვახატკირია, რომელსაც ერთხელ კიდევ 719-ე გვერდზედაც იმეორებთ. 707-ე გვერდი — „ელისკირია — შედევნიძე (7)“. 709-ე გვერდი: „ელანე — ოდდა იურიცივის ასულ ტარიუხის (იხ. აქვე) ქალიშვილი“. აქვეც ვერაფერი ვერ ვახილეთ და ვერც სხვაგან: 714-ე გვერდი — „ეცეკა (აღმათ ილია, — ავა- დუბიკოსი, ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიე- რებათა აკადემიის პრეზიდენტი)“. აღმათოხბო- თა და კითხვის ნიშნებით ხაზება საქომენტარო მახალა. მაგრამ განა არ შეიძლებოდა ცოტა სხვაგვარად გაეთებულყო კომენტარები, თუ- კი ვახსე ხახელით ან მხოლოდ გვართთა მოხ- სენებელი? უარესი რებუნებაც არის თქვენს კომენტარებში. 685-ე გვერდზე განმარტბუ- ლია: „არუდევკი თეოდორი (1899-1919), მხატ- ვარი, ვალ. ტამაძის ახლო მეგობარი“. კეთილი და მატოხისნი. მაგრამ ვადავშალოთ 702-ე გვე- რდი: „თედორე — იხ. ჩუღუციკა“. ქერ ერთი, ეს თეოდორე ის თეოდორე ჩუღუციკა? და მეორეც, ხად ვახილოთ მეორეს რომ არ უთო- თებთ. მაგრამ ამათ არ ვივარდება ეს რებუნი. 728-ე გვერდზე მართლაც წაწულებოთ ასეთ ცნობას: „ჩუღუციკა — იხ. გვ.“ რომელი გვერ- დი? ხად ვახილოთ, როგორა მახელგონიერი ზერტებუი ამოუხსნათ ასეთი რთული რებუნი?

ყოველ ნაბიჯზე შენიშვნებში თქვენ თავი- თავს იმწმებთ. წიგნის თავფურცელზე რომ კომენტარების შემდგენილად ხართ მოხსენიებუ- ლი, წუთო ეს არ იყო საქმარისი, რომ შენიშ- ნებასა და კომენტარების დასწრისში — ცალაე არ შეგახსენებინათ თქვენი თავი? შერტედა, ღმრთო რემო, რამდენჯერ: „ბრეტსტებზე ხათ-

ნაღვ მუშაობა ჩაატარა აგრეთვე იოსებ ლორთქიანიძემ. წინამდებარე ტომში დაბეჭდილი ტექსტების ყველა შენიშვნა და კომენტარი ეკუთვნის იოსებ ლორთქიანიძეს". (გვ. 614). ბოლო თვით შენიშვნებსა და კომენტარებში მხოლოდ თქვენს თავს ამოწმებთ, თითქოს გ. ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა თქვენგან იწყებოდეს. ერთ-ერთი აღნიშვნის გარდა, ვერაფერ ვნახე კომენტარებში მოხსენიებული, რომელსაც ვალაკტიონზე რაიმე დაწვრიობს. თქვენ კი 614-ე გვერდზე საკუთარ თავს ობიექტურ იმეორებთ, 614-ე გვერდზე ორჭრე და ინიციატივას ბოლომდე არ უშვებთ ხელოდან (იხ. 665, 680, 693, 694, 697, 705, 726, 728-729, 730 გვერდები). გამუდმებით შეასვენებთ მკითხველს: იხ. იოსებ ლორთქიანიძის „გ. ტაბიძის ცხოვრებას ქრონიკაჲ“. ქაღალდი და მუშის სწრაში მაინც არ დაგვიანათ? რა მოხდა ასეთი, ერთხელ გეთქვათ და დაგვეწერათ, რომ თქვენ აქდენი გიმუშავიათ ვალაკტიონის შემოქმედებაზე, და მორჩა!

წესიერად შედგენილი შენიშვნები და კომენტარები რომ შემოკლებულავენინათ, მაშინაც არ იყო ეს საჭირო. ახლა მით უმეტეს, როცა ასეთ „მორგალებს“ ვთავაზობთ: გ. ტაბიძე 65-ე გვერდზე შეპარია კვიციანიძის შესახებ წერს: „შეპარია კვიციანიძე „შვიტყველა ზემორად მათი (მუსულმანი ქართველების — ნ. რ.) ლოცვები და მათ ქაშეშიც დადიოდა“. 652-ე გვერდზე თქვენ განმარტავთ „ქაშეში“ — მუსულმანთა სალოცავი“. „ქაშეში“ კი არაა მუსულმანთა სალოცავი, არამედ „ქაშე“. „ში“ თარღებული, მიცემითი ბრუნვის აღმნიშვნელია. ნუთუ ეს ძნელი ამოსკვნისი იყო ტექსტის მიხედვით. მაგრამ ისე/ და ისე, გულჯარილობა ამის მიზეზი, უფრო მეტად — დაუფერობა, იქნებ — უსოფიანობაც.

შემდეგი უცნაური კერიონი: გ. ტაბიძე წერდალი „ღირსი“ წერს: „დიდი სასოჯადო-ეპიროე ძერებო წინა სწვედღენ თავიანთ გამოიმხატველებს, პოეტისი დარკის ბუშბერანებს, გენიოსებს, რომელნიც დაუფრატის განსაზღვროთ, მოსავლა თაობისთვის სწვედენ ამოცანებს დასმულს წინა თაობათა მიერ“ (გვ. 574); ვალაკტიონისთვის დაუფრატო, როგორც ვხედავთ, ავტორიტეტული პირადიგება, მაგრამ კომენტარების შემდგენლისათვის, ნურას უყავრავად... 740-ე გვერდზე, იმ ადგილას, სადაც განმარტებული უნდა იყოს დაუფრატო, წერია „დაუფრატო“ კითხვის ნიშანი უკვე ვიცი თ რას ნიშნავს, ე. ი. ავტორი უცნობია, ვერ შევადგინე და თქვენითვის მომიწინაა მისი ვინაობის გამოჩენაო. ჭერ ერთი, ამისხნით, ვალაკტიონის მიერ ტექსტში სწორად მითითებული გვარა. კომენტარებში როგორ იქცა დაუფრატად? როგორ მრატებრებთ ეს? შერედა, ძალიან ვაგონდრელათ ლექსიკონში ჩახედვა, რომ თქვენ-

თვისაც ყველაფერი ნათელი გამხდარიყო და მკითხველაც არ ვაგეტაყნათ?

რამდენი კერიონი ამოწვერეთ, მაგრამ წერიალბს დაშთავრებას მაინც საშველი არ ადგება, კიდევ ერთი. 739-ე გვერდზე ვკითხვლობთ: „გოეთე-იოსან ვოლფგანგი (1749-1832), დიდი გერმანელი მწერალი და მოაზროვნე“ (განერებულიყავით აქ, რა მოხდებოდა?) თქვენ კი განავრძობთ: „ახალი ღრთის გერმანიის ლირიკის შემქმნელი“. „ახალი ღრთის გერმანიის“ რომელ პერიოდს ვუღიხებოთ? რომელ „ახალ ღრთში“ ვფრებოდა საფუძველი გერმანიის (!), თუ გერმანულ ლირიკას? დერ ვაგვა გოეთემ ახალი ღრთის გერმანიის ღრთიყა შექმნა, თუ ახალი გერმანული ლირიყა შექმნა? და ბოლოს, შეიძლება კი საერთოდ ღრთიყის შექმნა?

697-ე გვერდი: „როგორც მოყლა, ასევე შესაქე პირში დაწერილ ავტობიოგრაფიაში, უამრავი ფაქტოური შეცდომებია, რომელთა აღწრსებას ჩვენ საგანგებოდ მოვერიეთ, რამდენადაც მათზე რეავრება (!) დიდ ადგილს დაიკავებდა. ეს ლისებები (!) გამოკვლეული და განწორებულია მოსკოვაში — „ვალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, საპოთა ხაქართველი“, 1988 წ.“

ისე, თუ დააკვრდებით, ხომ კარგი, გამართული ქართული ენითაა ვალმოციმული ვალაკტიონის ავტობიოგრაფიის კომენტარი.

ერთი ჭეშმარიტება არსებობს: იწერებოდა, იწერება და დაწერება კარგი და ცუდი მოთხრობები, რომინები, ლექსები, პიესები და სხვა, მაგრამ არ არსებობდა და არც უნდა არსებობდეს ცუდი შედგენილი კომენტარები. თქვენ მიერ შედგენილი შენიშვნები და კომენტარები კი, როგორც ვხედავთ, ცუდზე უარესია!

ისე კი, იმდენი სოეთე თქვენცა და მეც, რამდენი რამ, უამრავი შეცდომები, არ გამოვიტანე (აბა, ერთი მოთხარი, ვის უხარია ასეთი წერილის წერა); შერედა არ იყობათ რამდენი რამ თვითონ მე არ ვიცი და ვამომრჩა, ან, უბრალოდ, სადაც საჭირო იყო, არ ჩამიხედავს!

წიგნს, საიდანაც ეს „მორგალებია“ ამოკრულათ, თაუფრატულე წარწერალი აქვს — „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი“. ლიტერატურის ისტორიის სფეროში ამ ინსტიტუტზე უფრო ავტორიტეტული დაწინებულება ჩვენ არა გვაქვს. პოდა, არ უნდა ვაფუფრთხილდეთ მის სახელსა და ავტორიტეტს?! ამიტორიგენტა ამ ურისება შეცდომებიდან, მისაღებ გამოცდებზე ერთი რომ ვამოეროს, რა ნიშანს დაუწერენ? ცხადია, ორბანს ან ერთიანს. მაშ როგორ შეძლება მეცნიერა იმენდეს ამნაირ უმეტრებას?

გიორგი მარგველაშვილი

ახალი რეჟურთმის მჭრელი

სიმონ ჩიქოვანის პირველი ლექსი 1924 წელს დაიბეჭდა; ახალგაზრდა პოეტი იმეორად ლიტერატურული მანიფესტებით უფრო იყო ცნობადი (პოლო იაშვილი ზუმრობდა კიდევ ლექსად — „სიმონი გვებძვის მანიფესტებით“). მაგრამ მწიფობას ეამბა მას ოციაში და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე მოუსწრო. და აქ პირდაპირ უნდა ითქვას: ვადაშუქვები როლი ამ მწიფობაში საქართველოს სოციალისტურმა გარდაქმნამ და აღორძინებამ ითამაშა.

ვანახლების იმ ქარბუქმა, რომელმაც სვანეთსა და ბევსურეთში, სამეგრელოს მივარდნილ კლუბებში და საქართველოს ნებისმიერ სივრცეში შეაღწია, სიმონ ჩიქოვანის პოეზიასაც მომთინა მადლი და მის ლექსს გულისცემაც გაუზშირა, ცხოვრების თინაც გაუმძაფრა, სიცოცხლის ალღაც გაუმახვილა. ამ ენიმა და ალღომ ჩიქოვანის პოეზიაში პლასტიკური სიუხვის, ფერმწერლური ხილვისა და რთული, ღრმა მეტაფორულ-ასოციაციური აზროვნებას სფეროში პოეტი ვანადღებდა. მაგრამ უოველი ეს ნიქი და უნარი, სულიერი და პოეტური თვისება ჩიქოვანს იმთავითვე პატრიოტულ და პუნაინისტურ გზნებასთან, სოციალისტურ სულისკვეთებასთან ჰქონდა შერწყმული. აქ კი სიმონ ჩიქოვანის ადამიანური და პოეტური ზუნების ისეთი თვისება ბატონობდა, რაიც თვით მანვე დაახსიათა საუკეთესოდ:

„პოეზია მუდამ პოეტის გარესამყაროსთან დაძაბული და მძაფრი შეხვედრის, შერკინების, შეჭაბების ქაღალსური შედეგია და ამ შეჭაბებისას გამოცეხილი მანერწყალი — განურჩევლად იმისა თუ რა კავშირებს პოეტს სოფელთან... მარტონია თუ კონფლიქტი... მხოლოდ ვულგარული არ მტყნვეთ ასეთი ნაპერწყლის გამოცეხის უნარი“ და არც ლექსის სათავის აღმოჩენის შნო...

... შეყოლებიან, როგორია ნემი აღქმა სამყაროსი, თვალთ ვხედავ მას, თუ ყურით ვიხმენ, ფერწერა და პლასტიკა ჩემთვის მთავარი თუ მუხაია ხაგნისა და მოყლენისა... არასოდეს არ მიცდია შემოქმედების ამ იარაღთა აღნუსხვა. მუდამ ვენდობოდი ნემს ალღოს და იგი მკარანაობდა სათანადო არჩევანს. მთავარი კი ჩემთვის მუდამ არა აღქმისა და ხილვის პლასტიკურობა ან მუსიკალობა იყო, არამედ ამ აღქმისა და ხილვის დრამატონი, ე. ი. გარესამყაროს განცდის ინტენსივობა. ამიტომაც ჩემთვის მზატარული აქტის და შემოქმედების ფუნქციური სათავე თანამედროვეობის მძაფრი შეერქმება და პოეტის ხანამედლეტთან ზიარება გახლავთ“.

როგორა იყო მაინც სიმონ ჩიქოვანის „ლექსის სათავე?“

პოეტის ერთ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „ქნელია საყუთარ ცხოვრებაზე და ლექსებზე საუბარი. შე არც არასდროს დამზადებია ასეთი სურვილი. მით უმეტეს, რომ ჩემი ცხოვრება არ იყო ისე მდიდარი არანვეულებრავი მოვლენებით და თავგადასავლით, ახლაც კი, თუცვ ცხოვრების ვნა საკმაოდ გავლიერ, ნადრევად მიმანია ასეთი საუბრის წამოწყება. მუდამ ვაფერბობდი ავტობიოგრაფიების წერას, რადგან ეს საკუთარი ნაღვაქის შექაშებას წაავახვ, მე კი იმედი მაქვს, რომ კიდევ ზეერის გაკეთება მომიწევს და რომ სვანლინდელი დღევ გუმინდელზე მნიშვნელოვანი იქნება. მზატარი ხომ, როგორც ხე, თვით სიკვდილამდე იზრდება. პირველი ლექსი 1924 წელს დაესტამებე. ამ დროს რუსული „ფუტურისმის გავლენით... მე და ჩემმა მეგობრებმა ახალგაზრდა ქართველ მწერალთა და ხელოვანთა ჩავუთ დავარსეთ. მას „მემარტუნება“ ვწოდებთ. ქართულ და რუსულ კლასიკურ პო-

ენაზე გაზრდილი ვახდით. ქართულ მკოხან-
თაგან განსაკუთრებით მიტაცებდა ბარათაშვილი
და ვაჟა, რუსებიდან — ტოტბრენი. ვახაგვიია,
რომ ფუტურისმის პოზიციებზე გადასვლა ჩემ-
თვის მტივიწველი იყო. ისიც ბუნებრივია,
რომ სიტყვაზე ექსპერიმენტული მუშაობის რამ-
დენიმე წლის შემდეგ, მე და ჩემი მეგობრები
ადვილადი „მემარცხენეობას“. ეს იმიტომაც
მობდა, რომ თანამედროვე საპოეთა ცხოვრება
გახდა ჩემი შემოქმედების მთავარი თემა...“

სხვა შემთხვევაში სიმონ ჩიქოვანი ამ სა-
კითხის მეორე ასპექტსაც აშუქებს: „ქართულ-
მა ახალგაზრდა პოეტებმა კარგად ვიცოდით
მანინდელი რუსული პოეზიის ვითარება. რუ-
სულ პოეზიას რამდენიმე წლის წინათ სამუ-
დამოდ განშორდა მისი მოწინააღმდეგე, მუდამ
მოულოდნელი სიხარულს მომნიჭებელი პოე-
ტი ალექსანდრე ბლკოვ. თითქმის იმავე ხანებ-
ში გარდაიცვალა რუსული სიტყვის შესანიშნა-
ვი შესაბამისი ველიმირ ხლდნიკოვი. ახლა
რუსულ პოეზიაში ელადამირ მიაიკოვსკი, სერ-
გეი ესენინი და ბორის პასტერნაკი ექიბრებო-
დნენ ტრიაუნეთს. ეს სამი პოეტი ვანსაზღვრა-
და ოკიანი წლებში რუსული პოეზიის დიდ
მდინარებას. ყველაზე გამაურბებელი და სა-
ხალხოვადი აღიარებული კი მაინც ელადამირ მია-
იკოვსკი იყო. იგი მოკვებელისა, როგორც რუ-
სული ლექსის დიდი მოვატორი და რეკლუ-
ციის ტრიბუნი. იგი საერთოდ თავისი დროის
უდიდესი პოეტი იყო და მის რეკლუციონი-
რობას ამიტომაც შეტი მინიშნულობა ენიჭებო-
და... მაგრამ რაც შეეხება მის წმინდა მხატვ-
რულ აზროვნებას, თუცა მე იგი ძლიერ მომ-
წონდა და მხიბლავდა, მისი გზა ჩემთვის მიუ-
ღებელი აღმოჩნდა. მე ქართული პოეზიის ტრა-
დიციები გავისწავლე. ქართული პოეზია მუდამ
მეტაფორული და სატოტანი იყო. შოთა რუსთა-
ველმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და ვაჟა-ფშა-
ველამ სამყარო მხატვრული ხილვით აღაქვეს
და პოეზია ხილული მხატვრული სახეებით გა-
მდიდრეს... იმ წლებში კი ჩემთვის საგანგებო
მინიშნულობა ქმონდა ბესიკის პოეტური სიტყ-
ვის ეფერადობას და ქართული ფსალგორის
მთელ რიგ წიადსვლებსა და ბერებს. მართა-
ლია, მე „ტანო ტატანოსა“ და „შავნი შავნის“
ძღერადობის პრინციპი ისეთ უკიდურესობამ-
დე მივყვანე, რომ მაღე შეგნებული უყანდა-
ხეცე მომიხდა“.

მაინც როგორ უნდა შევფასოთ სიმონ ჩი-
ქოვანის „ფუტურისტული პერიოდი“ ან, უფ-
რო სწორად, რა ზედტრითი წომა უნდა მივა-
ნიჭოთ მის პოეტის შემოქმედებაში? ეს პრინ-
ციპული საკითხია. ჩვენ ზნირად შეცდომას ვუ-
წყებთ, როდესაც ვაწვადებულ ურადლებას
ვაქცევთ იმას, თუ საიდან მოვიდა ესა თუ ის
მწერალი, ვადრე იმას, თუ სად მივიდა იგი.

მაგრამ არც საკითხის გათვლება საჭირო.

სიმონ ჩიქოვანის გზა პოეზიაში საკმაოდ რთუ-
ლი იყო. თვით პოეტმა თავისი შემოქმედების
ადრინდელ ეტაბს „სივანწივების“ უწოდებდა
თავის შეცდომებს კი „სიკაბუეის ბორბი“
დაარქვა. რა დასაშლია, ქმონდა ადვილი „წმინ-
და ექსპერიმენტატორობასაც“ და თვითმიწერი
„ორკეტრული ლექსალობით“ გატაცებასაც.
პოეტის უოცდღოთის როდე ახერხებდა „ვალობი-
სა და სურათის შეთანხმებას“, „მოსული სიტყ-
ვის დათმობას“, მანამდე სანამ „გარძობა მიი-
ღებდა სახეს“, დამსგავსებოდა „ქანვას და სუ-
რათს“; შეტყორებისა და შედარებისა ექს-
ცენტრალულობა ზნირად აფერხებდა, აწმელდდა
მისი ლექსების აღქმას, ათვისებას, მაგრამ ამ
ლექსებას დიდ ნაწილში (რამდენიმე ყველაზე
ადრინდელი თვითმიწერი ზეგრაათა თამაშის
ნიშნის გამოკლებათ) უთუოდ იყო ცოცხალი
აზრი, მახვილი გარძობა, თუცა ზანდაზან სა-
განგებო პოლემიკური უყნაურობით გამოხატუ-
ლი. ჩიქოვანის მიერ ოკიან წლებში დაწერილი
მრავალი ლექსი ჭეშმარიტად რეალისტური
იყო, ხოლო ცალკეული ნიჭი მათში შედარებით
ადვილად გამოხასწორებელი. მართლაც, მომა-
ვალში ავტორის მცირე შესწორებებმა, ოდნავ
შესაზრნება რეტყმა სახეებით გაწმინდა და
აღებევა არა ერთი მისი ადრინდელი ნაწარმოე-
ბი.

დაზვერა ხომ სასიყთოთა, მაგრამ არის გარე-
შობა, რომელიც არ უნდა დავტრებს. უფურად-
ღებოდ. ფუტურისმის ესთეტკური კონცეფ-
ცია, მოუხდევად მატერიალისტური ანტურაფი-
სა და სარეკლამო ინვენტარისა, რა თქმა უნდა,
სუბიექტური-იდეალისტური ესთეტკური კონ-
ცეფციის ნაირსახეობას წარმოადგენდა. მაგრამ
წინააღმდეგ „სასტარტო მოედნის“ ასეთი თვი-
სებებისა, ხელოვანს მაინც შეეძლო გაეყვანა
სამშეიღობო ორბიტაზე თავისი კმინდება, იმ
შემთხვევაში, თუ მას ჭეშმარიტი სულიერი
იმპულსები ამოძრავებდა და იგი მხატვრული
სახის შინაგან ლოკიკას ენდობოდა. მართალია,
თავის დროზე, ასეთ შინაგან ლოკიკას დამორ-
ჩილებული არა ერთი ნაწარმოებიც ეუცხოვ-
ებოდა მქოთხველს. მაგრამ პოეზიის შემდგომმა
განვითარებამ და მონაპოვარმა ზეგრა რამ უყ-
ნაური და უყნო — საენაური და მოწინაურ-
რებული ვახდა, ზეგრა პოეტური ბერბი, ფუ-
ტურისმის არსენალში ნაყოფი. — საყოველ-
თაო კუთვნილებად გადააქცია. ვადაკითხეთ
სიმონ ჩიქოვანის 1925 წელს შექმნილი ერთ-
ერთი ექსცენტრალუდი ლექსი „სიმონ ჩიქოვანი
გასწავრებ თოყზე“ და დარწმუნდებით, რომ ეს
ლექსი, რომელიც ავტორმა არც ერთ თავის
ვგანდელ კრებულში აღარ შეიტანა, არ შეი-
ცავს რაიმეს ისეთს, რაც დღევანდელი თვალ-
საზრისით ფუტურისტულ სისტემას ავლენდეს.

„მემარცხენეობის“ დროინდელი ლექსები
მხოლოდ მაშინ ვერ იძენდნენ დროგამძლე მზა-

ტერულ ღირებულებას, როდესაც მათში „ტერ-სი“ სჯობნიდა ღირიყულ „ძაღვსებს“, ანუ ლექსის ადამიანურ ტვირთს. ამ „ღირიყულ იგავში“, როგორც მას ავტორმა უწოდა, გამო-უყვებულა მრავალი პოეტური პირობითობა, თვით მისი ღირიყული სიუჟეტაც და სახეთა სისტემაც უკიდურესად პირობითია, მაგრამ ეს პირობითობა არსად არ „გაურბის“ და მით უმეტეს არსად არ სწყდება ლექსის ღირიყულ პირობებს, და რა დაჭიმულიც არ უნდა იყოს თანხა, რომლითაც სტაროცი ლექსის ღირიყულ გულსა შეხორციებული, შთაქარი მანც ისაა, რომ ეს თანხა არ გაწვდეს და „ტერსმა“ არ აქონოს ლექსის „ძაღვონეს“. მეოთხედილი თმა-საც ადვილად შეამჩნევს, რომ ამ „ღირიყულ იგავში“ სიმონ ჩიქოვანი შეცნებულად ეხმარე-ბა მთავარსახს „პრო ეტო“-ს ერთ-ერთ ბოლო ღირიყულ ეპიზოდს (თუმცა უპირატესად მეტა-ფორული სიუჟეტით, ვიდრე ლექსის სახეობა-რივი მატერიათ). სიმონ ჩიქოვანის ლექსში მე-ტია „გაფხვრების“ ეფექტი, ნაკლებია ღირი-ყული დრამატიზმის უშუალოება (რაც ეგზოზიმ და-მანახალითებული იყო მთავარსახსათვის). რაჟიდა აქ ამ შედარებას შეეცხებთ, იქნებ წინასწარ და-ვახსენებთ კიდევ, რომ „მემარცხენი“ პოეზიის სახეობათ ზოგადი პრინციპების მიღმა ჩიქოვა-ნის ადრინდელ შემოქმედებაში ჩვენ ნაკლებად შევხვდებით მთავარსახსთან ნათესაობის ნიშ-ნებსა და შეხვედრის წერტილებს (როგორც ეს ნაერთოდ არის მიჩნეული და იქნებ მოსალოდ-ნელიც იყო). აქ ხლებნოკოვისა და ოციანი წლე-ბის პასტერნიკის პოეზიასთან სახებლევზე უფ-რო შეიძლება დამარჯო, თდონდ ამის გათვა-ლისწინებოდაც, რომ ჩიქოვანისათვის სრულიად უცხოა ხლებნოკოვისებულა ქვეცნობერი, მის-ტაფორი და კაბალისტური დომინანტა, ისევე როგორც პასტერნიკისებული ექსპრესია. სახეთა დინამიური და ექსპრესიული ნაყადი ჩიქოვანს შესატყვისი რიტმულ-სინტაქსური დინამიკითა და ექსპრესიით არა აქვს ორგანიზებული. იგი სულ სხვა, მეტ შემოხვევაში წმინდა ინტონა-ციურ კალაბოტებს ქმნის და იძიებს თავისი ლექსისათვის.

